

ინგა ბალარჯიშვილი

# ახალი პოლიტიკური ეკონომია

(ლექციების კურსი)

თბილისი

2017

**ანოტაცია:** ლექციების კურსში ქართულ და უცხოურ ლიტერატურაზე დაყრდნობით, განხილულია ახალი პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი პრობლემები: სახელმწიფოს ეკონომიკური თეორია, ხმის მიცემის წესები პირდაპირი და წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებში, პოლიტიკური კონკურენცია და კოალიციები, დიქტატურა, ბიუროკრატია, ინტერესთა ჯგუფები და რენტის ძიება, სახელმწიფოს ზომები, პოლიტიკური საქმიანი ციკლი, კონსტიტუციური პოლიტიკური ეკონომია. ნაშრომი განკუთვნილია მაგისტრანტებისთვის და თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიის პრობლემატიკით დაინტერესებული ყველა მკითხველისათვის.

**რედაქტორი :** ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი

**რეცენზენტი:** ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი რევაზ გველესიანი

## შინაარსი

შესავალი -----	7
<b>თემა 1. ახალი პოლიტიკური ეკონომია: პოლიტიკური პროცესების ეკონომიკური ანალიზის საფუძვლები -----</b>	<b>12</b>
1.1. ახალი პოლიტიკური ეკონომია როგორც პოზიტიური მეცნიერება პოლიტიკის შესახებ -----	12
1.2. მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი და ინდივიდის რაციონალურობა რაციონალურობა როგორც ქცევის ნორმა -----	16
1.3. ახალი პოლიტიკური ეკონომიის მეთოდოლოგიური პარადიგმა -----	20
1.4. ახალი პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი პრობლემები -----	26
1.5. პოლიტიკური პროცესების ანალიზის მეთოდები და ინსტრუმენტები -----	28
<b>თემა 2. სახელმწიფოს ეკონომიკური თეორია -----</b>	<b>34</b>
2.1. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების ფორმულირება ტრადიციულ პოლიტეკონომიაში -----	34
2.2. სახელმწიფოს როლის განსხვავებული შეფასება თეორიულ ეკონომიკაში -----	36
2.3. სახელმწიფოს როლის ახლებურად გააზრება ახალ პოლიტიკურ ეკონომიაში ----	39
2.4. „წესრიგის თეორია“ და კონსტიტუციური ეკონომიკა -----	41
2.5. პოლიტიკური ფილოსოფიის და პოლიტიკური გამოკვლევების როლი -----	43
2.6. საზოგადოებრივი საქონელი და „პატიმრების დილემა“ -----	49
2.7. საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება და „უბილეთო მგზავრის“ პრობლემა ----	52
2.8. არასახელმწიფოებრივი მდგომარეობა. ანარქიული მდგომარეობის პრობლემები და სახელმწიფოს ფორმირების ისტორიული ტენდენცია -----	60
<b>თემა 3. პირდაპირი დემოკრატიის ეკონომიკური ანალიზი: ერთსულოვნების წესი და უმრავლესობის წესი -----</b>	<b>65</b>
3.1. პირდაპირი დემოკრატია. ერთსულოვნების წესი -----	65
3.2. ვერნონ სმითის აუქციონის მექანიზმი -----	67
3.3. უმრავლესობის წესი: პოზიტიური მიდგომა -----	69

3.4. მედიანური ამომრჩევლის მოდელი (ერთგანზომილებიანი შემთხვევა) -----	77
3.5. ხმის მიცემის პარადოქსი და ციკლურობა -----	81
3.6. უმრავლესობის წესი: ნორმატიული დახასიათება -----	85
<b>თემა 4. პირდაპირი დემოკრატიის ეკონომიკური ანალიზი: უმრავლესობის წესის ალტერნატივები -----</b>	<b>93</b>
4.1. არჩევნები და რეფერენდუმი -----	93
4.2. რაციონალური იგნორირება და ზღურბლის ეფექტი -----	98
4.3. ხმის მიცემის პროცედურები. უმრავლესობის წესის მარტივი ალტერნატივები -----	102
4.4. კლუბების თეორია -----	114
4.5. „ხმის მიცემა ფეხებით“ -----	120
<b>თემა 5. წარმომადგენლობითი დემოკრატიის ეკონომიკური ანალიზი: პოლიტიკური კონკურენცია -----</b>	<b>124</b>
5.1. არჩევანის თავისებურებანი წარმომადგენლობითი დემოკრატიის დროს -----	124
5.2. პოლიტიკური კონკურენცია -----	127
5.3. ჰოტელინგ-დაუნსის ორპარტიული კონკურენციის მოდელი -----	129
<b>თემა 6. წარმომადგენლობითი დემოკრატიის ეკონომიკური ანალიზი: მთავრობა და საპარლამენტო კოალიციები -----</b>	<b>141</b>
6.1. კოალიციები მრავალპარტიულ სისტემაში -----	141
6.2. კოალიციური მთავრობების სიმყარე -----	147
6.3. მთავრობის „სიკვდილი“ -----	149
6.4. ხმის მიცემით მანიპულირება -----	152
6.5. ლოგროლინგი -----	161
<b>თემა 7. ავტოკრატიული რეჟიმები: დიქტატურის ეკონომიკური ანალიზი -----</b>	<b>167</b>
7.1. პოლიტიკური სისტემები -----	167
7.2. დიქტატურა -----	172
7.2.1. დიქტატურის წარმოშობა -----	174

7.2.2. დიქტატორთა მიზნები -----	179
7.2.3. დიქტატურის ფუნქციონირება და გადარჩენა -----	180
7.2.4. დიქტატურის აღმავლობა და დაცემა -----	188
7.2.5. დიქტატურა და ეკონომიკის ეფექტიანობა -----	192
7.3. საპრეზიდენტო და საპარლამენტო სისტემები -----	197
<b>თემა 8. ბიუროკრატის ეკონომიკა -----</b>	<b>204</b>
8.1. ბიუროკრატია როგორც ეკონომიკური მოვლენა -----	204
8.2. განუსაზღვრელობა, ინფორმაცია და ძალაუფლება -----	205
8.3. რას ამაქსიმუმებს ბიუროკრატია? -----	207
8.4. უ. ნისკანენის მოდელი -----	211
8.5. გ. ტალოკის ბიუროკრატის მოდელი -----	220
8.6. ბრეტონ-ბრენან-ბიუქენენის მოდელი -----	222
8.7. გ. ალისონის „ბიუროკრატიული პოლიტიკის“ და „ორგანიზაციული პროცესის“ მოდელები -----	225
<b>თემა 9. სპეციალურ ინტერესთა ჯგუფები და რენტის ძიება -----</b>	<b>231</b>
9.1. კოლექტიური მოქმედებების ლოგიკა -----	231
9.2. ინტერესთა ჯგუფების ქცევის მოდელები პოლიტიკაში -----	234
9.3. საარჩევნო კამპანიების დაფინანსების მიზეზების და შედეგების ემპირიული კვლევები -----	237
9.4. ლობირება -----	240
9.5. ინტერესთა ჯგუფების საქმიანობის გავლენა კეთილდღეობაზე -----	242
9.6. რენტის ძიების თეორია -----	246
<b>თემა 10. პოლიტიკური ეკონომია და საზოგადოებრივი პოლიტიკა -----</b>	<b>254</b>
10.1. სახელმწიფოს ზომები. „ლევიათანის საფრთხე“ -----	254
10.2. სახელმწიფოს ზომების ზრდის ახსნა -----	257
10.2.1. სახელმწიფო როგორც საზოგადოებრივი საქონლის მიმწოდებელი და ექსტერნალების ლიკვიდატორი -----	257
10.2.2. სახელმწიფო როგორც შემოსავლის და სიმდიდრის გადამანაწილებელი -----	259

10.2.3. სახელმწიფოს ზრდის სხვა ჰიპოთეზები -----	263
10.3. საზოგადოებრივი სექტორის საზღვრები - ნორმატიული მიდგომა -----	269
<b>თემა 11. პოლიტიკური საქმიანი ციკლი -----</b>	<b>274</b>
11.1. ნორდჰაუს-მაკ-რეის ელექტორალური ციკლის მოდელი -----	274
11.2. ორპარტიული ციკლი: არჩევანი უმუშევრობასა და ინფლაციას შორის -----	277
11.3. პოლიტიკური საქმიანი ციკლის მოდელი რენტორიენტირებული ქცევის გათვალისწინებით -----	284
11.3.1. მოდელი „პოლიტიკოსი - ამომრჩეველი“ ტრანსაქციური ხარჯების გათვალისწინების გარეშე -----	284
11.3.2. მოდელი „პოლიტიკოსი-ამომრჩეველი“ ტრანსაქციური ხარჯების გათვალისწინებით -----	289
11.3.3. ოპტიმალური პოლიტიკური საქმიანი ციკლის ფორმირების მექანიზმი -----	291
<b>თემა 12. კონსტიტუციური ეკონომიკა -----</b>	<b>296</b>
12.1. სახელმწიფოს „ჩავარდნები“ -----	296
12.2. მთავრობის ოპტიმალური ზომების პრობლემა -----	297
12.3. დემოკრატიული იდეალის დამახინჯება -----	298
12.4. ფ. ჰაიეკის კონსტიტუციური წესრიგის მოდელი -----	301
12. 5. მოთხოვნები ეფექტიანი კონსტიტუციისადმი -----	303
12.6. კანონი როგორც საზოგადოებრივი კაპიტალი -----	306
12.7. დასჯის დილემა -----	309

## შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ლექციების კურსს „ეკონომიკის“ სამაგისტრო პროგრამის თეორიული ეკონომიკის მოდულის მაგისტრანტებისთვის. მასში ადაპტირებულია როგორც თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსთა პუბლიკაციები, ასევე ამ დისციპლინაში არსებული ცნობილი სახელმძღვანელოები.

„ადამიანი თავისი ბუნებით პოლიტიკური ცხოველია“, - აღნიშნავდა არისტოტელე ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ.-მდე IV საუკუნეში. ის ვარაუდობდა, რომ ადამიანისათვის ბუნებრივია მიდრეკილება პოლიტიკური საქმიანობისადმი. ადამ სმითი ხაზს უსვამდა ადამიანთა მისწრაფებას ეკონომიკური გაცვლის პროცესში მონაწილეობისკენ. ამ ორი ინტელექტუალური ტიტანის დაკვირვებები საფუძვლად დაედო საზოგადოებრივ მეცნიერებათა ორი სფეროს - პოლიტოლოგიის და ეკონომიკის - აღმოცენებას. ტრადიციულად, პოლიტოლოგია იკვლევდა ადამიანის ქცევას საჯარო სფეროში, ეკონომიკა - ადამიანის ქცევას ბაზარზე. პოლიტოლოგია ეყრდნობოდა დაშვებას, რომ პოლიტიკური ადამიანი მისდევს საზოგადოებრივ ინტერესებს, ეკონომიკა უშვებდა, რომ ყველა ადამიანს ამოძრავებს კერძო ინტერესები. მაგრამ სამართლიანია თუ არა ასეთი დოქოტომია? შეიძლება თუ არა, რომ „პოლიტიკური ადამიანი“ და „ეკონომიკური ადამიანი“ ერთი და იგივე ადამიანი იყოს? ახალი პოლიტიკური ეკონომია ვარაუდობს, რომ ეს ასეცაა.

ახალი პოლიტიკური ეკონომია შეიძლება განისაზღვროს, როგორც არასაბაზრო გადაწყვეტილებათა მიღების ეკონომიკური კვლევა ან, უბრალოდ, როგორც ეკონომიკური თეორიის გამოყენება პოლიტიკურ მეცნიერებაში. საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის და პოლიტოლოგიის საგნის იდენტურობის მიუხედავად (სახელმწიფოს თეორია, ამომრჩეველთა ქცევა, ბიუროკრატია და ა.შ.), საზოგადოებრივი არჩევანის მეთოდოლოგია ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგიაა. ახალი პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი ქცევითი პოსტულატის მიხედვით, ადამიანი წარმოადგენს სარგებლიანობის ეგოისტურ და რაციონალურ მაქსიმიზატორს. ლექციების კურსის პირველი თავი ეძღვნება, სწორედ, იმ მეთოდოლოგიის და ანალიტიკური ინსტრუმენტების ანალიზს, რომელსაც იყენებს ახალი პოლიტიკური ეკონომია საზოგადოებრივი არჩევანის პრობლემატიკის კვლევაში.

ძველ და ახალ პოლიტიკურ ეკონომიას შორის განსხვავების უფრო ღრმად გაგების საშუალებას იძლევა ბაზრის და სახელმწიფოს როლის, კერძო და საზოგადოებრივი დოვლათის წარმოების შედარება. თუ ძველი პოლიტიკონომიის ყურადღების ცენტრში იყო მატერიალური სიმდიდრის წარმოება და ეკონომიკური პროცესები, ახალი პოლიტიკური ეკონომიის ყურადღების ცენტრშია - არამატერიალური სიმდიდრე და პოლიტიკური პროცესები. ამიტომ, ლექციების კურსის მეორე თავში გადმოცემულია სახელმწიფოს როლისადმი განსხვავებული მიდგომები „ძველ“ და ახალ პოლიტიკურ ეკონომიაში. აქვე გაანალიზებულია არასახელმწიფოებრივი მდგომარეობის პრობლემები და სახელმწიფოს ფორმირების ისტორიული ტენდენცია.

თუ ბაზარი ავლენს კერძო ინდივიდუალურ უპირატესობათა მექანიზმებს კერძო საქონლის წარმოების მიმართ, სახელმწიფო წარმოადგენს ბაზრის ანალოგს და გამოავლენს ინდივიდთა უპირატესობებს საზოგადოებრივი საქონლის წარმოებასთან დაკავშირებით. უპირატესობები განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, ხმის მიცემის მეშვეობით. ხმის მიცემის წესის შესწავლა იწყება პირდაპირი დემოკრატიის მახასიათებლებით, კერძოდ, მისი ყველაზე ელემენტარული და პოპულარული ფორმებით - ერთსულოვნების წესით და უმრავლესობის წესით. ჩვენთვის საინტერესოა იგივე საკითხები, რაც დგას ფასწარმოქმნის პროცესის შემსწავლელი ეკონომისტების წინაშე: არსებობს თუ არა წონასწორობა ამ თავისებურ ბაზარზე? არის თუ არა ის ერთადერთი, სტაბილური და პარეტო-ეფექტიანი? როგორ მიიღწევა წონასწორობა? აღნიშნული საკითხები განხილულია ნაშრომის მესამე თავში.

მეოთხე თავში წარმოდგენილია უმრავლესობის წესის რამდენიმე ალტერნატივა. ნაჩვენებია, თუ როგორ შეუძლიათ ინდივიდებს საზოგადოებრივი დოვლათის მიმართ თავიანთი უპირატესობების გამოვლენა არა ხმის მიცემის მექანიზმის მეშვეობით, არამედ სხვადასხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ან საზოგადოებრივი დოვლათის მომხმარებელთა კლუბების არჩევით.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად რთულდება საზოგადოებრივი არჩევანის პრობლემებიც. ამომრჩეველთა რიცხვის და გადასაწყვეტი პრობლემების რაოდენობის ზრდასთან ერთად, პირდაპირი დემოკრატია შეუძლებელია. წარმოიშობა წარმომადგენლობითი ორგანოების და მათთვის საჭირო კანდიდატების შერჩევის



აუცილებლობა. საზოგადოებრივი არჩევანის თეორია განიხილავს წარმომადგენლობითი დემოკრატიის სამ ასპექტს: პირველი, ამომრჩეველთა და წარმომადგენელთა ქცევას საარჩევნო კამპანიის პერიოდში; მეორე, წარმომადგენლობითი ხელისუფლების ორგანოების ფორმირებას და მათი ფუნქციონირების ეფექტიანობას; მესამე, მათი საქმიანობის შედეგებს სხვადასხვა პოლიტიკური სისტემების დროს. ამიტომ შემდეგი სამი ლექცია (თავები 5,6,7) ეხება ამ ასპექტებს - პოლიტიკურ კონკურენციას, მთავრობას და კოალიციებს პარლამენტში და სხვადასხვა პოლიტიკური სისტემების ფუნქციონირების შედეგებით ანალიზს. ახალი პოლიტიკური ეკონომიის ყველა ფუძემდებელი ან ამერიკელი, ან ბრიტანელი იყო. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ კვლევების უდიდესი ნაწილი ფოკუსირდებოდა ორპარტიულ სისტემებზე. თუმცა უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში საზოგადოებრივი არჩევანის თეორეტიკოსების მიერ მრავალპარტიული სისტემების კვლევა მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ეს შეხედულებები გაანალიზებულია ლექციების კურსის მეექვსე თავში.

თითქმის ყველა კვლევა ახალ პოლიტიკურ ეკონომიაში მიმართულია დემოკრატიული სახელმწიფოების ანალიზისკენ. მაგრამ, დემოკრატიული სახელმწიფოები ყველა თანამედროვე და ადრინდელი სახელმწიფოების მხოლოდ უმნიშვნელო წილს ქმნიან. ამ მიზეზით და იმის გამოც, რომ საქართველოს ავტორიტარული რეჟიმის პირობებში ცხოვრების მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დიქტატურის ეკონომიკურ ანალიზს (თავი 7).

პოლიტიკოსების უპირატესობებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივი სექტორის გამოშვების მოცულობაზე. ჩვენ განვიხილავთ მოდელებს, რომლებიც გვიჩვენებენ მთავრობის როლს პოლიტიკის განსაზღვრაში, რომლებიც სცდება მოქალაქეთა ფარული უპირატესობების უბრალო გამოვლენის საზღვრებს. ხშირ შემთხვევაში, გამოშვება, რომელსაც აწარმოებს სახელმწიფო, კონტროლდება და რეგულირდება ბიუროკრატიის მიერ. ბიუროკრატია, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანი, შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც სარგებლიანობის ეგოისტური მაქსიმიზატორი. ამ მაქსიმიზატორის მიზნების და მათი მიღწევის საშუალებების ანალიზი მოცემულია ლექციების კურსის მერვე თავში.

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს პოლიტიკა - ეს არის არა დაპირისპირება ორ პოლარულ ეკონომიკურ კლასს შორის, არამედ უფრო - ბრძოლა განსხვავებული ინტერესების მქონე მრავალ ჯგუფს შორის. მ. ოლსონმა თავის კლასიკურ ნაშრომში „კოლექტიური მოქმედებების ლოგიკა“ (1965წ.) საზოგადოებრივი არჩევანის არგუმენტაცია გამოიყენა კოლექტიური მოქმედებების სხვადასხვა პრობლემის, მათ შორის, ინტერესთა ჯგუფების, ანალიზისთვის. ამ დროიდან, ინტერესთა ჯგუფების გავლენა პოლიტიკის შედეგებზე ახალი პოლიტიკური ეკონომიის აქტუალურ პრობლემათა რიცხვში შევიდა. აღნიშნული საკითხები და, აგრეთვე, წარმომადგენლობითი მმართველობის გადამანაწილებელი პოტენციალი, რომელიც ცნობილია როგორც „რენტის ძიება“, განხილულია მეცხრე თავში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია მსოფლიოში სახელმწიფოს ზომების ზრდაა. წარმოდგენს თუ არა ეს ზრდა პასუხს მოქალაქეთა მიერ სახელმწიფო მომსახურების მოცულობის ზრდის მოთხოვნებზე მათი შემოსავლების ზრდის, სახელმწიფო მომსახურების ფარდობითი ფასების ან გემოვნების ცვლილების შედეგად? ასახავს თუ არა იგი ზოგიერთი ჯგუფის წარმატებულ ძალისხმევას სახელმწიფოს მეშვეობით კეთილდღეობის გადამანაწილებაში? თუ ეს მხოლოდ ძლიერი სახელმწიფო ბიუროკრატის მიერ მოქალაქეებზე დაკისრებული არასასურველი ტვირთია? ეს პრობლემები გაანალიზებულია მეათე თავში.

მეთერთმეტე თავი ეძღვნება პოლიტიკური საქმიანი ციკლის ანალიზს, რომლის იდეაც აღმოცენდა ეკონომიკური ციკლის იდეიდან. რა კავშირია პოლიტიკურ წარმატებასა და მთავრობის მაკროეკონომიკურ პოლიტიკას შორის? რა დოზით ითვალისწინებენ ამომრჩევლები ხმის მიცემის დროს ეკონომიკის მდგომარეობას? მიუხედავად იმისა, რომ ამ კითხვებზე პასუხის ძიებამ მრავალფეროვანი თეორიული მოდელების გაჩენა გამოიწვია, ემპირიული კვლევების მონაცემები ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო და საკამათოა. ამიტომ, საჭიროთ მივიჩნით მოცემული პრობლემატიკის ცალკე თავად გამოყოფა.

თავდაპირველ არჩევანზე დამოკიდებულია როგორც ადამიანის, ისე სახელმწიფოს ბედი. თუ საწყის სტადიაზე დადებული შეთანხმება არასრულყოფილია, ხდება დემოკრატიული იდეალის დამახინჯება, ხოლო კანონი გადაიქცევა თვითნებობად. რის

გაკეთებაა აუცილებელი იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული დემოკრატიის გადაქცევა ავტორიტარულ რეჟიმად, ხოლო თავისუფალ ადამიანთა საზოგადოებისა - მონების საზოგადოებად? ყველა ეს პრობლემა კონსტიტუციური ეკონომიკის შესწავლის საგანია და გაანალიზებულია მეორე მეთოდით თავში.

წინამდებარე ლექციების კურსი, გარკვეულწილად, პოლიტიკური პროცესების ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთი პირველი ცდაა. ამიტომ ავტორისთვის საინტერესო იქნება მკითხველთა რჩევები და მოსაზრებები კურსის შემდგომი სრულყოფისათვის.

# თემა 1. ახალი პოლიტიკური ეკონომია: პოლიტიკური პროცესების ეკონომიკური ანალიზის საფუძვლები

## 1.1. ახალი პოლიტიკური ეკონომია როგორც პოზიტიური მეცნიერება პოლიტიკის შესახებ

ახალი პოლიტიკური ეკონომიის სათავეები შეიძლება მოიძებნოს XVIII-XIX საუკუნეების მათემატიკოსთა ნაშრომებში, რომლებიც ინტერესდებოდნენ ხმის მიცემის პრობლემატიკით: ჟ.ა.კონდორსე, თ. ლაპლასი, ჩ. დოჯსონი (ლუის კეროლი). მათი შრომები ცნობილი გახდა დ. ბლეკის გამოკვლევების მეშვეობით, რომელიც თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი ადრეული წარმომადგენელია (Coase, 1994. P. 185—198). მაგრამ ეკონომიკური მეცნიერების დამოუკიდებელ მიმართულებად იგი ჩამოყალიბდა მხოლოდ 1950-1960-იან წლებში, მის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თ. ჰობსის და ბ. სპინოზას ნაშრომებმა პოლიტიკურ ფილოსოფიაში, აგრეთვე ჯ. მედისონის და ა. დე ტოკვილის პოლიტოლოგიურმა გამოკვლევებმა. ახალი პოლიტიკური ეკონომიის (საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის) განვითარებას უშუალო იმპულსი მისცა 1930-1940-იანი წლების დისკუსიებმა საბაზრო სოციალიზმის და კეთილდღეობის ეკონომიკის პრობლემების შესახებ (ა. ბერგსონი, პ. სამუელსონი), განსაკუთრებით კი, კ. ეროუს (1951, 1963), ე. დაუნსის (1957) და ბლეკის (1958), ჯ. ბიუქენენის და გ. ტალოკის (1962), მ. ოლსონის (1965) და უ. ნისკანენის (1971) პუბლიკაციებმა.

საზოგადოებრივი არჩევანის თეორიას „ახალ პოლიტიკურ ეკონომიასაც“ უწოდებენ, ვინაიდან იგი შეისწავლის მაკროეკონომიკურ გადაწყვეტილებათა ფორმირების პოლიტიკურ მექანიზმს. აკრიტიკებდნენ რა კეინზიანელებს, ამ თეორიის წარმომადგენლებმა ეჭვქვეშ დააყენეს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ეფექტიანობა. კლასიკური ლიბერალიზმის პრინციპების და მიკროეკონომიკური ანალიზის მეთოდების გამოყენებით, ისინი აქტიურად შეიჭრნენ სფეროში, რომელიც, ტრადიციულად, პოლიტოლოგების, იურისტების და სოციოლოგების საქმიანობის არეალად ითვლებოდა. 1980-იან წლებში პოლიტოლოგიურ მეცნიერებაში ეკონომიკური მეთოდების ექსპანსიის დამატებითი იმპულსი გახდა ახალი კონცეპტუალური მიდგომის პოპულარობის ზრდა, რომელმაც „ეკონომიკური იმპერიალიზმის“ სახელწოდება მიიღო. ამ მიმართულების წარმომადგენლებმა ანალიზის ობიექტად გადააქციეს არა ფულად-საკრედიტო და

ფისკალური პოლიტიკის გავლენა ეკონომიკაზე, არამედ თვითონ სამთავრობო გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი.

პირველად ტერმინი „ეკონომიკური იმპერიალიზმი“ გამოიყენა ჯერ კიდევ 1930-იან წლებში ამერიკელმა ეკონომისტმა რ. უ. საუტერმა თავის წიგნში „შესავალი შეფარდებით ეკონომიკურ თეორიაში“ (Souter, 1933). მასში რ. საუტერი წერს: „ეკონომიკური მეცნიერების გადარჩენა XX საუკუნეში განათლებულ და დემოკრატიულ „ეკონომიკურ იმპერიალიზმშია“, რომელიც იჭრება თავისი მეზობლების ტერიტორიაზე არა იმისთვის, რომ დაიპყროს ან შთანთქმას, არამედ იმისათვის, რომ დაეხმაროს და გაამდიდროს ისინი, ხელი შეუწყოს მათ ავტონომიურ ზრდას ამ დახმარებისა და გამდიდრების წყალობით“ (ციტ.: Swedberg, 1990. P. 14).

„ეკონომიკური იმპერიალიზმის“ მთავარი იდეოლოგი და თეორეტიკოსი გახდა ამერიკელი ეკონომისტი და სოციოლოგი გერი ბეკერი, რომელმაც ანალიზის ეკონომიკური მეთოდები გამოიყენა ისტორიის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, დემოგრაფიის, იურისპრუდენციის და სხვ. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კვლევის მიმართ. გ. ბეკერის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი თავის საზოგადოებრივ ქცევაში ხელმძღვანელობს, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური მოსაზრებებით. ეს ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა ქორწინება, ოჯახის შექმნა, სწავლა, პროფესიის არჩევა. ეკონომიკურ შეფასებას და გაზომვას, გ. ბეკერის აზრით, ექვემდებარება მრავალი ფსიქოლოგიური მოვლენაც, როგორცაა, მაგალითად, მატერიალური კეთილდღეობით დაკმაყოფილება-დაუკმაყოფილებლობა, შური, ალტრუიზმი, ეგოიზმი და ა. შ. გ. ბეკერმა ანალიზის ეკონომიკური მეთოდები გამოიყენა ადამიანის ქცევის ისეთი სფეროების მიმართაც, რომლებიც ადრე ირაციონალურად და მეცნიერულ ანალიზს დაუქვემდებარებლად ითვლებოდა<sup>1</sup>. სწორედ, გ. ბეკერის დამსახურებით, თეორიული

---

<sup>1</sup> გ. ბეკერის მიმდევრებმა მისი მიდგომა გაავრცელეს ეკონომიკური მეცნიერებისათვის კიდევ უფრო არატრადიციულ მოვლენებზე (მაგალითად, რელიგიურ საქმიანობაზე). დღეისათვის „ეკონომიკური იმპერიალიზმის“ წარმომადგენელთა პოვნა, პრაქტიკულად, ცოდნის ყველა დარგში შეიძლება. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ იმპერიალიზმს აკრიტიკებდნენ თვით ეკონომისტები, ეკონომიკური მეთოდოლოგიის შესამღებლობათა გადაჭარბებით შეფასების და ეკონომიკური მეთოდის სხვა მეცნიერებათა მეთოდებზე უპირატესობის აშკარა თუ არააშკარა დეკლარირების გამო (იხ.: Blinder A. 1974. The Economics of Brushing Teeth. – Journal of Political Economy, vol. 82, № 4; რუს.: Блайндер А. Экономическая теория чистки зубов. – THESIS, вып. 6, 1994.).

ეკონომიკა გახდა არა მეცნიერული დისციპლინა, რომელიც მეცნიერული ცოდნის სხვა სფეროებისგან გამოირჩევა თავისი საგნით, არამედ ადამიანის ქცევის მრავალფეროვანი ფორმების შესწავლის უნივერსალური მეთოდი, რომელსაც შეუძლია სხვადასხვა მეცნიერული მიმართულებების ინტეგრირება<sup>2</sup>.

ახალი პოლიტიკური ეკონომია წარმოადგენს ახალი ინსტიტუციური ეკონომიკური თეორიის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც ჩამოყალიბდა XX საუკუნის ბოლოს (დ. ნორტი, მ. ხოჯსონი და სხვ.). მისი ყურადღების ცენტრშია „თამაშის წესები“, რომელსაც ეფუძნება სოციალური ინსტიტუტები. თამაშის წესები განიხილება როგორც ეკონომიკური აგენტებისგან, ასევე ორგანიზაციებისგან განცალკევებულად. თუ ადრე ინსტიტუტები განიხილებოდა ეგზოგენურად, როგორც ეკონომიკისადმი რაღაც გარეგანი (ამასთან ეკონომიკური ინსტიტუტების გამოკვლევა ხდებოდა პოლიტიკური ინსტიტუტებისგან განცალკევებით), თანამედროვე პოლიტიკური ეკონომია მათ აანალიზებს როგორც ერთიანი სტრუქტურის ნაწილებს, რომელთა მეშვეობით ფორმირდება ადამიანებს შორის ურთიერთობები. ეკონომიკა და პოლიტიკა ახალ პოლიტიკურ ეკონომიაში გამოდიან როგორც ურთიერთწანამდგრები, ურთიერთქმედებენ ერთმანეთზე და გადადიან ერთმანეთში. ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური მიდგომა განიხილავს არა მარტო ქცევის ეკონომიკურ საფუძვლებს პოლიტიკურ პროცესში, არამედ საბაზრო ეკონომიკაში ჩარევის პოლიტიკურ მეთოდებსაც.

---

<sup>2</sup> 1980-1990-იან წლებში ეკონომიკური მეცნიერების ექსპანსიას ახასიათებს ჯ. სოროსი თავის წიგნში „მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი“: „ეკონომიკური თეორიის გავლენის მასშტაბი გამოვიდა იმ ფარგლებიდან, რომელიც უნდა განისაზღვროს აქსიომატური სისტემის პოსტულატებით. თეორია აღარ არის უბრალოდ თეორია. საბაზრო ფუნდამენტალისტებმა მოახდინეს აქსიომატური, ადამიანური ფასეულობებისადმი ნეიტრალური თეორიის ტრანსფორმირება იდეოლოგიაში, რომელმაც მოახდინა და აგრძელებს მძლავრი და სახიფათო გავლენის მოხდენას ადამიანთა ქცევაზე პოლიტიკასა და ბიზნესში“ (Сорос Дж. Кризис мирового капитализма. Открытое общество в опасности. М.: ИНФРА-М, 1999).

### სახალისო პოლიტიკური ეკონომია<sup>3</sup>

**ლუის კეროლი, რომელიც კინადამ საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის ფუძემდებელი გახდა**

ლუის კეროლი (ფსევდონიმი - ჩარლზ დოჯსონი) უპირველეს ყოვლისა, ცნობილია როგორც ალისას თავგადასავლების შესახებ საბავშვო წიგნების ავტორი. მაგრამ კეროლი, ამავე დროს, იყო პროფესიონალი მათემატიკოსი (სპეციალისტებს შორის საკმაოდ ცნობილი დღესაც). თითქმის არავინ იცის, რომ იგი შეიძლება სამართლიანად ჩაითვალოს საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის - „პოლიტოლოგიის როგორც ზუსტი მეცნიერების“- წინამორბედად. თავისი შეხედულებები პოლიტიკური პროცესების მკაცრად მეცნიერული გამოკვლევის შესაძლებლობის შესახებ მან გადმოსცა პამფლეტში „პარტიული ლაქლაქის ზუსტი დინამიკა“ (1865) და ბროშურაში „საპარლამენტო წარმომადგენლობის პრინციპები“ (1884). პამფლეტი წარმოადგენს პაროდის ეკვივალენტს „საწყისებზე“. ისევე, როგორც დიდ ბერძენ მეცნიერთან, ყოველი თავი იწყება ცნების განმარტებით, შემდეგ მოდის პოსტულატები და აქსიომები და მთავრდება თეორემებით და ამოცანებით, ზოგადი სათაურით - „წინადადებები“. ლ. კეროლისთვის დამახასიათებელ სიტყვათა თამაშს აძლიერებს ის, რომ პოლიტიკური ტერმინები გადმოცემულია მათემატიკური აზრით, ხოლო მათემატიკური - შევსებულია პოლიტიკური შინაარსით. ამიტომ სირთულე წარმოიშობა უკვე თვით სათაურის თარგმნისას, სადაც „parti clark“ (პარტიული ლაქლაქი ანუ პოლიტიკური ყბედობა) შეესაბამება ცნებას „particle“ (ნაწილაკი). ამასთან იგულისხმება არა ცალკეული ნაწილაკები, არამედ მათი მოძრაობა, დინამიკა. პარალელურად ტრანსკორიენტთან იგი გვიჩვენებს საინტერესო ანალოგიას ჰიპერბოლასთან, რომელიც სწრაფად და შორს გადაიხრება საწყისი მიმართულებიდან, ისევე როგორც დებატები ინგლისის პარლამენტში.

მაგალითისთვის მოვიტანოთ პირველი თავის პოსტულატები:

1. ივარაუდება, რომ ორატორი შეიძლება გადაიხაროს რომელიმე ერთი პოზიციიდან სხვა პოზიციის მიმართულებით;
2. ნებისმიერი დროთი შეზღუდული დისკუსია (ე.ი. დამთავრებული და დავიწყებული) შეიძლება შეუზღუდავად გაგრძელებულ იქნეს მომდევნოებში;
3. ნებისმიერი პოლემიკა შეიძლება აღმოცენდეს ნებისმიერ საკითხზე და ამ საკითხიდან ნებისმიერ სიმორეზე (Carroll L. The Dynamics of Particle // The Penguin Complete Lewis Carroll. L., 1983. P. 1016—1026);

დ. ბლეკი წერს, რომ „საპარლამენტო წარმომადგენლობის პრინციპებში“ არგუმენტაციის გაშლისას თავიდან ბოლომდე შეინიშნება მკაცრი თანმიმდევრობა...

<sup>3</sup> ჩანართებში გამოყენებულია მასალები წიგნიდან: Нуреев Р. М. Теория общественного выбора. М.: Издательский дом ГУ- ВШЭ, 2005.

არგუმენტაცია თავისი სტრუქტურით მათემატიკურ ხასიათს ატარებს, მას განასხვავებს მათემატიკური სიმკაცრე, თუმცა მათემატიკური აპარატი ტრაქტატის ფურცლებზე პრაქტიკულად არ არის. არგუმენტაცია მთელ ნაშრომში აგებულია პრინციპით - ორი პირის თამაში ნულოვანი ჯამით“...მათემატიკური ფორმით ის შეიძლება გამოსახულიყო მხოლოდ 1928 წლის შემდეგ, როდესაც ჯ. ფონ ნეიმანმა მოგვცა ნულოვანი ჯამით თამაშის პირველი გამოსახულება“.

სამწუხაროდ, ლ კეროლის მიერ შემოთავაზებულმა ორიგინალურმა მიდგომამ თანამედროვეებზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. განმეორდა იგივე ისტორია, რაც გერმანელ ეკონომისტ ჰ. გოსენთან დაკავშირებით, რომელმაც ჩამოაყალიბა ზღვრული სარგებლიანობის თეორიის მთელი რიგი მნიშვნელოვანი დებულებები ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-იან წლებში, მაგრამ ვერ გაიგეს, და მარჟინალიზმის ძირითადი იდეები „გახსნა“ კ. მენგერმა მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ. „ნაადრევი აღმოჩენების“ წარუმატებლობის მიზეზები, როგორც ჩანს, იმაშია, რომ საზოგადოება, მათ შორის სამეცნიერო საზოგადოებაც, აღიქვამს და იღებს მხოლოდ ისეთ ახალ იდეებს, რომლებიც „რეზონანსს აძლევენ“ გაბატონებულ მეტასამეცნიერო პარადიგმებს. XIX საუკუნის ბოლოს ევროპულმა საზოგადოებამ უკვე „გააცნობიერა“ ეკონომიკური მეცნიერების მათემატიზაციის შესაძლებლობა (და ჰ. გოსენის იდეებიც საჭირო გახდა), მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ თვლიდა შესაძლებლად, განეხილა „რაციონალურობა“ როგორც ყველა სოციალური მეცნიერების უნივერსალური პრინციპი. ამიტომ ლ. კეროლის მეცნიერული გამოკვლევები ვიქტორიანული საზოგადოების მიერ (და, ალბათ, თვით მის მიერაც) აღიქმებოდა როგორც „მეცნიერული მოცლილობის“ თავისებური ფორმა.

## 1.2. მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი და ინდივიდის რაციონალურობა. რაციონალურობა როგორც ქცევის ნორმა

ნეოკლასიკურ თეორიაში რაციონალურობა წარმოადგენს ინდივიდთა სარგებლიანობის მაქსიმიზაციას მათ ხელთ არსებული რესურსების, ცოდნის და სხვა ადამიანთა მოქმედების მოლოდინების ფარგლებში. იგულისხმება, რომ რაციონალურ ინდივიდებს არა მარტო შეუძლიათ თავიანთი მოქმედების ხარჯების და სარგებლობის შედარება, არამედ ესმით თავიანთი საქმიანობის შედეგებიც. ამავე დროს, საყოველთაოდ მიღებული ნორმები, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები ნეოკლასიკოსებთან მეტად მოკრძალებულ როლს თამაშობს. მაგრამ განუსაზღვრელობის დონის შემცირების საჭიროება ეკონომიკურ აგენტებს აიძულებს დაეყრდნონ ტრადიციებს. იქ, სადაც



განუსაზღვრელობა პრევალირებს, ნეოკლასიკური წანამძღვრები თავის უნივერსალურ ძალას კარგავენ. მაქსიმიაზაცია შეიძლება უაზრო გახდეს და რაციონალური ინდივიდი იძულებულია ორიენტირდეს არა მასზე, არამედ სოციალურად მისაღებ შედეგებზე. ამასთან, ის, რაც რაციონალური იყო გუშინ, შეიძლება დღეს არარაციონალური აღმოჩნდეს.

რაციონალური არჩევანის თეორია უფრო მოქნილად უდგება რაციონალურობის პრობლემას. იგი ჩამოყალიბდა შემდეგი სკოლების გავლენით:

- ზნეობრიობის შოტლანდიური ფილოსოფია (ფ. ჰატჩისონი, ა. ფერგიუსონი, დ. იუმი, ა. სმითი), რომელმაც მოახდინა საზოგადოებაში რაციონალური ქცევის ინდივიდუალისტური კონცეფციის ფორმულირება;
- უტილიტარიზმი (ი. ბენტამი), რომელიც აქცენტს აკეთებდა მორალური განსჯის და შეფასების მნიშვნელობაზე (როდესაც ინდივიდს ესმის „რა არის ცუდი და რა არის კარგი“);
- ნეოკლასიკური თეორია (ა. მარშალი), რომელიც გამოყოფდა ადამიანებს შორის ურთიერთგაცვლის როლს.

რაციონალურობის აქსიომა არ ცდილობს რეალობის ყოველმხრივ აღწერას. იგი წარმოადგენს ამ რეალობის იდეალურ ტიპს, რომელიც, საქმიანობის სფეროს მიუხედავად, გვებმარება ინდივიდთა ქცევის ძირითადი ჰიპოთეზების ფორმულირებაში. რაციონალური არჩევანის თეორია უნივერსალურია. იგი ახდენს სხვადასხვა სიტუაციებში ინდივიდის ქცევის ლოგიკის ფორმალიზებას. პოლიტიკაში მან მიიღო საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის სახელწოდება, სოციოლოგიაში - სოციალური არჩევანის თეორიის, ისტორიაში - კლიომეტრიკის, სამართალში - სამართლის ეკონომიკის.

თვით რაციონალურობის ცნება მეტად სადისკუსიოა, მაგრამ ყველაზე ზოგადად იგი შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად: „სუბიექტი (1) არასოდეს აირჩევს X ალტერნატივას, თუ ამავე დროს (2) ხელმისაწვდომია Y ალტერნატივა, რომელიც, მისი აზრით (3), X-ზე უმჯობესია“. ციფრებით აღნიშნულია რაციონალურობის სამი უმნიშვნელოვანესი ნიშანი: ინდივიდუალური ხასიათი, შეზღუდულობა და სუბიექტურობა.

რაციონალური არჩევანის თეორიაში ინდივიდის მიზნები განიხილება როგორც წინასწარგანსაზღვრული და თვით ინდივიდზე დამოკიდებული. მაშასადამე, ზღვრულ

შემთხვევაში რაციონალურობის სახეები შეიძლება მეტი იყოს, ვიდრე ადამიანები დედამიწაზე (დროში მათი უპირატესობების ცვლილების გათვალისწინებით).

რაციონალური არჩევანის თეორიაში გადალახულია ნეოკლასიკური თეორიის შეზღუდულობა, რადგან გაითვალისწინება, რომ ყოველდღიურ გადაწყვეტილებებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს დრო, ტრანსაქციური ხარჯები და ინფორმაცია, რომელთაგანაც ტრადიციული ნეოკლასიკა აბსტრაგირდებოდა. ამიტომ რაციონალური არჩევანის თეორია რაციონალურობას განიხილავს არა მარტო მკაცრი ფორმით (როგორც მაქსიმიზაციის პრინციპს), არამედ უფრო ნაკლებად მკაცრად, დროში მისი შეზღუდულობის გათვალისწინებით, როდესაც ადამიანები ვერ აღწევენ მაქსიმუმს, არამედ ცდილობენ უზრუნველყონ თავიანთი მოთხოვნილებების განსაზღვრული დონე. იგი აღიარებს ტრანსაქციური ხარჯების არსებობას (რ. ქოუზი), შეზღუდული რაციონალურობის კონცეფციას (ჰ. საიმონი), ინფორმაციის არასრულობას (ჯ. სტიგლერი), განუსაზღვრელობის პრინციპს (რომელიც გ. ბეკერმა განავრცო ოჯახურ ურთიერთობებზე) და სხვ.

რაციონალური არჩევანის თეორიამ განავითარა მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის კონცეფცია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს თ. ჰობსმა, ბ. მანდევილმა, ა. ფერგიუსონმა, კ. მენგერმა. ეს ნიშნავს, რომ სტრუქტურები განიხილება როგორც საკუთარი მიზნების მქონე ინდივიდების ერთობლიობა. ასეთი მიდგომა არ ნიშნავს ეგოიზმის აბსოლუტიზაციას. ადამიანი თავისი არჩევანის განხორციელებისას შეიძლება მოქმედებდეს ალტრუისტულადაც. ინდივიდის საკუთარი ინტერესები, ჩვეულებრივ, შეზღუდულია გარკვეული ზნეობრივი ვალდებულებებით (ა. სენი).

რაციონალური არჩევანის თეორიის ფარგლებში თავდაპირველად ჩამოყალიბდა ორი მიმართულება - საზოგადოებრივი და სოციალური არჩევანის, ხოლო პირველის შიგნით - ორი სკოლა: ჩიკაგოს და ვირჯინიის (იხ. ცხრილი 1.1.) თუმცა დღეისათვის მათ შორის განსხვავება თანდათანობით იშლება.

## ცხრილი 1.1. რაციონალური არჩევანის თეორიის სკოლები

	საზოგადოებრივი არჩევანის თეორია		სოციალური არჩევანის თეორია
	ჩიკაგოს სკოლა	ვირჯინიის სკოლა	
ძირითადი პოსტულატები	თვითრეგულირებადი ბაზარი და ოპტიმალური არჩევანი მოცემული შეზღუდვების ფარგლებში	შეზღუდვების (თამაშის წესების) ოპტიმალური არჩევანი	საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციის აგება ინდივიდუალურ უპირატესობათა თანმიმდევრულობის გაერთიანების მიზნით
აქცენტი	საბაზრო წარმატება	პოლიტიკის უუნარობა	პოლიტიკური წარმატება და (ან) ბაზრის უუნარობა
ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები	მ. ფრიდმენი, რ. ქოუზი, ჯ. სტიგლერი, გ. ბეკერი, რ. პოზნერი, ს. პელცმანი, გ. ლუისი	ჯ. ბიუქენენი, უ. ნატერი, რ. ვაინინგი, ლ. იგერი, ჯ. ბრენანი, უ. ბუში, რ. ვაგნერი, გ. ტალოკი, დ. მიულერი, რ. ტოლისონი	ა. ბერგსონი, კ. ეროუ, ა. სენი, ჯ. რომერი, ჯ. ელსტერი, კ. მოენი

წყარო: Швери Р. Теория рационального выбора: универсальные средства или экономический империализм?

//Вопросы экономики. 1997. № 7. С. 47.

ჩიკაგოს სკოლისთვის, რომელიც ჩამოყალიბდა 1930-იანი წლების შუა ხანებში, დამახასიათებელია აქცენტი საბაზრო წარმატებაზე და ფასების ნეოკლასიკური თეორიის რწმენა. ვირჯინიის სკოლა ჩაისახა ჩიკაგოს უნივერსიტეტში და გაფორმდა მოგვიანებით - 1950-იან წლებში. აქ მკვლევართა ყურადღების ცენტრშია არა ბაზრის ღირსებები, არამედ

პოლიტიკის უუნარობა. უფრო მეტიც, თვით პოლიტიკა გაიგება როგორც გაცვლა. ამ გაცვლაში ვირჯინიის სკოლის წარმომადგენლებს აინტერესებთ, უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციური ეკონომიკის ეთიკური საფუძვლების არა პოზიტიური, არამედ ნორმატიული ანალიზი.

ვირჯინიის სკოლისგან განსხვავებით, სოციალური არჩევანის თეორია (კ. ეროუს მეთაურობით) ცდილობს ააგოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქცია, რომელიც ყველაზე უკეთესად გამოხატავს ინდივიდთა ჯგუფების ინტერესებს. მათთვის ინსტიტუტები არის არა წესებისა და პროცედურების მექანიზმები, რომელიც ეხმარება არჩევანის განხორციელებაში, არამედ როგორც წონასწორობის მიღწევის ინსტრუმენტები, რომელიც საფუძვლად უდევს პოლიტიკურ თამაშს (იხ. მაგ.: Schotter, 1981; Kreps, 1990. P. 90—143).

### 1.3. ახალი პოლიტიკური ეკონომიის მეთოდოლოგიური პარადიგმა

ყოველი თეორია შედგება ბირთვის და დამცავი გარსისაგან. გამონაკლისი არც ახალი პოლიტიკური ეკონომიაა. მასში ანალიზის ძირითადი წანამდღვრებია:

- მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი;
- ეკონომიკური ადამიანის კონცეფცია;
- პოლიტიკა როგორც გაცვლა.

**მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი.** წანამდღვარი, რომ მხოლოდ ინდივიდებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილებები, ხოლო კოლექტიური ქცევა ანუ საზოგადოების ქცევა უნდა განვიხილოთ ინდივიდების მოქმედებების პრიზმაში, ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია როგორც „მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი“. ითვლება, რომ „მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის“ პრინციპი პირველად ფორმულირებული იყო კ. მენგერის მიერ ნაშრომში „გამოკვლევები სოციალური მეცნიერებების და განსაკუთრებით პოლიტიკური ეკონომიის მეთოდების შესახებ“ (Menger C. 1883. Untersuchungen über die Methode der Sozialwissenschaften und der politischen Ökonomie insbesondere. Leipzig: Duncker & Humblot). ამ ნაშრომში, კერძოდ, კ. მენგერი წერს: „ხალხი, როგორც ასეთი, სრულიად არ არის დიდი, საჭიროებების მქონე, მწარმოებელი, მეურნე და კონკურირებადი სუბიექტი და ის, რასაც „სახალხო მეურნეობას“ უწოდებენ, სრულიად არ არის ხალხის მეურნეობა, ამ სიტყვის საკუთარი

მნიშვნელობით...„სახალხო მეურნეობის“ მოვლენები, რომლებიც სინამდვილეში ახდენენ ცალკეულ-სამეურნეო მისწრაფებათა რეზულტირებას, უნდა იყოს კიდევ თეორიულად ინტერპრეტირებული, სწორედ, ამ თვალსაზრისით“ (Менгер К. 1894. Исследования о методах социальных наук и политической экономии в особенности. СПб.: “Цинзерлинг”). მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის პრინციპი არ ნიშნავს, რომ ადამიანი სრულიად თავისუფალია საზოგადოების გავლენისგან. ეს გავლენა აისახება ინდივიდის უპირატესობებში, აგრეთვე, ალტერნატივებში, რომელთა შორისაც ის არჩევანს აკეთებს. რესურსების შეზღუდულობის პირობებში ყოველი ადამიანი არჩევანის წინაშე დგას. ინდივიდის საბაზრო ქცევის ანალიზის მეთოდები უნივერსალურია. მათი გამოყენება შეიძლება ნებისმიერ სფეროში, სადაც ადამიანმა არჩევანი უნდა გააკეთოს.

ახალი პოლიტიკური ეკონომიის (საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის) ძირითადი წანამძღვარი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები პოლიტიკურ სფეროში მოქმედებისას მისდევენ თავიანთ პირად ინტერესებს და რომ არ არსებობს გადაულახავი ზღვარი ბიზნესსა და პოლიტიკას შორის. ეს თეორია უარყოფს მითს სახელმწიფოზე, რომელსაც საზოგადოებრივ ინტერესებზე ზრუნვის გარდა სხვა მიზნები არა აქვს. **საზოგადოებრივი არჩევანის თეორია (public choice theory) შეისწავლის სხვადასხვა ხერხებს და მეთოდებს, რომელთა მეშვეობით ადამიანები იყენებენ სამთავრობო დაწესებულებებს საკუთარი ინტერესებისათვის.** „რაციონალური პოლიტიკოსები“ მხარს უჭერენ, უპირველეს ყოვლისა, იმ პროგრამებს, რომლებიც ხელს უწყობს მათი პრესტიჟის ამაღლებას და ზრდის მომდევნო არჩევნებში გამარჯვების შანსებს. ამგვარად, იგი ცდილობს, ინდივიდუალიზმის პრინციპები გაავრცელოს საქმიანობის ყველა სფეროზე, სახელმწიფო სამსახურის ჩათვლით.

**ეკონომიკური ადამიანის კონცეფცია.** ახალი პოლიტიკური ეკონომიის მეორე წანამძღვარს წარმოადგენს „ეკონომიკური ადამიანის“ კონცეფცია (homo oeconomicus). საბაზრო ეკონომიკაში ადამიანი თავის უპირატესობებს აიგივებს საქონელთან. იგი მიისწრაფვის მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ამაქსიმიზირებს სარგებლიანობის ფუნქციის მნიშვნელობას. მისი ქცევა რაციონალურია.

მოცემულ თეორიაში რაციონალურობას უნივერსალური ხასიათი აქვს. ეს ნიშნავს, რომ ყველა - ამომრჩევლებიდან პრეზიდენტამდე - თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს,

პირველ რიგში, ეკონომიკური პრინციპით, ესე იგი, ადარებს ზღვრულ სარგებლიანობას და ზღვრულ ხარჯებს (უპირველეს ყოვლისა, გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯებსა და სარგებლიანობას):  $MB \geq MC$ , სადაც MB არის ზღვრული სარგებლობა (marginal benefit), ხოლო MC - ზღვრული ხარჯები (marginal cost).

**პოლიტიკა როგორც გაცვლა.** პოლიტიკის როგორც გაცვლის პროცესის ფორმულირება მომდინარეობს შვედი ეკონომისტის კნუტ ვიკსელის დისერტაციიდან „გამოკვლევები ფინანსების თეორიაში“ (1896). ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბაზრებს შორის ძირითად განსხვავებას ის ხედავდა ადამიანთა ინტერესების გამოვლენაში. სწორედ ეს იდეა დაედო საფუძვლად ამერიკელი ეკონომისტის ჯ. ბიუქენენის ნაშრომებს. „პოლიტიკა, - წერს იგი, - ინდივიდებს შორის გაცვლის რთული სისტემა, რომელშიც ეს უკანასკნელნი კოლექტიურად ისწრაფვიან თავიანთი კერძო მიზნების მიღწევისაკენ, რადგან არ შეუძლიათ მათი რეალიზება ჩვეულებრივი საბაზრო გაცვლის გზით“. აქ ინდივიდუალურის გარდა სხვა ინტერესები არ არსებობს. ბაზარზე ადამიანები ცვლიან ვაშლს ფორთოხალზე, ხოლო პოლიტიკაში - თანხმდებიან გადაიხადონ გადასახადები ყველასთვის და თითოეულისთვის აუცილებელი დოვლათის სანაცვლოდ: ადგილობრივი სახანძრო დაცვიდან სასამართლომდე“ Бьюкенен, 1997. С. 23).

ახალი პოლიტიკური ეკონომიის მიმდევრები პოლიტიკურ ბაზარს განიხილავენ სასაქონლო ბაზრის ანალოგიურად. სახელმწიფო - ეს არის ადამიანთა კონკურენციის არენა გადაწყვეტილებათა მიღებაზე გავლენისათვის, რესურსების განაწილებისთვის ხელმისაწვდომობაზე, იერარქიულ კიბეზე მდგომარეობისთვის. მაგრამ სახელმწიფო - ეს არის განსაკუთრებული ტიპის ბაზარი. მის მონაწილეებს აქვთ საკუთრების არა ჩვეულებრივი უფლებები - ამომრჩევლებს შეუძლიათ აირჩიონ წარმომადგენლები სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოებში, დეპუტატებს - მიიღონ კანონები, ჩინოვნიკებს - აკონტროლონ მათი შესრულება. ამომრჩევლები და პოლიტიკოსები განისაზღვრება როგორც ინდივიდები, რომლებიც ხმებს წინასაარჩევნო დაპირებებში ცვლიან.

ჯ. ბიუქენენის მიდგომა შეიძლება შეივსოს კოლექტიური მოქმედების ანალიზით (Stevens, 1993), რომელიც გულისხმობს პროცესებისა და მოვლენების განხილვას არა ერთი ინდივიდის, არამედ პირთა ჯგუფის ურთიერთქმედების თვალსაზრისით. ადამიანები შეიძლება გაერთიანდნენ ჯგუფებში სოციალური ან ქონებრივი ნიშნით, რელიგიური ან

პარტიული კუთვნილების მიხედვით. ანალიზისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განსაკუთრებულ ინტერესთა ჯგუფების ურთიერთქმედების პროცესი, რომელთა კოლექტიური მოქმედებების საფუძველი რაიმე ერთობლივი მიზნის მიღწევას (მაგალითად, კლუბური საზოგადოებრივი დოვლათის უზრუნველყოფა). ამასთან, ჩვენ შეგვიძლია რამდენადმე გადავუხვიოთ კიდევ მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის პრინციპს იმ ვარაუდით, რომ ჯგუფი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ანალიზის საბოლოო განუყოფელი ობიექტი, თავისი სარგებლიანობის ფუნქციით, შეზღუდვებით და ა.შ. თუმცა, უფრო რაციონალურია მიდგომა ჯგუფისადმი, როგორც რამდენიმე ინდივიდის გაერთიანებისადმი, რომელსაც სარგებლიანობის საკუთარი ფუნქციები და ინტერესები გააჩნია (Олсон, 1995). მოცემული თვალსაზრისით, პოლიტიკური მექანიზმის ფუნქციონირება განიხილება როგორც ჯგუფთა ინტერესების შეჯახების პროცესი, რაც რ. ჰარდინის სპეციალური ანალიზის საგანი გახდა (Hardin, 1991, 1995). კონკრეტული ჯგუფური ინტერესების რეალიზაცია პოლიტიკური პროცესის ფარგლებში შეთანხმების მიღწევის შედეგი იქნება. ასეთი მიდგომით, არსებობს დამატებითი სარგებლობის მიღების მიზნით, ჯგუფთაშორისი შეთანხმების მიღწევისათვის პოლიტიკური პროცესის გამოყენების შესაძლებლობა.

პოლიტიკური არჩევანის პროცესის განხილვა, ტრადიციულად, პოლიტოლოგიის პრეროგატივა იყო. ამ სფეროში მიმდინარე პროცესების შესწავლისთვის ეკონომიკურმა თეორიამ შეიმუშავა მთელი რიგი საკუთარი მიდგომები. კვლევის ძირითადი ინსტრუმენტის სახით ჩვენ ვიყენებთ ნეოინსტიტუციურ მიდგომას.

ჩვენი ანალიზის საფუძველი იქნება ინსტიტუციონალიზმის კვლევითი პროგრამა, რომელიც ჩამოყალიბდა XX საუკუნის 70-90-იან წლებში. ინსტიტუციონალიზმის კვლევითი პროგრამა ახდენს კლასიკური მიკროეკონომიკური პროგრამის მოდიფიცირებას და უარს ამბობს მის ზოგიერთ წანამძღვარზე, თუმცა ინარჩუნებს მის ბირთვს (რომლებზე უარის თქმაც მოცემული პარადიგმიდან გასვლას ნიშნავს). ანალიზის ძირითად წანამძღვარს წარმოადგენს ინდივიდის უპირატესობათა სტაბილურობა. მისი შედეგია წონასწორული ანალიზი. მეორე ძირითადი წანამძღვარია - აგენტთა ქცევის რაციონალურობა. დამცავი გარსი - ეს არის წანამძღვრების ნაკრები, რომელთა ცვლილება მოდიფიცირებული კვლევითი პროგრამის შექმნის საშუალებას იძლევა.

ინსტიტუციურ ეკონომიკას შემოაქვს საკუთრების უფლებები როგორც ანალიზის ინსტრუმენტი და უარს ამბობს ბაზრის იდეალურობის წანამდღვარზე, ტრანსაქციური ხარჯების არსებობის გამო. სხვა წანამდღვრები - ინფორმაციის სისრულე და აგენტთა აბსოლუტური რაციონალურობა - ასევე განიცდის ცვლილებას.

ნეოინსტიტუციური მიდგომა ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ შედეგი დამოკიდებულია ადამიანის ქცევის მოდელზე და იმ პირობებზე, რომელშიც ის ფუნქციონირებს (institutions matter). ნეოკლასიკური მიდგომის იდეალურ მოდელებზე უარის თქმა იწვევს ახალ გადაწყვეტილებებს და შედეგებს ინფორმაციის არასრულურობის, შეზღუდული რაციონალურობის და მონაწილეთა ოპორტუნისტული ქცევის გათვალისწინებით.

**ინფორმაციის არასრულურობა.** წანამდღვარი ხელმისაწვდომი ინფორმაციის სისრულის შესახებ არარეალურია და მნიშვნელოვნად ავიწროვებს ეკონომიკური კვლევების გამოყენების სფეროს. ეკონომიკური მეცნიერების განვითარება XX საუკუნეში დიდწილად უკავშირდება სწორედ განუსაზღვრელობის პრობლემას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს - ინფორმაციის მოძიებას და მისი გადამუშავების შესაძლებლობებს (ფ. ნაიტის ნაშრომები განუსაზღვრელობის და რისკის პრობლემებზე (Найт, 2003), ო. მორგენშტერნის და ჯ. ფონ ნეიმანის მოსალოდნელი სარგებლიანობის თეორია (Нейман, Morgenштерн, 1970). ჯ. სტიგლერის ინფორმაციის ძიების თეორია (Стиглер, 1995)).

**შეზღუდული რაციონალურობა.** 3. საიმონის შეზღუდული რაციონალურობის თეორიაში შემუშავებულია არასრული ინფორმაციის პირობებში არჩევანის ალტერნატიული პროცედურები. გადაწყვეტილების არჩევის პროცესი მოიცავს ორ სტადიას: 1) ძიებას და 2) გადაწყვეტილების დამაკმაყოფილებელი ვარიანტის მიღებას. საიმონის კონცეფცია ჰგავს ჯ. სტიგლერის ინფორმაციის ძიების თეორიას იმით, რომ მასში ასევე არ არსებობს მზა ალტერნატივები, მაგრამ ივარაუდება, რომ ჩვენ არ შეგვიძლია სარგებლიანობის რაიმე ფუნქციის მაქსიმიზირება (Simon, 1979. P. 285.).

**მონაწილეთა ოპორტუნისტული ქცევა.** ოპორტუნისტული ქცევის ცნება დაკავშირებულია ეკონომიკური აგენტის მოტივაციასთან, რომელიც ახალ მნიშვნელობას იძენს. თუ თავდაპირველად საკუთარი ინტერესის მოტივი ფორმულირდებოდა როგორც



„ეგოიზმი“, ამჟამად ცდილობენ მისი ემოციური შეფერილობისგან გათავისუფლებას („იმის გამო, რომ ტერმინ „ეგოიზმს“ აშკარად გამოხატული ემოციური შეფერილობა აქვს, ზოგიერთმა თეორეტიკოსმა იგი შეცვალა ეკონომიკური სუბიექტის ნეიტრალური ანუ განურჩეველი დამოკიდებულებით უცნობი ადამიანებისადმი. ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკური ადამიანი არ განიცდის სხვა ადამიანებისადმი არც დადებით და არც უარყოფით (შური, მტრობა) გრძნობებს“ (Boulding K. Economics of Science. N.Y., 1970. P. 132)). ნეონსტიტუციონალიზმში მისი ადგილი დაიკავა „ოპორტუნისტული ქცევის“ ცნებამ, რომელიც განიმარტება როგორც „არასრული ან დამახინჯებული ინფორმაციის მიწოდება“ (Уильямсон, 1996). ამასთან, უშუალოდ გამოიყენება საკუთარი ინტერესის კონცეფცია. „ასეთი ქცევა წარმოადგენს „ქცევითი განუსაზღვრელობის“ წყაროს, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს არაერთი პრობლემა ეკონომიკურ გარიგებებში, თუ წინასწარ არ არის შეტანილი კონტრაქტში ამ ქცევის გამართულებელი პირობები“ (Уильямсон, 1993).

ინფორმაციის არასრულობის, შეზღუდული რაციონალურობის და ოპორტუნისტული ქცევის გათვალისწინება ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკური პროცესის გაგებისათვის, განსაკუთრებით, ხმის მიცემის სხვადასხვა პროცედურების ანალიზის დროს.

მაშასადამე, თუ ადრე პოლიტიკური ეკონომია და ეკონომიკა აღიქმებოდა როგორც ერთი და იგივე (თვით ა. მარშალთანაც), XX საუკუნეში პოლიტიკური ეკონომია გახდა ეკონომიკის ნაწილი. XX საუკუნის ბოლოს პოლიტიკური ეკონომია ახალი შინაარსით შეივსო. მან დაიწყო მთავრობის ეკონომიკური პრობლემების განხილვა, იმ ხერხების და მეთოდების ანალიზი, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები სამთავრობო დაწესებულებებს საკუთარი ინტერესებისათვის იყენებენ.

#### **1.4. ახალი პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი პრობლემები**

#### **1.5.**

ახალი პოლიტიკური ეკონომიის ანალიზის ობიექტს წარმოადგენს საზოგადოებრივი არჩევანი როგორც პირდაპირი, ასევე წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებში. ამიტომ მისი ანალიზის ძირითადი სფეროებია საარჩევნო პროცესი, დეპუტატების საქმიანობა, ბიუროკრატიის თეორია, რეგულირების პოლიტიკა

და კონსტიტუციური ეკონომიკა. მათ დამუშავებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ჯ. ბიუქენენმა, დ. მიულერმა, უ. ნისკანენმა, მ. ოლსონმა, გ. ტალოკმა, რ. ტოლისონმა, ფ.ა. ჰაიეკმა და სხვა მეცნიერებმა. სრულყოფილი კონკურენციის ბაზრის ანალოგიურად, თავის ანალიზს ისინი იწყებენ პირდაპირი დემოკრატით და შემდეგ გადადიან წარმომადგენლობით დემოკრატიაზე, როგორც შემზღუდავ ფაქტორზე ( ცხრ 1.2).

### ცხრილი 1.2. საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის ძირითადი პრობლემები

პრობლემები	თეორიის ძირითადი განყოფილებები
1. შეიძლება თუ არა სამართლიანი კოლექტიური გადაწყვეტილების პოვნა?	კოლექტიური მოქმედებების ლოგიკა
1. როგორ „გავზომოთ“ ცალკეული ამომრჩევლის აზრი?	ხმის მიცემის პროცედურა
2. რატომ ვერ უზრუნველყოფს ხმის მიცემა უმრავლესობის პრინციპით საზოგადოების ნამდვილი უპირატესობების გამოვლენას?	ხმის მიცემის პარადოქსი
3. როგორ მოვახდინოთ ზეგავლენა მოქალაქეებზე, რათა მიღებულ იქნეს საჭირო გადაწყვეტილება?	მანიპულირება ხმის მიცემის დროს
4. როგორია საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიზნები? პირველ რიგში ვისი ინტერესებისთვის უნდა განვითარდეს საზოგადოება?	საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციები
5. რატომ იმარჯვებს მომხმარებელთა ინტერესები სიტყვიერ კამათებში, მაგრამ პოლიტიკას აკონტროლებენ მწარმოებელთა ინტერესები?	განსაკუთრებულ ინტერესთა ჯგუფები, ლობიზმი, ლოგროლინგი
6. როგორ შევქმნათ კოალიციური მთავრობა? რა არის კოალიციის სიმყარის მიზეზები?	მრავალპარტიული სისტემები
7. როგორ იღებენ ადამიანები სარგებლობას პოლიტიკური პროცესის მეშვეობით?	ბიუროკრატის ეკონომიკა, პოლიტიკური რენტის მიება

<p>8. რატომ ხდება დემოკრატიული იდეალის დამახინჯება, ხოლო კანონი გადაიზრდება თვითნებობაში? როგორ ავიცილოთ დემოკრატიის გადაქცევა ავტორიტარულ რეჟიმად?</p>	<p>კონსტიტუციური ეკონომიკა</p>
---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--------------------------------

**1.6. პოლიტიკური პროცესების ანალიზის მეთოდები და ინსტრუმენტები**

პოლიტიკური პროცესების შესწავლისას გამოიყენება ინფორმაციის შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: ხმის მიცემის შედეგები, ანკეტური გამოკითხვები, ინტერვიუ, კონტენტ-ანალიზი, ლაბორატორიული ექსპერიმენტები და სხვ.

**ანკეტური გამოკითხვა და ინტერვიუ** გამოიყენება საზოგადოებრივი აზრის „ზონდაჟისთვის“ (წინასწარ მოსინჯვა). მისი მნიშვნელობა იზრდება საარჩევნო კამპანიის მსვლელობის დროს და არჩევნების წინ პიკს აღწევს. ამ მეთოდის ფართოდ გამოყენებას იმპულსი მისცა ჯ. გელაპის კვლევებმა, რომელმაც 1936 წ. არჩევნებამდე ხუთი თვით ადრე იწინასწარმეტყველა ფ. რუზველტის გამარჯვება. ანკეტური გამოკითხვა ყოველთვის არ უზრუნველყოფს მონაცემთა საიმედოობას, ამიტომ ხშირად გამოიყენება სხვადასხვა სახის ინტერვიუ: სტანდარტული შერჩევითი, მიმართული (ფოკუსირებული) და სპეციალიზირებული. ფოკუსირებული ინტერვიუს თავისებურება წინასწარ დამუშავებული მკაცრი კითხვარის არარსებობაა. ასეთი გამოკითხვის ობიექტები განსაკუთრებული ჯგუფების - ელიტების - წარმომადგენლები არიან. მათი აზრის გამოვლენა საშუალებას იძლევა, აიგოს სწორი ჰიპოთეზები ამა თუ იმ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელობის და მოტივების შესახებ. ფოკუსირებული ინტერვიუსგან განსხვავებით, რომელიც იძლევა ინფორმაციას თავისებურად უნიკალური რესპონდენტების შესახებ, სპეციალიზირებული ინტერვიუ მიმართულია, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობის გარკვეული სოციალური ჯგუფის ტიპური წარმომადგენლებისკენ (პენსიონერები, პატიმრები, იმიგრანტები და ა.შ.) აუდიტორიის ხასიათი განსაზღვრავს როგორც კითხვების სპეციფიკურ ნაკრებს, ასევე მათი დასმის ფორმას.


**კონტენტ-ანალიზის მეთოდი** ეფუძნება დოკუმენტების და საჯარო გამოსვლების შინაარსის კვლევას, რომელიც კომუნიკატორის (პოლიტიკური მოღვაწის, პარტიის და ა.შ.) განზრახვების და მისი ინფორმაციის ეფექტების შესახებ დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ანალიზის ობიექტი შეიძლება იყოს სატელევიზიო არხები, პერიოდული გამოცემები, პუბლიკაციები, კომიტეტების სხდომის ოქმები, პოლიტიკურ მოღვაწეთა გამოსვლები, წერილები და სხვ. მაგალითად, რამდენად ხშირადაა ნახსენები ესა თუ ის ცნება ან მოვლენა (თავისუფლება, კონფლიქტი და სხვ.) ტელეარხის გადაცემებში, საგაზეთო პუბლიკაციებში, კონკრეტული პოლიტიკური ლიდერის გამოსვლებში; რაში მდგომარეობს ხარისხობრივი განსხვავება ამა თუ იმ მოვლენის გაშუქებაში ცენტრალურ და რეგიონალურ გამოცემებში.

უკანასკნელ ათწლეულებში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს კვლევის ექსპერიმენტული მეთოდები. **ექსპერიმენტი** - ეს არის მოვლენის ან პროცესის ხელოვნური განმეორება ყველაზე კეთილსასურველ პირობებში მისი შესწავლის და შემდგომი პრაქტიკული ცვლილების მიზნით. ცხადია, საზოგადოებრივი არჩევანის პრობლემებით დაკავებულ მეცნიერებს არ შეუძლიათ ლაბორატორიული კვლევების ჩატარება. მაგრამ შესაძლებელია კვლევის პროცესში ცალკეული ექსპერიმენტული ელემენტების ჩართვა. ეს განსაკუთრებით აუცილებელია განათლების, სოციალური პოლიტიკის და სხვა სფეროებში ახალი რეფორმების მომზადებისას.

**პოლიტიკური პროცესის ეკონომიკური მოდელირება.** კვლევის სისტემური მეთოდების გავრცელებას თან ახლდა ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების განვითარება და მისი გამოყენება ეკონომიკასა და პოლიტოლოგიაში.

**ეკონომიკური მოდელი** - ეს არის ეკონომიკური მოვლენის ან პროცესის ფორმალური აღწერა რომლის სტრუქტურა განისაზღვრება როგორც მისი ობიექტური თვისებებით, ასევე კვლევის სუბიექტური მიზნობრივი ხასიათით. მოდელის შექმნა დაკავშირებულია ინფორმაციის ნაწილის დაკარგვასთან (იხ. ნახ. 1.1) ეს მეორეხარისხოვანი მოვლენებისგან აბსტრაგირების და სისტემის მთავარ ელემენტებზე ყურადღების კონცენტრირების საშუალებას იძლევა. ცნობილ სიდიდეებს, რომლებიც მოდელში მზა სახით შედის, ეგზოგენური სიდიდეები ეწოდება. სიდიდეებს, რომლებიც მიიღება მოდელის ფარგლებში დაყენებული ამოცანის გადაწყვეტისას, ეწოდება

ენდოგენური. მოდელის კავშირი ობიექტურ ეკონომიკურ სინამდვილესთან ორგვარია: ერთი მხრივ, მოდელი ასახავს რეალურ სამყაროს, წარმოადგენს მის პირობით ასახვას, ხოლო, მეორე მხრივ, ემსახურება მის გარდაქმნას დაყენებული მიზნების შესაბამისად. ამიტომ მოდელის ვერიფიკაციის (ფრანგ. Verification) - რისამე ჭეშმარიტების შემოწმება, სინამდვილის დადგენა) პროცესში ხდება მისი კონკრეტიზაცია და დაზუსტება.




**ნახ. 1.1. მოდელის და რეალური სამყაროს ურთიერთკავშირი**

მოდელის აგების პროცესი რამოდენიმე ეტაპისგან შედგება (იხ. ნახ. 1.2). პირველ ეტაპზე ხდება იმ პროცესის დაკვირვებათა შერჩევა, რომლის მოდელირებაც უნდა მოხდეს. ორიგინალური პრობლემის მოძებნის და დაყენების წარმატება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის, ინტუიციაზე და მკვლევარის პირად გამოცდილებაზე, აგრეთვე, იღბალზე. ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა თავდაპირველად ფორმდება არაფორმალური მოდელის სახით.

**არაფორმალური მოდელი** - ეს ისეთი მოდელია, რომელშიც ამხსნელი და ახსნილი ცვლადები ჯერ კიდევ არ არის საკმარისად მკაცრად განსაზღვრული. ამ ეტაპზე მკვლევარი განიხილავს სხვადასხვა წანამძღვრებს და ცდილობს გაიგოს, რომელია მათ შორის აბსოლუტურად აუცილებელი და რომელია შედარებით ზედმეტი. დამწყები მკვლევარი, ჩვეულებრივ, განიხილავს ლიტერატურაში უკვე არსებულ მოდელებს და ცდილობს აირჩიოს ის, რომელიც ყველაზე უკეთესად ასახავს მოდელირებულ სიტუაციას. მაგრამ არ

უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუ ფორმულირებული ჰიპოთეზა უსუსურია, მისი გაუმჯობესება არანაირ მათემატიკურ მოდელს არ შეუძლია.



### ნახ. 1.2. მოდელირების პროცესი

წყარო: Мангейм Дж.Б., Рич Р.К. Политология. Методы исследования. М.: Весь Мир, 1997. С. 470.

**ფორმალური მოდელი** - ეს ისეთი მოდელია, რომელშიც ყველა ცვლადი მათემატიკურად მკაცრადაა განსაზღვრული. ის გულისხმობს სტანდარტული ხერხების ნაკრებს და მისი შესაძლო დასკვნები ექვემდებარება პროგნოზს. ეს არ ნიშნავს, რომ პროგნოზი აუცილებლად რეალიზდება, მაგრამ კვლევის მიზნები, საშუალებები და ინსტრუმენტები უკვე ზუსტად განსაზღვრულია. სწორედ ამ სტადიაზე შეიძლება გაჩნდეს მრავალი შეცდომა, ვინაიდან არაფორმალური მოდელის ფორმალურში გადაყვანა დაკავშირებულია ინფორმაციის ნაწილის დაკარგვასთან და მისი შინაარსის მათემატიკური აპარატით არაადეკვატურ განსაზღვრასთან. თვით მათემატიკური აპარატი გულისხმობს ზოგიერთ დაშვებას, რომელიც შეიძლება არაადეკვატური იყოს არაფორმალურ მოდელთან (მაგალითად, ამომრჩევლის რაციონალურობა, მისი უპირატესობების მუდმივობა და ა.შ.).

## ლიტერატურა:

**Coase R.H.** Duncan Black // Coase R.H. Essays on Economics and Economists. Chicago; L.: University of Chicago Press, 1994.

**Furubotn E., Richter R.** Institutions and Economic Theory. The Contribution of the New Institutional Economics. The University of Michigan Press, 2000, ch. 9, p. 413-434.

**Hardin R.** Collective Action. Baltimore: Johns Hopkins University Press, 1991;

**Hardin R.** One for All. The Logic of Group Conflict. Princeton: Princeton University Press, 1995.

**Knight F.H.** Risk, Uncertainty and Profit. Boston: Houghton Mifflin Company: The Riverside Press Cambridge, 1921.

**Kreps D.** Corporate Culture and Economic Theory // Perspectives on Positive Political Economy / Ed. by J. Alt, K. Shepsle. N.Y.: Cambridge University Press, 1990.

**Mueller D.** Public choice III. New York: Cambridge University Press, 2008. pp. 1-9.

**Olson M.** Power and Prosperity. Outgrowing Communistic and Capitalist Dictatorship. N.Y.: Basic Books, 2000.

**Persson T., Tabellini G.** Political Economics. Explaining Economic Policy. Cambridge: MIT Press, 2000.

**Simon H.A.** Rational Decision\_making in Business Organizations // Les Prix Nobel 1978. Stockholm, 1979. P. 285.

**Schotter A.** The Economic Theory of Social Institutions. Cambridge: Cambridge University Press, 1981.

**Souter R.W.** Prolegomena to Relativity Economics: An Elementary Study in the Mechanics and Organics of an Expanding Economic Universe. N.Y.: Columbia University Press. 1933.

**Stevens J.** The Economics of Collective Choice. Boulder; San Francisco: Westview Press, 1993.

**Swedberg R.** Economics and Sociology, Redefining Their Boundaries: Conversations with Economists and Sociologists. Princeton: Princeton University Press. 1990.

**Бьюкенен Дж.М.** Конституция экономической политики // (перевод с англ. под ред. Р.М. Нуреева). Бьюкенен Дж.М. Сочинения. М.: Таурис Альфа, 1997.

**Бьюкенен Дж.** Политика без романтики: краткое изложение позитивной теории общественного выбора и ее нормативных условий // Вехи экономической мысли. Экономика благосостояния и общественный выбор. Т. 4. СПб., 2004. С. 417-434.

**Грин Д., Шапиро И.** Объяснение политики с позиций теории рационального выбора: почему так мало удалось узнать? // Полис. 1994. № 3.

**Найт Ф.Х.** Риск, неопределенность и прибыль. М.: Дело, 2003.

**Нейман Дж. фон, Моргенштерн О.** Теория игр и экономическое поведение. М., 1970.

- Нуреев Р. М.** Теория общественного выбора. М.: Издательский дом ГУ- ВШЭ, 2005, гл. 1.
- Олсон М.** Логика коллективных действий. Общественные блага и теория групп. М.: Фонд Экономической Инициативы, 1995.
- Олсон М.** Возвышение и упадок народов. Экономический рост, стагфляция и социальный склероз. Новосибирск: ЭКОР, 1998;
- Стиглер Дж.** Экономическая теория информации // Теория фирмы / Под ред. В.М. Гальперина. СПб.: Экономическая школа, 1995.
- Уильямсон О.** Экономические институты капитализма: фирмы, рынки, «отношенческая контрактация». СПб.: Лениздат, 1996.
- Уильямсон О.** Поведенческие предпосылки современного экономического анализа // THESIS: Теория и история экономических и социальных институтов и систем. Вып. 3. 1993.
- Швери Р.** Теория рационального выбора: универсальное средство или экономический империализм? // Вопросы экономики. 1997. № 7. С. 35–51.



## თემა 2. სახელმწიფოს ეკონომიკური თეორია

### 2.1. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების ფორმულირება ტრადიციულ პოლიტეკონომიაში

ძველ და ახალ პოლიტიკურ ეკონომიას შორის განსხვავების უფრო ღრმად გაგების საშუალებას იძლევა ბაზრის და სახელმწიფოს როლის, კერძო და საზოგადოებრივი დოვლათის წარმოების შედარება. თუ ძველი პოლიტეკონომიის ყურადღების ცენტრში იყო მატერიალური სიმდიდრის წარმოება, ახალი პოლიტიკური ეკონომიის ყურადღების ცენტრშია - არამატერიალური სიმდიდრე. თუ ძველი შეისწავლიდა, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურ პროცესებს, ახალი შეისწავლის - პოლიტიკურს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო პოლიტიკის საკითხები უცხო იყო ტრადიციული პოლიტეკონომიისთვის.

პოლიტიკური ეკონომიის ყურადღების ცენტრში თავდაპირველად იმყოფებოდა არა წარმოების, არამედ მიმოქცევის სფერო. მსოფლიო ვაჭრობის განვითარებამ გაზარდა ვაჭართა როლი. სწორედ მათი ინტერესების გამომხატველი იყო პოლიტეკონომიის პირველი სკოლა - **მერკანტილიზმი** (XVI-XVIII სს.). 1615 წ. ანტუან დე მონკრეტიენი აქვეყნებს ნაშრომს „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი“, რომელმაც სახელი მისცა ახალ მეცნიერებას. მერკანტილისტების გამოკვლევები ეხებოდა სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსს. თუმცა ისინი არ იყვნენ პასიური დამკვირვებლები, ცდილობდნენ აქტიური ზეგავლენა მოეხდინათ ეკონომიკურ ცხოვრებაზე აბსოლუტისტური სახელმწიფოს მეშვეობით. თავადაზნაურობის და სავაჭრო ბურჟუაზიის დროებითი კავშირის გამომხატულება გახდა პროტექციონისტული პოლიტიკა.

მანუფაქტურული წარმოების გავრცელებამ და შემდგომში მანქანური წარმოების ჩამოყალიბებამ შექმნა კაპიტალიზმის ადექვატური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსები ცდილობდნენ კაპიტალისტური სიმდიდრის წყარო ეპოვათ უკვე არა მიმოქცევის, არამედ წარმოების სფეროში. მაგრამ თვით კლასიკური სკოლის საუკეთესო წარმომადგენლებიც კი მთავარ საკითხად მიიჩნევდნენ არა თვითონ წარმოების საზოგადოებრივ პროცესს, არამედ მხოლოდ მის გარეგან შედეგს - კაპიტალისტურ სიმდიდრეს. ა. სმითი ძირითად ყურადღებას უთმობდა მისი წარმოების და დაგროვების, დ. რიკარდო - განაწილების, ს. დე სისმონდი - მოხმარების პირობებს.

მერკანტილისტებისაგან განსხვავებით, ა. სმითი (1723-1790) „ხალხთა სიმდიდრეში“ (1776) ხაზს უსვამს სახელმწიფოს მნიშვნელობას, ჯერ ერთი, კერძო საკუთრების დაცვისთვის (როგორც საზოგადოების სხვა წევრების ხელყოფისგან, ისე უცხო ქვეყნებისგან); მეორე, ისეთი დოვლათის წარმოებისთვის, რომელიც არამომგებიანია კერძო მწარმოებლებისთვის. დევიდ რიკარდომ (1772-1823) თავისი ძირითადი ნაშრომი მიუძღვნა დაბეგვრის საფუძვლების ანალიზს (1817). ჯონ სტიუარტ მილი (1806-1873) „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლებში“ (1848) ძალიან ახლოს მივიდა ბაზრის „ჩავარდნების“ გაგებასთან.

XIX საუკუნის 30-იან წლებში ლიბერალური დოქტრინა ორ მიმართულებად იყოფა: **კლასიკურ ლიბერალურად**, რომელიც იცავს მეწარმეობის თავისუფლებას და სახელმწიფოს ჩაურევლობას ეკონომიკაში და რეფორმისტულად - **თანამედროვე ლიბერალურ** კონცეფციად, რომელიც უარს არ ამბობს ძირითად ლიბერალურ ფასეულობებზე, მაგრამ ემხრობა სახელმწიფოს აქტიურ როლსაც (ი. ბენტამი, ჯ. მილი, ჯ. ს. მილი).

იერემია ბენტამი (1748-1832) თვლიდა, რომ ინტერესთა ჰარმონია („ბედნიერების არითმეტიკა“) შესაძლებელია როგორც გონივრული კანონმდებლობის შედეგი, ამიტომ ის გამოდიოდა კანონმდებლობის სფეროში ლიბერალური რეფორმების თანმიმდევრულ მომხრედ. ის აკრიტიკებდა მემკვიდრეობით არისტოკრატias და იბრძოდა საარჩევნო სამართლის შემდგომი დემოკრატიზაციისთვის. ის არ იყო დასჯის მკაცრი ზომების მომხრე, ვინაიდან ფიქრობდა, რომ დასჯის გარდუვალობა მისი განხორციელების სასტიკ ზომებზე უფრო მნიშვნელოვანია. საზოგადოებრივი პოლიტიკის ბენტამისეული კონცეფცია მოიცავდა სახელმწიფოს მიერ საარსებო მინიმუმის, უსაფრთხოების, შეძლების და თანასწორობის უზრუნველყოფის მოთხოვნებს. მისმა იდეებმა დიდი გავლენა მოახდინეს ჯ. მილზე და ჯ. ს. მილზე.

სწორედ ლიბერალური რეფორმიზმის ფარგლებში იქნა დაყენებული ეკონომიკაში სახელმწიფოს, როგორც პროგრესული განვითარების ფაქტორის, აქტიური ჩარევის პრობლემა. თუმცა იმ დროს სახელმწიფოს ჩარევაში იგულისხმებოდა არა ეკონომიკური პოლიტიკა ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით (ფულად-საკრედიტო, ფისკალური და ა.შ.), არამედ საკანონმდებლო საქმიანობა სამუშაო დღის, შრომის უსაფრთხოების პირობების,

მინიმალური ხელფასის დონის რეგულირებასთან დაკავშირებით, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, სოციალური კონფლიქტების გადაწყვეტაში. ამ იდეებმა შემდგომი განვითარება ჰპოვეს ფრანგული სოლიდარიზმის და გერმანული კათედერ-სოციალიზმის წარმომადგენელთა შრომებში, რომლებიც გამოდიოდნენ ძლიერი პატერნალისტური სახელმწიფოს მხარდამჭერებად, მაგრამ თეორიული ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიმართულება განსაზღვრა არა ამ კონცეფციებმა.

## 2.2. სახელმწიფოს როლის განსხვავებული შეფასება თეორიულ ეკონომიკაში

აღფრედ მარშალმა (1842-1924) სახელმწიფოს უფრო მოკრძალებული როლი მიანიჭა. მის ანალიზს მიეძღვნა მხოლოდ უკანასკნელი, მეხუთე წიგნი - „ეკონომიკური მეცნიერების პრინციპები“ (1890). მასში განხილულია დაბეგვრის ტრადიციული საკითხები, თუმცა, უკვე ახალ ასპექტში - საგადასახადო ტვირთის გადანაწილების პრობლემის სახით.

ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას აკრიტიკებს ლეონ ვალრასი (1834-1910) წიგნში „სოციალური ეკონომიის ნარკვევები. საზოგადოებრივი სიმდიდრის განაწილების თეორიები“ (1896). ავტორი გამოდის სახელმწიფოს მინიმალური ჩარევის მომხრედ და სახელმწიფოს ფუნქციები დაიყვანება მხოლოდ საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებასა და მონოპოლიების კონტროლზე. ეკონომიკური ფუნქციების ასეთი შეზღუდვა გადასახადების დონის შემცირების საშუალებას იძლევა, რომელთაგან მთავარი, ლ. ვალრასის აზრით, უნდა იყოს არა გადასახადები შემოსავლებზე, არამედ საკუთრებაზე.

იტალიელმა ეკონომისტმა უგო მაცოლამ, რომელიც სახელმწიფო ფინანსების პრობლემებს იკვლევდა, ფაქტობრივად, პირველმა ჩამოაყალიბა ზუსტად და ცხადად საზოგადოებრივი დოვლათის ბუნება (1890).

უკვე 1896 წ. შვედმა ეკონომისტმა კნუტ ვიკსელმა (1851-1926) აჩვენა, რომ სხვაობა ზღვრულ კერძო და სოციალურ დანახარჯებს (MPC და MSC) შორის შეიძლება დაიფაროს სახელმწიფო ხარჯების და გადასახადების ხარჯზე, ამასთან, საზოგადოებრივი დოვლათის საჭირო რაოდენობის განსაზღვრა შეიძლება მხოლოდ პოლიტიკური გზით - ხმის მიცემის მეშვეობით.

დოვლათის ზუსტმა დაყოფამ ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ დოვლათად მეცნიერების წინაშე დააყენა, ერთი მხრივ, მათი თვისებრივი განსხვავების და, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიზნით მისი შეკრების პრობლემა. ეს პრობლემა გამოკვლეულია ვილფრედო პარეტოს (1848-1923) „პოლიტიკური ეკონომიის კურსში“ (1896-1897), აგრეთვე, არტურ სესილ პიგუს (1877-1959) ნაშრომებში - „სიმდიდრე და კეთილდღეობა“ (1912) და „კეთილდღეობის ეკონომიკური თეორია“ (1920). ამან ბიძგი მისცა კეთილდღეობის შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას ნ. კალდორის, ა. ბერგსონის, ე. ლინდალის და სხვათა შრომებში.

თეორიულ ეკონომიკაში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა ჯონ მეინარდ კეინზის (1883-1946) 1936 წ. გამოქვეყნებულმა ნაშრომმა „დასაქმების, სარგებლის და ფულის ზოგადი თეორია“. მის სახელს უკავშირდება დასავლური ეკონომიკური აზრის ახალი მიმართულების - კეინზიანელობის წარმოშობა, რომელმაც ყურადღების ცენტრში დააყენა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემები. კეინზი უარყოფს ნეოკლასიკის ზოგიერთ ძირითად პოსტულატს, კერძოდ, ბაზარს, როგორც იდეალურ თვითრეგულირებად მექანიზმს. ბაზარს, მისი აზრით, არ შეუძლია „ეფექტიანი მოთხოვნის“ უზრუნველყოფა, ამიტომ მისი სტიმულირება უნდა მოახდინოს სახელმწიფომ ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის მეშვეობით. ამ პოლიტიკამ უნდა წაახალისოს კერძო ინვესტიციები და სამომხმარებლო ხარჯების ზრდა იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს ეროვნული შემოსავლის ყველაზე სწრაფ ზრდას. კეინზის თეორიის პრაქტიკულმა მიმართულებამ უზრუნველყო მისი ფართო პოპულარობა ომისშემდგომ წლებში. კეინზიანური რეცეპტები შერეული ეკონომიკის და „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ (welfare state) თეორიის იდეოლოგიური პროგრამა გახდა.

1950-იანი წლების დასაწყისიდან ნეოკეინზიანელები (რ. ჰაროდი, ე. დომარი, ე. ჰანსენი და სხვ.) აქტიურად ამუშავებენ ეკონომიკური დინამიკის, უპირველეს ყოვლისა, ზრდის ტემპების და ფაქტორების, პრობლემებს, ცდილობენ იპოვონ ოპტიმალური თანაფარდობა დასაქმებასა და ინფლაციას შორის. ამისკენ იყო მიმართული პოლ სამუელსონის (1915-2009) „ნეოკლასიკური სინთეზის“ კონცეფციაც, რომელიც ცდილობდა საბაზრო და სახელმწიფო რეგულირების მეთოდების ორგანულ შეერთებას. საზოგადოებრივი დოვლათის თეორიის თანამედროვე ვერსია ჩამოყალიბებულ იქნა ჯერ

კიდევ პ. ა. სამუელსონის მიერ სტატიაში „საზოგადოებრივი ხარჯების წმინდა თეორია“ (1954).

პოსტკეინზიანელებმა - ჯოან რობინსონმა (1903-1983), პიერო სრაფამ (1898-1983), ნიკოლას კალდორმა (1908-1986) და სხვებმა 1960-1970-იან წლებში სცადეს კეინზიანელობის შევსება დ. რიკარდოს იდეებით. ნეორიკარდიანელები გამოდიოდნენ შემოსავლების უფრო მეტად გათანაბრებითი განაწილების, საბაზრო კონკურენციის შეზღუდვის, ინფლაციასთან ეფექტიანი ბრძოლის ზომების გატარების მომხრედ.

მაგრამ 1970-იანი წლები კეინზიანელობისადმი იმედგაცრუების პერიოდი გახდა. შეთავაზებული რეცეპტები არასაკმარისად ეფექტიანი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ინფლაციის, წარმოების დაცემის და უმუშევრობის ზრდის ერთდროული გაძლიერება შეეჩერებინა.

კეინზიანურმა პარადიგმამ ვერ შეძლო ნეოკლასიკურის მთლიანად გამოძევება. ნეოკლასიკურ სინთეზში მათი გაერთიანების მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა თავისი არამთლიანობის გამო: მაკროეკონომიკური პროცესების ანალიზისას ის უარყოფდა იმას, რისგანაც ამოდიოდა მიკროეკონომიკაში. უფრო მეტიც, 1970-1980-იან წლებში ნეოკლასიკის ახალი მიმართულებები (მონეტარიზმი, ახალი კლასიკური ეკონომიკა, საზოგადოებრივი არჩევანის თეორია) შესამჩნევად ავიწროვებენ კეინზიანელობას.

### **2.3. სახელმწიფოს როლის ახლებურად გააზრება ახალ პოლიტიკურ ეკონომიაში**

ნეოინსტიტუციონალიზმის განვითარებამ ხელი შეუწყო სახელმწიფოს როლის ახლებურად გააზრებას. მთლიანად ინსტიტუციონალიზმი ამ როლს საკმაოდ კრიტიკულად უდგება, ვინაიდან თვლის, რომ სახელმწიფოს გაძლიერება საბაზრო მექანიზმის ეფექტიანობას ამცირებს. სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის არასასურველობის დასაბუთებას ეხება, სწორედ, რონალდ ქოუზის (1910-2013) თეორემა. თუმცა ნეოინსტიტუციონალისტებს ესმით, რომ გაცვლის რთული ფორმები შეუძლებელია სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის გარეშე, რომელიც ახდენს საკუთრების უფლებების სპეციფიკაციას და უზრუნველყოფს კონტრაქტების შესრულებას. ძალმომრეობის გამოყენებაზე მონოპოლიის ფლობით სახელმწიფო შესაძლებლობას იღებს, საკუთრების უფლებები თავის სასარგებლოდ გადაანაწილოს. მეტიც, სახელმწიფოს

შეუძლია არაეფექტიანი ინსტიტუტების წარმოქმნა, რომელთა დახმარებითაც მას საზოგადოების შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილის მითვისება შეუძლია. ამიტომ ჩნდებიან განსაკუთრებულ ინტერესთა ჯგუფები. ისინი ცდილობენ, თამაშის წესები თავის სასარგებლოდ შეცვალონ, დაკავებულნი არიან პოლიტიკური რენტის ძიებით. ამასთან, ძველი ინსტიტუტების ცვლილება და ახლის შექმნა უდიდეს საწყის დაბანდებებს მოითხოვს, რომელთა დიდი ნაწილი ადრე იყო გაკეთებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თამაშის ამ წესების ასათვისებლად ადამიანებმა უკვე დახარჯეს მნიშვნელოვანი რესურსები, ამიტომ ახალი ინსტიტუტების შემოტანა საჭიროებს არა მარტო დამატებით დანახარჯებს, არამედ აუფასურებს უკვე არსებულ ინსტიტუციურ კაპიტალსაც. აღმოცენდება თავისებური **დამოკიდებულება წინამორბედი განვითარების ტრაექტორიაზე (path dependence problem).**

არც მონეტარისტებს და არც ახალ კლასიკოსებს, რომლებიც აკრიტიკებდნენ კეინზიანელებს, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმი ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ. ამ ნაკლის დაძლევის ცდილობდნენ 1950-1960-იან წწ. ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის მომხრეები (ჯ. ბიუქენენი, გ. ტალოკი, მ. ოლსონი, დ. მიულერი, რ. ტოლისონი, უ. ნისკანენი და სხვ.). აკრიტიკებდნენ რა კეინზიანელებს, ამ თეორიის წარმომადგენლებმა ეჭვქვეშ დააყენეს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ეფექტიანობა. კლასიკური ლიბერალიზმის პრინციპების და მარჟინალური ანალიზის მეთოდების გამოყენებით, მათ დაიწყეს იმ საკითხების განხილვა, რომლებიც, ტრადიციულად, პოლიტოლოგების, იურისტების და სოციოლოგების პრეროგატივად ითვლებოდა („ეკონომიკური იმპერიალიზმი“). საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის წარმომადგენელთა კვლევის ობიექტი გახდა არა ფულად-საკრედიტო და ფინანსური ზომების გავლენა ეკონომიკაზე, არამედ თვითონ სამთავრობო გადაწყვეტილებების მიღების პროცესი.

საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის მიმდევართა მიდგომა, ისევე, როგორც გ. ბეკერის მიდგომა ადამიანისეული კაპიტალის პრობლემისადმი, ამოდის იქიდან, რომ ადამიანის ქცევა ერთსა და იმავე ფუნდამენტურ პრინციპებს ექვემდებარება. ადამიანები ამაქსიმიზებენ სარგებლიანობას (ცდილობენ შესაძლებელი შედეგებიდან საუკეთესოს მიღწევას), ისწრაფვიან ეკონომიკური წონასწორობისკენ, ითვალისწინებენ ცხად და

არაცხად დანახარჯებს (იმის მსგავსად, როგორც ეს ხდება საქონლისა და მომსახურების ბაზარზე) და აქვთ მყარი საბაზო უპირატესობები (უპირატესობები, რომლებიც ეხება მათ ძირითად ფუნდამენტურ მოთხოვნილებებს).

როგორც ყველგან, ეკონომიკური იმპერიალიზმი პოლიტიკაში სამ ეტაპს გადის. პირველი ეტაპი - ეს არის „მტრის ტერიტორიის“ ოკუპაცია. პოლიტოლოგიისთვის ტრადიციული ცნებები სწრაფად ითარგმნება პოლიტიკურ ენაზე. საქმე ეხება ზოგად ეკონომიკურ პრინციპებს (მაქსიმიზირებადი ქცევა, საბაზრო წონასწორობა, უპირატესობათა სიმყარე, ზღვრული დანახარჯების და ზღვრული სარგებლიანობის თანაფარდობა და ა.შ.). მეორე ეტაპზე „მიტაცებული მასალა“ წინააღმდეგობის გაწევას იწყებს. საქმე იმაშია, რომ მათემატიკურ ინსტრუმენტარიუმს განვითარების საკუთარი ლოგიკა აქვს და ხშირად მოცემული მეცნიერების სპეციფიკის გაუთვალისწინებლად ინერგება. მისი ადექვატური გამოყენებისთვის საჭიროა თვით ეკონომიკური მეცნიერების ცნებების გააზრება. წარმოიშობა ჭეშმარიტებასა და მკაცრ წესებს შორის არჩევანის პრობლემა (მაგალითად, როგორ შეიძლება რაციონალურად ავხსნათ ადამიანთა მონაწილეობა არჩევნებში, როცა ადვილად შეიძლება იმის გამოთვლა, რომ მათი ზეგავლენა არჩევნების შედეგებზე უკიდურესად მოკრძალებული სიდიდეა?). მესამე ეტაპზე აღმოცენდება ახალი თვისებრიობა, რომელიც თუმცა აჩვენებს, რომ ეკონომიკის პრეტენზიები უნივერსალური მეცნიერების როლზე რამდენადმე გადაჭარბებულია, მაგრამ ამ „შეჭრამ“ გამოიწვია ახალი ცოდნის გაჩენა და ორივე მეცნიერების ურთიერთგამდიდრება.

ეკონომიკური იმპერიალიზმის კიდევ ერთი ძლიერი მხარეა გადმოცემის უპირატესობები: მისი შესწავლა და პროპაგანდირება ადვილია, გვეხმარება სტანდარტულ სიტუაციებში სწორი არჩევანის გაკეთებაში. მაგრამ მისი გამოყენება გულისხმობს წანამძღვრების გაღრმავებას. ამ მიმართულებით ყველაზე მეტ წარმატებას კონსტიტუციურმა ეკონომიკამ მიაღწია.

#### **2.4. „წესრიგის თეორია“ და კონსტიტუციური ეკონომიკა**

წესრიგის ორდოლიბერალური თეორია (ვ. ოიკენი, ფ. ბემი, ვ. რეჰკე, ა. რიუსტოვი, ა. მიულერ-არმაკი) სოციალური საბაზრო მეურნეობის (გერმანია) მეთოდოლოგიური

საფუძველია. სოციალური საბაზრო მეურნეობის კონცეფცია ჩამოყალიბდა საყოველთაო ქაოსის ატმოსფეროში ქვეყანაში, სადაც ძველი ტოტალიტარული რეჟიმი - ცენტრალიზებულად მართვადი მეურნეობა - დაინგრა და იგი ჩაანაცვლა ანარქიამ და შავმა ბაზარმა. გერმანიამ დაკარგა თავისი ომამდელი ტერიტორიის მეოთხედი და დაიყო ოკუპაციურ ზონებად. 1948 წ. დასაწყისში მისი წარმოება 1936 წ. დონის ნახევარს ძლივს აღწევდა. გარდა ამისა - უდიდესი ადამიანური დანაკარგები, ომით და ნგრავით დემორალიზებული მოსახლეობა, 12 მლნ. დევნილი, გაცვეთილი რეალური კაპიტალი, დანგრეული ინფრასტრუქტურა, მართვის ნაცისტური სისტემის ელემენტების შენარჩუნება... ქვეყნის აღორძინებისთვის, პირველ რიგში, აუცილებელი იყო წესრიგი.

კონსტიტუციური ეკონომიკის კონცეფცია აღმოცენდა აშშ-ში 1960-იან წლებში „მასობრივი მოხმარების საზოგადოებაში“ და ზოგიერთი ოპონენტის მიერ აღიქმებოდა როგორც უნივერსიტეტების პროფესორთა კონსერვატიული უტოპია, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ კეინზიანური რეგულირების პრაქტიკას. აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა ჩამოაყალიბეს საბაზრო მეურნეობის მარეგულირებელი ფუნდამენტური წესების ნაკრები (საბაზრო თამაშის წესები) და მოითხოვეს მათი კონსტიტუციურად გამყარება. ამ წესების რეალიზაცია, მათი აზრით, დაეხმარებოდა საზოგადოებას მზარდ სახელმწიფო აპარატში ბიუროკრატების და პოლიტიკური რენტის მრავალრიცხოვანი მაძიებლების ძალმომრეობის თავიდან აცილებაში. თვით საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის ფარგლებში კონსტიტუციური ეკონომიკის კონცეფცია საკმაოდ მოკრძალებულ ადგილს იკავებს და თითქოსდა შეუმჩნეველი რჩება ეკონომიკურ-მათემატიკური მიმართულების წარმომადგენელთა მიერ.

ამ ორი თეორიის, ერთი შეხედვით, პარადოქსულ შედარებას გარკვეული აზრი აქვს. ორივე მიმართულია საბაზრო ეკონომიკის სრულყოფისკენ არა სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის გზით ეკონომიკაში, არამედ საზოგადოების ინსტიტუციურ სტრუქტურაზე ირიბი ზემოქმედებით. ორივე თეორია ლიბერალური ბუნებისაა, მაგრამ ეს არის არა ტრადიციული, არამედ ახალი ტიპის ლიბერალიზმი. ნეოკლასიკოსებისგან განსხვავებით, ნეოლიბერალების ყურადღების ცენტრშია არა ოპტიმიზაციური მიკრომოდელები ზღვრული სიდიდეების ნაკრებით, არამედ წონასწორული მაკრომოდელები. თვით წონასწორობის პირობები გაიაზრება არა რაოდენობრივი, არამედ თვისებრივი,



ინსტიტუციური თვალსაზრისით. ახალი თეორიები აგრძელებს კლასიკური ლიბერალიზმის ტრადიციას, იცავს კერძო საკუთრების და ინდივიდუალური თავისუფლების პრინციპებს, მაგრამ XVIII-XIX საუკუნეების ლიბერალიზმისგან განსხვავებით, ახალი ლიბერალები სახელმწიფოს აქტიურ მონაწილეობას ეკონომიკურ ცხოვრებაში, თუმცა ეს მონაწილეობა სრულიად სხვაგვარად ესმით, ვიდრე კეინზიანელებს, მათთვის მთავარია არა ეფექტიანი მოთხოვნის სტიმულირება სახელმწიფოს ექსპანსიონისტური პოლიტიკის მეშვეობით, არამედ მოგების გაზრდის და კონკურენციის სტიმულირების ინსტიტუციური მექანიზმის შექმნა. ეს მიიღწევა, უპირველეს ყოვლისა, მკაცრი სამართლებრივი ჩარჩოების დადგენით, რომელიც ზღუდავს მონოპოლიზაციას და, მთლიანად, არაკეთილსინდისიერ კონკურენციას (იხ.: Вахберг, 1995. С. 86-95). ამ თვალსაზრისით, წესრიგის თეორია და კონსტიტუციური ეკონომიკა წარმოადგენს მოძღვრებებს, რომლებიც ორიენტირებულია ადამიანზე, მის თავისუფლებაზე, სოციალურ დაცვაზე, ეკონომიკურად ეფექტიან, თვითგანვითარებად საზოგადოებაზე.

ეკონომიკური და პოლიტიკური მეცნიერებების სინთეზისკენ მოძრაობა მიდიოდა არა მხოლოდ ეკონომიკის მხრიდან. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან თანდათან ძლიერდება თეორიულ ეკონომიკასთან პოლიტოლოგიის დაახლოვების ტენდენციაც.

## 2.5. პოლიტიკური ფილოსოფიის და პოლიტიკური გამოკვლევების როლი

**პოლიტიკა** - ეს არის სოციალური ძალაუფლების შეზღუდული გამოყენება. ამიტომ სწორედ ამ შეზღუდვების, მათი წყაროების და მოქმედების მექანიზმის ანალიზია პოლიტიკის შესწავლის საფუძველი.

პოლიტიკური მეცნიერების ისტორია იწყება პლატონის (428-348 ჩვ. წ.აღ.-მდე) ნაშრომებით: „სახელმწიფო“, „პოლიტიკა“, „კანონები“. ამ ნაშრომებში პლატონი ავითარებს სამართლიანობის და პოლიტიკური ზნეობრიობის იდეებს, იძლევა მმართველობის სხვადასხვა ფორმების კლასიფიკაციას, რომლებიც თანმიმდევრულად ცვლიან ერთმანეთს ციკლური წესით (იდეალური სახელმწიფო, ტიმოკრატია, ოლიგარქია, დემოკრატია და, ბოლოს, ტირანია). პლატონის „კანონებში“ მოცემულია შერეული კონსტიტუციის, როგორც სტაბილური რეჟიმის ოპტიმალური საფუძვლის, პირველი ვარიანტი. შერეული

კონსტიტუცია საშუალებას იძლევა, გაერთიანდეს წინააღმდეგობრივი პრინციპები: მონარქიული (სიბრძნის და ზნეობრიობის პრინციპები) და დემოკრატიული (თავისუფლების პრინციპი).

ბერძნული პოლისების სხვადასხვა კონსტიტუციების შედარებით არისტოტელემ (384-322 წ. ჩვ.წ.-აღ.-მდე) განავითარა პოლიტიკური სტაბილურობის და მმართველობის ოპტიმიზაციის პლატონისეული კონცეფცია. ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების 158 კონსტიტუციის ინტერპრეტაციის საფუძველზე არისტოტელემ შექმნა „პოლიტიკა“. არსებულ პოლიტიკურ სისტემებს არისტოტელე აკავშირებს მოქალაქეთა მატერიალურ მდგომარეობასთან. მისი აზრით, პოლისებში, სადაც ჭარბობს მდიდარი მოსახლეობა, ყალიბდება ოლიგარქია, იქ, სადაც ჭარბობს ღარიბი მოსახლეობა - დემოკრატია, ხოლო იქ, სადაც დომინირებს საშუალო კლასი, აღმოცენდება შერეული ანუ კონსტიტუციური მმართველობის ფორმები. ეს იდეები მეტად პოპულარული აღმოჩნდა და განსაკუთრებული განვითარება მიიღო XX საუკუნეში (ს. ვერბა, რ. დალი, ს. ლიპსეტი და სხვ.).

უნდა აღინიშნოს, რომ პლატონის და არისტოტელეს პოლიტიკური თეორია ეფუძნებოდა ანტიკური სამყაროს ტრადიციებს. მათი სამყარო შემოფარგლული იყო ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების მოსახლეობით, რომლებშიც მოქალაქეები განცალკევებულნი იყვნენ მონებისგან, ხოლო მკვიდრი მაცხოვრებლები - გარემომცველი ბარბაროსული სამყაროსგან. ძველი რომის ძღვევამოსილების გამყარებასთან ერთად ხდება რომის პოლიტიკური ინსტიტუტების და, მასთან ერთად, პოლიტიკური კონცეფციების განვითარებაც (ციცერონი, სენეკა და სხვ.). რომაელი ფილოსოფოსების განსჯის ყველაზე მთავარი საკითხები იყო პოლიტიკის ინსტიტუციური ფორმები და მათი შეფასების კრიტერიუმები კანონიერების და სამართლიანობის პოზიციიდან (რაც აისახა ბუნებრივი სამართლის კონცეფციებში). ამ იდეებმა საფუძველი ჩაუყარა ქრისტიანული ეკლესიის პოლიტიკური დოქტრინის ფორმირებას.

**ბუნებრივი სამართლის თეორია და მისი ევოლუცია.** შერეული კონსტიტუციის კონცეფციამ და ბუნებრივი სამართლის თეორიამ შემდგომი განვითარება ჰპოვა თომა აქვინელის (1225(1226)- 1274) „თეოლოგიის ჯამში“. მაგრამ ნამდვილი გარღვევა პოლიტიკურ თეორიაში დაკავშირებულია რენესანსის ეპოქასთან - ნიკოლო მაკიაველის

(1469-1527) და ჟან ბოდენის (1529-1596) სახელებთან. თავის ნაშრომში „მთავარი“ მაკიაველი ფაქტობრივად, აკანონებს XV-XVI საუკუნეების იტალიისთვის დამახასიათებელ არანორმატიული პოლიტიკის არსებობას (პოლიტიკა, რომელიც ობიექტურად არსებობს და აუცილებელია გადარჩენისთვის - „მიზანი ამართლებს საშუალებას“). არსებითად, ამ იდეას ეფუძნება ჟან ბოდენის სუვერენიტეტის კონცეფციაც, რომელიც ემხრობა აბსოლუტიზმს, როგორც არასტაბილურობის და უწყესრიგობის პრობლემის გადაწყვეტის პოლიტიკურ საშუალებას.

თომას ჰობსი (1588-1679) „ლევიათანში“ უფრო შორს მიდის და თვლის, რომ სუვერენული ხელისუფლება საზოგადოებაში აუცილებელია იმისათვის, რომ თავიდან აარიდოს მოქალაქეებს ქაოსი და ძალადობა. მისი აზრით, ამას საუკეთესოდ აკეთებს აბსოლუტური მონარქია, რომელიც შეზღუდულია მმართველის უფლებამოსილებებით, ხოლო ამ უკანასკნელმა უნდა უზრუნველყოს საზოგადოების ყველა წევრის დაცვა და კეთილდღეობა. ამიტომ მმართველის საქმიანობის კრიტერიუმი ჰობსისთვის მოქალაქეთა მატერიალური კეთილდღეობის დონეა.

ჯონ ლოკი (1632-1704) ნაშრომში „ორი ტრაქტატი მმართველობის შესახებ“, ჰობსისგან განსხვავებით, თვლის, რომ სწორედ მოქალაქეები აძლევენ (ან არ აძლევენ) უფლებას მთავრობას, უზრუნველყოს მათი თავისუფლება და კეთილდღეობა. თვით ადამიანები გადასცემენ მთავრობას თავიანთ უფლებამოსილებებს და ეს გადაცემა პირობითია. იგი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად წარმატებით ართმევს თავს მთავრობა მისთვის გადაცემულ ფუნქციებს. ხელისუფლებას ჯ. ლოკი სამ შტოდ ყოფს: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ფედერაციული. უკანასკნელი შტო, მისი აზრით, საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებითაა დაკავებული.

შარლ ლუი მონტესკიე (1689-1755) მმართველობის ოპტიმალურ ფორმად თვლის ისეთ მთავრობას, რომელიც შექმნილია ხელისუფლების დაყოფის პრინციპის საფუძველზე და მის შემადგენელ ნაწილებს შორის თავისებური წონასწორობა არსებობს. ამგვარი დაყოფის წყალობით ყველაზე უკეთ ხერხდება მოქალაქეთა თავისუფლების შენარჩუნება და მათი კეთილდღეობის გაზრდა. მონტესკიე განასხვავებს რესპუბლიკის არისტოკრატიულ და დემოკრატიულ ფორმებს. თავის თანამედროვე ინგლისურ სახელმწიფო წყობილებას იგი იდეალური მმართველობის რეალურ განხორციელებად

მიიჩნევს, რომელშიც ჰარმონიულადაა შეხამებული სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტები: არისტოკრატიული, მონარქიული და დემოკრატიული.

სწორედ ეს იდეები დაედო საფუძვლად ჯეიმს მედისონის (1751-1836) და ალექსანდრე ჰამილტონის (1755(1757)-1804) შეხედულებებს. ხელისუფლების დაყოფით საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად (რომლის შესახებაც წერდა ჯერ კიდევ მონტესკიე) ისინი შეეცადნენ, შეექმნათ აშშ-ში მმართველობის შერეული ტიპი, რომელიც ეყრდნობოდა შეზღუდვებისა და საპირწონეების სისტემას. იმ დროს, როცა დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმების დამყარება ევროპაში აბსტრაქტულ პოლიტიკურ საკითხად რჩებოდა, ჟეფერსონი, მედისონი, ჰამილტონი, ფრანკლინი და ადამსი შეეჯახნენ ახალი სახელმწიფოებრიობის შექმნის პრაქტიკულ საკითხებს და უკვე ჰქონდათ თვითმმართველობის გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება კოლონიის (ხოლო მოგვიანებით, შტატების) დონეზე.

ეს განსხვავება პოლიტიკური მეცნიერების როლის გაგებაში შემდგომშიც შენარჩუნდა. თუ ევროპაში ყურადღების ცენტრში კვლავ დარჩა აბსტრაქტულ-თეორიული პრობლემები (ო. კონტი, ვ. მარქსი, მ. ვებერი და სხვ.), აშშ-ში პოლიტიკური ანალიზი მიიმართა საკანონმდებლო და აღმასრულებელი პროცესის კონკრეტული საკითხებისკენ, რაც დაკავშირებული იყო ფედერალიზმის და მონობის პრობლემების გადაწყვეტასთან (სამოქალაქო ომი), ველური დასავლეთის ათვისებასთან, ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასთან და ა. შ. აღსანიშნავია, რომ პოლიტოლოგიის შესწავლა დღესაც ძლიერ განსხვავდება ატლანტიკის ამ ორ სხვადასხვა ნაპირზე. ევროპაში სტუდენტები სწავლობენ პლატონის და არისტოტელეს, ჰობსის და ლოკის, კანტის და ჰეგელის, მარქსის და ვებერის, მიზესის და ჰაიეკის ნაშრომებს, მაშინ, როცა ამერიკაში ისინი დაკავებულნი არიან ამომრჩეველთა ქცევის სტატისტიკური და ეკონომეტრიკული ანალიზით და პოლიტიკური პროცესების მოდელირებით.

**პოლიტოლოგია XIX-XX სს.-ში.** XIX ს.-ის პოლიტოლოგიაზე უდიდესი გავლენა მოახდინეს გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელმა (1770- 1831), ოგიუსტ კონტმა (1798- 1857) და კარლ მარქსმა (1818-1883). ყველა ამ ფილოსოფოსისთვის დამახასიათებელია ისტორიული დეტერმინიზმი და უფრო რთული ფილოსოფიური არსენალის გამოყენება. ჰეგელი და მარქსი ეყრდნობიან დიალექტიკურ მეთოდს, კონტი ქმნის ფილოსოფიური

პოზიტივიზმის საწყისებს.

რეაქცია ამ გართულებულ, აბსტრაქტულ, საყოველთაო კონცეფციებზე გახდა ემპირიზმის (ვ. ვილსონი, ვ. როშერი და სხვ.) და ევოლუციონიზმის (ჰ. ს. მენი, ჰ. სპენსერი, ფ. ტიონისი) ტალღა. ევოლუციონისტები ცდილობდნენ, გაეთვალისწინებინათ სხვადასხვა სახელმწიფოთა განვითარების კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური პირობები. ფერდინანდ ტიონისის (1855-1936), მაქს ვებერის (1864-1920) და ემილ დიურკჰეიმის (1858- 1917) შრომებმა საფუძველი ჩაუყარა პოლიტიკურ კომპარატივისტიკას. მათი ისტორიული მიდგომა თემსა (Gemeinwesen) და სამოქალაქო საზოგადოებას (Gesellschaft), ტრადიციონალიზმსა და თანამედროვე რაციონალიზმს (Бергер, 1990. С. 644-706), მექანიკურ და ორგანულ სოლიდარობას (Дюркгейм, 1996) შორის განსხვავებების უფრო ღრმად გაგების საშუალებას იძლევა. ამან საშუალება მისცა მთელ რიგ მეცნიერებს, ალექსის ტოკვილის (1805-1859) მსგავსად, დაემტკიცებინათ დემოკრატიის უპირატესობანი სხვა პოლიტიკურ ფორმებთან შედარებით.

მსხვილი კორპორაციების და სახელმწიფოს როლის ზრდის გამო ლობირების, სხვადასხვა ეკონომიკური პრივილეგიების მიღების საკითხები პოლიტიკური მეცნიერების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. პოლიტოლოგები იწყებენ ზეწოლის ჯგუფების საქმიანობის, მოსყიდვის და კორუფციის პრობლემების სერიოზულ შესწავლას. ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების გადახლართვა ამ ორი მეცნიერების დაახლოვების ობიექტურ წანამძღვრებს ქმნის.

პოლიტიკურმა მეცნიერებამ XX ს.-ში სამი აღმასვლა განიცადა. პირველი დაკავშირებულია ჩიკაგოს სკოლასთან (1920-1930-იანი წწ). იმპულსი გახდა ემპირიული კვლევების გაფართოება, რომლებიც ეფუძნებოდა პოლიტიკის ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ ინტერპრეტაციას. ამ მიმართულების განვითარებაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანეს ჩარლზ მერიამმა (1874-1953), ჰაროლდ გოსნელმა (1897-1997) და ჰაროლდ ლასუელმა (1902-1978). საქმე ეხება მიმართული აგიტაციის ზეგავლენის ანალიზს არჩევნების შედეგზე, პროპაგანდის ტექნოლოგიის და სოციალური მართვის საკითხებს.

მეორე აღმასვლა (1950-1960-იანი წწ.) შეიძლება დავახასიათოთ როგორც ქცევითი რევოლუცია, როდესაც წინა პლანზე გამოვიდა მოსახლეობის ქცევის შესწავლის

მეთოდები: დაწყებული პირველადი სოციალიზაციის პრობლემებიდან, დამთავრებული ამომრჩეველთა უპირატესობების და მიდრეკილებების ანალიზით. ამ პერიოდში იწყება საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის, სტატისტიკური ანალიზის, ინტერვიუს ფართო გამოყენება. ცვალებად სამყაროში ადამიანთა ქცევის გაგებისთვის (განსაკუთრებით, ერთი სისტემის მეორეში ტრანსფორმაციის პროცესში) აუცილებელია ანალიზში როგორც უკვე არსებული, ჩამოყალიბებული ფასეულობების, ასევე ჩამოყალიბებად საზოგადოებაში შესაძლებელი, ფორმირებადი ფასეულობების ჩართვა<sup>4</sup>.

წარმოიშობა პოლიტოლოგთა პროფესიონალური ასოციაციები. პოლიტოლოგთა მომზადების უმსხვილესი ცენტრები ხდება მიჩიგანის, კოლუმბიის და ჩიკაგოს უნივერსიტეტები. პოლიტოლოგია იღებს თანამედროვე პროფესიის ხასიათს. ევროპაში პოლიტოლოგიის წარმატება დაკავშირებულია საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან, რომელიც საჭიროებდა სულ უფრო მრავალფეროვან ინფორმაციას სახელისუფლო სტრუქტურების საქმიანობის შესახებ.

პოლიტოლოგიის მესამე აღმავლობა XX საუკუნეში უკავშირდება რაციონალური არჩევანის თეორიის და მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის გამოყენებას, როდესაც ბიჰევიორიზმი შეცვალა მეთოდებმა, რომლებიც გამოირჩეოდა ფორმალური წესრიგით და მათემატიკური სიმკაცრით. პოლიტიკური მეცნიერება სულ უფრო მეტად აიგება ეკონომიკიდან დასესხებულ აქსიომებზე. ივარაუდება, რომ ადამიანები ბუნებით რაციონალურნი არიან, ისწრაფვიან მატერიალური კეთილდღეობის მაქსიმიზაციისკენ და ფიქრობენ, პირველ რიგში, მიმდინარე პრობლემებზე. ფართო თეორიული განზოგადებები მეორე პლანზე გადადის და ადგილს უთმობს კონკრეტული სიტუაციების ანალიზს. ამასთან, მატერიალური ინტერესების კვლევამ მკვეთრად შეავიწროვა სულიერი ფასეულობების, კულტურული სტერეოტიპების, პირადი ერთგულების და სოციალური ინსტიტუტების შესწავლა.

მხოლოდ XX საუკუნის ბოლოს შეინიშნება სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომების გაერთიანების მცდელობა ახალი ინსტიტუციონალიზმის სახით. ეკონომეტრიკის მომხრეები იძულებულნი არიან, აღიარონ შეფასებითი პროცედურების

---

<sup>4</sup> ამ ფაქტორების როლი გაანალიზებულია ჯ. სკოტის ნაშრომში „ქრისტიანობის მორალური ეკონომიკა“ (Scott J. C. The Moral Economy of the Peasant. New Haven: Yale University Press, 1976).

მნიშვნელობა, რომლებიც ყალიბდება pat-ეფექტების გავლენით. ეს იწვევს უარის თქმას ზოგად მეთოდოლოგიაზე კერძოს სასარგებლოდ, უნივერსალურ ინსტრუმენტებზე - სპეციალიზებული სასარგებლოდ, ზოგადი თეორიის აგების მცდელობაზე ცალკეული სიტუაციების ანალიზის სასარგებლოდ. შედეგად, ეკონომისტებს და პოლიტიკოსებს დღეს გაცილებით მეტი და მდიდარი კვლევითი მეთოდები და ინსტრუმენტები აქვთ, ვიდრე მათ წინამორბედებს.

## 2.6. საზოგადოებრივი საქონელი და „კატიმრების დილემა“

დ. მიულერის აზრით, ეკონომიკური თეორიის ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევას შეიძლება წარმოადგენს იმ ფაქტის დემონსტრირება, რომ წმინდა ეგოისტური მოტივების მქონე ინდივიდებს შეუძლიათ გაცვლიდან ურთიერთსარგებლობის მიღება. თუ A აწარმოებს პირუტყვს, ხოლო B - სიმინდს, მათ შეუძლიათ გაზარდონ თავიანთი კეთილდღეობა პირუტყვის სიმინდზე გაცვლით. ფასების სისტემის მეშვეობით პროცესი შეიძლება გაფართოვდეს მრავალფეროვანი საქონლისა და მომსახურების უდიდეს რაოდენობამდე. თუმცა მას ხშირად წარმოსახავენ როგორც მხოლოდ ინდივიდუალისტური საქმიანობის კეთილსასურველი შედეგის იდეალურ მაგალითს, სახელმწიფოს არარსებობის დროს, „უხილავი ხელის“ თეორია გულისხმობს კოლექტიური არჩევანის სისტემის არსებობას. არჩევანის ვარიანტები, რომლებსაც აწყდებიან A და B, არ დაიყვანება ვარიანტებზე - „ივაჭროს“ ან „არ ივაჭროს“ - როგორც ეს არააშკარად ივარაუდება ამ მაგალითში. A-მ შეიძლება ამჯობინოს სიმინდის მოპარვა B-სთვის, მისთვის პირუტყვში გაცვლის ნაცვლად. ანალოგიურად შეიძლება მოიქცეს B-ც. ვაჭრობისგან განსხვავებით, რომელიც წარმოადგენს თამაშს დადებითი ჯამით, რომელსაც გაცვლის ორივე მონაწილისთვის სარგებლობა მოაქვს, ქურდობა, უკეთეს შემთხვევაში, არის თამაში ნულოვანი ჯამით. იმას, რასაც იგებს A, აგებს B. თუ ქურდობა და მასთან ბრძოლა ამცირებს A-ს და B-ს მიერ პირუტყვის და სიმინდის მოყვანის უნარს, ვიღებთ თამაშს უარყოფითი ჯამით. მაშინ, როცა ვაჭრობის დროს თითოეული ცდილობს გაიუმჯობესოს თავისი მდგომარეობა და ორივე მხარე აღმოჩნდება მოგებული, ქურდობის

დროს თითოეული მათგანის ეგოისტური მისწრაფება იწვევს იმას, რომ ორივე აგებს (ნახ. 2.1).

**ნახ. 2.1. ქურდობა როგორც „პატიმრების დილემა“**

B A	არ ქურდობს	ქურდობს
არ ქურდობს	1  (10,9)	4  (7,11)
ქურდობს	2  (12, 6)	3  (8,8)

სიმარტივისთვის გამოვრიცხოთ ვაჭრობის ვარიანტი და დავუშვათ, რომ თითოეულ ინდივიდს მოჰყავს მხოლოდ სიმინდი. უჯრედი (1) წარმოადგენს ალოკაციას, რომლის დროსაც A და B თავს იკავებენ ქურდობისგან (A-ს შედეგი ყოველ უჯრედში მითითებულია პირველ ადგილზე). ორივე იგებს, თუ არ იქურდებს, მაგრამ თითოეული კვლავ მოგებულა, თუ მხოლოდ ის ქურდობს (უჯრედი 2 და 4). მოცემულ მატრიცაში ქურდობა წარმოადგენს დომინანტურ სტრატეგიას ორივე მოთამაშისთვის, რადგან ჰპირდება მის ამომრჩეველს უფრო მაღალ მოგებას, ვიდრე სხვა სტრატეგიები, მეორე მოთამაშის არჩევანისგან დამოუკიდებლად. ანარქიის პირობებში შეიძლება ველოდოთ, რომ ორივე ინდივიდის დამოუკიდებელი არჩევანი გამოიწვევს ორივეს მიერ დომინანტური სტრატეგიის გადაწყვეტილების მიღებას - იქურდოს - (უჯრედი 3). სიმინდის განაწილება 3 უჯრედში წარმოადგენს დოვლათის „ბუნებრივ განაწილებას“, როგორც მას უწოდა ბუშმა (Bush, 1972), ანუ განაწილება, რომელიც აღმოცენდებოდა ჰობსის მიერ აღწერილ გარემოებებში.

ასეთ ბუნებრივ მდგომარეობასთან შედარებით, ორივე ინდივიდი მოიგებს, თუ უხმოდ ან ფორმალურად შეთანხმდებიან, რომ არ იქურდონ, იმ პირობით, რომ ასეთი



შეთანხმების შესრულების დანახარჯები ნაკლებია, ვიდრე მათი საერთო მოგება მისი რეალიზაციიდან. მე-3 უჯრედიდან 1-ში გადასვლა არის პარეტო-გაუმჯობესება, რომელსაც გამოჰყავს ადამიანები „ჰობსიანური“ მდგომარეობიდან. შეთანხმება ამგვარი გადანაცვლების შესახებ წარმოადგენს „კონსტიტუციური შეთანხმების“ ნაირსახეობას, რომელიც ადგენს საკუთრების უფლებებს და თითოეული ინდივიდის ქცევით შეზღუდვებს. ამ უფლებების არსებობა აუცილებელი პირობაა „პოსტკონსტიტუციური შეთანხმებების“ შექმნისთვის, რომლებიც ქმნიან ნებაყოფლობითი გაცვლის სისტემას. კოლექტიური არჩევანის პრობლემები წარმოიშობა ჰობსიანური ანარქიიდან უკანდახვევისას და ძალიან ახლოსაა სხვადასხვა ჯგუფების და თანასაზოგადოებების არსებობის პრობლემებთან.

საკუთრების უფლებების სისტემა და მათი დაცვის პროცედურები წარმოადგენს საზოგადოებრივ დოვლათს სამუელსონის განმარტებით, ვინაიდან „თითოეული ინდივიდის მიერ მისი მოხმარება არ იწვევს ნებისმიერი სხვა ინდივიდის მიერ ამ დოვლათის მოხმარების შემცირებას“. წმინდა საზოგადოებრივ დოვლათს აქვს ორი თვისება: მიწოდების დაუყოფლობა და მისი მოხმარებიდან სხვების გამორიცხვის შეუძლებლობა (ან არაეფექტიანობა).

მიწოდების დაუყოფლობის თვისება ქმნის მე-3 უჯრედიდან 1-ში შეთანხმებული გადანაცვლების პოტენციურ სარგებლობას. მიწოდების დაუყოფლობის დროს კოოპერაციული გადაწყვეტილება მოხმარების შესახებ აუცილებელია დოვლათის ეფექტიანი მიწოდებისთვის. თუ საჭირო იქნებოდა ორჯერ მეტი რესურსები A-ს და B-ს ერთმანეთისგან დასაცავად, ვიდრე ერთი მათგანის დაცვისას, არაგამორიცხვადობის არარსებობის დროს კოლექტიური მოქმედება არ იქნებოდა აუცილებელი. თითოეული შეძლებდა დამოუკიდებლად მიეღო გადაწყვეტილება - უზრუნველყო საკუთარი დაცვა თუ არა. ადამიანები შეიძლება გამოვრიცხოთ ქანდაკების დათვალიერებით მიღებული სარგებლობიდან კერძო გალერეაში, თუ ისინი ამისთვის არ იხდიან, მაგრამ შეუძლებელია, მათ ხელი შევუშალოთ ქანდაკების დათვალიერებაში, თუ ის მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე. გამორიცხვის პრინციპის გამოყენების შეუძლებლობა ქმნის არაკოოპერაციული, ინდივიდუალისტური ქცევის სტიმულს - სარგებლობის მიღების სტიმულს მე-2 ან მე-4 უჯრედში გადასვლით. გამორიცხვის შეუძლებლობა წარმოშობს

საზოგადოებრივი დოვლათის მიწოდების წმინდა ნებაყოფლობითი სქემის დარღვევის ალბათობას. ამგვარად, საზოგადოებრივი დოვლათის თვისებები წარმოადგენენ *raison d'etre* (ფრ. - არსებობის გონივრული საფუძველი) კოლექტიური არჩევანისთვის. მიწოდების დაუყოფლობა არის „თაფლაკვერი“, რომელიც კოლექტიურ გადაწყვეტილებებს ყველასთვის სასარგებლოს ხდის. გამორიცხვის პრინციპის არარსებობა წარმოადგენს „ვაშლს“, რომელიც ინდივიდებს დამოუკიდებელი, არაკოოპერაციული ქცევისკენ აცდუნებს.

მატრიცა 2.1. გამოხატავს კარგად ცნობილ „პატიმრების დილემას“. ამ თამაშის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სტრიქონების მიხედვით წარმოდგენილი მოთამაშე ახდენს ოთხი შესაძო შედეგის რანჟირებას:  $2 > 1 > 3 > 4$ . მეორე მოთამაშე ახდენს რანჟირებას შემდეგნაირად:  $4 > 1 > 3 > 2$ . არაკოოპერაციული სტრატეგია დომინანტურია ორივე მოთამაშისთვის. ის საუკეთესო სტრატეგიაა თითოეულისთვის მეორე მოთამაშის სტრატეგიული არჩევანისგან დამოუკიდებლად ერთსვლიან თამაშში. შედეგი მე-3 უჯრედში არის კურნო-ნეშის წონასწორობა და მისი უბედურება ისაა, რომ იგი „პატიმრების დილემის“ თამაშის ერთადერთი შედეგი, რომელიც პარეტო-არაოპტიმალურია. გადაადგილება ნებისმიერი სხვა უჯრედიდან გააუარესებს მინიმუმ, ერთი მოთამაშის მდგომარეობას, მაგრამ გადაადგილება მე-3-ე უჯრედიდან 1-ში ორივეს მოგებას მოუტანს.

კოოპერაციული გადაწყვეტილება შეიძლება აღმოცენდეს, თუ თამაში მრავალჯერ განმეორდება ერთი და იგივე მოთამაშეების მიერ. ეს შესაძლებელია თვით მოთამაშეებს შორის უშუალო კომუნიკაციის არარსებობის შემთხვევაშიც (მოთამაშე მოქმედებს იგივე სტრატეგიით მოცემულ თამაშში, რითაც მოქმედებდა მეორე მოთამაშე წინა თამაშში. თუ ორივე მოთამაშე ირჩევს ასეთ სტრატეგიას, და იწყებენ თამაშს კოოპერაციული სტრატეგიით, კოოპერაციული შედეგი წარმოიშობა ყოველ პარტიაში (სტრატეგია „კბილი კბილის წილ“) (აქსელროდი, 1984).

## 2.7. საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება და „უბილეთო მგზავრის“ პრობლემა

საზოგადოებრივი მოთხოვნილებები აღმოცენდება ბაზრის „ჩავარდნების“ გამო. ბაზრის ჩავარდნები (ფიასკო) (market failures) - ეს არის შემთხვევა, როდესაც ბაზარს არ

შეუძლია რესურსების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა. გამოყოფენ არაეფექტიანი სიტუაციის ოთხ ტიპს: 1) მონოპოლია; 2) არასრულყოფილი (ასიმეტრიული) ინფორმაცია; 3) გარე ეფექტები; 4) საზოგადოებრივი დოვლათი. სახელმწიფო ცდილობს გადაწყვიტოს ეს პრობლემები ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელებით, სოციალური დაზღვევით, უარყოფითი გარე ეფექტების მქონე საქონლის წარმოების შეზღუდვით და დადებითი გარე ეფექტების მქონე ეკონომიკური დოვლათის წარმოების და მოხმარების სტიმულირებით. ამ ამოცანების გადასაწყვეტად სახელმწიფოს შეუძლია როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური სტიმულების გამოყენება: დარწმუნება და იძულება. ეკონომიკურ მეცნიერებაში **იძულება** გულისხმობს ადამიანთა დაყოლიებას ერთობლივ საქმიანობაზე, მათი არჩევანის თავისუფლების შეზღუდვით. დარწმუნება - ადამიანთა დაყოლიებას ერთობლივ საქმიანობაზე, მათი არჩევანის თავისუფლების გაფართოებით. სახელმწიფო ფლობს იძულების ლეგიტიმურ, ინსტიტუციონალიზებულ უფლებას. მას შეუძლია დაადგინოს, დაიცვას და შეცვალოს საკუთრების უფლებები და, საბოლოო ანგარიშით, გავლენა მოახდინოს თამაშის წესებზე საზოგადოებაში.

აუცილებელია თუ არა იძულება? შეიძლება თუ არა ოპტიმალური შედეგის მიღწევა მხოლოდ ნებაყოფლობითი ერთობლივი საქმიანობით? და, საერთოდ, რა მოხდება, თუ საზოგადოებაში სრულიად არ იარსებებს სახელმწიფო?

სახელმწიფო აწარმოებს საზოგადოებრივ დოვლათს (საქონელს). **წმინდა საზოგადოებრივი საქონელი (pure public good)** ისეთი დოვლათია, რომელიც მოიხმარება კოლექტიურად ყველა მოქალაქის მიერ, მიუხედავად იმისა, ისინი მასში იხდიან თუ არა. მას ახასიათებს ორი თვისება: არაკონკურენტულობა და მოხმარებიდან არაგამორიცხვადობა (მოხმარებაში გამონაკლისობის არარსებობა) (მაგალითად, ეროვნული თავდაცვა, გარემოს დაცვა). მოხმარებაში არაკონკურენტულობის (nonrivalness) თვისება ნიშნავს, რომ ერთი ადამიანის მიერ მისი მოხმარება არ ამცირებს მის სარგებლიანობას სხვებისთვის, ანუ დამატებითი მოხმარებლისთვის ზღვრული ხარჯები ნულის ტოლია მოხმარების ნებისმიერი მოცემული დონისას. ამიტომ მისი გამოყენებისთვის ფასის დაწესება შეუძლებელია. მოხმარებიდან არაგამორიცხვადობა (nonexcludability) ნიშნავს, რომ არც ერთი ადამიანი არ შეიძლება გამოირიცხოს მისი მოხმარებიდან მაშინაც კი, თუ ის უარს ამბობს გადახდაზე. წმინდა საზოგადოებრივი

დოვლათი ფლობს თავისებურ დადებით გარე ეფექტს: როგორც კი ვინმე იწყებს მის მოხმარებას, ის ყველასთვის ხელმისაწვდომი ხდება. ამასთან, დამატებითი მომხმარებლის გამორიცხვის ხარჯები, როგორც წესი, მეტისმეტად მაღალია.

წმინდა კერძო დოვლათისგან<sup>5</sup> განსხვავებით, წმინდა საზოგადოებრივი დოვლათის მოხმარების ერთეულებად დაყოფა ( მისი გამოშვება „წვრილ“ პარტიებად არ შეიძლება) და ნაწილებად გაყიდვა შეუძლებელია. წმინდა საზოგადოებრივი საქონლის ცალკეული ერთეულის ფასის განსაზღვრის შეუძლებლობა ხსნის მასზე ერთობლივი მოთხოვნის განსაზღვრის თავისებურებებს. ამ შემთხვევაში, ფასი არ არის ცვალებადი სიდიდე და ცალკეულ ერთეულზე ფასის დაწესება შეუძლებელია, ვინაიდან მისი მოხმარება არ წარმოადგენს ცალკეული ინდივიდის გამონაკლის უფლებას. ამიტომ წმინდა საზოგადოებრივ დოვლათზე მოთხოვნის მრუდი ასახავს მისი მთელი არსებული მოცულობის ზღვრულ სარგებლიანობას. წმინდა კერძო დოვლათის შემთხვევაში ადამიანები თვითონ ახდენენ მოთხოვნის მოცულობის კორექტირებას:

$$Q_D = \sum q_i . \quad (2.1)$$


წმინდა საზოგადოებრივი დოვლათისთვის ეს შეუძლებელია. მისი გამოშვების მთელი მოცულობა უნდა მოხმარებულ იქნეს მთლიანად. ამიტომ მიწოდება  $Q_S$  შეიძლება გამოისახოს შემდეგნაირად:

$$Q_S = q_1 = q_2 = q_3 = \dots = q_n . \quad (2.2)$$


განვიხილოთ მარტივი მაგალითი. ყველა მომხმარებელმა (ჩვენს მაგალითში ისინი სამნი არიან - A, B, B) უნდა მოიხმაროს გამოშვებული დოვლათის მთელი მოცულობა (ნახ. 2.2). თითოეული მათგანი ამ დოვლათს სხვადასხვაგვარად აფასებს: A – 5 ათას ლარად, B – 10 ათას ლარად, B -15 ათას ლარად. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებრივ დოვლათში გადახდისთვის ზღვრული მზადყოფნა სხვადასხვა ადამიანისთვის არაერთნაირია. შეიძლება გავავლოთ ანალოგია თეატრის ბილეთებთან: მიუხედავად იმისა, რომ

<sup>5</sup> წმინდა კერძო დოვლათი (pure private good)- ისეთი დოვლათი, რომლის ყოველი ერთეული შეიძლება ცალკეულ ფასად გაიყიდოს.

სპექტაკლს ყველა მაყურებელი უყურებს, მათი კომფორტი სხვადასხვაგვარია. ამიტომ ის, ვინც პარტერში ზის, მეტს იხდის, ვიდრე ის, ვინც ამფითეატრში ან ბალკონზე ზის.



ა) წმინდა კერძო დოვლათი



ბ) წმინდა საზოგადოებრივი დოვლათი

**ნახ. 2.2. ერთობლივი მოთხოვნის განსაზღვრა წმინდა კერძო დოვლათზე და წმინდა საზოგადოებრივ დოვლათზე**

წმინდა კერძო დოვლათზე მთლიანი მოთხოვნისგან განსხვავებით, რომელიც მიიღება ინდივიდუალური მოთხოვნის მრუდების ჰორიზონტალური შეკრებით, წმინდა საზოგადოებრივ დოვლათზე მთლიანი მოთხოვნა განისაზღვრება ზღვრული სარგებლიანობების ვერტიკალური შეკრებით.

ამგვარად, როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივი არჩევანი ავლენს და ითვალისწინებს ინდივიდთა უპირატესობებს მათი ეკონომიკური ურთიერთქმედების პროცესში. ორივე ხელს უწყობს პარეტო-გაუმჯობესების მიღწევას. მაგრამ მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა (ცხრ. 2.1.).

**ცხრილი 2.1. საზოგადოებრივი და საბაზრო არჩევანის შედარება**

კრიტერიუმები	საბაზრო არჩევანი	პოლიტიკური (საზოგადოებრივი) არჩევანი
წინასწარი პირობები	ფასები	ხმის მიცემის რეგლამენტი
სხვა აგენტებზე გავლენა	დამოუკიდებელი	დამოკიდებული

მოთხოვნასთან დამოკიდებულება	შებრუნებული (რაც ნაკლებია, მით უკეთესია)	პირდაპირი (რაც მეტია, მით უკეთესია)
ურთიერთქმედების ხასიათი	ყიდვა-გაყიდვა	ხმის მიცემა პოლიტიკოსების დაპირებების სანაცვლოდ
გაცვლის პრინციპები	ეკვივალენტურობა	ნაცვალგება
შედეგები	კერძო დოვლათის მითვისება (გაუცხოება)	საზოგადოებრივი დოვლათის და ანტიდოვლათის (გადასახადების) მითვისება (გაუცხოება)

წყარო: Нуреев Р. М. Теория общественного выбора. М.: Издательский дом ГУ- ВШЭ, 2005. С. 70.

როდესაც ორი თვისებიდან (არაკონკურენტულობა და არაგამორიცხვადობა) ერთ-ერთი მაინც სუსტად ვლინდება, საქმე გვაქვს შერეულ საზოგადოებრივ დოვლათთან (მაგალითად, შუქურა). როგორც აჩვენა რ. ქოუზის გამოკვლევებმა, ასეთი დოვლათი შეიძლება ანაზღაურებული იყოს კერძო სახით - უპირველეს, ყოვლისა, იმ გემების მფლობელთა მიერ, რომელთათვისაც ეს მომსახურება აუცილებელია (Koyz, 1993. С. 169-192).


საზოგადოებრივი დოვლათი შეიძლება იყოს ზოგადნაციონალური და ლოკალური (რეგიონალური, ადგილობრივი). მათი წარმოება შესაძლებელია რეგიონალური (ადგილობრივი) ხელისუფლების მიერ. საზოგადოებრივთან ერთად მთავრობა აწვდის ისეთ დოვლათსაც, როგორცაა პენსიები, უმუშევართა დახმარება, დოტაციები ზოგად განათლებაზე, ინფრასტრუქტურა (გზები, და ა. შ.). მათგან მრავალი მთლიანად (ან ნაწილობრივ) ინდივიდუალურად მოიხმარება. მესამე პირებს ამ დოვლათით სარგებლობა მხოლოდ გარკვეულ ფასად შეუძლიათ (ბაჟები, სწავლის გადასახადი და სხვ.). პრაქტიკაში საქონელთა მხოლოდ მცირე ნაწილი ფლობს წმინდა საზოგადოებრივი დოვლათის თვისებებს.

წმინდა საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება დაკავშირებულია დადებით გარე ეფექტებთან. თუ არ მოხდება მათი ინტერნალიზება (გარე ეფექტიდან შიდა ეფექტად გადაქცევა), საბაზრო ეკონომიკაში ადგილი ექნება ასეთი დოვლათის ნაკლწარმოებას.

ეფექტიანი გამოშვების დონე განისაზღვრება იმ წერტილში, სადაც ზღვრული სოციალური სარგებლიანობა (MSB) ზღვრულ სოციალურ ხარჯებს (MSC) უტოლდება:

$$MSB = MSC \quad (2.3)$$


განვიხილოთ მომხმარებელთა ორი ჯგუფის მოთხოვნის მრუდები  $D_1$  და  $D_2$  (ნახ. 2.3). მათი ერთობლივი მონაკვეთი არის მოთხოვნის „ჩატეხილი“ მრუდი  $D$ , რომელიც გაივლის  $A$ ,  $B$  და  $C$  წერტილებზე. ის გამოხატავს ზღვრულ სოციალურ სარგებლიანობას (MSB). თუ საზოგადოების ზღვრული ხარჯები მუდმივია და უდრის 6-ს,  $MC$  აბსცისათა ღერძის პარალელური იქნება. ის ასახავს ზღვრულ სოციალურ ხარჯებს (MSC). სწორედ მათი გადაკვეთა  $E$  წერტილში განსაზღვრავს ეფექტიანი გამოშვების დონეს (3).



### ნახ. 2.3. წმინდა საზოგადოებრივი დოვლათის ეფექტიანი გამოშვების განსაზღვრა

წმინდა საზოგადოებრივი დოვლათი კოლექტიურად მოიხმარება, მაგრამ მისი მოხმარებიდან მიღებული ინდივიდუალური სარგებლობა სხვადასხვაა. ჩვენს მაგალითში (იხ.: ნახ. 2.1) უმცირეს სარგებლობას იღებს  $A$ , ხოლო უდიდესს -  $B$ . ასეთი სიტუაცია გულისხმობს თითოეული ადამიანის ზღვრული ხარჯების შესახებ ზუსტი ინფორმაციის არსებობას, რაც რეალურ სინამდვილეში უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი. როდესაც საზოგადოებრივი დოვლათის მიმღები ჯგუფი მცირეა, დადებითი გარე ეფექტების ინტერნალიზება შესაძლებელია ნებაყოფლობითი კოოპერაციის გზით. როდესაც ჯგუფი

საკმაოდ დიდია, ინფორმაციის დაფარვის შესაძლებლობა იზრდება. თუ საზოგადოებრივ დოვლათში ფასის გადახდა განხორციელდება მისი გამოყენების ზღვრული სარგებლიანობის შესაბამისად, ჩნდება ზუსტი ინფორმაციის დაფარვის და რეალური სარგებლობის შემცირების მძლავრი სტიმულები. ვინაიდან მომხმარებლები წმინდა საზოგადოებრივი დოვლათიდან სარგებლობას იღებენ იმისგან დამოუკიდებლად, იხდიან მასში თუ არა, ამიტომ ჩნდება ზედმეტი ხარჯებისგან თავის არიდების და ამ დოვლათის უფასოდ მიღების სურვილი (ნახ. 2.4.). ამ მოვლენას „უბილეთო მგზავრის“ პრობლემას უწოდებენ (free-rider problem).



#### ნახ. 2.4. როგორ წარმოიშობა „უბილეთო მგზავრის“ პრობლემა

„უბილეთოს“ პრობლემა გაცილებით უფრო ხშირად წარმოიშობა მომხმარებელთა დიდ ჯგუფებში, ვიდრე მცირეში, ვინაიდან დიდ ჯგუფებში უფრო რთულია ინფორმაციის მიღება გადამხდელების შესახებ. ანონიმურობა აძლიერებს „უბილეთოდ მგზავრობის“ სურვილს. ბაზარი ვერ უმკლავდება ამ პრობლემას და ფიასკოს განიცდის. ბაზრის ასეთი ჩავარდნების გამოსწორება შეუძლია სახელმწიფოს იძულების გზით.

საზოგადოებრივი დოვლათის ნაკლწარმოების ხიფათის თავიდან აცილების რაციონალური გზაა ისეთი პროცედურის შემუშავება, რომელიც დაავალდებულებს მოქალაქეებს მისი წარმოების დაფინანსებაში მონაწილეობას არა ნებაყოფლობით, არამედ იძულებით. ამისათვის სახელმწიფო ფლობს სპეციფიკურ რესურსს - გადასახადებს.



განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს საგადასახადო შემოსავლებზე მოდის შემოსავლების 80-90%, ხოლო არასაგადასახადო შემოსავლებზე - მხოლოდ 10-20%. საგადასახადო ვალდებულება შეიძლება იყოს ფულადი ან ნატურალური, პირდაპირი და ირიბი, მიზნობრივი (მარკირებული) და არამიზნობრივი (არამარკირებული). სწორედ არამიზნობრივი გადასახადები უზრუნველყოფენ სახელმწიფოს ავტონომიურობას ამომრჩევლების მიმართ. არამიზნობრივი გადასახადების გადახდით ამომრჩევლები განსაზღვრავენ შემდგომი სახელმწიფო ხარჯების მხოლოდ საერთო ლიმიტს.

გადასახადები განსაზღვრავენ სახელმწიფო საქმიანობის მასშტაბებს. როდესაც ყველა ამომრჩეველი ერთნაირ გადასახადს იხდის და საშუალო ხარჯების სიდიდე (AC) მუდმივია, მაშინ ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღება იწვევს წმინდა საზოგადოებრივი დოვლათის გამოშვების ეფექტიან მოცულობას. მაშინ ყოველი  $\sum MB = MC$ , როდესაც  $AC = MC$ ,

$$t = \frac{AC}{N} = \frac{MC}{N} = \frac{\sum MB}{N}, \quad (2.4)$$

სადაც  $N$  - ამომრჩეველთა რიცხვია,  $\frac{\sum MB}{N}$  - საშუალო ამომრჩევლის ზღვრული სარგებლიანობა. ხოლო თვით „საშუალო ამომრჩევლის“ იდენტიფიცირების პრობლემაზე მომდევნო ლექციებში ვიმსჯელებთ.

## 2.8. არასახელმწიფოებრივი მდგომარეობა. ანარქიული მდგომარეობის პრობლემები და სახელმწიფოს ფორმირების ისტორიული ტენდენცია

სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი დოვლათის წარმოების ეფექტიანობაში შეფარდებითი უპირატესობის არსებობიდან უშუალოდ არ გამომდინარეობს მისი წარმოშობის აუცილებლობა. არა ყოველი ეფექტიანი საზოგადოებრივი ინსტიტუტია სიცოცხლისუნარიანი. სახელმწიფო ძალაუფლების გენეზისის პროცესის ახსნისთვის საჭიროა მივმართოთ იმ ინდივიდების მიზნობრივ ფუნქციას, რომლებიც შეადგენენ ამ ძალაუფლების საფუძველს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი აინტერესებდა მრავალ ადამიანს ჯერ კიდევ ეკონომიკური მეცნიერების გაჩენამდე. საზოგადოების

„ბუნებრივი მდგომარეობა“ ეს მდგომარეობაა, რომელსაც თანამედროვე მეცნიერები „ანარქიას“ უწოდებენ; ჰობსის და რუსოს მიხედვით, „ბუნებრივი მდგომარეობა“ ვარაუდობს მასში მყოფ ინდივიდებს შორის რაიმე დადებითი თანამშრომლობის ფაქტობრივად სრულ არარსებობას. ამიტომ საკუთრების უფლებები და ცივილიზაციის სხვა ატრიბუტები არ არსებობს. თუმცა, როგორც ბიოლოგების და ანთროპოლოგების გამოკვლევებმა აჩვენა, ამგვარ „ბუნებრივ მდგომარეობაში“ არასოდეს იმყოფებოდნენ (და არც შეეძლოთ ყოფილიყვნენ) არა მარტო ადამიანები, არამედ უმაღლესი პრიმატებიც კი.

ჰობსის და რუსოს „ბუნებრივი მდგომარეობა“ წარმოადგენს ქიმერას, რომელიც არასოდეს არსებობდა სინამდვილეში. თანამედროვე გაგებით, საზოგადოების ანარქიული მდგომარეობა - ეს არის სისტემა, რომელშიც მონაწილეები იტაცებენ სხვების რესურსებს და იცავენ თავისას, ამ პროცესის „ზემოდან“ რეგულირების არარსებობის პირობებში. ანარქია - „ეს არის არა ქაოსი, არამედ სპონტანური წესრიგი“ (ჯეკ ჰირშლეიფერი). ამგვარი გაგება ახლოსაა ჯონ ლოკის „ბუნებრივი მდგომარეობის“ გაგებასთან: ლოკისეულ „ბუნებრივ მდგომარეობაში“ არსებობს ისეთი ინსტიტუტები, როგორცაა - ოჯახი, ეკლესია, საკუთრება და ა.შ. არ არის მხოლოდ სახელმწიფო ძალაუფლების ინსტიტუტი. ჰირშლეიფერი და სხვა თანამედროვე მკვლევარები ანარქიას განიხილავენ როგორც ფენომენს, რომელიც აღწერს არა განკერძოებულ ინდივიდთა, არამედ მათი ჯგუფების ურთიერთქმედებას და აბსტრაგირებას ახდენს ამ ჯგუფების შიგნით ინდივიდთა ურთიერთქმედების მექანიზმებისგან. ამგვარი მიდგომით, ანარქიული ურთიერთქმედების კატეგორიის დახმარებით შეიძლება აღიწეროს არა მარტო პირველყოფილი ტომების ურთიერთობა, არამედ, მაგალითად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა საერთაშორისო ბრძოლა მსოფლიო რესურსების კონტროლისთვის, ან ნებისმიერი ომი დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის.

ეკონომიკის ისტორიაში არსებობს ასეთი საზოგადოების მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი არსებობის მრავალი მაგალითი. გლაკმანის აზრით, რომელიც იკვლევდა ნუერების ტომის ცხოვრებას, ასეთი საზოგადოების მყარი არსებობის მთავარი მიზეზი მიყენებული ზიანისთვის შურისძიების ინსტიტუტის არსებობაა. სწორედ ამგვარად, დღემდე შენარჩუნებულია ზოგიერთ ევროპულ თანასაზოგადოებაში ვენდეტის ინსტიტუტი, რომელიც გულისხმობს, რომ ყველა სისხლით ნათესავი ატარებს

კოლექტიურ პასუხისმგებლობას ჯგუფის თითოეული წევრისთვის. სხვა მნიშვნელოვან ინსტიტუტად, რომელიც ინარჩუნებდა წონასწორობას არასახელმწიფოებრივ საზოგადოებაში, გლაკმანი ასახელებს კომპენსაციის ინსტიტუტს: შურისძიების თავიდან აცილების მექანიზმი მატერიალური კომპენსაციის დახმარებით. ეს ორივე ინსტიტუტი ასრულებდა პოტენციური დამრღვევის შემაკავებლის როლს და ამგვარად ამცირებდა საკუთრების უფლებების უზრუნველყოფის ხარჯებს.

**რიჩარდ პოზნერი (შიმშილისგან ურთიერთდაზღვევის ინსტიტუტის როლი არასახელმწიფოებრივ საზოგადოებაში):** პოზნერის თეორიაში ინდივიდთა მათავარი ეკონომიკური მოტივია არა ინდივიდუალური შემოსავლის მაქსიმიზაცია, არამედ გადარჩენა, რომლის უზრუნველყოფა უფრო ადვილია მთელი ჯგუფის მიერ, ვიდრე მარტო. ურთიერთდაზღვევის ინსტიტუტები, რომელიც მოიცავდა მოსავლის ნამეტის განაწილებას ჯგუფის შიგნით, საჩუქრების მიცემას, საქორწინო და ნათესაური წესები და სხვ. ინსტიტუტები ხელს უწყობდა სიმდიდრის შედარებით გამოთანაბრებას წევრებს შორის.

**ჯონ ამბეკი (საკუთრების უფლებების ფორმირების და დაცვის მექანიზმები კალიფორნიაში „ოქროს ციებცხელების“ დროს):** ჯ. ამბეკის მიხედვით, არასახელმწიფოებრივი საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის აუცილებელი პირობაა ძალმომრეობის პოტენციალის შედარებით თანაბარი განაწილება საზოგადოებაში. ადამიანები ანაწილებენ თავიანთ ძალისხმევას თავის მონაკვეთზე ოქროს მოპოვებასა და ძალმომრეობას შორის, რომელიც მიწის ნაკვეთიდან სხვა პირების გამოძევების ფორმას იღებს. ძალისხმევიდან უკუგება, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში მცირდება. ამიტომ თითოეული ეცდება ორივე ტიპის ძალისხმევის ზღვრული პროდუქტის გათანაბრებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინდივიდი, რომელიც ფლობს შეფარდებით უპირატესობას ძალმომრეობის განხორციელებაში, სხვა თანაბარ პირობებში, სხვებთან შედარებით მეტ მიწის ნაკვეთს მოიპოვებს. თუ მოვხსნით ძალმომრეობის პოტენციალის მეტ-ნაკლებად თანაბარი განაწილების წანამძღვარს, იზრდება ისეთი ინდივიდის ან ჯგუფის გაჩენის ალბათობა, რომელიც ხელსაყრელად ჩათვლის ყველა ნაკვეთის მიტაცებას. შემდეგ, თუ ვივარაუდებთ, რომ ძალმომრეობის პოტენციალი, სხვა თანაბარ პირობებში, ნაწილდება

საზოგადოების წევრების სიმდიდრის პროპორციულად, ამბეკის და პოზნერის დასკვნები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

რატომ არის სპონტანური ეკონომიკური წესრიგი არასიცოცხლისუნარიანი გრძელვადიან ასპექტში? ეს კითხვა უფრო საინტერესოა, ვიდრე ამგვარი წესრიგის თვითშენარჩუნების მექანიზმის საკითხი.

**ჯეკ ჰირშლეიფერის ანარქიის თეორია:** ჯ. ჰირშლეიფერის აზრით, ანარქიული სტრუქტურის მყარი არსებობისთვის აუცილებელია, რომ: 1) „შეუპოვრობის პარამეტრი“ ( $m$ ), რომელიც ასახავს თავდასხმითი ძალისხმევის ეფექტიანობას, თავდაცვით ძალისხმევასთან შედარებით, არ იყოს 1-ზე მეტი („შეუპოვრობის პარამეტრი  $< 1$ , ანუ ძალმომრეობის პოტენციალის თანაბარი განაწილება); 2) კონკურენტების შემოსავლების დონე არ უნდა იყოს მინიმალურ მნიშვნელობაზე ნაკლები (გადარჩენის ზღვარზე მყოფი ინდივიდების ან ჯგუფების არარსებობა); 3) ინდივიდების ან ჯგუფების რიცხვის ზრდა ანარქიულ სტრუქტურაში ხელს უწყობს ამ სტრუქტურის წევრთა საშუალო შემოსავლის შემცირებას და ზრდის იმის ალბათობას, რომ მათი ნაწილის შემოსავლები მინიმალურად დასაშვებ მნიშვნელობაზე ნაკლები იქნება (საზოგადოების მყარი შემადგენლობა).

თუ ანარქიული სისტემა, ჩამოთვლილი პარამეტრების გავლენით, გამოვა წონასწორობიდან და გადაიქცევა, მაგალითად, იერარქიულ სისტემად, მაშინ, თუ ახალი ცვლილება პარამეტრებში თავსებადი იქნება ანარქიის როგორც სპონტანური წესრიგის არსებობასთან, ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი წესრიგი რეალიზებული იქნება. ადგილი აქვს ე.წ. „ხრუტუნას ეფექტს“: თუ, მაგალითად, დროის რაღაც მომენტში  $m$  პარამეტრი აღმოჩნდება 1-ზე მეტი, ეს გამოიწვევს ანარქიის დანგრევას და იერარქიის გაჩენას. თუ შემდგომში  $m$  პარამეტრი კვლავ შემცირდება ანარქიისთვის მისაღებ დონემდე, არსებული იერარქია აღარ დაინგრევა. ანუ სხვაგვარად: თუ პირობების დარღვევა იწვევს იერარქიული საზოგადოების წარმოშობას, არასახელმწიფოებრივ მდგომარეობაში დაბრუნება პრაქტიკულად შეუძლებელია.

**ლიტერატურა:**

- Barzel, Y.** A Theory of the State. Cambridge University Press, 2002.
- Bush, Winston C.,** Individual Welfare in Anarchy, in G. Tullock, ed., *Explorations in the Theory of Anarchy*, Blacksburg: Center for the Study of Public Choice, 1972, 5–18.
- Drazen A.** Political Economy in Macroeconomics. Princeton University Press, 2000, Ch. 1, 2, pp. 3-59.
- Johnson D.** Public Choice. An Introduction to the New Political Economy. Bristlecone Books, 1991, Ch. 1, 2. pp. 1-52.
- McNutt P. A.** The Economics of Public Choice, 2nd ed. Edward Elgar, 2002, ch. 1, pp. 1-20..
- Persson T., Tabellini G.,** Political economics. Explaining Economic Policy, MIT Press, 2000. Ch. 1, pp. 1-14.
- Ванберг В.** «Теория порядка» и конституционная экономика//Вопросы экономики. 1995. №12. С. 86-95.
- Вебер М.** Политика как призвание и профессия // Вебер М. Избранные произведения. М.: Прогресс, 1990. С. 644-706.
- Дюркгейм Э.** Разделение общественного труда. М.: Канон. 1996.
- Коуз Р.** Маяк в экономической теории // Коуз Р. Фирма, рынок и право. М.: Дело, 1993. С. 169-192.
- Институциональная экономика: Новая институциональная экономическая теория.** Под ред. А. А. Аузана. М., 2007.
- Лаффон Ж.–Ж.** Стимулы и политэкономия. М., 2008.
- Мюллер Д.** Общественный выбор III. М., 2007. С. 15–86.
- Нуреев Р. М.** Теория общественного выбора. М.: Издательский дом ГУ- ВШЭ, 2005, гл. 2, 3.
- Стиглиц Дж.** Экономика государственного сектора. М, 1997, Гл. 5. с. 120-143.

### თემა 3. პირდაპირი დემოკრატიის ეკონომიკური ანალიზი: ერთსულოვნების წესი და უმრავლესობის წესი

საზოგადოებრივი არჩევანი წარმოადგენს საზოგადოებრივი საქონლის წარმოებისა და განაწილების გამო გადაწყვეტილებათა არასაბაზრო მიღების პროცესების ერთობლიობას, რომელიც ხორციელდება პოლიტიკური ინსტიტუტების სიტემის მეშვეობით. თუ ბაზარი ავლენს ინდივიდუალურ უპირატესობათა მექანიზმებს კერძო საქონლის წარმოების მიმართ, სახელმწიფო წარმოადგენს ბაზრის ანალოგს და გამოავლენს ინდივიდთა უპირატესობებს საზოგადოებრივი საქონლის წარმოებასთან დაკავშირებით. უპირატესობები განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, ხმის მიცემის მეშვეობით. ხმის მიცემა - ეს არის ინდივიდუალურ უპირატესობათა გათვალისწინების თავისებური ფორმა, რომელთა შესაბამისადაც ხორციელდება ამ პროცესის მონაწილეთა ნება-სურვილის გამომჟღავნება.

ხმის მიცემის წესის შესწავლას დავიწყებთ პირდაპირი დემოკრატიის მახასიათებლებით (რომელიც თანამედროვე წარმომადგენლობითი დემოკრატიის საფუძველია), კერძოდ, მისი ყველაზე ელემენტარული ფორმებით - ერთსულოვნების წესით და უმრავლესობის წესით. ჩვენთვის საინტერესოა იგივე საკითხები, რაც დგას ფასწარმოქმნის პროცესის შემსწავლელი ეკონომისტების წინაშე: არსებობს თუ არა წონასწორობა ამ თავისებურ ბაზარზე? არის თუ არა ის ერთადერთი და სტაბილური? ხელს უწყობს თუ არა პარეტო-ეფექტიანობის მიღწევას? თუ ხელს უწყობს - როგორ, ხოლო თუ არა - რატომ?

#### 3.1. პირდაპირი დემოკრატია. ერთსულოვნების წესი

**პირდაპირი დემოკრატია (direct democracy)** - ეს არის პოლიტიკური სისტემა, რომლის დროსაც თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს პირადად გამოთქვას თავისი მოსაზრება და ხმა მისცეს ნებისმიერ კონკრეტულ საკითხს. პირდაპირი დემოკრატია შენარჩუნებულია თანამედროვე სამყაროშიც. ის ტიპურია საწარმოს შრომითი კოლექტივის, კლუბების და შემოქმედებითი კავშირების მუშაობისთვის. ქვეყნის

მასშტაბით, ეს არის - პარლამენტის დეპუტატების ან პრეზიდენტის არჩევა, რეფერენდუმის ჩატარება. ამ დროს პირველხარისხიანი ყურადღება ექცევა **გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურას ანუ რეგლამენტს**. რეგლამენტმა უნდა გამოავლინოს და გაითვალისწინოს ინდივიდუალური უპირატესობანი ხმის მიცემის პროცესში. იმაზე, თუ როგორია ხმის მიცემის დროს გადაწყვეტილებათა მიღების პრინციპი (ერთხმად, მარტივი უმრავლესობით და ა.შ.), ხშირად დამოკიდებულია შედეგი. ახალ პოლიტიკურ ეკონომიას აინტერესებს კონსტიტუციური არჩევანი - რეგლამენტის წესები. სწორედ ეს წესები განაპირობებს დემოკრატიის განვითარებას. ჯ. ბიუქენენის და მისი მომხრეების აზრით, კონსტიტუციურ რეგლამენტს შეუძლია დემოკრატიული წყობილება უფრო ეფექტიანი და ქმედითი გახადოს.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურა ყოველთვის ვერ უწყობს ხელს პარეტო-გაუმჯობესებას და პარეტო-ოპტიმალური მდგომარეობის მიღწევას. პარეტო-ოპტიმალურობის მკაცრ მოთხოვნებს პასუხობს მხოლოდ ერთი ფორმა - გადაწყვეტილებათა ერთხმად მიღების

**ერთსულოვნების წესი (unanimity rule)** - ხმის მიცემის წესი, როდესაც გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მხარს დაუჭირებს ყველა მონაწილე. ამით გათვალისწინებული იქნება საზოგადოების ყველა წევრის უპირატესობანი და არც ერთი მოსაზრება არ იქნება იგნორირებული. ისეთი გადაწყვეტილების არჩევა, რომელიც ყველას აწყობს, საჭიროებს დროს, ფულს, კომპრომისების ძიებას. ამგვარი გადაწყვეტის მიღწევა საკმაოდ რთულია, ვინაიდან ინდივიდთა უპირატესობანი, როგორც წესი, ერთმანეთისგან განსხვავდება. გარდა ამისა, ხმის მიცემის ამგვარი პროცედურის დროს თითოეული მონაწილე ფაქტობრივად ფლობს ვეტოს უფლებას.

განვიხილოთ, როგორ წყდება საზოგადოებრივი დოვლათის ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრის პრობლემა ერთსულოვნების წესის დაცვის დროს.

ერთ-ერთი პირველი, ვინც შეეცადა დაეკავშირებინა კოლექტიური მოქმედების მოსალოდნელი სარგებლიანობა და ერთსულოვნების წესი, იყო კნუტ ვიკსელი (Wicksell K. A New Principle of Just Taxation. Jena: Finanztheoretisch Untersuchungen, 1896. ხელახალი

გამოცემა: Classics in the Theory of Public Finance / Ed. By: R. Musgrave, Peacock. N.Y.: St. Martin's Press, 1967. P. 72-118).

მისი იდეა ორმხრივი კრიტიკის საგანი გახდა. კრიტიკის პირველი მიმართულება უკავშირდებოდა დაბეგვრის პარეტო-ოპტიმალური ინდივიდუალური განაკვეთის განსაზღვრის მცდელობას, ე.ი. კონტრაქტების მრუდზე - „საზოგადოებრივი დოვლათი - გადასახადები“ - ისეთი წერტილის განსაზღვრას, რომელიც აწყობდა გადაწყვეტილების მიმღებ ყველა მონაწილეს. მეორე მიმართულება ერთსულოვნების წესს აკრიტიკებდა იმის გამო, რომ იგი იძლევა მოლაპარაკების პროცესის მონაწილეთა სტრატეგიული ქცევის შესაძლებლობას, ვინაიდან თითოეულს შეუძლია გამოიყენოს ვეტოს უფლება. ამ უფლების გამოყენება მოლაპარაკების პროცესის ცალკეულ მონაწილეს სხვათა ხარჯზე უპირატესობის მოპოვების საშუალებას აძლევს. ამიტომ ამ სფეროში კვლევები მიმართული იყო, პირველ რიგში, იმის დადგენისკენ, ხომ არ იწვევს სტრატეგიული ვაჭრობა რ. ქოუზის მიერ აღწერილ გარე ეფექტებს და პარეტო-ოპტიმალური მდგომარეობისგან დაშორებას. პრაქტიკულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ, სხვა თანაბარ პირობებში, ეფექტიანობა იზრდება ჯგუფის რიცხოვნობის ზრდასთან ერთად. თვით მონაწილეთა მცირე რაოდენობის ექსპერიმენტებშიც ხშირად შეინიშნება მოძრაობა ლინდალის წონასწორობისკენ და სტრატეგიულ ქცევასთან დაკავშირებული დამახინჯებები შეიძლება არ არსებობდეს (Smith, 1977, 1980).

### 3.2. ვერნონ სმიტის აუქციონის მექანიზმი

პროცედურების უმრავლესობა ამომრჩევლისგან მოითხოვს ორი პარამეტრიდან ერთ-ერთის არჩევას: ან გადასახადის გადახდისთვის მზადყოფნა, ან საზოგადოებრივი დოვლათის სასურველი რაოდენობა. 1977წ. ვერნონ სმიტის მიერ შემოთავაზებული აუქციონის მექანიზმი გულისხმობს ორივე პარამეტრის მიხედვით ერთდროულ არჩევანს.

თითოეული ინდივიდი  $I$  აცხადებს საზოგადოებრივი საქონლის სასურველ წილსაც და საგადასახადო ფასსაც, რომელსაც გაიღებს მისი მიწოდების ხარჯების დასაფარავად.  $I$ -ს მიერ რეალურად გადახდილი საგადასახადო ფასი, წარმოადგენს სხვაობას საზოგადოებრივი საქონლის ფასსა და დანარჩენ  $n-1$  ამომრჩეველთა აგრეგირებულ მოთხოვნას შორის ( $B_i$ ). ამგვარად:



$$t_i G = (c - B_i) G, \quad (3-1)$$

სადაც  $G_i$  - არის საქონლის მიწოდების ხარჯები,  $c$  - საზოგადოებრივი საქონლის ფასი,  $t$  - გადასახადი,

$$B_i = \sum_{j \neq i} b_{ij}, \quad G = \sum_{k=1}^n G_k / n. \quad (3-2)$$

აუქციონის პროცედურით ხორციელდება საზოგადოებრივი საქონლის რაოდენობის შერჩევა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩევლის თითოეული მოთხოვნა საზოგადოებრივ საქონელზე დადასტურებულია გადასახადის გადახდისთვის შესაბამისი მზადყოფნით. ხოლო მიწოდება და მოთხოვნა ამ საქონელზე უდრის საშუალოს:  $b_i = t_i$  და  $G_i = G$ , ყველა  $i$ -თვის.

პროცედურის ყოველი იტერაციის შემდეგ ამომრჩევლებს ეცნობებათ საგადასახადო ფასი და საზოგადოებრივი საქონლის საბოლოო რაოდენობა. თუ ამომრჩევლის მოთხოვნა არ შეესაბამება საგადასახადო ფასს, მას შეუძლია თავისი მოთხოვნის კორექტირება რაოდენობის ან ფასის მიხედვით, რათა მიუახლოვდეს წონასწორულ მდგომარეობას. პროცედურა მთავრდება, როდესაც ყველა ამომრჩეველი (ერთმანეთისგან დამოუკიდებლად) შეთანხმდება გადასახადის დონეზე და დოვლათის მიწოდების მოცულობაზე.

თუ მოცემული პირობები სრულდება, ამომრჩეველთა სარგებლიანობა შეიძლება ჩავწეროთ შემდეგნაირად:

$$V_i = U_i(G) - t_i G, \quad (3-3)$$

სადაც სარგებლიანობა მოხმარებიდან ( $G$ ) გამოსახულია ფულად ერთეულებში.  $G$ -ს მაქსიმიზირებით ვიღებთ საზოგადოებრივი საქონლის ოპტიმალური რაოდენობის მიწოდების პირობას:

$$\begin{aligned} dV_i/dG_i &= U'_i/n - t_i/n \\ U'_i &= t_i. \end{aligned} \quad (3-4)$$

თითოეული ამომრჩეველი ერთმანეთს უტოლებს საზოგადოებრივი დოვლათის თავის ზღვრულ სარგებლიანობას და მის საგადასახადო ფასს. თუ შევკრებთ ყველა ამომრჩევლის

მიხედვით, მივიღებთ:

$$\sum_{i=1}^n U'_i = \sum_{i=1}^n t_i = \sum_{i=1}^n (C - B_i) = c. \quad (3-5)$$


მაგრამ ერთსულოვნების წესს აქვს არა მარტო უპირატესობები, არამედ არსებითი ნაკლოვანებანიც, რაც დაკავშირებულია ვეტოს უფლებასთან, რომელსაც ფლობს არჩევნებში თითოეული მონაწილე.

### 3.3. უმრავლესობის წესი: პოზიტიური მიდგომა

#### ოპტიმალური უმრავლესობა

ერთსულოვნების წესთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების დანახარჯების შესამცირებლად იყენებენ უფრო მარტივ პროცედურებს, მაგალითად, უმრავლესობის წესს. ჯეიმს ბიუკენენმა და გორდონ ტალოკმა შემოგვთავაზეს საკმაოდ მარტივი მოდელი, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ განისაზღვრება ოპტიმალური უმრავლესობა (იხ.: ნახ. 3.1).

ორდინატა ღერძზე აღვნიშნოთ გადაწყვეტილების მიღების მოსალოდნელი დანახარჯები, ხოლო აბსცისათა ღერძზე - ინდივიდთა რაოდენობა, რომელთა თანხმობაც აუცილებელია კოლექტიური მოქმედების განხორციელებისათვის. მაშინ დანახარჯები, რომელსაც გაიღებს კოლექტივი გადაწყვეტილების მიღებისას, შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: შიდა და გარე ხარჯებად.



**ნახ. 3.1. ოპტიმალური უმრავლესობა (ჯ. ბიუკენენის და გ. ტალოკის მიხედვით)**

წყარო: Бьюкенен Дж., Таллок Г. Расчет согласия. Логические основания конституционной демократии // Бьюкенен Дж. Сочинения. С. 99-105.

დავუშვათ, ფუნქცია  $D$  ასახავს შიდა ხარჯებს (სარგებლიანობის დონეების გადახრა იმ მნიშვნელობებიდან, რომლებიც შეიძლება მიღწეული ყოფილიყო გადაწყვეტილების ერთხმად მიღებისას). გადაწყვეტილების მიღების დანახარჯების ფუნქცია იქნება:  $D_i = f(N_a)$ , სადაც  $D_i$  - არის მიმდინარე ხარჯები, რომელსაც  $i$ -ური ინდივიდი ელოდება გაიღოს რაიმე სახის საქმიანობის შესახებ კოლექტიურ გადაწყვეტილებებში მონაწილეობის შედეგად. თუ ერთი გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭიროა ორი ან მეტი ინდივიდის თანხმობა, მაშინ ამგვარი თანხმობის მისაღწევად აუცილებელია დრო და ძალისხმევა. დანახარჯები იზრდება გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ჯგუფის ზომების ზრდასთან ერთად. რაც უფრო მეტი ადამიანი იქნება ჯგუფში, მით მეტი იქნება ხარჯები, რადგან საჭიროა დამატებითი დრო ყველას ინტერესების შესათანხმებლად. ერთსულოვნებასთან მიახლოებასთან ერთად ხდება გადაწყვეტილების მიღების მოსალოდნელი ხარჯების მკვეთრი ზრდა.

გარე ხარჯების ფუნქცია - ეს არის  $C_i = f(N_a)$  ტიპის ფუნქცია, სადაც  $N_a$  - არის ინდივიდთა რიცხვი ( $N$  რიცხოვნობის ჯგუფიდან), რომლებიც უნდა შეთანხმდნენ

იმისათვის, რომ მიღებულ იქნეს კოლექტიური მოქმედებების გადაწყვეტილება. მართლაც, იმისათვის, რომ განხორციელდეს კოლექტიური მოქმედება, ინდივიდმა უნდა დახარჯოს რაღაც დრო და ძალისხმევა კოლექტიური გადაწყვეტილების შემუშავებისთვის და ჯგუფის წევრებთან შეთანხმების მიღწევისთვის. იმ ინდივიდთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, ვისი თანხმობაც აუცილებელია, მოსალოდნელი გარე ხარჯები მცირდება. ერთსულოვნების წესის შემთხვევაში, ინდივიდის მოსალოდნელი ხარჯები ნულის ტოლი უნდა იყოს, რამდენადაც იგი ნებაყოფლობით არ დაუშვებს, რომ სხვათა მოქმედებებმა განაპირობოს მისი გარე ხარჯები (თუკი მას ამის აღკვეთა შეუძლია). ამიტომ C მრუდი გვიჩვენებს გარე ხარჯებს, რომელიც მცირდება N-თან მიახლოებასთან ერთად, ე.ი. სარგებლიანობის მოსალოდნელი დანაკარგები ისეთი გადაწყვეტილებისას, რომელიც აუარესებს ჯგუფის წევრთა ნაწილის მდგომარეობას.

რაციონალური ინდივიდი კონსტიტუციური არჩევანის მომენტში შეეცდება აირჩიოს გადაწყვეტილების მიღების ისეთი წესი, რომელიც მას მის მიღებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი ხარჯების მიმდინარე ღირებულების მინიმუმირების საშუალებას მისცემს. ამის მიღწევა მას შეუძლია მოსალოდნელი გარე და შიდა ხარჯების ჯამის მინიმუმირების გზით. გეომეტრიულად ეს ნიშნავს ორივე ფუნქციის ვერტიკალურ შეკრებას. მაშინ ჯამური ხარჯები ტოლი იქნება  $C + D$ . იგი აღწევს მინიმუმს, როდესაც გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა  $K$  ხმა. ოპტიმალური უმრავლესობა განისაზღვრება ხმის მიცემის მონაწილეთა იმ რაოდენობით, რომლის დროსაც ორივე სახის ხარჯების ჯამი მინიმალურია და უდრის  $K/N$ . ბუნებრივია, ადამიანთა ყოველ ჯგუფს, რომლებიც ხმას აძლევენ კონკრეტულ საკითხს, საკუთარი ოპტიმალური უმრავლესობა ექნება. თუ ჯგუფის წევრთა მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ გარე ხარჯები შედარებით მცირე იქნება. ამიტომ მარტივი უმრავლესობის წესი ოპტიმალურია ჯგუფისთვის, რომელსაც დროის ალტერნატიული დანახარჯები შედარებით დიდი აქვს. თუ ჯგუფის წევრთა უპირატესობები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან, იზრდება პოტენციური დანაკარგები, რომელიც წარმოიშობა მოლაპარაკების პროცესის მონაწილეთა მოსაზრებების იგნორირების შემთხვევაში. მარტივი უმრავლესობა მიიღწევა იმ სიტუაციაში, როდესაც საჭიროა  $(N/2)+1$  თანხმობა, ანუ ხმების 50% პლუს ერთი ხმა.

თუ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ხმების 50%-ზე ნაკლები, არსებობს ორი

ურთიერთგამომრიცხავი ვარიანტისთვის ერთდროული (ან თანმიმდევრული) ხმის მიცემის საფრთხე. ეს ძლიერ აჭიანურებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას. დავუშვათ, დღეს იკრიბება დეპუტატების ერთი შემადგენლობა და ის იღებს გადაწყვეტილებას, მოიწონოს პროექტი, ხოლო ხვალ - სხვა, და ხმას აძლევს პროექტის წინააღმდეგ.

განვიხილოთ მარტივი მაგალითი. არსებობს ამომრჩეველთა სხვადასხვა რიცხოვნობის ოთხი ჯგუფი: პირველი ჯგუფი - 4 ამომრჩეველი, მეორე - 6, მესამე - 7, მეოთხე - 8. დავუშვათ, რომ არის სულ 4 კანდიდატი: გიორგი (A), ირაკლი (B), დავითი (C), ზურაბი (D). თითოეული ჯგუფის უპირატესობები მოცემულია ცხრილში 3.1.

**ცხრილი 3.1.**

**ხმების უბრალო უმრავლესობა**

I ჯგუფი (4 ამომრჩეველი)	II ჯგუფი (6 ამომრჩეველი)	III ჯგუფი (7 ამომრჩეველი)	IV ჯგუფი (8 ამომრჩეველი)
A	A	B	C
B	C	D	B
C	B	C	D
D	D	A	A

იმ შემთხვევაში, თუ მოქმედებს უბრალო უმრავლესობის წესი, არჩევნებში გაიმარჯვებს გიორგი (A). მას ხმას მისცემს ამომრჩეველთა 40% (პირველი და მეორე ჯგუფის ამომრჩეველები, ესე იგი, 10 ადამიანი 25-დან). მეორე ადგილს დაიკავებს დავითი (C), რომელსაც ხმას მისცემს 8 ამომრჩეველი (32%), მესამე ადგილს - ირაკლი (B) (28%), მეოთხეს - ზურაბი (D), რომელსაც ხმა არავინ მისცა.

შეფარდებითი უმრავლესობა შეიძლება წარმოშობილიყო მაშინ, თუ გვეყოლებოდა ამომრჩეველთა მხოლოდ სამი ჯგუფი (ამ შემთხვევაშიც გავიდოდა გიორგი (A), რომელსაც ხმას მისცემდა 10 ადამიანი 17-დან, ანუ 59%). ზოგჯერ გამოყოფენ კვალიფიციურ უმრავლესობას, რომელშიც, ჩვეულებრივ, იგულისხმება ხმების 2/3 ან 3/5. კვალიფიციური უმრავლესობის წესის თვალსაზრისით, ერთსულოვნება გამოდის როგორც

კვალიფიციური უმრავლესობის განსაკუთრებული შემთხვევა.

ჩვენს შემთხვევაში გაიმარჯვა გიორგიმ იმიტომ, რომ სისტემა არ ითვალისწინებდა უპირატესობათა ინტენსივობას. მით უმეტეს, რომ ამომრჩეველთა 60%-მა (მესამე და მეოთხე ჯგუფი) თავიანთ უპირატესობათა სისტემაში იგი უკანასკნელ ადგილზე დააყენა. ასეთი რამ ხშირად ხდება. მაგალითად, ამერიკის პრეზიდენტის არჩევნებში 1992 წელს ხმები შემდეგნაირად განაწილდა: უ. კლინტონი - 43,3%, დ. ბუში - 37,7%, რ. პერო - 19,0%. მარტივი უმრავლესობის შემთხვევაში, გამორიცხული არ არის, რომ მეორე ეტაპზე გაემარჯვა დ. ბუშს, რადგან ის იყო მეორე იმ ამომრჩეველთა 2/3-თვის, რომლებმაც ხმა მისცეს პეროს.

შეფარდებითი უმრავლესობის სისტემა გამოიყენება ერთი კანდიდატის არჩევისთვის, როგორც ეს არის აშშ-ში, კანადაში და რუსეთში, ან რამდენიმე კანდიდატის არჩევისთვის, როგორც იაპონიაში, ჩილესა და ტაივანში.

დავახასიათოთ უმრავლესობის წესი ჯერ პოზიტიური, შემდეგ ნორმატიული თვალსაზრისით. პოზიტიური ასპექტის განხილვისთვის გამოვიყენოთ მედიანური ამომრჩეველის მოდელი.

**სახალისო პოლიტიკური ეკონომია**

**როგორ ირჩევენ უცოდველებს**

რომის პაპის არჩევნები მსოფლიოში ხმის მიცემის უძველეს ინსტიტუტს მიეკუთვნება. პაპობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აჩვენებს არჩევნების პროცესის ყველა კაზუსს და მზაკვრობას. ჯერ ერთი, დიდი ხანია ცნობილია, რომ „რომის ეპისკოპოსს“ (ეს პაპის კიდევ ერთი ტიტულია) ძალიან ხშირად ირჩევდნენ მაღალი სულიერებისგან შორს მყოფი კრიტერიუმების მიხედვით. პაპობის კანდიდატები არცთუ იშვიათად ყიდულობდნენ ამომრჩეველ-კარდინალთა ხმებს. მათ მხარს უჭერდნენ იმპერატორები, მეფეები, ადგილობრივი ფეოდალები. მეორეც, თვით არჩევნების პროცესი ძალიან გაწელილია. ჩამოყალიბებული ტრადიციით, ახალი პაპის არჩევა ხდებოდა კვალიფიციური უმრავლესობის პრინციპით - ასზე მეტი კარდინალის ხმების 2/3-ით (მოგვიანებით - ხმების 2/3 პლუს ერთი ხმა). ამიტომ პროცედურა რამდენიმე კვირის და თვით თვეების განმავლობაშიც გრძელდებოდა.

XIII საუკუნეში მოხდა სრულიად განსაკუთრებული შემთხვევა, როდესაც კარდინალები ვერ შეთანხმდნენ ახალი პაპის არჩევაზე ორი წლის და ცხრა თვის განმავლობაში (1268 წლის ნოემბრიდან 1271 წლის სექტემბრამდე). მათმა ქცევამ რიგითი მორწმუნეების ისეთი აღშფოთება

გამოიწვია, რომ მათ ჩასვეს ამრჩევები ჩაკეტილ (ლათინურიდან: conclave გასაღებით დაკეტილი ოთახი) სასახლეში და გააფრთხილეს, რომ ჩაკეტილები იქნებოდნენ მანამდე, სანამ ახალ პაპს არ აირჩევდნენ. მაგრამ კარდინალები განაგრძობდნენ დავას. მაშინ იტალიური ქალაქის ვიტებროს (სადაც ტარდებოდა არჩევნები) მცხოვრებლებმა უკიდურეს ზომებს მიმართეს: მათ მოხადეს სასახლეს სახურავი და შესთავაზეს კარდინალებს მხოლოდ პურის და წყლის მენიუ. ვინაიდან ზამთარი იყო, შიმშილმა და სიცივემ მალე აიძულა კარდინალები შეთანხმებულიყვნენ და აერჩიათ ახალი პაპი - გრეგორი X.

რათა არ განმეორებულიყო „ვიტებროს ინციდენტი“, გრეგორი X-მ 1274 წელს გამოსცა განსაკუთრებული კანონი კონკლავის შესახებ, რომელიც მცირე ცვლილებებით დღემდე მოქმედებს. ამ კანონის თანახმად, არჩევნების დროს კარდინალებს სპეციალურ შენობაში კეტავენ. თუ სამი დღის განმავლობაში ისინი არ აირჩევენ პაპს, მათი კერძის რაოდენობა შემცირდება ერთამდე შემდგომი ხუთი დღის განმავლობაში. თუ ახალი პაპი ამ ვადის გასვლის შემდეგაც არ იქნება არჩეული, კარდინალები რჩებიან პურსა და წყალზე მანამდე, სანამ პაპის არჩევნები არ შედგება. სამაგიეროდ, ახლანდელი ამომრჩევლები დარწმუნებულნი არიან, რომ არ დარჩებიან თავზე ჭერის გარეშე: XV საუკუნეში პაპ კალიქსტე III-ის განკარგულებით, არჩევნების ჩატარება დაიწყო ვატიკანის სასახლის მარცხენა ფრთაში, იქ, სადაც მდებარეობს მიქელანჯელოს მიერ მოხატული სიქსტეს კაპელა.

მესამე, არჩევნების პროცესი განუყოფლადაა დაკავშირებული კოალიციის ბრძოლასთან. ორასზე მეტი პაპის არჩევის ისტორია აჩვენებს, რომ საპარლამენტო თამაშის ბევრი ილეთი - მანევრები გაუთვალისწინებელი კოალიციების შესაქმნელად, ხრიკები, რასაც მოსდევს კანდიდატ-„სიურპრიზის“ არჩევა და ა. შ. - გამოგონილი იყო, სწორედ, კონკლავების კარს მიღმა. უცოდველთა არჩევნები (როგორც ცნობილია, კათოლიციზმის დოგმათაგან ერთ-ერთს წარმოადგენს თეზისი პაპის უცოდველობის შესახებ) როგორც ჩანს, უხვადაა გარეული ცოდვიან ვნებებში. მაგალითად, იმ შემთხვევებში, როდესაც კარდინალები დაჯგუფებებად არიან დაყოფილნი, არასოდეს აირჩევა პირი, რომელიც აშკარად მიეკუთვნება ერთ-ერთ მიმდინარეობას, არამედ გადის კომპრომისული კანდიდატი - „რუხი ცხენი“ - რომელიც აკმაყოფილებს მეტოქე დაჯგუფებებს. კერძოდ, სწორედ ასე იქნა არჩეული პაპი იოანე პავლე II: როდესაც კარდინალები მერყეობდნენ ორ იტალიელ კანდიდატს შორის (სწორედ იტალიელებმა მოახდინეს პაპის ტიტულის მონოპოლიზება უკანასკნელი 450 წლის განმავლობაში), მოულოდნელად წარმოიშვა ადრე არც ისე ცნობილი კარდინალის კაროლ ვოტილას კანდიდატურა და, სწორედ ის გახდა პირველი სლავი პაპი.


## უმრავლესობის წესი და გადანაწილება

თუ გადაწყვეტილება შეიძლება გავიდეს ერთსულოვანი თანხმობის გარეშე, განსხვავება ალოკაციურ ეფექტიანობასა და გადანაწილებას შორის არაცხადი ხდება. ზოგიერთი ინდივიდი გარდუვალად აღმოჩნდება უარეს მდგომარეობაში არჩეული (ვიდრე რომელიმე სხვა) გადაწყვეტილების გამო. არსებითად, ხდება გადანაწილება იმათგან, ვინც მოცემული გადაწყვეტილებით აღმოჩნდა უარეს მდგომარეობაში, იმათკენ, ვინც აღმოჩნდა უკეთეს მდგომარეობაში (ნახ. 3.2).

განვიხილოთ ნახაზი. ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ღერძებზე აღნიშნულია ამომრჩეველთა ორი ჯგუფის - მდიდრებისა და ღარიბების - სარგებლიანობები. იგულისხმება, რომ ორივე ჯგუფის ყველა წევრს უპირატესობათა ერთნაირი ფუნქცია აქვს. რაიმე საზოგადოებრივი დოვლათის მიწოდების არარსებობისას, თითოეული ჯგუფის რეპრეზენტატიული ინდივიდების მიერ მიღებული სარგებლიანობებია S და T. საწყისი მდგომარეობა (იწარმოება მხოლოდ კერძო დოვლათი) განისაზღვრება E წერტილით. ივარაუდება, რომ საზოგადოებრივი დოვლათის მიწოდებას შეუძლია გაზარდოს ორივე ინდივიდის სარგებლიანობა, ანუ, პარეტოს მიხედვით კეთილდღეობის გადანაწილება XYZW მრუდამდე. ნახაზზე YZ სეგმენტი შეესაბამება კონტრაქტების მრუდს CC' (ერთსულოვნების წესით განსაზღვრული შედეგი). იმისათვის, რომ ერთსულოვნების წესის დროს ინდივიდთა ორივე ჯგუფმა ხმა მისცეს საზოგადოებრივი დოვლათის მიწოდებას, მისი მიწოდებისას ორივე უკეთეს მდგომარეობაში უნდა აღმოჩნდეს. ამიტომ შედეგი უნდა იყოს საზოგადოებრივი დოვლათის და გადასახადების ისეთი კომბინაცია, რომლის დროსაც ორივე ჯგუფი დარჩება YZ სეგმენტზე. მაგრამ არ არის მოსალოდნელი, რომ უმრავლესობის წესის დროს შედეგი ამ სეგმენტში მოხვდება. მოსალოდნელია, რომ კოალიციის წევრებმა შეიძლება მიიღონ გადაწყვეტილება, რომელიც მათ სარგებელს გაზრდის კოალიციაში არშემავალი წევრების ხარჯზე. თუკი საზოგადოებაში მდიდრები უმრავლესობაა, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი ეცდებიან საზოგადოებრივი სიმდიდრის მიწოდება დაუკავშირონ საკმარისად რეგრესულ დაბეგვრას. ამის შედეგად, წერტილი გადაინაცვლებს XY სეგმენტში. თუ უმრავლესობაში ღარიბები არიან, მაშინ დაბეგვრა იქნებოდა საკმაოდ პროგრესული და შედეგის მახასიათებელი წერტილი



აღმოჩნდებოდა ZW სეგმენტში. ამრიგად, მიწოდებული საზოგადოებრივი დოვლათის მოცულობის, დაბეგვრის სტრუქტურის, ან ორივეს ერთად კორექტირების შესაძლებლობის არსებობისას, საბოლოო შედეგის წერტილი აღმოჩნდება YZ სეგმენტის გარეთ. თუ შესაძლებელია მიწოდების განუწყვეტლად პეეფორმულირება იმგვარად, რომ უმრავლესობამ სარგებლობა მიიღოს, უმრავლესობის სტაბილურ კოალიციას შეუძლია იმდენად შეავიწროვოს უმცირესობა პარეტოს შესაძლებლობათა საზღვრის გასწვრივ, რამდენადაც ამის საშუალებას სინდისი ან კონსტიტუცია იძლევა.



ნახ. 3.2. ერთსულოვნების წესის და მარტივი უმრავლესობის წესის შედეგები

ერთსულოვან თანხმობაზე დამყარებული გადაწყვეტილების ტრანსფორმაცია უბრალო უმრავლესობის წესით მიღებულ გადაწყვეტილებაში წააგავს რაიკერის მიერ აღწერილ სიტუაციას, რომლის დროსაც „დიდი“ კოალიციები ტრანსფორმირდება მინიმალურ მომგებიან კოალიციად. რაიკერი აკეთებს ორ მნიშვნელოვან დასკვნას: 1) გადაწყვეტილებები მიიღება უმრავლესობის წესის მიხედვით, 2) პოლიტიკა - ეს არის თამაში ნულოვანი ჯამით. ის ვარაუდობს, რომ ალოკაციური ეფექტიანობის (საზოგადოებრივი დოვლათის რაოდენობის) საკითხი თავისთავად ოპტიმალურად წყდება და პოლიტიკური პროცესი წყვეტს მხოლოდ შედეგების პარეტო-ეფექტიანი სიმრავლიდან არჩევის საკითხს. ამგვარად, რეიკერი რადიკალურ პოზიციას იკავებს და

აცხადებს, რომ პოლიტიკა შემოიფარგლება მხოლოდ გადანაწილების პროცესებით. (Riker, 1962, pp. 29-31).

გამარჯვებულებს შეუძლიათ, გააუმჯობესონ თავისი მდგომარეობა წაგებულთა რაოდენობის ზრდის ხარჯზე, სანამ ეს უკანასკნელნი წაგებულნი რჩებიან. უმრავლესობის წესის დროს ეს ნიშნავს, რომ წაგებული კოალიცია გაიზრდება მანამდე, სანამ თითქმის არ გაუტოლდება მოგებულ კოალიციას და მაშინ გადაწყვეტილება მიიღება უმნიშვნელო უმრავლესობის პირობებში.

### 3.4. მედიანური ამომრჩევლის მოდელი (ერთგანზომილებიანი შემთხვევა)


დავუშვათ, ქუჩის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს მისი გამწვანება. ხეების დარგვა ქუჩის გასწვრივ საზოგადოებრივი დოვლათია, რომლისთვისაც დამახასიათებელია არაკონკურენტულობა და მოხმარებიდან არაგამორიცხვადობა. დავუშვათ, ქუჩაზე დგას მხოლოდ სამი სახლი. ხეების დარგვა სარგებლობას მოუტანს ყველა ოჯახს, რომელიც ამ სახლებში ცხოვრობს. ერთი ხის შექმნა და დარგვა 60 ლარი ღირს. ეს ნიშნავს, რომ ზღვრული ხარჯები, მოცემულ შემთხვევაში, მუდმივია და უდრის 60 ლარს. თუ ეს ხარჯები თანაბრად განაწილდება ქუჩის ყველა მცხოვრებს შორის, მაშინ ყველა ოჯახმა უნდა გადაიხადოს 20 ლარი. მთლიანი სარგებლობა (TB) პირველი ხის დარგვიდან შეადგენს 180 ლარს, ორი ხის დარგვიდან - 340 ლარს, სამიდან - 480 ლარს და ა.შ. (ცხრ. 3.2).

### ცხრილი 3.2.

#### ხეების დარგვის მთლიანი და ზღვრული სარგებლიანობა (ლარებში)

ხეების რაოდენობა	მთლიანი სარგებლიანობა (TB)	ზღვრული სარგებლიანობა (MB)
1	180	180
2	340	160
3	480	140
4	600	120
5	700	100
6	780	80
7	840	60
8	880	40

თუ სარგებლიანობა და დანახარჯები თანაბრად ნაწილდება, მაშინ დარგული იქნება 7 ხე (ნახ. 3.3)



ნახ. 3.3. ქუჩის გამწვანება ხარჯებისა და სარგებლიანობის თანაბარი განაწილების პირობებში

განვიხილოთ ამ პრობლემის გადაწყვეტის სხვა ვარიანტები. მაგალითად, როდესაც ხარჯები თანაბრად ნაწილდება, ხოლო სარგებლიანობა - არა. პირველი ოჯახი იღებს მთლიანი სარგებლიანობის 50%-ს, მეორე ოჯახი - 30%-ს, მესამე - 20%-ს (ცხრ. 3.3.)


ცხრილი 3.3.

ინდივიდუალური ზღვრული სარგებლიანობის (ზღვრული ხარჯების) განაწილება ოჯახებს შორის

ხეების რაოდენობა	ინდივიდუალური ზღვრული სარგებლიანობა (ზღვრული ხარჯები)		
	პირველი ოჯახი (50%)	მეორე ოჯახი (30%)	მესამე ოჯახი (20%)
1	90	54	36
2	80	48	32
3	70	42	28
4	60	36	24
5	50	30	20
6	40	24	16
7	30	18	12

8	20	12	8
---	----	----	---

თუ გადაწყვეტილება მიიღება ხმების მარტივი უმრავლესობის წესით, მაშინ მეორე შემთხვევაში (სარგებლიანობის არათანაბარი განაწილების დროს) უფრო ნაკლები ხე იქნება დარგული, ვიდრე პირველში. მესამე ოჯახისთვის უკვე 6 ხის დარგვა წამგებიანი იქნება (ამ ოჯახის ზღვრული სარგებლიანობა მე-6 ხის დარგვიდან 16 ლარია, ხოლო ზღვრული ხარჯები - 20 ლარი). ხოლო მეშვიდე ხის დარგვის წინააღმდეგ ხმას მისცემს უკვე ორი ოჯახი: მეორე და მესამე (მათთვის ზღვრული სარგებლიანობა შეადგენს შესაბამისად, 18 და 12 ლარს). ამგვარად, თუ ხარჯები თანაბრად ნაწილდება, ხოლო სარგებლიანობა - არათანაბრად, ადგილი ექნება საზოგადოებრივი დოვლათის ნაკლწარმოებას ( $MB_1$  წრფე ნახ. 3.4-ზე).



ნახ. 3.4. ქუჩის გამწვანება ხარჯების და სარგებლიანობის არათანაბარი განაწილების პირობებში

ახლა განვიხილოთ საპირისპირო შემთხვევა: როდესაც სარგებლიანობა განაწილებულია თანაბრად, ხოლო ხარჯები - არათანაბრად. დავუშვათ, ცხრ. 3.3.-ში

მოცემულია არა ზღვრული სარგებლიანობა, არამედ ზღვრული ხარჯები: ზღვრული ხარჯების 50%-ს გაიღებს პირველი ოჯახი, 30%-ს - მეორე ოჯახი, 20%-ს - მესამე. ამ შემთხვევაში მეორე და მესამე ოჯახები ხმას მისცემენ 8 ხის დარგვას, რადგან ზღვრული სარგებლიანობა (20 ლარი) მათ ზღვრულ ხარჯებზე (შესაბამისად, 12 და 8 ლარი) მეტია, და წინააღმდეგი იქნება მხოლოდ მესამე ოჯახი .

ამგვარად, თუ მოგებები თანაბრად ნაწილდება, ხოლო ხარჯები - არათანაბრად, ადგილი ექნება საზოგადოებრივი დოვლათის ჭარბწარმოებას ( MB2 წრფე ნახ. 3.3 -ზე).

საყურადღებოა, რომ როგორც მეორე, ასევე მესამე შემთხვევაში გადაწყვეტი იყო მეორე ოჯახის ხმა, რომელსაც უკავია ადგილი ცენტრში. ასეთმა სიტუაციამ მედიანური ამომრჩევლის მოდელის სახელწოდება მიიღო.

მედიანური ამომრჩევლის მოდელი (median voter model) - ეს არის მოდელი, რომელიც ახასიათებს ტენდენციას, რომლის თანახმადაც გადაწყვეტილების მიღება პირდაპირი დემოკრატიის ფარგლებში ხდება ამომრჩეველი-ცენტრისტი ინტერესების შესაბამისად (ადამიანის, რომელსაც უკავია ადგილი მოცემული საზოგადოების ინტერესთა შუალის შუაში). საკითხის გადაწყვეტას ამომრჩეველი-ცენტრისტის პოზიციიდან თავისი პლუსები და მინუსები აქვს. ერთი მხრივ, ის აკავებს საზოგადოებას ცალმხრივი გადაწყვეტილებების მიღებისგან, უკიდურესობებისგან, მეორე მხრივ, იგი ყოველთვის არ იძლევა ოპტიმალური გადაწყვეტილების გარანტიას.

ჩვენი მარტივი მაგალითი აჩვენებს, რომ თვით პირდაპირი დემოკრატიის პირობებშიც, როდესაც გადაწყვეტილება მიიღება ხმების უმრავლესობით, შესაძლებელია არჩევანი ეკონომიკურად არაეფექტიანი შედეგის (მაგალითად, საზოგადოებრივი დოვლათის ნაკლწარმოების ან ჭარბწარმოების) სასარგებლოდ გაკეთდეს. ხმის მიცემის აღწერილი მექანიზმი არ იძლევა ცალკეული ინდივიდის სარგებლიანობების მთელი ერთობლიობის გათვალისწინების შესაძლებლობას. პირდაპირი დემოკრატიის დროს საზოგადოების ყველა გადაწყვეტილებას მედიანური ამომრჩევლის ინტერესებისადმი შესაბამისობის ტენდენცია აქვს, რაც ყოველთვის ეკონომიკურად მიზანშეწონილი არ არის.

მედიანური ამომრჩევლის მოდელი მნიშვნელოვანია წარმომადგენლობითი დემოკრატიისთვისაც, თუმცა, აქ პროცედურა უფრო რთულდება. მაგალითად, პრეზიდენტობის კანდიდატმა მიზნის მისაღწევად, მინიმუმ, ორჯერ უნდა მიმართოს

ამომრჩეველ-ცენტრისტს: ჯერ პარტიის შიგნით (პარტიიდან თავისი კანდიდატურის წარდგენისთვის), ხოლო შემდეგ - მთელ მოსახლეობაში. ამასთან, უმრავლესობის სიმპათიების დამსახურება მოითხოვს თავდაპირველ პროგრამაში მნიშვნელოვანი კორექტივების შეტანას და, ზოგჯერ, მის ფუნდამენტურ პრინციპებზე უარის თქმასაც კი.

### 3.5. ხმის მიცემის პარადოქსი და ციკლურობა

საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის მიმდევრებმა აჩვენეს, რომ ხმის მიცემის შედეგებზე მთლიანად დაყრდნობა არ შეიძლება, ვინაიდან იგი დამოკიდებულია გადაწყვეტილების მიღების კონკრეტულ რეგლამენტზე. ხმის მიცემის დემოკრატიული პროცედურა საკანონმდებლო ორგანოებში ვერ აბრკოლებს ეკონომიკურად არაეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებასაც.

ამის ილუსტრირება შეიძლება მარტივი მაგალითით. დავუშვათ, რომელიმე საზოგადოება (ან არჩევითი ორგანო) შედგება სამი ადამიანისგან (A, B და C), რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან უპირატესობათა სისტემით. A ინდივიდი საზოგადოებრივი მიზნების რანჟირებას ახდენს შემდეგნაირად: 1 - ინფლაციასთან ბრძოლა, 2 - დასაქმების პოლიტიკა, 3 - ეროვნული თავდაცვა. მეორე ადამიანი (B) პირველ ადგილზე აყენებს დასაქმებას, მეორეზე - ეროვნულ თავდაცვას, მესამეზე - ინფლაციასთან ბრძოლას. მესამის (C) უპირატესობები ასეთია: 1- ეროვნული თავდაცვა, 2 - ინფლაციასთან ბრძოლა, 3 - დასაქმების პოლიტიკა (იხ. ცხრ.: 3.4.). ანუ, ზოგადად, A-თვის:  $X > Y > Z$ , B-თვის:  $Y > Z > X$ , C -თვის:  $Z > X > Y$ . ასეთ ნაკრებს, რომელშიც აისახება ხმის მიცემის ყველა მონაწილის უპირატესობანი ყველა არსებული მიზნისადმი, უპირატესობათა პროფილი ეწოდება.

ცხრილი 3.4.

საზოგადოებრივი მიზნები და უპირატესობები

საზოგადოებრივი მიზნები	უპირატესობები		
	A	B	C
ინფლაციასთან ბრძოლა	1	3	2
დასაქმების პოლიტიკა	2	1	3
ეროვნული თავდაცვა	3	2	1

ვინაიდან თოთოეულ პოლიტიკოსს განსხვავებული მიზნები აქვს, პირდაპირი კენჭისყრა საზოგადოებაში დომინირებად უპირატესობათა სისტემას ვერ გამოავლენს. ამ შემთხვევაში კენჭისყრაზე დაყენებული იქნება მიზანთა წყვილები.

ცხრ. 3.4.-დან ჩანს, რომ ამ საზოგადოებაში ინფლაციასთან ბრძოლა განიხილება როგორც მეტად უმჯობესი მიზანი, ვიდრე დასაქმების პოლიტიკა. ასეთი წინადადება გავა ორი ხმით (A- 1 უპირატესობა 2-ის წინააღმდეგ, და C – 2 უპირატესობა 3-ის წინააღმდეგ) ერთის წინააღმდეგ (B – მე-3-ე უპირატესობა 1-ის წინააღმდეგ). შესაბამისად, ორი ხმით გავა დასაქმების პოლიტიკაც თავდაცვასთან შედარებით. თუ უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს ინფლაციასთან ბრძოლას დასაქმების პოლიტიკასთან შედარებით, ხოლო დასაქმების პოლიტიკას - თავდაცვასთან შედარებით, მაშინ ლოგიკური იქნებოდა დასკვნა, რომ ინფლაციასთან ბრძოლა უპირატესი მიზანია ეროვნულ თავდაცვასთან შედარებით (ტრანზიტულობის თვისება). მაგრამ ხმის მიცემა საწინააღმდეგო შედეგს აჩვენებს (იხ. ცხრ. 3.4. და 3.5.).

ხმის მიცემის შედეგები

არჩევანი	გამარჯვებული
ინფლაციასთან ბრძოლა დასაქმების პოლიტიკის წინააღმდეგ	ინფლაციასთან ბრძოლა (A-ს და C-ს უპირატესობანი)
დასაქმების პოლიტიკა ეროვნული თავდაცვის წინააღმდეგ	დასაქმების პოლიტიკა (A-ს და B-ს უპირატესობანი)
ეროვნული თავდაცვა ინფლაციასთან ბრძოლის წინააღმდეგ	ეროვნული თავდაცვა (B-ს და C-ს უპირატესობანი)


ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებაში (არჩევით ორგანოში) არ არსებობს რაციონალური მიდგომა, ირღვევა უპირატესობათა ტრანზიტულობის პრინციპი. მსგავს სიტუაციას კონდორსემ ხმის მიცემის პარადოქსი უწოდა. **ხმის მიცემის პარადოქსი (Paradox of voting)** - ეს არის წინააღმდეგობა, რომელიც აღმოცენდება იმის შედეგად, რომ ხმის მიცემა უმრავლესობის პრინციპის საფუძველზე ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკური დოვლათის მიმართ საზოგადოების ნამდვილი უპირატესობების გამოვლენას.

წარმოიშობა ხმის მიცემის ციკლურობა, რომელიც აღმოჩენილ იქნა 1785 წელს მარკიზ დე კონდორსეს მიერ. ასი წლის წინ ეს პრობლემა კვლავ გაანალიზებულ იქნა დოჯსონის მიერ, ხოლო შემდგომი განვითარება ჰპოვა ბლეკის და კ. ეროუს ნაშრომებში. კონდორსემ აჩვენა, რომ უმრავლესობის წესი არ იძლევა გამარჯვებულის გამოვლენის საშუალებას, ვინაიდან ირღვევა უპირატესობათა ტრანზიტულობის პრინციპი. ხმის მიცემის პროცესი შეიძლება გაწყდეს ციკლის ნებისმიერ ეტაპზე, ამიტომ კოლექტიური არჩევანის შედეგი შეიძლება თვითნებური აღმოჩნდეს. ასეთი სიტუაცია იძლევა ხმის მიცემის შედეგზე ზეგავლენის ფართო შესაძლებლობას, განსაკუთრებით, იმათ მიერ, ვინც აკონტროლებს დღის წესრიგს (ხმის მიცემის რეგლამენტს). ამგვარად, კენჭისყრის შედეგი მანიპულირების ობიექტი ხდება.

რატომ წარმოიშობა ხმის მიცემის ციკლურობა? ამ კითხვაზე პასუხისთვის ჩვენი ამომრჩევლების უპირატესობები გრაფიკულად გამოვსახოთ (ნახ. 3.5.). აბსცისათა ღერძზე



აღვნიშნოთ საზოგადოებრივი დოვლათის მნიშვნელობები - X,Y და Z, ხოლო ორდინატა ღერძზე - ამ დოვლათის სარგებლიანობები ინდივიდებისთვის. A-ს სარგებლიანობის ფუნქცია აღვნიშნოთ  $V_1$  -ით, B-სი -  $V_2$  - ით, C - სი -  $V_3$  -ით. A-სთვის ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს X საზოგადოებრივ დოვლათს, საშუალო მნიშვნელობა - Y დოვლათს, და ყველაზე ნაკლები - Z დოვლათს. თუ შევაერთებთ ამ წერტილებს, მივიღებთ A-ს სარგებლიანობის ფუნქციის გრაფიკულ ინტერპრეტაციას. ანალოგიურად, გამოვსახოთ B-ს და C - ს სარგებლიანობის ფუნქციები. მაშინ შევნიშნავთ, რომ C - ს უპირატესობები ხასიათდება მაქსიმუმის ორი წერტილით. სწორედ ეს იწვევს ციკლის წარმოშობას. მისი უპირატესობების შკალის ცვლილება იმგვარად, რომ მას მხოლოდ ერთი მაქსიმუმის წერტილი ჰქონდეს, მოხსნის ხმის მიცემის ციკლორობის პრობლემას.



**ნახ. 3.5. ამომრჩეველთა უპირატესობები, რომლებიც იწვევენ ციკლორობას**

დუნკან ბლეკმა და ჩარლზ პლოტმა (Black, 1948; Plott, 1967). დაამტკიცეს, რომ, უმრავლესობის წესის გამოყენების პირობებში, წონასწორობა არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის წარმოადგენს ერთი (ერთადერთი) ინდივიდის მაქსიმუმს, მაშინ როცა დანარჩენი ინდივიდები შეიძლება დაყოფილნი იყვნენ წყვილებად დიამეტრალურად საპირისპირო ინტერესებით.

სინამდვილეში, მცდარია თვით ხმის მიცემის პროცედურა. უფრო მეტიც, საკმაოდ ხშირად, კენჭისყრის პროცედურა არ იძლევა შეთანხმებული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. ხმის მიცემის პარადოქსი არა მარტო იმის ახსნის საშუალებას იძლევა, თუ რატომ მიიღება ხშირად გადაწყვეტილებები, რომელიც არ შეესაბამება უმრავლესობის

ინტერესებს, არამედ გვიჩვენებს იმასაც, თუ რატომ ექვემდებარება მანიპულირებას კენჭისყრის შედეგები. ამიტომ რეგლამენტის შემუშავებისას, თავიდან უნდა იყოს აცილებული კონიუნქტურული ფაქტორების გავლენა, რომელიც ხელს უშლის სამართლიანი და ეფექტიანი კანონპროექტების მიღებას. დემოკრატია არ დაიყვანება მხოლოდ კენჭისყრის პროცედურაზე, დემოკრატიული გადაწყვეტილებების გარანტი უნდა იყოს სტაბილური კონსტიტუციური პრინციპები და კანონები. „არჩევანი ასეთია: ან თავისუფალი პარლამენტი, ან თავისუფალი ხალხი. - წერს ფ. ჰაიეკი, - პირადი თავისუფლების შენარჩუნებისთვის უნდა შეიზღუდოს ყველანაირი ძალაუფლება - თვით დემოკრატიული პარლამენტის ძალაუფლებაც კი - ხალხის მიერ მოწონებული გრძელვადიანი პრინციპებით“.

### 3.6. უმრავლესობის წესი: ნორმატიული დახასიათება

#### მეის თეორემა

კენეტ მეიმ პირველმა სცადა დაესაბუთებინა უმრავლესობის წესის შესაბამისობა სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპებთან. მეი თავის თეორემაში კოლექტიური გადაწყვეტილების ფუნქციას განსაზღვრავს შემდეგი სახით:

$$D = f(D_1, D_2, \dots, D_n), \text{ სადაც } n \text{ არის ინდივიდთა რიცხვი ჯგუფში.}$$

ყოველი  $D_i$  იღებს მნიშვნელობებს: 1, 0, -1 (შესაბამისად, „მომხრე“, „თავი შეიკავა“, „წინააღმდეგია“), რომელიც ასახავს მის უპირატესობებს საკითხთა ყოველი წყვილისთვის  $xPiy, xIiy, yPix$ , სადაც P (preference) აღნიშნავს მკაცრ უპირატესობას, I (indifference) - განურჩევლობას ანუ ორი ალტერნატივის ტოლფასობას, ხოლო R (reference) - არამკაცრ უპირატესობას. i- ური ინდივიდის არამკაცრი უპირატესობა აღვნიშნოთ  $xRiy$ -ით, ხოლო მთელი კოლექტივისა -  $xRy$ - ით. მაშინ მარტივი უმრავლესობის წესი ინტერპრეტირდება შემდეგნაირად:

$$\left( \sum_{i=1}^n D_i > 0 \right) \rightarrow D = 1;$$

$$\left( \sum_{i=1}^n D_i = 0 \right) \rightarrow D = 0;$$

$$\left( \sum_{i=1}^n D_i < 0 \right) \rightarrow D = -1.$$

ასეთი ჩანაწერი საშუალებას იძლევა, მარტივი უმრავლესობის წესი ფორმულირებულ იქნეს თეორემის ფორმით.

**თეორემა:** ჯგუფური არჩევანის ფუნქცია წარმოადგენს მარტივი უმრავლესობის წესს, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ ოთხ პირობას (რომელსაც გულისხმობს თვით მარტივი უმრავლესობის წესის ცნება) (იხ.: Mueller, 2008. Ch. 6).

1. მთელისადმი ყოველი დამატებისას გადაწყვეტილების მიღების ფუნქცია იღებს მნიშვნელობებს  $-1$ ,  $0$  ან  $1$  და ამიტომ დისკრეტულია. ეს არის **ერთმნიშვნელოვნობის** აქსიომა: უპირატესობათა მოცემული ნაკრებისას კოლექტივის გადაწყვეტილების ფუნქცია ნიშნავს საუკეთესო მნიშვნელობის არჩევას (ან  $x$ -ის, ან  $y$ -ის ან ორივე ვარიანტის ერთმნიშვნელოვანებას).

2. ნებისმიერი  $+1$ -ის  $-1$ -ზე და ნებისმიერი  $-1$ -ის  $+1$ -ზე ცვლილებისას, ჯამი უცვლელი დარჩება. ეს აქსიომა ნიშნავს მიღებულ გადაწყვეტილებათა **ანონიმურობას**: ჯგუფის ერთი წევრის უპირატესობათა გადაადგილება (მაგალითად,  $xPiy$ -დან  $yPix$ -კენ) და ნებისმიერი სხვა წევრის უპირატესობათა საპასუხო გადაადგილება (მაგალითად,  $yPix$ -დან  $xPiy$ -კენ) ჯგუფის საბოლოო შედეგს უცვლელად ტოვებს. ამიტომ მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ მიიღო ესკონკრეტული გადაწყვეტილება.

3. თუ რანჟირება უცვლელი რჩება ალტერნატივათა ნებისმიერი ორი წყვილისთვის, მაშინ ასეთივე იქნება იგი ხმების შეკრების დროსაც (უპირატესობათა **ნეიტრალურობის** აქსიომა). დავუშვათ, მოცემულ ჯგუფში  $X > Y$ , ამიტომ თუ ინდივიდები ანალიზებენ  $Z$ -ს და  $W$ -ს, როგორც  $X$ -ს და  $Y$ -ს, მაშინ  $Z$  უპირატესი უნდა იყოს  $W$ -ზე ( $Z > W$ ).

4. თუ  $\sum D_i = 0$ , ნებისმიერი  $D_i$ -ის გაზრდა გამოიწვევს  $\sum D_i > 0$ , და გამარჯვებას მოუტანს რომელიმე  $X$ -ს. თუ  $\sum D_i > 0$ , ნებისმიერი  $D_i$ -ის გაზრდა დატოვებს  $\sum D_i > 0$  და არ შეცვლის არჩევნების შედეგს (**დადებითი რეაგირების** თვისება: თუ საბოლოო გადაწყვეტილების სახით მიღებულია  $xRy$ , და ერთი მონაწილის უპირატესობები იცვლება, მაგალითად,  $yRix$ -დან  $xRiy$ -კენ, ან  $xIiy$ -დან  $xPiy$ -კენ, მაშინ ჯგუფის დანარჩენი წევრების უპირატესობათა უცვლელობისას, კოლექტიური გადაწყვეტილების შედეგი უნდა შენარჩუნდეს  $xPy$ ).

ვაჩვენოთ, რომ უმრავლესობის წესი ნამდვილად აკმაყოფილებს ოთხივე აქსიომას. ჯერ ვაჩვენოთ ეს პირველი სამი პირობისთვის.

$$[N(-1) = N(1)] \rightarrow D = \sum D_i = 0, \quad (3-6)$$

სადაც  $N(-1)$  არის  $Y$ -ის მომხრე ხმების რაოდენობა, ხოლო  $N(1) - X$ -ის მომხრე ხმების რიცხვი.

დავუშვათ, რომ არ სრულდება პირობა:

$$[N(-1) = N(1)] \rightarrow D = \sum D_i = 1. \quad (3-7)$$

როდესაც  $Y$ -ის მომხრეთა ხმების რაოდენობა  $X$ -ის მომხრეთა ხმების რაოდენობის ტოლია, მიიღწევა  $X$  შედეგი.

ახლა  $Y$  აღვნიშნოთ  $Z$ -ით, ხოლო  $X - W$ -ით, სადაც  $Z$ -ის მომხრეთა ხმა ჩაიწერება როგორც  $-1$ , ხოლო  $W$ -ის მომხრეთა ხმა როგორც  $1$ . ყველა  $1$  შევცვალოთ  $-1$ -ით, ხოლო  $-1$  შევცვალოთ  $1$ -ით.

დამოუკიდებლობის პირობის მიხედვით, უკანასკნელმა ცვლილებამ გავლენა არ უნდა მოახდინოს ჯგუფურ გადაწყვეტილებაზე. ყველა ინდივიდი, რომელიც  $x$ -ის მიმართ ისევე კარგადაა განწყობილი, როგორც  $Y$ -ის მიმართ ( $xRiy$ ), ახლა  $Z$ -ის მიმართაც ისევე კარგად იქნება განწყობილი, როგორც  $W$  - ის მიმართ. ნეიტრალურობის აქსიომის მიხედვით, არჩევნები უნდა მოიგოს  $Z$ -მა, თუ ის თავდაპირველად იყო  $X$ , მაგრამ  $Z$  ეკვივალენტურია  $Y$ -ის, და არა  $X$ -ის. ერთმნიშვნელოვნობის (ცალსახობის) აქსიომა დარღვეულია.

ამგვარად, გამოსახულება (3-7) ეწინააღმდეგება პირველ სამ აქსიომას. ანალოგიურად, შეიძლება ვაჩვენოთ, რომ გამოსახულება (3-8) შეუსაბამოა პირველ სამ აქსიომასთან:

$$[N(-1) = N(1)] \rightarrow D = -1. \quad (3-8)$$

სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა შესრულდეს (3-6) განტოლება.

(3-6) -დან და პოზიტიური რეაგირების აქსიომიდან გამომდინარეობს, რომ

$$[N(1) = N(-1) + 1] \rightarrow D = 1. \quad (3-9)$$

როდესაც  $X$ -ის მომხრე ხმების რიცხვი  $1$ -ით მეტია, ვიდრე  $Y$ -ის მომხრე ხმების რიცხვი,  $X$ -მა უნდა გაიმარჯვოს.

ახლა დავუშვათ, რომ როდესაც როდესაც  $X$ -ის მომხრე ხმების რიცხვი  $(m - 1)$  -ით მეტია, ვიდრე  $Y$ -ის მომხრე, იმარჯვებს  $X$ . ერთი ამომრჩევლის უპირატესობების ცვლილება ცვლის სხვაობას იმათ შორის, ვინც უპირატესობას ანიჭებს  $X$ -ს და ვინც უპირატესობას ანიჭებს  $Y$ -ს,  $m$  სიდიდით ( $X$  მეტია  $Y$ -ზე  $m$ -ით), და ეს არ ცვლის შედეგს პოზიტიური რეაგირების შედეგად. ამგვარად, ოთხი მოცემული პირობა ნიშნავს მარტივი უმრავლესობის წესს.

მეის თეორემა საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. უპირველეს ყოვლისა, თუ ჩვენ დავიწყებთ ხმის მიცემის რაიმე წესებით და ზუსტად განვსაზღვრავთ პირობებს, რომელსაც ისინი უნდა აკმაყოფილებდეს, ცხადი გახდება, რომ ჩვენი მოთხოვნების ზრდასთან ერთად, მათი შესაბამისი რეალური კანდიდატების რიცხვი შემცირდება. კერძოდ, მეიმ აჩვენა, რომ მის მიერ ფორმულირებული წესების ზუსტად შესრულებისას, შესაძლო ალტერნატივების ნაკრები მცირდება მარტივი უმრავლესობის ერთადერთ წესამდე.

ზემოთ მოცემული აქსიომების ნორმატიული ხასიათი იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა, რომ ეს ნორმატიული ნიშნები ახასიათებს თვით მარტივი უმრავლესობის წესს. ნორმატიული ასპექტი ჩადებულია მეორე და მესამე აქსიომაში (ანონიმურობა და ნეიტრალურობა).

ნეიტრალურობის, როგორც უპირატესობათა დამოუკიდებლობის, თვისება შემდგომ განავითარა ამარტია სენმა თავის შრომებში (Sen, 1973, 1982). ფაქტობრივად, ჩვენ აბსტრაგირებას ვახდენთ „უმრავლესობასთან მიერთების ეფექტისგან“, „სწობის ეფექტისგან“ და ა.შ. აგრეთვე, უპირატესობათა ინტენსივობისგან. ნეიტრალურობა, ფაქტობრივად, ნიშნავს, რომ ნებისმიერი არჩევანისადმი მიდგომა ერთნაირია, მიუხედავად იმისა, თუ რას ეხება საქმე: სასჯელს წვრილი ხულიგნობისთვის თუ სასიკვდილო განაჩენს. სრულიად აშკარაა, რომ, უკანასკნელ შემთხვევაში, უპირატესობათა თანაბარი ინტენსივობის წანამძღვარი, რომელიც ამართლებს ანონიმურობას, არამართლზომიერია.

### **რეი - ტეილორის თეორემა**

რეი - ტეილორის თეორემა ეხება ინდივიდის მიერ ხმის მიცემის ოპტიმალური წესის არჩევას, რომელიც, შედეგად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის მიმართ, მაგრამ

უცნობია, რა პირობებში. თითოეული ინდივიდის ქცევის სტრატეგია განიხილება როგორც ძალიან რაციონალური. თითოეული, ერთი მხრივ, ცდილობს, თავს მოახვიოს სხვა მონაწილეებს ისეთი ვარიანტი, რომელიც უპირატესია მისთვის, ხოლო, მეორე მხრივ - ცდილობს თავიდან აიცილოს სიტუაცია, როდესაც თვითონ მას თავს მოახვევენ მისთვის არახელსაყრელ ვარიანტს. ასეთი მიდგომა პოლიტიკას განიხილავს როგორც კონფლიქტურ სიტუაციას - თამაშს ნულოვანი ჯამით.

ვინაიდან არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში არ გაითვალისწინება უპირატესობათა ინტენსივობა, ამიტომ, რეის ვარაუდით, სარგებლობა, რომელიც დაკავშირებულია ინდივიდისთვის უპირატესი ვარიანტის მოწონებასთან, უდრის არახელსაყრელ ვარიანტთან დაკავშირებულ დანაკარგებს. ეს ნიშნავს, რომ არსებობს ერთი და იგივე ვარიანტის თანაბარი ალბათობები. თეორემა ამტკიცებს, რომ ერთადერთი ვარიანტი, რომელიც ამ პირობებში ამომრჩეველთა სარგებლიანობის მაქსიმიზაციის კრიტერიუმს აკმაყოფილებს, უმრავლესობის წესია. ამგვარად, რეი-ტეილორის თეორემას ბევრი საერთო აქვს მეის თეორემასთან.

რეი-ტეილორის თეორემის თავისებურებები განვიხილოთ შემდეგ მაგალითზე: ხუთი ინდივიდი იმყოფება მატარებლის ვაგონში, რომელშიც არ არის მოწვევის ამკრძალავი ან ნების დამრთავი ნიშნები. საჭიროა გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, მიეცეს თუ არა მოწვევის მსურველ მგზავრებს თავიანთი სურვილის შესრულების უფლება. თუ ინდივიდმა დაიკავა იმ ადამიანის პოზიცია, რომელიც არ არის დარწმუნებული იმაში, მწვეველი იქნება თუ არამწვეველი, მაშინ მისთვის ბუნებრივი იქნება დაშვება, რომ არამწვეველები ისევე ზარალდებიან სხვების მოწვევისგან, როგორც მწვეველები ზარალდებიან მოწვევის აკრძალვისგან. დაშვება უპირატესობათა თანაბარი ინტენსივობის შესახებ, ამ შემთხვევაში, გამართლებულია. ამ და, აგრეთვე, იმ დაშვებით, რომ ინდივიდის მწვეველობა თუ არამწვეველობა განუსაზღვრელია, გადაწყვეტილების მიღების საუკეთესო წესი იქნება უმრავლესობის წესი. ის ამაქსიმიზებს გადაწყვეტილების მიმღები კონსტიტუციური სუბიექტის მოსალოდნელ სარგებლიანობას. ეს მაგალითი გვიჩვენებს როგორც ცხად, ისე არაცხად დაშვებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს უმრავლესობის წესის შესახებ რეი-ტეილორის თეორემას. ჯერ ერთი, სიტუაცია აშკარად კონფლიქტურია. მწვეველის სარგებლიანობა განპირობებულია არამწვეველის დანაკარგებით და, პირიქით.

მეორე, კონფლიქტური სიტუაციის თავიდან აცილება შეუძლებელია. პრობლემის გადაწყვეტა ერთი კატეგორიის მგზავრების ვაგონიდან გასვლის გზით არაცხადად გამორიცხულია. მესამე, არ არსებობს გადაწყვეტილების პერფორმულირების შესაძლებლობა კონფლიქტის მოხსნისა და კონსენსუსის მიღწევისთვის. თითოეული გადაწყვეტილება მოითხოვს ხმის მიცემას „სასარგებლოდ“ ან „საწინააღმდეგოდ“ ისე, „როგორც არის“. მეოთხე, გადაწყვეტილება აირჩევა შემთხვევით ანუ მიუკერძოებლად. მოცემულ კონკრეტულ მაგალითში შერჩევის შემთხვევითობა ეფექტიანადაა რეალიზებული ვაგონში ინდივიდთა შემთხვევითი შერჩევით. უკანასკნელი დაშვება, რომელსაც ეს მაგალითი შეიცავს, არის დაშვება უპირატესობათა თანაბარი ინტენსივობის შეახებ.

უმრავლესობის წესისგან განსხვავებით, წანამძღვრები, რომელიც საფუძვლად უდევს ერთსულოვნების წესს, ქმნის პირობებს კოოპერაციული თამაშისთვის დადებითი ჯამით. ამიტომ ყოველი ინდივიდი სთავაზობს მხოლოდ იმ ვარიანტებს, რომელიც სასარგებლობას მოუტანს არა მარტო მას, არამედ ყველა დანარჩენსაც. თუ პრობლემის გადაწყვეტის ასეთი ვარიანტი მოძებნილი ვერ იქნება, მაშინ თავდაპირველი წინადადება მიღებული არ იქნება ან მოიხსნება დღის წესრიგიდან. როგორც ვხედავთ, ერთსულოვნების წესი არაცხადად გულისხმობს პოლიტიკური პროცესის ანალიზს, როგორც დისკუსიების და კომპრომისების გამოკვლევას. მაგრამ, შედეგად, პარეტოს ოპტიმუმი მაინც მიიღწევა.

**ლიტერატურა:**

ა. სილაგაძე. ეკონომიკური დოქტრინები. თბილისი. 2010. თავი 21 (9) გვ. 463-464.

**Аткинсон Э., Стиглиц Д.** Лекции по экономической теории государственного сектора. М.: Аспект Пресс, 1995 [1980], гл. 10-12, с. 406-421.

**Бьюкенен Дж., Таллок Г.** Расчет согласия. Логические основания конституционной экономики. В кн.: Бьюкенен Дж. Сочинения. М.: Таурис Альфа, 1997, гл. 6-7, 11, с. 97-129, 163-186;

**Мюллер Д.** Общественный выбор III. М.: Институт Экономическая школа ГУ-ВШЭ, 2007, Гл. 4-6, С. 87-190.

**Нуреев Р. М.** Теория общественного выбора. М.: Издательский дом ГУ- ВШЭ, 2005, гл. 4.

**Олсон М.** Логика коллективных действий. Общественные блага и теория групп. М.: Фонд Экономической Инициативы, 1995 [1971].

**Якобсон Л.** Государственный сектор экономики: экономическая теория и политика. М.: ГУ-ВШЭ, 2000, гл. 4 (4.1.-4.9), с. 86-105.

**Black D.** On the Rationale of Group Decision Making // Journal of Political Economy. 1948. Vol. 56. February. pp. 23-34;

**Classics in the Theory of Public Finance** / Ed. By: R. Musgrave, Peacock. N.Y.: St. Martin's Press, 1967. pp. 72-118.

**Downs A.** An Economic Theory of Democracy. N.Y., Harper, 1957.

**Gunning P.** Understanding Democracy: An Introduction to Public Choice. 1996, ch. 7.

**Johnson D.** Public Choice. An Introduction to the New Political Economy. Bristlecone Books, 1991, ch. 6, pp. 155-187.

**Mueller D.C.** Public Choice III. Cambridge University Press, 2008. Ch. 4-6.

**Plott C. R.** A Notion of Equilibrium and Its Possibility under Majority Rule // American Economic Review. 1967. Vol. 57. September. pp. 787-806.

**Rae, Douglas W.,** "Decision-Rules and Individual Values in Constitutional Choice," American Political Science Review 63, March 1969, pp. 40-56.

**Riker, William H.** The Theory of Political Coalitions. New Haven: Yale University Press. 1962, pp. 29-31.

**Sen A.** Collective Choice and Social Welfare. San Francisco: Holden-Day, 1970; Sen A. Behavior and the Concept of Preference // Econometrica. 1973. Vol. 40;

**Sen A.** Choice, Welfare and Measurement. Oxford: Blackwell; Cambridge: MIT Press, 1982.




- Smith V.** The Principal of Unanimity and Voluntary Consent in Social Choice // *Jurnal of Political Economy*. 1977. Vol. 85. P. 1125-1139;
- Smith V.** Experiments with a Decentralized Mechanism for Public Good Decisions // *American Economic Review*. 1980. Vol. 70. P. 584-599.
- Taylor, Michael J.**, "Proof of a Theorem on Majority Rule," *Behavioral Science* 14, May 1969, 228–231.

## თემა 4. პირდაპირი დემოკრატიის ეკონომიკური ანალიზი: უმრავლესობის წესის ალტერნატივები

### 4.1. არჩევნები და რეფერენდუმი

ავტორიტარული საზოგადოებისგან განსხვავებით, დემოკრატიულ სახელმწიფოში პოლიტიკური გადაწყვეტილებები, ჩვეულებრივ, შეფასდება და მტკიცდება ხალხის მიერ. ეს შეიძლება მოხდეს როგორც უშუალოდ რეფერენდუმებზე, ასევე არაპირდაპირი გზით, ალტერნატიული არჩევნების გზით (ნახ. 4.1).



ნახ. 4.1. პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების ფორმები

#### რეფერენდუმი

რეფერენდუმი (ლათ.-დან: - ის, რაც უნდა ეცნობოს) - ეს არის დემოკრატიის ინსტიტუტი, რომელიც მდგომარეობს ქვეყნის ამომრჩევლებისადმი უშუალო მიმართვაში საკანონმდებლო ან სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად. არჩევნებისგან მისი ძირითადი განსხვავება ისაა, რომ მისი მიზანია საზოგადოების ფუნქციონირების ძირეული საკითხების გადაწყვეტა და არა იმ პირების არჩევა, რომლებმაც ეს საზოგადოება უნდა მართონ.

ბევრ ქვეყანაში გათვალისწინებულია რეფერენდუმების და მათი ჩატარების სხვადასხვა ფორმები. მრავალი ქვეყნის კონსტიტუციაში სპეციალურად გამოიყოფა

საკითხები, რომელთა შესახებ რეფერენდუმის ჩატარება მკაცრად აუცილებელია. ყველაზე ხშირად ეს არის ახალი კონსტიტუციის მიღება ან არსებულის შესწორება.

რეფერენდუმები, ჩვეულებრივ, თან სდევს დიდი პოლიტიკური ცვლილებების პერიოდებს. მაგალითად, ევროკავშირში შესვლა რიგ ქვეყნებში დადასტურებულ იქნა რეფერენდუმზე. რეფერენდუმები ტარდებოდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში 1990-იანი წლების დასაწყისში რადიკალური პოლიტიკური გარდაქმნების პერიოდში.

საკითხი, რომელიც რეფერენდუმზე გამოდის, ფორმულირებული უნდა იყოს ალტერნატიული ფორმით იმგვარად, რომ ამომრჩეველს შეეძლოს მასზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა: „დიახ“ ან „არა“. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია რეფერენდუმის შედეგების არაერთმნიშვნელოვანი განმარტება.

თანამედროვე რეფერენდუმების სამშობლოა შვეიცარია. უკვე XV საუკუნეში ბერნში ჩატარდა პირველი რეფერენდუმი, ამ ტერმინის თანამედროვე გაგებით. მას შემდეგ ამ ქვეყანაში შედგა 250 რეფერენდუმზე მეტი. ამჟამად იგი ხშირად ტარდება მრავალ ევროპულ ქვეყანაში (ბელგია, საფრანგეთი, იტალია, ჰოლანდია და ა.შ.). გამონაკლისია დიდი ბრიტანეთი და გერმანია, სადაც რეფერენდუმები იშვიათია. თვით ავტორიტარული და დიქტატორული რეჟიმებიც ცდილობენ, გამოიყენონ რეფერენდუმი საკუთარი ძალაუფლების ლეგიტიმაციისათვის.

რეფერენდუმის ინიცირება შეუძლიათ ქვეყნის მოქალაქეებს (მაგალითად, შვეიცარიაში), პარლამენტს ან პრეზიდენტს. რეფერენდუმს შეიძლება ჰქონდეს როგორც სარეკომენდაციო, ასევე აუცილებელი ხასიათი. რეფერენდუმის გადაწყვეტილების აუცილებელი ხასიათის დროს, ცალკეულ ქვეყნებში გათვალისწინებულია მისი შემდგომი რატიფიკაცია ამომრჩეველთა მთელი კორპუსის მიერ. მაგალითად, აშშ-ში ქვეყნის კონსტიტუციის შესწორების პროექტი მოწონებული უნდა იყოს ყველა 50 შტატის მიერ. რაც შეეხება რეგიონალურ რეფერენდუმებს, მათი ჩატარების ინიციატივა შეიძლება მოდიოდეს როგორც ამომრჩეველთა კორპუსიდან (მაგალითად, იტალიაში), ასევე ფედერაციის ცალკეული სუბიექტებიდან (შვეიცარია) ან ცენტრალური ხელისუფლებიდან (საფრანგეთი).

ბევრი ქვეყნის კონსტიტუციაში განსაზღვრულია არა მარტო იმ პრობლემების წრე, რომელზეც შეიძლება ჩატარდეს რეფერენდუმი, არამედ საკითხებიც, რომელზეც

რეფერენდუმის ჩატარება არ შეიძლება (მაგალითად, ფედერაციის სუბიექტების სტატუსის ცვლილება, პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გაგრძელება ან ვადაზე ადრე შეწყვეტა, სახელმწიფო ბიუჯეტის მიღება და ცვლილება, უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების მიღება, ამნისტია და სხვ.).

**არჩევნები**

არსებობს ორი უკიდურესი თვალსაზრისი არჩევნების შესახებ. ერთი ამოდის იქიდან, რომ ყოველი დეპუტატი წარმოადგენს მთლიანად ხალხს, მეორე - იქიდან, რომ ყოველი დეპუტატი მხოლოდ თავისი ოლქის მოქალაქეთა წარმომადგენელია. პირველი ახდენს იმ სიტუაციის აბსოლუტიზირებას, რომელიც ყალიბდება ზოგადეროვნული პარტიული სიებისთვის ხმის მიცემის დროს, როდესაც ცალკეული დეპუტატები ეფარებიან პარტიის სახელს, მეორე - ერთმანდატიანი ოლქების არჩევნების დროს, როდესაც დეპუტატის პიროვნებას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პარტიის რეპუტაციას. არჩევნების შედეგები ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორაა ფორმირებული საარჩევნო ოლქები.

განვიხილოთ მარტივი მაგალითი: ერთმანდატიანი ოლქი ორი კონკურენტი პარტიით - დემოკრატები (დ) და რესპუბლიკელები (რ). ამომრჩეველთა უპირატესობები იხ. ცხრ. 4.1.-ში.

**ცხრილი 4.1.**

**საარჩევნო ოლქის ჩამოყალიბების ვერტიკალური და ჰორიზონტალური პრინციპები**

დასახლებული პუნქტების მცხოვრებთა უპირატესობები		
რ	დ	დ
დ	რ	დ
რ	რ	რ

დავუშვათ, საარჩევნო უბნების ფორმირება შეიძლება ორგვარად: ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად. თუ უბნები ფორმირებულია პირველი პრინციპით, მაშინ გაიმარჯვებს დემოკრატი, თუ მეორე პრინციპით - მაშინ რესპუბლიკელი. ჰორიზონტალური პრინციპით ფორმირებისას პირველ და მეორე ოლქში

გაიმარჯვებენ დემოკრატები, მესამეში - რესპუბლიკელები. ვერტიკალური პრინციპით - პირიქით, პირველ და მეორე ოლქში გაიმარჯვებს რესპუბლიკელი (მათი მომხრეები მეტია), მესამეში - დემოკრატი.

ერთმანდატიან ოლქებში არჩევნებით მანიპულირების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ხმის მიცემა ომისშემდგომ იაპონიაში. იმის შიშით, რომ ხელისუფლებაში მოვიდოდნენ კომუნისტები (ინდუსტრიულ ოლქებში ისინი მართლაც დომინირებდნენ), საარჩევნო ოლქები ფორმირებული იყო იმგვარად, რომ ინდუსტრიული რაიონები გაერთიანებულიყო სასოფლოსთან, სადაც კონსერვატიული პარტიის წარმომადგენლები პოპულარულნი იყვნენ. ასეთმა არჩევნებმა უზრუნველყო კონსერვატორი დეპუტატების სიჭარბე იაპონიის პარლამენტში.

შეუძლია თუ არა ცალკეული ამომრჩევლის უპირატესობებს, გავლენა მოახდინოს კენჭისყრის შედეგებზე? განვიხილოთ მარტივი სიტუაცია: ორი კანდიდატი A და B, და სამი ამომრჩეველი.

#### ცხრილი 4.2.

ცალკეული ამომრჩევლის უპირატესობათა გავლენა ხმის მიცემის შედეგზე (ორი კანდიდატი, სამი ამომრჩეველი)

	ხმების განაწილების ვარიანტები			
	1	2	3	4
პირველი ამომრჩეველი	ა	ა	ბ	ბ
მეორე ამომრჩეველი	ა	ბ	ა	ბ
მესამე ამომრჩეველი	–	ვ	ვ	–

თუ არჩევანი ხორციელდება მარტივი უმრავლესობის წესით, მესამე ამომრჩეველს უჩნდება შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს ხმის მიცემის შედეგებზე. ეს რეალურია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირველი და მეორე ამომრჩევლის შეხედულებები დიამეტრალურად საპირისპიროა. მაშინ 50%-იანი ალბათობით მესამე ამომრჩევლის ხმა შეიძლება გადამწყვეტი გახდეს.

თუ ახლა ორ კანდიდატს ხმას აძლევს 5 ამომრჩეველი, მხოლოდ 6 ვარიანტში (16-დან) მეხუთე ამომრჩევლის ხმა წყვეტს არჩევნების შედეგს (ცხრ. 4.3.). ესე იგი არჩევნების შედეგებზე ზეგავლენის შესაძლებლობა მცირდება 50%-დან 37,5%-მდე. დასკვნა: ამომრჩეველთა რიცხვის ზრდასთან ერთად ყოველი ცალკეული ამომრჩევლის მნიშვნელობა მცირდება.

**ცხრილი 4.3.**

ცალკეული ამომრჩევლის უპირატესობათა გავლენა ხმის მიცემის შედეგზე (ორი კანდიდატი, ხუთი ამომრჩეველი)

	ხმების განაწილების ვარიანტები															
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
პირველი ამომრჩეველი	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ
მეორე ამომრჩეველი	ა	ა	ა	ა	ბ	ბ	ბ	ბ	ა	ა	ა	ა	ბ	ბ	ბ	ბ
მესამე ამომრჩეველი	ბ	ა	ა	ბ	ბ	ა	ბ	ა	ბ	ა	ა	ბ	ა	ა	ბ	ბ
მეოთხე ამომრჩეველი	ბ	ბ	ა	ა	ა	ა	ბ	ბ	ბ	ა	ბ	ა	ა	ბ	ა	ბ
მეხუთე ამომრჩეველი	v	-	-	-	v	-	-	v	-	-	v	v	v	-	-	-

დავუშვათ, არჩევა ხდება არა ორი, არამედ სამი კანდიდატიდან (ცხრ. 4.4).

**ცხრილი 4.4.**

ცალკეული ამომრჩევლის უპირატესობათა გავლენა ხმის მიცემის შედეგზე (სამი კანდიდატი, სამი ამომრჩეველი)

	ხმების განაწილების ვარიანტები								
	1	2	3	4	5	6	7	8	9
პირველი ამომრჩეველი	ა	ა	ბ	ა	გ	ბ	გ	ბ	გ
მეორე ამომრჩეველი	ა	ბ	ა	გ	ა	გ	ბ	ბ	გ
მესამე ამომრჩეველი	–	vv	vv	vv	vv	v	v	–	–

არჩევნებში მონაწილეთა საერთო რიცხვის ზრდა ამცირებს ცალკეული ამომრჩევლის შანსებს, გავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგზე. ამ გავლენის შესაძლებლობა იზრდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისთვის სულერთია, რომელ კანდიდატს დაუჭერს მხარს. გასაკვირი არ არის, რომ კანდიდატების რიცხვის ზრდასთან ერთად, მისი ზეგავლენის შანსები მცირდება (რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ მისთვის სულერთი არ არის, ვის მისცემს ხმას).

თუ, მაგალითად, საარჩევნო ოლქის ზომა 500 000-მდეა, ხოლო პარტიათა რიცხვი 13, ერთი ამომრჩევლის ზეგავლენა შედეგზე, დაახლოებით, 0,0011%-ია. იბადება ბუნებრივი კითხვა: ასეთი მოკრძალებული გავლენის მიუხედავად, საერთოდ რატომ მიდიან ამომრჩევლები ხმის მისაცემად?

#### 4.2. რაციონალური იგნორირება და ზღურბლის ეფექტი

პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რატომ მიდიან ადამიანები ხმის მისაცემად, ვიწრო რაციონალური თვალსაზრისით შეუძლებელია. ერთი ნაწილისთვის არჩევნებში მონაწილეობა სამოქალაქო ვალდებულების შესრულებაა, მეორეთათვის - დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა, მესამეთათვის - თავისი პარტიისადმი ლოიალურობის გამოვლენა, მეოთხეთათვის - არსებული სიტუაციის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვა.

კენჭისყრაში მონაწილეობისთვის, აუცილებელია, როგორც წესი, დროის და ფულის დახარჯვა საარჩევნო პლატფორმების შესწავლაზე. ამომრჩევლები უნდა ფლობდნენ გარკვეულ ინფორმაციას მომავალი არჩევნების შესახებ. ინფორმაციას კი ალტერნატიული

ღირებულება აქვს. მისი მიღებისთვის საჭიროა დრო ან ფული, და ხშირად - ერთიც და მეორეც. ყველა ამომრჩეველს არ შეუძლია გაიღოს მნიშვნელოვანი დანახარჯები, აუცილებელი ინფორმაციის მოპოვებისთვის. უმრავლესობა ცდილობს თავისი ხარჯების მინიმიზირებას და ეს რაციონალურია. მაგალითად, აშშ-ში 1948 წელს საპრეზიდენტო არჩევნები ის იშვიათი შემთხვევა იყო, როდესაც განიხილებოდა სულ ორი მთავარი საკითხი: ფასების კონტროლი და პროფკავშირების საქმიანობის შეზღუდვა. იყო სულ ორი კანდიდატი: დემოკრატი ტრუმენი და რესპუბლიკელი დიუი. მათი დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი ტრივიალური იყო: დემოკრატი მხარს უჭერდა ერთსაც და მეორესაც, რესპუბლიკელი გამოდიოდა ორივეს წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ამომრჩეველთა ინფორმირებულობა საკმაოდ დაბალი აღმოჩნდა. გამოკითხვის დროს მათ შესთავაზეს ეპასუხათ 4 კითხვაზე და მიეთითებინათ თითოეული კანდიდატის პოზიცია ამ ორ პრობლემასთან დაკავშირებით. სწორი პასუხი ოთხივე კითხვაზე გასცა მხოლოდ 16%-მა, 21%-მა უპასუხა 3 კითხვას, 27%-მა - ორ კითხვას, 25%-მა - ერთს, 11%-მა ვერ შეძლო ვერცერთ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემა.

ამომრჩეველთა შესახებ არსებობს ორი უკიდურესი თვალსაზრისი: 1) ამომრჩეველი - ეს არის პროფესიონალ-ანალიტიკოსი, 2) ამომრჩეველი - ეს არის უბრალოდ გულუბრყვილო დოყლაპია. სინამდვილეში, ჭეშმარიტება სადღაც შუაშია.

როდესაც ამომრჩეველები ვერ ხედავენ სარგებლობას პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობიდან, ამ მოვლენას საზოგადოებრივი არჩევანის თეორიაში რაციონალური იგნორირება (rational ignorance) ეწოდება.

არსებობს თავისებური ზღურბლის ეფექტი - სარგებლიანობის მინიმალური მნიშვნელობა, რომელიც აუცილებელია გაიზარდოს, რომ ამომრჩეველი მონაწილეობდეს პოლიტიკურ პროცესში. თუ ის განსაზღვრულ სიდიდეზე ნაკლებია, ამომრჩეველი ცდილობს, თავი აარიდოს თავისი სამოქალაქო ვალდებულების შესრულებას, ხდება ადამიანი, რომლისთვისაც რაციონალური იგნორირება ტიპურია.

რაციონალური ამომრჩევლის ქცევა შეიძლება გამოისახოს ე. დაუნსის ფორმულით:

$$R = pB - C + D,$$

სადაც R არის ინდივიდის წმინდა მოგება არჩევნებში მონაწილეობიდან, p - ალბათობა იმისა, რომ ამომრჩევლის ხმა გადამწყვეტ გავლენას მოახდენს კენჭისყრის შედეგზე, B -



ინდივიდის მთლიანი სარგებლიანობა არჩევნებში მონაწილეობიდან, C - ინდივიდის მთლიანი ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საარჩევნო უბანზე მისვლასთან, D - საარჩევნო უბანზე მისვლიდან მიღებული კონკრეტული სარგებლიანობა.

ცხადია, რომ თუ ხარჯები (C) მეტია მთლიან სარგებლიანობაზე (pB+D), რაციონალური ინდივიდი უარს იტყვის ხმის მიცემაში მონაწილეობაზე.

#### სახალისო პოლიტიკური ეკონომია

##### **არჩეული მიცვალებულები - რაციონალური იგნორირების შედეგი.**

ბრიტანელ ფილოსოფოსს ბერტრან რასელს ეკუთვნის აფორიზმი: „დემოკრატიის დროს სულელებს ხმის მიცემის უფლება აქვთ, დიქტატურის დროს - მართვის“. დიქტატორთა გონებრივ შესაძლებლობებს არ შეეხებით, ამომრჩეველთა არასახარბიელო დახასიათება დემოკრატიული ხელისუფლების პირობებში კი კომენტარს საჭიროებს. დემოკრატიული არჩევნების ისტორიამ მრავალი მაგალითი იცის, როდესაც ამომრჩეველთა არჩევანი მათ კეთილგონიერებაში დაეჭვების საფუძველს იძლევა. ამას მოწმობს არაერთი შემთხვევა, როდესაც ამომრჩევლები უპირატესობას ანიჭებდნენ პოლიტიკოსებს, რომლებიც ხმის მიცემის მომენტში ...გარდაცვლილები იყვნენ. აშშ-ში დაფიქსირებულია არანაკლებ ოთხი ასეთი კაზუსი. პირველი შემთხვევა მოხდა 1868 წელს. ტადეუს სტივენსი, ეს-ეს არის დასრულებული სამოქალაქო ომის გმირი და პენსილვანიის შტატის ყოფილი კონგრესმენი, მისი კოლეგების მიერ რესპუბლიკური პარტიიდან კვლავ წამოყენებული იქნა წარმომადგენლობითი პალატის არჩევნებზე. კურიოზი იმაში მდგომარეობდა, რომ კანდიდატის დასახელება მოხდა მისი გარდაცვალებიდან და საზეიმო დაკრძალვიდან სულ მალე, რაც, რა თქმა უნდა, გაშუქდა პრესაში. გარდაცვლილის მეტოქეები დემოკრატიული პარტიიდან სრულიად არ მოელოდნენ, რომ თავისი სიკვდილიდან ორნახევარი თვის შემდეგ გარდაცვლილი პოლიტიკოსი აჯობებდა კონკურენტებს და არჩეული იქნებოდა აშშ-ის კონგრესში.

სხვა სამი შემთხვევა არც თუ ისე შორეულ წარსულს მიეკუთვნება. 1982 წ. უკვე სხვა სამყაროში მყოფი პოლიტიკოსი არჩეულ იქნა ტეხასის შტატის საკანონმდებლო კრებაში ხმების 66%-ით. ხოლო 1990 წ. ოკლაჰომას შტატში ვინმე ფრენკ ოგდენი აირჩიეს ხმების უდიდესი უმრავლესობით (91%), თუმცა უკვე სამი თვე იყო, რაც ის საფლავში იწვა. შტატის უზენაესმა სასამართლომ, რომელსაც მიმართეს არჩეული გარდაცვლილის წაგებულმა მეტოქეებმა, დაადასტურა ჩატარებული არჩევნების კანონიერება: ერის ხმას ვერ შეედავები! ამგვარი უკანასკნელი კაზუსი მოხდა 2000 წელს მისურის შტატში, სადაც არჩევნების დროს აშშ-ის სენატში ხმების უმრავლესობით (51% ცოცხალი კონკურენტის 48%-ის წინააღმდეგ) აირჩიეს შტატის გუბერნატორი მ. კარნაჰანი, რომელიც დაიღუპა კატასტროფაში არჩევნებამდე ერთი

თვით ადრე (მოცემულ შემთხვევაში ზუსტადაა ცნობილი, თუ ვინ დაიკავა არჩეული მიცვალებულის ვაკანტური ადგილი: შტატის ახალმა გუბერნატორმა დროებით სენატორად დანიშნა გარდაცვლილის ცოლი ჯ. კარნაჰანი, რომელიც თანამედროვე ამერიკის 13 ქალი-სენატორიდან ერთ-ერთი გახდა.

ყველა ამ შემთხვევაში ამომრჩეველთა ქცევა, რბილად რომ ვთქვათ, არც თუ ისე ჭკვიანური ჩანს. ხომ არ ელოდნენ ისინი, თითქოს გარდაცვლილი, გაიგონებდა რა ერის ხმას, აღდგებოდა საფლავიდან და გაემართებოდა კონგრესში საკანონმდებლო საქმიანობის განსახორციელებლად? მაგრამ, საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის თვალსაზრისით, მსგავსი კაზუსები შეიძლება აიხსნას არა ამომრჩეველთა უგუნურებით, არამედ, პირიქით - მათი მაღალი რაციონალურობით. საქმე იმაშია, რომ ყველა შემთხვევაში ხმა აძლევდნენ არა კონკრეტულ პირს, არამედ გარკვეულ პარტიას. რა თქმა უნდა, ამომრჩეველი უნდა დარწმუნდეს, რომ მისი საყვარელი პარტიის მიერ წამოყენებული კანდიდატი ნამდვილად წესიერი ადამიანია (და მით უმეტეს - ცოცხალი). თუ ამომრჩეველთა უმრავლესობა კანდიდატის შესახებ ინფორმაციის ძიების ხარჯებს აფასებს უფრო მეტად, ვიდრე არჩევნებიდან მოსალოდნელი სარგებლობის ხარჯებს, მაშინ მათ შეუძლიათ ხმა მისცენ პარტიის მიერ დასახელებულ კანდიდატს, მასზე, როგორც პიროვნებაზე, არაფრის ცოდნის შემთხვევაშიც. შედეგად, რაციონალური არცოდნა (იგნორირება) იწვევს გარდაცვლილთა არჩევის მსგავს მოულოდნელ კაზუსებს.

#### 4.3. ხმის მიცემის პროცედურები. უმრავლესობის წესის მარტივი ალტერნატივები კონდორსეს წესი

კონდორსე გვთავაზობს ხმის მიცემის სისტემას, რომლის დროსაც ყველა ვარიანტი წყვილ-წყვილად ედარება ერთმანეთს. ვარიანტი, რომელიც ხმების უმრავლესობით უკეთესია ნებისმიერ სხვაზე (ყოველი ვარიანტის ყოველ სხვა ვარიანტთან შედარებისას), წარმოადგენს გამარჯვებულს კონდორსეს მიხედვით. განვიხილოთ ეს წესი მარტივ მაგალითზე. ამომრჩეველთა პირველი ჯგუფის უპირატესობათა სისტემა ჩავწეროთ შემდეგნაირად: თუ  $A > B > C$ , ცხრილში იგი წარმოდგენილი იქნება სვეტით, რომლის ზედა სტრიქონია A კანდიდატი, მეორე - B კანდიდატი, მესამე - C კანდიდატი. ჩავწეროთ ამომრჩეველთა ყველა ჯგუფის უპირატესობები (ცხრ. 4.5(ა)).

ცხრ. 4.5(ა)-დან ჩანს, რომ A ურჩევნია B-ს 6 ამომრჩეველს, B ურჩევნია A-ს 15 ამომრჩეველს. ანალოგიურად, A ურჩევნია C-ს 6 ამომრჩეველს, C ურჩევნია A-ს 15-ს. C

უკეთესია B-ზე 11 ამომრჩევლისთვის, B უკეთესია C -ზე 10 ამომრჩევლისთვის. წყვილ-წყვილად შედარებით, ავსგოთ ცხრ. 4.5(ბ), საიდანაც ჩანს, რომ C ხდება გამარჯვებული კონდორსეს მიხედვით. მაგრამ არჩევნების შედეგი შეიძლება იყოს ისეთიც, როდესაც გამარჯვებული კონდორსეს მიხედვით არ არსებობს (ცხრ. 4.5(გ) და ცხრ. 4.5(დ)).

**ცხრილი. 4.5.**

**ხმის მიცემის პროცედურა კონდორსეს წესის მიხედვით**

**(ა) ამომრჩეველთა ყველა ჯგუფის უპირატესობები**

I ჯგუფი (2 ამომრჩეველი)	II ჯგუფი (4 ამომრჩეველი)	III ჯგუფი (8 ამომრჩეველი)	IV ჯგუფი (7 ამომრჩეველი)
A	A	B	C
B	C	C	B
C	B	A	A

**ბ) ხმების თანაფარდობა წყვილ-წყვილად შედარებისას (C გამარჯვებულია კონდორსეს მიხედვით)**

	A	B	C	ჯამი
A	-	6	6	12
B	15	-	10	25
C	15	11	-	26

**გ) ამომრჩეველთა ყველა ჯგუფის უპირატესობები მონაწილეთა თანაბარი რიცხვით**

I ჯგუფი (5 ამომრჩეველი)	II ჯგუფი (5 ამომრჩეველი)	III ჯგუფი (5 ამომრჩეველი)

A	B	C
B	C	A
C	A	B

ბ) ხმების თანაფარდობა წყვილ-წყვილად შედარებისას (გამარჯვებულია კონდორსეს მიხედვით არ არსებობს)

	A	B	C
A	-	10	5
B	5	-	10
C	10	5	-

**ბორდას წესი**

ჟ. შ. დე ბორდას ხმის მიცემის სისტემის მიხედვით, ყველაზე ნაკლებად უპირატეს კანდიდატს ენიჭება 0, შემდეგ 1 და ა.შ. თუ გვყავს 4 კანდიდატი, ყველაზე უმჯობესი მიიღებს 3-ს, მისი მომდევნო - 2-ს და ა.შ. (ცხრ. 4.6 (ა)). **გამარჯვებული ბორდას მიხედვით -** ეს არის კანდიდატი, რომლის ჯამური მნიშვნელობა ყველაზე მაღალია.

**ცხრილი. 4.6.**

**ხმის მიცემის პროცედურა ბორდას წესის მიხედვით**

ა) ხმების განაწილება ბორდას წესის მიხედვით

უპირატესობათა ინტენსივობა (წონები)	I ჯგუფი (3ამომრჩეველი)	II ჯგუფი (5ამომრჩეველი)	III ჯგუფი (7 ამომრჩეველი)	IV ჯგუფი (6 ამომრჩეველი)
------------------------------------	------------------------	-------------------------	---------------------------	--------------------------

3	A	A	B	A
2	B	C	C	B
1	C	B	D	D
0	D	D	A	C

**ბ) ხმების ჯამური განაწილება**

	I ჯგუფი	II ჯგუფი	III ჯგუფი	IV ჯგუფი	ჯამი
A	9	15	0	18	42
B	6	5	21	12	44
C	3	10	14	0	27
D	0	0	7	6	13

**გ) კონდორსეს წესთან შედარება**

	A	B	C	D	ჯამი
A	-	14	14	14	42
B	7	-	16	21	44
C	7	5	-	15	27
D	7	0	6	-	13

როგორც ცხრ. 4.6(ბ)-დან ჩანს, ქულების ყველაზე მეტ რაოდენობას იღებს B (44), მეორე ადგილზეა A (42), მესამეზე - C (27) და მეოთხეზე - D (13). საინტერესოა, რომ თუ

ხმის მიცემა ჩატარდებოდა კონდორსეს წესის მიხედვით, გამარჯვებული ასევე B იქნებოდა (ცხრ. 4.6(გ)). იგი ასევე 44 ქულას დააგროვებდა.

### შეფარდებითი უმრავლესობის ორსაფეხურიანი წესი

ეს წესი უკიდურესად მარტივია: კენჭისყრის მეორე ტურში გადის ორი კანდიდატი, რომლებმაც პირველ ტურში ხმების მაქსიმალური რაოდენობა დააგროვეს. ჩვენს მაგალითში (ცხრ. 4.7.) მეორე ტურში გადაიან C (7 ხმა) და D (6 ხმა). ხოლო მეორე ტურში იმარჯვებს C 16 ხმით 6-ის წინააღმდეგ, რომელიც აქვს D-ს.

### ცხრილი 4.7.

ხმის მიცემის პროცედურა შეფარდებითი უმრავლესობის ორსაფეხურიანი წესის მიხედვით

#### ა) პირველი ტურის შედეგები

I ჯგუფი (4 ამომრჩეველი)	II ჯგუფი (6 ამომრჩეველი)	III ჯგუფი (7 ამომრჩეველი)	IV ჯგუფი (3 ამომრჩეველი)	V ჯგუფი (2 ამომრჩეველი)
A	D	C	B	B
C	C	B	C	C
B	A	D	D	A
D	B	A	A	D

ხმების განაწილება: C - 7, D - 6, B - 5, A - 4.

#### ბ) მეორე ტურის შედეგები

I ჯგუფი (4 ამომრჩეველი)	II ჯგუფი (6 ამომრჩეველი)	III ჯგუფი (7 ამომრჩეველი)	IV ჯგუფი (3 ამომრჩეველი)	V ჯგუფი (2 ამომრჩეველი)

C	D	C	C	C
D	C	D	D	D

ხმების განაწილება: C - 16, D - 6.

შეფარდებითი უმრავლესობის ორსაფეხურიანი წესი ფართოდ გამოიყენება საპრეზიდენტო (მაგალითად, პერუში, ჩილეში, რუსეთში, საქართველოში) და საპარლამენტო (საფრანგეთში) არჩევნებში. ზოგჯერ შემოდის დამატებითი შეზღუდვები. მაგალითად, კოსტა-რიკაში პრეზიდენტმა უნდა დააგროვოს ხმების არანაკლებ 40%.

### მრავალსულიანი ორადი ხმის მიცემა

მრავალსულიანი ორადი ხმის მიცემის დროს ყოველ სვლაზე ედარება ორი ვარიანტი. პირველი ეტაპის გამარჯვებული ედარება შემდგომ ვარიანტს და ასე ხდება მანამდე, სანამ არ გამოცხადდება საბოლოო გამარჯვებული.

შევადართ, მაგალითად, E და C კანდიდატები (ცხრ. 4.8). C-ს უპირატესობას ანიჭებენ პირველი ჯგუფის ამომრჩევლები (4 ხმა), მეორე ჯგუფი (6 ხმა), მეოთხე ჯგუფი (3 ხმა). სულ - 13 ხმა. E -ს უპირატესობას ანიჭებს მესამე ჯგუფი (7 ხმა) და მეხუთე ჯგუფი (2 ხმა). ესე იგი, სულ - 9 ხმა. ანგარიშით 13:9 გაიმარჯვებს C და ა.შ. მანამდე, სანამ არ გამოაცხადდებენ გამარჯვებულს. ჩვენს შემთხვევაში იგი აღმოჩნდება სწორედ C.

**ცხრილი. 4.8.**

### მრავალსულიანი ორადი ხმის მიცემის პროცედურა

I ჯგუფი (4 ამომრჩეველი)	II ჯგუფი (6 ამომრჩეველი)	III ჯგუფი (7 ამომრჩეველი)	IV ჯგუფი (3 ამომრჩეველი)	V ჯგუფი (2 ამომრჩეველი)
A	D	B	C	E
C	C	E	D	B
E	E	C	E	A
B	B	D	B	C

D	A	A	A	D
---	---	---	---	---

- 1) C და E, გამარჯვებული C (13 ხმა)
- 2) C და D, გამარჯვებული C (16 ხმა)
- 3) C და A, გამარჯვებული C (16 ხმა)
- 4) C და B, გამარჯვებული C (13 ხმა) - საბოლოოდ.

### მოწონებითი ხმის მიცემა

მოწონებითი ხმის მიცემის პროცედურა ეფუძნება სიიდან შეუსაბამო კანდიდატების ამორიცხვას. ამომრჩეველი სიაში ტოვებს მხოლოდ იმ კანდიდატებს, რომლის წინააღმდეგაც არ არის (იხ. ცხრ. 4.9). მაგალითად, პირველი ჯგუფის წარმომადგენლები შლიან B-ს და D-ს. მეორე ჯგუფის წარმომადგენლები - შლიან B-ს, მესამესი - D-ს და ა.შ. დარჩენილი კანდიდატები გადადიან მეორე ტურში, რომელშიც გამოვლინდება საბოლოო გამარჯვებული. ჩვენს შემთხვევაში E (22 ხმა).

ცხრილი. 4.9.

### მოწონებითი ხმის მიცემის პროცედურა

#### ა) კენჭისყრის პირველი ტურის შედეგები

I ჯგუფი (4 ამომრჩეველი)	II ჯგუფი (6 ამომრჩეველი)	III ჯგუფი (7 ამომრჩეველი)	IV ჯგუფი (3 ამომრჩეველი)	V ჯგუფი (2 ამომრჩეველი)
C	C	C	C	B
E	D	B	E	E
B	E	E	D	C
D	B	D	B	D



**ბ) კენჭისყრის მეორე ტურის შედეგები**

	I ჯგუფი (4 ამომრჩეველი)	II ჯგუფი (6 ამომრჩეველი)	III ჯგუფი (7 ამომრჩეველი)	IV ჯგუფი (3 ამომრჩეველი)	V ჯგუფი (2 ამომრჩეველი)
დარჩნენ	C, E	C, D, E	C, E, B	C, E, D	B, E
გამორიცხნენ	B, D	B	D	B	C, D

ხმების განაწილება: E -22, C – 20, D – 9, B – 9.

**მარტივი უმრავლესობა ამორიცხვით**

მარტივი უმრავლესობა ამორიცხვით (ხმის მიცემის ავსტრალიური სისტემა) გულისხმობს, რომ იმარჯვებს ის კანდიდატი, რომელიც აგროვებს მარტივ უმრავლესობას. მარტივი უმრავლესობის არარსებობისას, პირველ ეტაპზე გამოვარდება კანდიდატი, რომელმაც დააგროვა ხმების ყველაზე მცირე რაოდენობა. ჩვენს მაგალითში ეს არის „ე“ (2 ხმა).

**ცხრილი. 4.10.**

**ხმის მიცემის ავსტრალიური სისტემა**

**ა) პირველი ტურის შედეგები**

ჯგუფი I (4 ამომრჩეველი)	ჯგუფი II (6 ამომრჩეველი)	ჯგუფი III (7 ამომრჩეველი)	ჯგუფი IV (3 ამომრჩეველი)	ჯგუფი V (2 ამომრჩეველი)
ა	დ	ბ	ბ	ე
ბ	ბ	ე	დ	ბ
ე	ე	ბ	ე	ა
ბ	ბ	დ	ბ	ბ

დ	ა	ა	ა	დ
---	---	---	---	---

ამოირიცხება „ე“ კანდიდატი (2 ხმა).

**ბ) მეორე ტურის შედეგები**

ჯგუფი I (4 ამომრჩეველი)	ჯგუფი II (6 ამომრჩეველი)	ჯგუფი III (7 ამომრჩეველი)	ჯგუფი IV (3 ამომრჩეველი)	ჯგუფი V (2 ამომრჩეველი)
ა	დ	ბ	ბ	ბ
ბ	ბ	ბ	დ	ა
ბ	ბ	დ	ბ	ბ
დ	ა	ა	ა	დ

ამოირიცხება „გ“ კანდიდატი (3 ხმა).

**გ) მესამე ტურის შედეგები**

ჯგუფი I (4 ამომრჩეველი)	ჯგუფი II (6 ამომრჩეველი)	ჯგუფი III (7 ამომრჩეველი)	ჯგუფი IV (3 ამომრჩეველი)	ჯგუფი V (2 ამომრჩეველი)
ა	დ	ბ	დ	ბ
ბ	ბ	დ	ბ	ა
დ	ა	ა	ა	დ

ამოირიცხება „ა“ კანდიდატი (4 ხმა).

**დ) მეოთხე ტურის შედეგები**

ჯგუფი I (4 ამომრჩეველი)	ჯგუფი II (6 ამომრჩეველი)	ჯგუფი III (7 ამომრჩეველი)	ჯგუფი IV (3 ამომრჩეველი)	ჯგუფი V (2 ამომრჩეველი)
ბ	დ	ბ	დ	ბ
დ	ბ	დ	ბ	დ

გამარჯვებულია „ბ“ კანდიდატი (13 ხმა 22-დან).

**წაგებულთა გამორიცხვის წესი ბორდას მიხედვით**

ამ წესის მიხედვით, გამოითვლება თითოეულ სვლაზე ქულების ჯამური მნიშვნელობა და ამოირიცხება უმცირესები. ცხრ. 4.11-დან ჩანს, რომ „ა“ კანდიდატი მიიღებს 16 ქულას: ის პირველ ადგილზე დააყენა ამომრჩეველთა პირველმა ჯგუფმა (12

ქულა) და მესამე ადგილზე მეხუთე ჯგუფმა (4 ქულა). მეორე, მესამე და მეოთხე ჯგუფის უპირატესობათა სისტემაში „ა“-ს მხოლოდ უკანასკნელი ადგილი უკავია, ესე იგი, არა აქვს არც ერთი ქულა. „ბ“ კანდიდატს მხარს უჭერს პირველი ჯგუფი (3 ქულა), მეორე ჯგუფი (8 ქულა), მესამე (16 ქულა), მეოთხე (7 ქულა) და მეხუთე (6 ქულა). სულ - 40 ქულა. ანალოგიურად, გამოვითვლით დანარჩენი კანდიდატების ქულებს. ქულების ყველაზე მცირე რაოდენობა აქვს „ა“-ს. სწორედ ის გამოირიცხება კენჭისყრაში შემდგომი მონაწილეობიდან, ხოლო პროცედურა მეორდება კვლავ, რათა განისაზღვროს შემდეგი ტურის მონაწილენი. მეორე ტურში გამოირიცხება „ბ“, ვინაიდან მან დააგროვა უმცირესი ქულა (19). ასე გრძელდება მანამდე, სანამ არ გამოვლინდება საბოლოო გამარჯვებული. ჩვენს შემთხვევაში ეს იქნება „გ“ კანდიდატი, რომელიც დააგროვებს 16 ქულას 24-დან.

**ცხრილი 4.11.**

**ხმის მიცემის პროცედურა ბორდას წაგებულთა გამოირიცხვის წესის მიხედვით**

**ა) პირველი ტურის შედეგები**

ჯგუფი I (3 ამომრჩეველი)		ჯგუფი II (8 ამომრჩეველი)		ჯგუფი III (4 ამომრჩეველი)		ჯგუფი IV (7 ამომრჩეველი)		ჯგუფი V (2 ამომრჩეველი)	
4	ა	4	დ	4	ბ	4	გ	4	ე
3	ბ	3	გ	3	ე	3	დ	3	ბ
2	ე	2	ე	2	გ	2	ე	2	ა
1	ბ	1	ბ	1	დ	1	ბ	1	გ
0	დ	0	ა	0	ა	0	ა	0	დ

ხმების განაწილება: „ა“ – 16, „ბ“ – 40, „გ“ – 71, „დ“ – 57, „ე“ – 56 (240-დან). გამოვარდება „ა“ კანდიდატი.

**ბ) მეორე ტურის შედეგები**

ჯგუფი I (3 ამომრჩეველი)	ჯგუფი II (8 ამომრჩეველი)	ჯგუფი III (4 ამომრჩეველი)	ჯგუფი IV (7 ამომრჩეველი)	ჯგუფი V (2 ამომრჩეველი)
----------------------------	-----------------------------	------------------------------	-----------------------------	----------------------------

3	გ	3	დ	3	ბ	3	გ	3	ე
2	ე	2	ბ	2	ე	2	დ	2	ბ
1	ბ	1	ე	1	ბ	1	ე	1	ბ
0	დ	0	ბ	0	დ	0	ბ	0	დ

ხმების განაწილება: „ბ“ – 19, „გ“ – 52, „დ“ – 38, „ე“ – 35 (144-დან). გამოირიცხება „ბ“ კანდიდატი.

**გ) მესამე ტურის შედეგები**

ჯგუფი I (3 ამომრჩეველი)		ჯგუფი II (8 ამომრჩეველი)		ჯგუფი III (4 ამომრჩეველი)		ჯგუფი IV (7 ამომრჩეველი)		ჯგუფი V (2 ამომრჩეველი)	
2	გ	2	დ	2	ე	2	გ	2	ე
1	ე	1	ბ	1	ბ	1	დ	1	ბ
0	დ	0	ე	0	დ	0	ე	0	დ

ხმების განაწილება: „გ“ – 34, „დ“ – 23, „ე“ – 15 (72-დან). გამოირიცხება „ე“ კანდიდატი.

**დ) მეოთხე ტურის შედეგები**

ჯგუფი I (3 ამომრჩეველი)		ჯგუფი II (8 ამომრჩეველი)		ჯგუფი III (4 ამომრჩეველი)		ჯგუფი IV (7 ამომრჩეველი)		ჯგუფი V (2 ამომრჩეველი)	
1	გ	1	დ	1	ბ	1	გ	1	ბ
0	დ	0	ბ	0	დ	0	დ	0	დ

ხმების განაწილება: „გ“ – 16, „დ“ – 8 (24-დან). გაიმარჯვა „გ“ კანდიდატმა.

**ხმის მიცემა ვეტოს უფლებით**

გაერო-ს უშიშროების საბჭოში მიღებულია ხმის მიცემა ვეტოს უფლებით. ამ უფლებით შეუძლიათ ისარგებლონ მუდმივმა წევრებმა: აშშ-მა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, რუსეთმა, ჩინეთმა. დანარჩენი ქვეყნები ამ უფლებას არ ფლობენ. მაგრამ გადაწყვეტილება მიიღება ხმების მარტივი უმრავლესობით და ამ ქვეყნების მხარდაჭერის გარეშე გადაწყვეტილება შეიძლება ვერ გავიდეს. ამავე დროს, უშიშროების საბჭოს მუდმივ

წევრებს შეუძლიათ გამოიყენონ ვეტოს უფლება მათთვის მიუღებელი გადაწყვეტილების ხელის შეშლისთვის. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება დაიბლოკება უშიშროების საბჭოზე, ეს საკითხი გადადის გაერო-ს გენერალური ასამბლეის მორიგ სესიაზე. ეს ნიშნავს მნიშვნელოვან შეფერხებას დროში, რადგან უშიშროების საბჭო შეიძლება შეიკრიბოს 24 საათის განმავლობაში, ხოლო გენერალური ასამბლეის მოსაწვევად საჭიროა უფრო ხანგრძლივი დრო.

თუმცა, არსებობს სხვა ვარიანტიც, რომელიც შემოთავაზებულ იქნა დ. მიულერის მიერ და იზიარებს ჰ. მულენი: ხმის მიცემა ვეტოს დადების მეშვეობით (Mueller, 1978; Moulin, 1979, 1981).

ასეთი კენჭისყრა ეფუძნება ინფორმაციას ამომრჩევლების უპირატესობათა სისტემის შესახებ. ამისათვის არ არის საჭირო ამა თუ იმ გადაწყვეტილების სარგებლიანობის აბსოლუტური დონის ცოდნა, საკმარისია მათი უპირატესობების რანჟირება, რაც საშუალებას გვაძლევს პირდაპირი ანალოგია გავავლოთ სარგებლიანობის ორდინალისტურ თეორიასთან.

ხმის მიცემა ხდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ყოველი მონაწილე სთავაზობს თავის ვარიანტს.  $n$  მონაწილის შემთხვევაში მიიღება  $n+1$  ვარიანტიდან, ვინაიდან გაითვალისწინება არა მარტო შეთავაზებები, არამედ თავდაპირველად არსებული მდგომარეობაც  $S$ . შემდეგ შემთხვევითი ფორმით განისაზღვრება ხმის მიცემის წესი. პირველი მონაწილე გამორიცხავს მისთვის ყველაზე უარეს გადაწყვეტილებას. ასევე იქცევა მეორეც. ასე გრძელდება მანამდე, სანამ კოლექტივის ყველა წევრი სათითაოდ არ გამორიცხავს ყველა არსებული შეთავაზებებიდან. არჩეულად ითვლება ერთადერთი გამოურიცხავი წინადადება. ამ სისტემის ღირსება ისაა, რომ გამორიცხება თითოეული ამომრჩევლისთვის ყველაზე უარესი ვარიანტები. ამიტომ თვით პროცედურას აქვს პარეტო-ოპტიმალურ მდგომარეობასთან მიახლოების ტენდენცია. ასეთი მიდგომა იძლევა როგორც საზოგადოებრივი დოვლათის რაოდენობის, ასევე მისი დაფინანსებისთვის საჭირო საგადასახადო ტვირთის ზომების განსაზღვრის საშუალებას.

**არჩევანი მაქსიმალური მნიშვნელობის მიხედვით**

არჩევანი მაქსიმალური მნიშვნელობის მიხედვით ცდილობს გაითვალისწინოს ამომრჩეველთა უპირატესობების განსხვავებული ინტენსიურობა. ამიტომ ალტერნატივებს მიეწერება შესაბამისი ხვედრითი წონა. მაქსიმალური მნიშვნელობის გამოყენება ყველა მონაწილეს არ შეუძლია. ჩვენს შემთხვევაში (იხ. ცხრ. 4.12), ყველაზე მაღალი ქულები დაწერილია მხოლოდ ამომრჩეველთა პირველი ჯგუფის მიერ.

**ცხრილი 4.12.**

**არჩევანი მაქსიმალური მნიშვნელობის მიხედვით (10-ბალიანი სისტემა)**

I ჯგუფი (6 ამომრჩეველი)		II ჯგუფი (5 ამომრჩეველი)		III ჯგუფი (4 ამომრჩეველი)	
A	9	B	5	C	6
B	6	A	3	D	4
C	3	D	2	B	2
D	1	C	1	A	1

ხმების განაწილება: A - 73, B - 69, C - 47, D - 32.

ასეთი სიტუაცია ადვილად ექვემდებარება მანიპულირებას საკუთარი უპირატესობების ინტენსივობის ამაღლების გზით. ეს განსაკუთრებით ადვილია მაშინ, როდესაც ცნობილია სხვების უპირატესობები. ჩვენს მაგალითში გამარჯვებული გამოდის A, თუმცა 15-დან 9 ამომრჩეველმა B უფრო მეტად შეაფასა, ვიდრე A.

ჩვენს მიერ განხილული ხმის მიცემის პროცედურები საკმაოდ რთული და შრომატევადია. ისინი, ჩვეულებრივ, გამოიყენება მცირე ჯგუფებში. მათი გამოყენება უფრო ფართო მასშტაბით დაკავშირებულია ხარჯების მკვეთრ ზრდასთან, რის უფლებასაც წარმომადგენლობითი დემოკრატია თავს ვერ მისცემს.

**4.4. კლუბების თეორია**

განვიხილოთ საზოგადოებრივი დოვლათის მხოლოდ ერთი თვისების გავლენა - საზიარო (ერთობლივი) მიწოდება. გამორიცხვა შესაძლებელია, მაგრამ ახალი წევრის დამატება ამცირებს დოვლათის მიწოდების საშუალო ხარჯებს ყველა დანარჩენი წევრისთვის, ე.ი. ადგილი აქვს მასშტაბიდან ეკონომიას. თუ საშუალო ხარჯები


უსასრულოდ მცირდება, მომხმარებელთა ჯგუფის ოპტიმალური ზომა მთელი მოსახლეობაა და წარმოიშობა საზოგადოებრივი დოვლათის ტრადიციული პრობლემა. თუ დანახარჯები გარკვეულ მომენტში შემცირებას წყვეტს ან იზრდება მასშტაბიდან ეკონომიის ამოწურვის გამო ან გადატვირთულობის (crowding) დამატებითი ხარჯების შედეგად, მომხმარებელთა ჯგუფის ოპტიმალური ზომა შეიძლება ნაკლები აღმოჩნდეს, ვიდრე მთელი მოსახლეობა. თუ ისინი, ვისაც არ შეაქვს თავისი წვლილი საზოგადოებრივი დოვლათის მიწოდების დანახარჯებში, შეიძლება გამოირიცხნენ მისი მოხმარებიდან, მაშინ არსებობს შესაძლებლობა, რომ ინდივიდთა ჯგუფი ნებაყოფლობით შეთანხმდება მხოლოდ მოცემული ჯგუფისთვის საზოგადოებრივი დოვლათის მიწოდებაზე. ასეთ ნებაყოფლობით ასოციაციას, რომელიც შექმნილია განსაკუთრებული (გამონაკლისი) საზოგადოებრივი დოვლათის მიწოდებისთვის, განვსაზღვრავთ როგორც კლუბს. თუმცა ჩვენ ვგულისხმობთ, რომ კლუბის წევრებისთვის საზოგადოებრივი დოვლათის მიწოდება ვარაუდობს რაღაც მუდმივ ხარჯებს, და შეიძლება, რაღაც კლებად ცვალებად ხარჯებს, უნდა აღინიშნოს, რომ რომელიმე სოციალური კლუბის მიერ მიწოდებული საზოგადოებრივი დოვლათი სრულად დაიყვანება კლუბის სხვა წევრების არსებობაზე. ამის მაგალითია ბრიჯის მოთამაშეთა კლუბი. მოცემულ შემთხვევაში შეიძლება არ არსებობდეს საზოგადოებრივი დოვლათის მიწოდების ხარჯები, დროის დანახარჯების გარდა, და სარგებლობა - სხვა წევრებთან - ბრიჯის მოთამაშებთან გაერთიანების სარგებლობის გარდა, მაგრამ შესაძლებელია კლუბის წევრების გამოირიცხვა.

ჯ. ბიუქენენმა პირველმა გამოიკვლია ნებაყოფლობითი კლუბების თვისებები ევექტიანობის თვალსაზრისით, და გამოიყენა მოდელი, რომელშიც ინდივიდებს აქვსთ იდენტური გემოვნება საზოგადოებრივი და კერძო დოვლათის მიმართ.

განვიხილოთ ბიუქენენის პირველი მაგალითი ცურვის მოყვარულთა კლუბის ფორმირების შესახებ. დავუშვათ, აუზის ზომა და, მაშასადამე, მისი ფიქსირებული დანახარჯებია  $F$ , და ერთადერთი საკითხი, რომელზეც უნდა მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, არის კლუბის ზომა.

ნახ. 4.2. ზე გამოსახულია კლუბის ახალი წევრის დამატების ზღვრული ხარჯები და ზღვრული სარგებლიანობა კლუბის ნებისმიერი სხვა წევრის თვალსაზრისით. იდენტური გემოვნების და შემოსავლების დროს შეიძლება ვივარაუდოთ ხარჯების თანაბარი

განაწილება. კლუბის პირველი წევრის ზღვრული მოგება მეორე წევრის დამატებიდან წარმოადგენს აუზის დანახარჯების ნახევრის ეკონომიას. ანუ  $MB = F/2$ . პირველი ორი წევრის ზღვრული მოგება მესამის დამატებიდან წარმოადგენს აუზის დანახარჯების მესამედის დამატებით ეკონომიას ( $F/3$ ). დამატებითი მოგება ახალი წევრების დამატებიდან - მუდმივი ხარჯების დამატებითი განაწილების ეკონომია - მცირდება კლუბის ზომების ( $N$ ) ზრდასთან ერთად (მრუდი  $MB$ ). კლუბის ახალი წევრის ზღვრული ხარჯები წარმოდგენილია  $MC$  მრუდით. ეს არის ფსიქოლოგიური ხარჯები. თუ ინდივიდები უპირატესობას ანიჭებენ მარტო ცურვას, მოცემული ხარჯები დადებითი იქნება კლუბის ზომის მთელ დიაპაზონზე. თუ ინდივიდები სიამოვნებას იღებენ სხვა ინდივიდებთან ურთიერთობისგან კომპანიის ზომიერი ზომების დროს, ახალი წევრების დამატების ზღვრული ხარჯები უარყოფითია კლუბის მცირე ზომების დროს. მაგრამ გარკვეული დონიდან გადატვირთულობის დადებითი ხარჯები დომინირებას იწყებს. კლუბის ოპტიმალური ზომა  $N_0$ , განისაზღვრება იმ წერტილით, სადაც  $MB = MC$  (McGuire, 1972, pp. 94–97; Fisch, 1975).



ნახ. 4.2. კლუბის ოპტიმალური ზომის განსაზღვრა

წყარო: Mueller D.C. Public Choice III. P. 84.

ნახ. 4.2 შეიძლება გამოვიყენოთ წმინდა კერძო და წმინდა საზოგადოებრივი დოვლათის შემთხვევისთვისაც. წმინდა საზოგადოებრივი დოვლათის შემთხვევაში კლუბის კიდევ ერთი წევრის დამატება არასოდეს არ ამცირებს კლუბის სხვა წევრების მიერ



მიღებულ მოგებას. ზღვრული ხარჯები ყოველთვის 0-ის ტოლია, მისი გრაფიკი ჰორიზონტალურ ღერძს ემთხვევა. კლუბის ოპტიმალური ზომა უსასრულოა. წმინდა კერძო დოვლათის, მაგალითად, ვაშლის შემთხვევაში, გადავსება იწყება დოვლათის პირველი ერთეულიდან. თუ მომხმარებელი იღებს რაიმე სამომხმარებლო ნამეტს ვაშლიდან, დაკარგული სარგებლიანობა ნახევარი ვაშლის სხვაზე გადაცემიდან მეტია დანახარჯების განაწილებიდან სარგებლობაზე და კლუბის ოპტიმალური ზომა უდრის 1-ს. თუმცა თვით ისეთი კერძო დოვლათის შემთხვევაშიც კი, როგორცაა ვაშლი, ოპტიმალური შეიძლება იყოს კოოპერაციული მოხმარება. მაგალითად, თუ ერთი ცალი ვაშლის ფასი ნაკლებია მისი კილოგრამებად გაყიდვის ფასზე, ვაშლების განაწილება ფლობს საზიარო მიწოდების თვისებას და შეიძლება ხელი შეუწყოს ოპტიმალური ზომის მყიდველთა კლუბის შექმნას, რომელიც ერთზე მეტი იქნება.

დავუშვათ, რეპრეზენტატიული ინდივიდის სარგებლიანობა წარმოადგენს სამი ცვლადის ფუნქციას: კერძო დოვლათის  $X$ , საზოგადოებრივი დოვლათის  $G$ , და კლუბის ზომის  $N$ . მაშინ

$$U = U(X, G, N)$$

ვთქვათ, საზოგადოებრივი დოვლათის მიწოდების ხარჯები კლუბისთვის მოიცავს მუდმივ ხარჯებს  $F$  და ხვედრით ხარჯებს (ფასს)  $P_g$ . დავუშვათ, რომ ყველა ინდივიდს აქვს არა მარტო სარგებლიანობის ერთი და იგივე ფუნქცია  $U$ , არამედ ერი და იგივე შემოსავალი  $Y$  და თითოეული იხდის ერთი და იგივე საწევრო შენატანს  $t$  კლუბის წევრობისთვის. საზოგადოებრივი დოვლათის მოცულობის და კლუბის ზომის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ჩვენ ვვარაუდობთ, რომ კლუბის რეპრეზენტატიული წევრის სარგებლიანობა მაქსიმიზირდება. ეს მიზანი შეიძლება აღმოცენდეს როგორც კლუბის დამფუძნებელთა გაცნობიერებული არჩევანი ან იყოს კონკურენციის შედეგი. თუ არსებობს კონკურენცია წევრობისთვის, ნებისმიერი კლუბი, რომელიც არ მისცემს მაქსიმალურ სარგებლიანობას თავის წევრებს გამორიცხვადი საზოგადოებრივი დოვლათის მიწოდების არსებული ტექნოლოგიის პირობებში, ვერ გადარჩება.

თუ მხედველობაში მივიღებთ რეპრეზენტატიული წევრის ბიუჯეტურ შეზღუდვას, მივიღებთ ლაგრანჟის მაქსიმიზირებად ფუნქციას:

$$L = U(X, G, N) + \lambda(Y - P_x X - t). \quad (4-1)$$

თუ კლუბი მოქმედებს დაბალანსებული ბიუჯეტური შეზღუდვის პირობებში,  $t$ -მ უნდა დააკმაყოფილოს პირობა:

$$tN = F + P_g G. \quad (4-2)$$

თუ გამოვიყენებთ ამ განტოლებას  $t$ -ს შესაცვლელად (4-1) -ში, მივიღებთ:

$$L = U(X, G, N) + \lambda(Y - P_x X - F/N - P_g G/N). \quad (4-3)$$

(4-3) -ს მაქსიმიზირებით  $X$ ,  $G$  და  $N$  -ს მიმართ, მივიღებთ პირველი რიგის პირობას:

$$\frac{\partial L}{\partial X} = \frac{\partial U}{\partial X} - \lambda P_x = 0; \quad (4-4)$$

$$\frac{\partial L}{\partial G} = \frac{\partial U}{\partial G} - \lambda P_g / N = 0; \quad (4-5)$$

$$\frac{\partial L}{\partial N} = \frac{\partial L}{\partial N} + \frac{\lambda(F + P_g G)}{N^2} = 0. \quad (4-6)$$

(4-4) და (4-5)-დან მივიღებთ:

$$N \frac{\partial U / \partial G}{\partial U / \partial X} = \frac{P_g}{P_x}. \quad (4-7)$$

კლუბის წევრებისთვის მიწოდებული საზოგადოებრივი დოვლათის რაოდენობა ისე უნდა იყოს არჩეული, რომ სრულდებოდეს პარეტო-ოპტიმალურობის სამუელსონური პირობა, ესე იგი, საზოგადოებრივი დოვლათის კერძო დოვლათით ჩანაცვლების ზღვრულ ნორმათა ჯამი კლუბის ყველა წევრისთვის უნდა უდრიდეს ამ დოვლათთა ფასების თანაფარდობას.

(5.5)-დან და (5.6)-დან ვიღებთ:

$$N = - \frac{\partial U / \partial G}{\partial U / \partial N} \frac{F + P_g G}{P_g}. \quad (4-8)$$

თუ კლუბის გაფართოება იწვევს არასასურველ გადატვირთვას,  $\partial U / \partial N < 0$ , და (4-8) გვაძლევს  $N > 0$ . რაც უფრო მეტია გადატვირთვის უარყოფითი სარგებლიანობა საზოგადოებრივი დოვლათის ზღვრულ სარგებლიანობასთან შედარებით, მით უფრო ნაკლებია კლუბის ოპტიმალური ზომა. რაც უფრო მეტია კლუბის წევრებისთვის საზოგადოებრივი დოვლათის მიწოდების მუდმივი ხარჯები, მით მეტია კლუბის

ოპტიმალური ზომა, ამ ხარჯების კლუბის წევრთა დიდ რაოდენობაზე განაწილების უპირატესობის გამო.

დაშვება იმის შესახებ, რომ ინდივიდებს იდენტური გემოვნება და შემოსავლები აქვთ, არა მარტო ანალიტიკურად სასარგებლოა. ხშირად არაეფექტიანია კლუბში განსხვავებული გემოვნების ინდივიდების მიღება, თუ ამის თავიდან აცილება შესაძლებელია. თუ ყველა ინდივიდი იდენტურია იმ გამონაკლისით, რომ ზოგიერთი ამჯობინებს ოთხკუთხა აუზს, ხოლო ზოგიერთი - ოვალურს, მაშინ კლუბის ფორმირების ოპტიმალური პროცესი ინდივიდებს ახარისხებს ოთხკუთხა და ოვალური აუზების შესაბამისად. მაგრამ საზოგადოებრივი დოვლათის მიმართ ზოგიერთი განსხვავება გემოვნებაში ადვილად შეიძლება იყოს გათვალისწინებული ერთი კლუბის ფარგლებში. მაგალითად, თუ ზოგიერთ ინდივიდს ყოველდღე ცურვა სურს, ხოლო სხვებს - მხოლოდ კვირაში ერთხელ, უპირატესობათა ეს არაერთგვაროვნება შეიძლება ეფექტიანად გავითვალისწინოთ კლუბის მომსახურებისთვის სხვადასხვა წევრიდან სხვადასხვა საწევროს ამოღებით. თუ კლუბის ზომის გაზრდის ერთადერთი დანახარჯი გადატვირთულობის ხარჯებია, კლუბის დასაფინანსებლად ოპტიმალური შენატანი იქნება გადასახადი ყოველ მისვლაზე. ანალოგიური შენატანები აუცილებელია კლუბური დოვლათის ოპტიმალური ალოკაციის და გამოყენების მისაღწევად, თუ ამ დოვლათის მიწოდების დანახარჯები (მაგალითად, ტექნიკური მომსახურების ხარჯები) დადებით კავშირშია მისი გამოყენების ინტენსივობასთან (Berglas, 1976; Sandler and Tschirhart, 1997, pp. 342–343; Cornes and Sandler, 1986, pp. 179–84).

კლუბის წესებს პოლი (Pauly, 1967, p. 317) ადარებს საზოგადოებრივ ხელშეკრულებას, რომელიც ერთხმადაა მიღებული ყველა წევრის მიერ. ასეთი დაშვების დროს კლუბების თეორია ნებაყოფლობითი გაცვლის და კონტრაქტების თეორიის მსგავსია. სხვადასხვა კლუბების დიდი რაოდენობით არსებობისას ყოველ ინდივიდს დანახარჯების თანაბარი წილისთვის თანაბარი სარგებლიანობის მიღების გარანტია აქვს, რადგან მის წინააღმდეგ დისკრიმინაციის ნებისმიერი მცდელობა უზიძგებს მას, გადავიდეს სხვა კონკურენტ კლუბში ან შექმნას ახალი კლუბი. მაგრამ თუ კლუბების ოპტიმალური ზომები დიდია მოსახლეობის ზომასთან შედარებით, შესაძლებელია დისკრიმინაცია და სტაბილური წონასწორობა შეიძლება შეუძლებელი იყოს. მაგალითად,

როდესაც კლუბის ოპტიმალური ზომა მოსახლეობის 2/3-ს შეადგენს, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთი კლუბი. თუ იგი ყალიბდება, მასში შემავალ ინდივიდებს კლუბის წევრების გადმობირების სტიმული აქვთ, არაპროპორციული სარგებლობის შეთავაზებით, რასაც მიიღებენ უფრო მცირე კლუბის გაფართოებით. მაგრამ უფრო მსხვილი კლუბის დარჩენილ წევრებს კლუბის ზომების შენარჩუნების სტიმული აქვთ და შეიძლება მიიზიდონ ახალი წევრები დიდ კლუბში წევრობის სრული სარგებლობის შეთავაზებით და ა.შ. ამიტომ ყოველთვის არ არსებობს კლუბის ზომების და სარგებლიანობების სტაბილური განაწილება (Pauly, 1967, 1970). ანალიტიკური თვალსაზრისით, პრობლემა, ზოგად შემთხვევაში, ციკლორობის პრობლემის იდენტურია.

#### 4.5. „ხმის მიცემა ფეხებით“

თუ საზოგადოებრივი დოვლათის მოხმარებისთვის საჭიროა, რომ ინდივიდი იმყოფებოდეს განსაზღვრულ ადგილას, მანძილი (დისტანცია) შეიძლება გამორიცხვის საშუალება გახდეს. თუ მოცემული ტიპის საზოგადოებრივი დოვლათის სხვადასხვა ნაკრები სხვადასხვა ადგილას მიეწოდება, აღმოცენდება მოსახლეობის სივრცობრივი დაყოფა ერთგვაროვანი გემოვნების მქონე „კლუბებად“ იმის შედეგად, რომ ინდივიდები აირჩევენ იმ თანასაზოგადოებაში ცხოვრებას, რომელიც მათ საზოგადოებრივი დოვლათის ოპტიმალურ კომბინაციას სთავაზობს. საჭირო არ იქნება ხმის მიცემა ბიულეტენებით. ყველა უპირატესობა გამოვლენილი იქნება იმ ინდივიდთა მიერ „ფეხებით ხმის მიცემის“ მეშვეობით, რომლებიც თანასაზოგადოებაში შედიან ან ტოვებენ მას. ეს შესაძლებლობა პირველად აღნიშნა ჩ. ტიბუმ (Tiebout, 1956). „ხმის მიცემა ფეხებით“ ინდივიდუალურ უპირატესობათა გამოვლენის ამოცანას საოცრად მარტივად წყვეტს - ინდივიდებისათვის იმის დაშვებით, რომ მოახდინონ საკუთარი თავის დახარისხება მსგავსი გემოვნების ჯგუფების მიხედვით. ადგილობრივი თანასაზოგადოება წარმოადგენს კლუბის ფორმას, ხოლო კლუბი წარმოადგენს თანასაზოგადოების სახეობას. ამიტომ, სამყარო, რომელიც კლუბებისგან შედგება, უნდა ფლობდეს იმავე პოტენციალს, რომელსაც გვთავაზობს ტიბუს მოდელი მთელი მოსახლეობის მასშტაბით პარეტო-ეფექტიანობის მისაღწევად.

ამგვარად, გამონაკლისი საზოგადოებრივი დოვლათის მიწოდების ოპტიმალურობის შემდეგი პირობები გამოსაყენებელია როგორც კლუბების მოდელისთვის, ასევე „ფეხებით ხმის მიცემის“ მოდელისთვის;

- 1) ყველა მოქალაქის სრული მობილობა;
- 2) ყველა თანასაზოგადოების (კლუბების) თვისებების სრული ცოდნა;
- 3) საზოგადოების (კლუბის) არჩევის ხელმისაწვდომობა;
- 4) საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებაში მასშტაბიდან ეკონომიის და/ან წარმოების მცირე ოპტიმალური მასშტაბის არარსებობა მოსახლეობის ზომებთან შედარებით;
- 5) საზოგადოებებს (კლუბებს) შორის გადანაცვლების არარსებობა;
- 6) ინდივიდთა შემოსავლების მიმართ გეოგრაფიული შეზღუდვების არარსებობა.

(1) და (5) დაშვებები „მუშაობს“ ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით. რაც უფრო დიდია თანასაზოგადოება, მით უფრო ძვირი ღირს მისგან გასვლა და მით უფრო ნაკლებია მობილობა. ამგვარად, გასვლა უფრო გონივრული ალტერნატივაა მცირე (და არა დიდი) საზოგადოების შემთხვევაში. მეორე მხრივ, რაც უფრო მცირეა საზოგადოება, მით უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ სარგებლიანობა რაიმე სპეციფიკური საზოგადოებრივი დოვლათის მიწოდებიდან გადავა სხვა საზოგადოებაში და გამოიწვევს საზოგადოებებს შორის ექსტერნალებს და პარეტო-არაოპტიმალურ ალოკაციას.

(2) და (3) დაშვებები წარმოშობს ურთიერთშემავსებელ პრობლემებს. ამ დაშვებათა ძირითადი იდეა ისაა, რომ არსებობს საზოგადოებრივი დოვლათის შესაძლო კალათების სრული დიაპაზონი, რომელიც თავიდანვე ხელმისაწვდომია. მაგრამ როგორ ყალიბდება ალტერნატივათა ეს სპექტრი? შეიძლება ვივარაუდოთ ორი შესაძლებლობა: ხელისუფლების რაიმე ცენტრალური ორგანო ან აუქციონერი აფუძნებს ლოკალურ თანასაზოგადოებას და კლუბებს საზოგადოებრივი დოვლათის სხვადასხვა კალათებით და ახდენს ყველა პოტენციური მოქალაქის ინფორმირებას თითოეული კლუბის/თანასაზოგადოების თვისებების შესახებ. მაგრამ პრობლემის ამგვარი გადაწყვეტის დროს არსებობს გარკვეული სირთულეები. უფრო მისაღებია დაშვება იმ მეწარმეთა არსებობის შესახებ, რომლებიც ქმნიან კლუბებს იქ სადაც ეს აუცილებელია, საზოგადოებრივი დოვლათის მიწოდებისთვის მოგების მისაღებად. ეს კლუბები შეიძლება

დაფუძნდეს არაკომერციულ საფუძველზე. თუმცა, ამ შემთხვევაში, მეწარმე-დამფუძნებლის დაჯილდოებას, სავარაუდოდ, არაფულადი ფორმა უნდა ჰქონდეს, მაგალითად, მისი ავტორიტეტი და პრესტიჟი. ჩ. ტიბუ „მერის“ ნაცვლად იყენებს ტერმინს „ქალაქის მენეჯერები“ ლოკალური თანასაზოგადოების ლიდერების მიმართ, შესაძლებელია, სწორედ, მათი სამეწარმეო ფუნქციის აღიარების მიზნით. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ მრავალი საქონელი, რომელიც ერთობლივად მიეწოდება, მაგრამ უშვებს გამორიცხვას, მიზნად მოგების მიღებას ისახავს. სატელევიზიო პროგრამების წარმოება და გადაცემა ამის კარგი მაგალითია. არსებობს კერძო ფირმები, რომლებიც სთავაზობენ სატელევიზიო პროგრამების პაკეტებს განსაზღვრულ ფასად, სახელმწიფო კომპანიების მიერ მიწოდებული სატელევიზიო პროგრამების პაკეტების გვერდით. პირველნი, არსებითად, წარმოადგენენ სამომხმარებლო კლუბებს, რომლებიც შექმნილია სატელევიზიო პროგრამების გარკვეული ერთობლიობის მოხმარებისთვის, მაშინ როცა სახელმწიფო მაუწყებლობის პროგრამები ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც იმყოფებიან გადამცემთან ახლოს.

თუმცა კლუბს შეუძლია მიაწოდოს ერთი (მაგალითად, ცურვა) ან რამდენიმე (ცურვა, გოლფი, ჩოგბურთი) საზოგადოებრივი დოვლათი, ლოკალური თანასაზოგადოებები აწვდიან რამდენიმე საქონელსა და მომსახურებას. საზოგადოებრივი დოვლათის მრავალფეროვნების ზრდასთან ერთად, (3) დაშვების მართლზომიერება მცირდება. ყოველი დამატებითი საზოგადოებრივი დოვლათი ექსპონენციალურად ზრდის აუცილებელი თანასაზოგადოების რაოდენობას. თუ საზოგადოებრივი დოვლათის რაოდენობა ძალიან დიდია, მივდივართ გადაწყვეტასთან, რომლის დროსაც თანასაზოგადოებების რაოდენობა მოსახლეობის რიცხოვნობას უტოლდება. ასეთია ჩ. ტიბუს მოდელის გამოყენების შესაძლო შედეგი.

**ლიტერატურა:**

- მეცხაბიშვილი ე.** თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები, თბ., 2016, გვ. 302-332.
- Berglas, Eitan**, “On the Theory of Clubs,” *American Economic Review* 66(2), May 1976, 116–21.
- Buchanan, James M. and C. J. Goetz**, “Efficiency Limits of Fiscal Mobility: An Assessment of the Tiebout Model,” *Journal of Public Economics* 1, April 1972, 25–43.
- Cornes, Richard and Todd Sandler**, *The Theory of Externalities, Public Goods and Club Goods*, Cambridge: Cambridge University Press, 1986.
- Fisch, Oscar**, “Optimal City Size, the Economic Theory of Clubs and Exclusionary Zoning,” *Public Choice* 24, Winter 1975, 59–70.
- Mueller D.** Public choice III. New York: Cambridge University Press, 2008. pp. 147-207.
- Mueller D.C.** Voting by Veto // *Journal of Public Economics*. 1978. Vol. 10. #1. P. 57-75;
- Moulin H.** Dominance Solvable Voting Schemes // *Econometrica*. 1979. Vol. 47. P. 1337-1351; **Moulin H.** The Proportional Veto Principle // *Review of Economics Studies*. 1981. Vol. 48. P. 407-416;
- McGuire, M.**, “Private Good Clubs and Public Good Clubs: Economic Models of Group Formation,” *Swedish Journal of Economics* 74, March 1972, 84–99.
- Pauly, Mark V.**, “Clubs, Commonality, and the Core: An Integration of Game Theory and the Theory of Public Goods,” *Economica* 35, August 1967, 314–324.
- Pauly, Mark V.**, “Cores and Clubs,” *Public Choice* 9, Fall 1970, 53–65.
- Persson T., Tabellini G.** Political economics. Explaining Economic Policy, MIT Press, 2000.
- Sandler, Todd and John T. Tschirhart**, “Club Theory: Thirty Years Later,” *Public Choice* 93, December 1997, 335–355.
- Tiebout, Charles M.**, “A Pure Theory of Local Expenditures,” *Journal of Political Economics* 64, October 1956, 416–424.
- Tullock G.** On Voting: A Public Choice Approach. Cheltenham, Edward Elgar, 2001, ch. 1–5, p. 1–81.
- Альт Дж., Алезина А.** Политическая экономия: общие проблемы // *Политическая наука: новые направления*. М., 1999. С. 625–656.
- Мюллер Д.** Общественный выбор III. М.: Институт Экономическая школа ГУ-ВШЭ, 2007, Гл.7-9.
- Нуреев Р. М.** Теория общественного выбора. М.: Издательский дом ГУ- ВШЭ, 2005, гл. 5.
- Стиглиц Дж.** Экономика государственного сектора. М, 1997, Гл. 6. с. 144–173.

## **თემა 5. წარმომადგენლობითი დემოკრატიის ეკონომიკური ანალიზი: პოლიტიკური კონკურენცია**

საზოგადოების განვითარებასთან ერთად რთულდება საზოგადოებრივი არჩევანის პრობლემებიც. ამომრჩეველთა რიცხვის და გადასაწყვეტი პრობლემების რაოდენობის ზრდასთან ერთად, პირდაპირი დემოკრატია შეუძლებელია. წარმოიშობა წარმომადგენლობითი ორგანოების და მათთვის საჭირო კანდიდატების შერჩევის აუცილებლობა. საზოგადოებრივი არჩევანის თეორია განიხილავს წარმომადგენლობითი დემოკრატიის სამ ასპექტს: პირველი, ამომრჩეველთა და წარმომადგენელთა ქცევას საარჩევნო კამპანიის პერიოდში; მეორე, წარმომადგენლობითი ხელისუფლების ორგანოების ფორმირებას და მათი ფუნქციონირების ეფექტიანობას; მესამე, მათი საქმიანობის შედეგებს სხვადასხვა პოლიტიკური სისტემების დროს. ამიტომ შემდეგი სამი ლექცია ეხება ამ ასპექტების ანალიზს - პოლიტიკურ კონკურენციას, მთავრობას და კოალიციებს პარლამენტში და სხვადასხვა პოლიტიკური სისტემების ფუნქციონირების შედარებით ანალიზს.

### **5.1. არჩევანის თავისებურებანი წარმომადგენლობითი დემოკრატიის დროს კერძო და საზოგადოებრივი არჩევანი**

წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებში ხმის მიცემის პროცესი რთულდება. კერძოსგან განსხვავებით, საზოგადოებრივი არჩევანი ხორციელდება დროის გარკვეული შუალედების შემდეგ, და შეზღუდულია პროგრამების პაკეტის მქონე პრეტენდენტთა წრით. ეს ნიშნავს, რომ ამომრჩეველს არა აქვს შესაძლებლობა აირჩიოს რამდენიმე დეპუტატი: ერთი - დასაქმების პრობლემების გადასაჭრელად, მეორე - ინფლაციასთან ბრძოლისთვის, მესამე - საგარეო პოლიტიკის პრობლემების მოსაგვარებლად და ა.შ. ის იძულებულია, აირჩიოს ერთი დეპუტატი, რომლის პოზიციაც მთლიანად არ ემთხვევა მის უპირატესობებს (ცხრ. 5.1)

#### **ცხრილი 5.1.**

##### **განსხვავება კერძო და საზოგადოებრივ არჩევანს შორის**

კერძო არჩევანი	საზოგადოებრივი არჩევანი
----------------	-------------------------



ყოველდღიური არჩევანი (მაღაზიაში, ბაზარზე)	პერიოდული არჩევანი
არჩევანი საქონელ-შემცვლელთა უდიდესი რაოდენობიდან	არჩევანი პრეტენდენტთა შეზღუდული წრიდან
თითოეული საქონლის ცალკ-ცალკე არჩევა	პროგრამების პაკეტის არჩევა („საქონელი დატვირთვით“)

რთულდება ხმის მიცემის პროცედურაც. საარჩევნო უფლება შეიძლება განპირობებული იყოს ქონებრივი ცენზით (როგორც ძველ რომში) ან ბინადრობის ცენზით (როგორც ბალტიისპირეთის ზოგიერთ თანამედროვე ქვეყანაში). კანდიდატის არჩევისთვის შეიძლება საჭირო იყოს შეფარდებითი ან აბსოლუტური უმრავლესობა.

წარმომადგენლობითი დემოკრატია ზოგიერთ ამკარა უპირატესობას ფლობს. კერძოდ, იგი წარმატებით იყენებს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების სარგებლიანობას. არჩეული დეპუტატები სპეციალიზირდებიან განსაზღვრული საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე. საკანონმდებლო ორგანოები წარმართავენ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას, აკონტროლებენ მიღებულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელებას. ამავე დროს, წარმომადგენლობითი დემოკრატიის დროს ხშირად გადის ვარიანტები, რომლებიც არ შეესაბამება მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებს. ამასთან, იქმნება ვიწრო ჯგუფების ინტერესებისთვის გადაწყვეტილებათა მიღების წანამძღვრები.

**„წარმომადგენლობითი დემოკრატიის“ ცნების ორი ფორმულირება**

ცნება „წარმომადგენს“ თავდაპირველად ლიტერატურასა და ხელოვნებაში გამოიყენებოდა პიესის პერსონაჟის ან პორტრეტის გამოსახვის მნიშვნელობით. XVI საუკუნიდან ამ სიტყვამ შეიძინა ვინმეს ინტერესებისთვის მოქმედების მნიშვნელობა (მაგალითად, ქვეყნის ელჩი წარმომადგენს ქვეყნის ინტერესებს). XVII საუკუნის შუახანებიდან ეს მნიშვნელობა დამატებით აზრს იძენს: იყოს წარმომადგენელი (ხალხის,

ოლქის და ა.შ.), ჰქონდეს უფლებამოსილება (თავმჯდომარე და ა.შ), მოქმედებდეს ვინმეს სახელით.

წარმომადგენლობითი დემოკრატიის მიმართ ამ სიტყვის აღნიშნული მეორე მნიშვნელობა აისახა ორ კონცეფციაში: მიკროკოსმოს და პრინციპალი-აგენტის.

პირველი კონცეფციის ისტორია უკავშირდება ამერიკის პრეზიდენტს - ჯონ ადამსს, რომელმაც ჯერ კიდევ 1780 წელს ჩამოაყალიბა იდეა იმის შესახებ, რომ პარლამენტი უნდა იყოს ხალხის ზუსტი პორტრეტი მინიატურაში, ესე იგი, ფიქრობდეს, გრძნობდეს, განსჯიდეს და მოქმედებდეს ისე, როგორც ხალხი, ანუ, როგორც შენიშნა მირაბომ, „ჰქონდეს ისეთივე პროპორციები, როგორც ორიგინალს“. ამ მიდგომით, პარლამენტი უნდა ასახავდეს საზოგადოების სტრუქტურას, მის ასაკობრივ, ეთნიკურ, კლასობრივ და სხვა პარამეტრებს. ამ თვალსაზრისით, პარლამენტი არის ორიგინალის ასლი, მისი სარკისებური გამოსახულება.

მეორე კონცეფცია - „პრინციპალი-აგენტი“ - ნიშნავს, რომ წარმომადგენელი მოქმედებს ხალხის ინტერესებით, როგორც აგენტი - ხელმძღვანელის ინტერესებით, ოღონდ თავისუფლების გარკვეული ხარისხით. მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ამ თავისუფლების ხარისხი გაურკვეველია და აგენტს ხშირად უწევს მოქმედება არა ერთი, არამედ ბევრი პრინციპალის ინტერესებით.

ეს კონცეფციები არა მარტო ავსებენ ერთმანეთს, არამედ ხშირად წინააღმდეგობაშიც არიან. თუ წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები წარმოადგენენ მიკროკოსმოს, მაგრამ არ იცავენ მის ინტერესებს (არ სურთ ან არ შეუძლიათ), მაშინ ისინი აღმოჩნდებიან „წარმომადგენლები“ ამ სიტყვის პირველი და არა მეორე მნიშვნელობით. და, პირიქით, მათ შეუძლიათ შეასრულონ ხალხის ნება, როგორც პროფესიონალმა პოლიტიკოსებმა ან იურისტებმა. წარმომადგენლობის ეს განსხვავებები აისახება ხმის მიცემის სისტემაშიც (პროპორციული, მაჯორიტარული) და არჩევნების ტიპებში (ოლქიდან ერთი ან ბევრი წარმომადგენლის არჩევა - ერთმანდატიანი ან მრავალმანდატიანი ოლქი).

## 5.2. პოლიტიკური კონკურენცია

### საარჩევნო კამპანია


საარჩევნო კამპანიები განსხვავდება მათი ჩატარების ვადებით, დაფინანსების წესით და წარმომადგენლობის ტიპით. ჩატარების ვადების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ ორი

ტიპი: დროში შეზღუდული (მაგალითად, ოთხკვირიანი მარათონი დიდ ბრიტანეთში) და შეუზღუდავი - უწყვეტი (მაგალითად, აშშ-ში მომდევნო პრეზიდენტის საარჩევნო კამპანია შეიძლება დაიწყოს ახლად არჩეული პრეზიდენტის ფიცის დადებისთანავე). თუმცა, ამ ქვეყანაშიც საარჩევნო კამპანიის პიკი მოდის საპრეზიდენტო ვადის უკანასკნელ წელზე.

საარჩევნო კამპანიის მიზანია მოცემული კანდიდატის მხარდამჭერთა რიცხვის მაქსიმალურად გაზრდა. ეს შეიძლება მოხდეს როგორც ცალკეული აქციების ჩატარებით, ასევე სხვა ღონისძიებებით, რომელიც მიმართულია პოტენციური ელექტორატის გამოვლენისკენ. ამომრჩეველთა ყურადღების მიპყრობა შეიძლება მათი პრობლემების ამსახველი ზუსტი პროგრამებით, პარტიული სიმბოლიკით (აშშ-ში რესპუბლიკელების ტრადიციული სიმბოლოა სპილო, დემოკრატების - ვირი). ინდოეთის ეროვნული კონგრესის ემბლემაზე გამოსახულია - ფაშატი, რომელიც აჭმევს კვიცს.

პარტიათა დაფინანსების წესი შეიძლება სხვადასხვა იყოს. მაგალითად აშშ-ში პარტიები არსებობს მხოლოდ ამომრჩეველთა შემოწირულობებით. ზოგიერთ ქვეყანაში (ეს ეხება ძირითადად, ევროპის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს) - ამომრჩეველთა შემოწირულობებს ემატება რეგულარული პარტიული საწევროები, სხვა ქვეყნებში (მაგალითად, გერმანიასა და იზრაელში) - პარტიებს აქვთ სამეურნეო საქმიანობის უფლება. ამომრჩეველთა შემოწირულობები მოიცავს როგორც ფულს, ასევე დროს.

არჩევნების ძირითადი ტიპებია - არჩევნები მრავალმანდატიან და ერთმანდატიან ოლქებში (ნახ. 5.1). პირველ შემთხვევაში გამოიყენება შეფარდებითი უმრავლესობის წესი, მეორეში - პროპორციული წარმომადგენლობა. თავის მხრივ, არჩევნების ამ ტიპებს აქვს მრავალი მოდიფიკაცია (ნახ. 5.2).




**ნახ.5.1. არჩევნების ძირითადი ტიპები**


**ა) ტერიტორიის მიხედვით:**



**ბ) დროის მიხედვით:**



გ) ხმის მიცემის წესის მიხედვით:



### ნახ. 5.2. არჩევნების ძირითადი ტიპების მოდიფიკაციები

#### 5.3. ჰოტელინგ-დაუნსის ორპარტიული კონკურენციის მოდელი

##### დეტერმინირებული ხმის მიცემა

ივარაუდება, რომ ხალხის წარმომადგენლები, როგორც რაციონალური ეკონომიკური აგენტები, ისწრაფვიან თავისი სარგებლიანობის მაქსიმიზაციისკენ. პოლიტიკოსების და პოლიტიკური პარტიების მიმართ სარგებლიანობის ასეთი მაქსიმიზაცია ნიშნავს არჩევნებზე გამარჯვებას. ენტონი დაუნსმა ჩამოაყალიბა ფუნდამენტური ჰიპოთეზა, რომლის არსიც იმაშია, რომ „პარტიები ახდენენ პოლიტიკის ფორმირებას არჩევნებზე გამარჯვების მიზნით, და არა - იგებენ არჩევნებს პოლიტიკის გატარების მიზნით“ (Downs, P. 28).

პოლიტიკურ კონკურენციას ე. დაუნსი წარმოადგენს ჰაროლდ ჰოტელინგის (1895-1973წწ.) ბაზრის ერთგანზომილებიანი სივრცობრივი დიფერენციაციის მოდელის (წრფივი ქალაქის მოდელი) ანალოგიურად. ჰოტელინგმა ჯერ კიდევ 1929 წელს ახსნა, თუ რატომ განლაგდებიან პროვინციულ ქალაქებში საბაკალეო ჯიხურები ერთმანეთის გვერდით. პირველსახედ მან აიღო ტრანსკონტინენტალური სარკინიგზო გზის გასწვრივ განლაგებული ამერიკული ქალაქი. მასში თითქმის ყველა მაღაზია მთავარ ქუჩაზე იყო განლაგებული. ანალოგიური საქონლით მოვაჭრე კონკურენტი ვაჭრები ეცდებიან, თავიანთი მაღაზიები იმგვარად განალაგონ, რომ თითოეული მყიდველის სახლიდან მათ ჯიხურამდე საშუალო მანძილი უმცირესი იყოს. ეს გამოიწვევს იმას, რომ ყველა


გამყიდველი აღმოჩნდება მონაკვეთის ცენტრში, ხოლო მათი საქონელი იქნება მინიმალურად დიფერენცირებული. მსგავს სიტუაციაში მყიდველები აწყდებიან შემოთავაზებული პროდუქციის უმაღლეს სტანდარტიზაციას და ერთფეროვნების სიჭარბეს.

სანტერესოა, რომ მაგალითის სახით ჰოტელინგს მოაქვს ამომრჩეველთა ხმისთვის პოლიტიკური ბრძოლა აშშ-ის დემოკრატიულ და რესპუბლიკურ პარტიებს შორის (Hotteling, 1929). იმის ნაცვლად, რომ ამომრჩეველს შესთავაზონ ერთმანეთისგან განსხვავებული, მრავალფეროვანი საარჩევნო პლატფორმები, პარტიები ცდილობენ, ისინი მეტისმეტად მსგავსი გახადონ. ჰოტელინგის ლოგიკა დაუნსმა გამოიყენა პოლიტიკური კონკურენციის მიმართ.

განვიხილოთ ამომრჩეველთა ხმების განაწილება მათი იდეოლოგიური უპირატესობების შესაბამისად. ჰორიზონტალურ ღერძზე აღვნიშნოთ ამომრჩეველთა პოზიციები უკიდურესად მემარცხენედან უკიდურესად მემარჯვენემდე (ნახ. 5.3).

თუ ამომრჩეველთა პოზიციები უკიდურეს პოლუსებს შორის თანაბრად განაწილდება საზოგადოებაში, მივიღებთ ნორმალურ განაწილებას პიკით M წერტილზე. ღერძის შუაში აღვნიშნოთ მედიანური ამომრჩეველის პოზიცია. მრუდით შემოსაზღვრული მთლიანი ფართობი წარმოადგენს ხმის მიმცემთა 100%-ს. დავუშვათ, რომ ამომრჩეველები ხმას აძლევენ იმას, ვინც მათთან უფრო ახლოსაა თავისი იდეოლოგიური შეხედულებებით.

ამომრჩეველთა ხმების  
რაოდენობა




უკიდურესად მემარცხენეები      A      a      M      b      B      უკიდურესად მემარჯვენეები

ნახ. 5.3. ამომრჩეველთა ხმების განაწილება მათი იდეოლოგიური უპირატესობების შესაბამისად

დავუშვათ, არის მხოლოდ ორი კანდიდატი: A და B. თუ ერთ-ერთი კანდიდატი ირჩევს საშუალო პოზიციას (მაგალითად, M წერტილში), მაშინ ის მიიღებს, უკიდურეს შემთხვევაში, ხმების 50%-ს. თუ კანდიდატს უკავია A პოზიცია, მაშინ ის მიიღებს ხმების 50%-ზე ნაკლებს. თუ ერთ კანდიდატს უკავია პოზიცია A წერტილში, ხოლო მეორეს M წერტილში, მაშინ კანდიდატი A წერტილში მიიღებს იმ ამომრჩევლების ხმებს, რომლებიც იმყოფებიან a ხაზის მარცხნივ (a არის საშუალო პოზიცია A-სა და M-ს შორის), ესე იგი, ხმების უმცირესობას. კანდიდატს, რომელსაც უკავია M პოზიცია, შეუძლია მიიღოს იმ ამომრჩეველთა ხმები, რომლებიც იმყოფებიან a ხაზის მარჯვნივ, ანუ უმრავლესობა. კანდიდატისთვის საუკეთესო იქნება მედიანური ამომრჩევლის პოზიციასთან მაქსიმალურად მიახლოებული სტრატეგია, რადგან იგი უზრუნველყოფს მისთვის ხმების უმრავლესობას. ანალოგიური სიტუაცია ყალიბდება მაშინ, თუ ერთ-ერთი კანდიდატი იქნება მეორის „მარჯვნივ“ (დაიკავებს პოზიციას B წერტილში). ცხადია, ჩვენი პოლიტიკოსები A და B შეეცდებიან მოძრაობას ცენტრისკენ, და ამ შემთხვევაში გაიმარჯვებს ის, ვინც უკეთესად ასახავს ამომრჩეველი-ცენტრისტის პოზიციას. მაგრამ პრობლემა მდგომარეობს მედიანური ამომრჩეველის ინტერესების ზუსტ განსაზღვრაში (იდენტიფიკაციაში).

ხმების რიცხვი



**ნახ. 5.4. ცენტრისკენ მოძრაობა დაუნსის მოდელში**

რა მოხდება, თუ ბრძოლაში ჩაერთვება მესამე კანდიდატი? მაგალითად, ერთ კანდიდატს უკავია B პოზიცია, ხოლო დანარჩენ ორს - M პოზიცია. მაშინ პირველი მიღებს

ხმებს, რომლებიც იმყოფება განაწილების მრუდის ქვეშ  $b$  ხაზის მარჯვნივ, ხოლო თითოეული დანარჩენი ორიდან - ამ ხაზის მარცხნივ მდებარე ხმების ნახევარს (იხ. ნახ. 5.3.). ამიტომ ხმების უმრავლესობით მოიგებს პირველი კანდიდატი. თუ ორიდან ერთი კანდიდატი მიიღებდა  $A$  პოზიციას, მაშინ  $M$  პოზიციაზე მყოფი კანდიდატი მიიღებდა ხმების ძალიან უმნიშვნელო პროცენტს, რომელიც უდრის ფართობს განაწილების მრუდის ქვეშ  $a$  და  $b$  ხაზებს შორის. ამიტომ  $M$  კანდიდატს სტიმული აქვს გამოვიდეს  $AB$  სეგმენტიდან, რითაც დანარჩენი ორი კანდიდატიდან ერთს რთულ მდგომარეობაში ჩააყენებს. გადაადგილების პროცესი შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, მაგრამ აქვს თავისი საზღვრები. სანამ განაწილების პიკი მდებარეობს  $M$  წერტილში, ნებისმიერ კანდიდატს შეუძლია გაზარდოს თავისი შანსები  $M$ - კენ მოძრაობით.

სინამდვილეში კანდიდატებს არ შეუძლიათ უსასრულოდ მოძრაობა ცენტრისკენ, ვინაიდან ამომრჩევლები არც იმდენად გულმავიწყნი არიან, რომ აპატიონ მათ თავდაპირველი პოზიციიდან მოწყვეტა. მათი პერეორიენტაცია ცენტრის მიმართულებით შეიძლება შეხედულებათა არასტაბილურობაში დადანაშაულების საფუძველი გახდეს. იმ შემთხვევაში, თუ საშუალო ამომრჩევლის პოზიცია პარტიაში და საშუალო მამომრჩევლის პოზიცია ქვეყანაში მნიშვნელოვნად დაშორებულია, პირველად არჩევნებზე არჩეულმა კანდიდატმა შეიძლება ვერ დაიკავოს ყველაზე მომგებიანი პოზიცია. მაგრამ ბევრი ამერიკული არჩევნების შედეგები გვიჩვენებს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატთა პოზიციები მეტისმეტად ახლოს იყო. როგორც ცხრ. 5.2.-დან ჩანს, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში იყო მონომოდალური განაწილების, მინიმუმ, ოთხი მაგალითი, როდესაც მიცემული ხმების რაოდენობა უმნიშვნელოდ განსხვავდებოდა: 0,17 – 1,5%. ამავე დროს, ასეთი სიტუაცია არაერთადერთია. ვინაიდან არჩეული კანდიდატები იძულებულნი არიან, მიჰყვნენ თავდაპირველად არჩეულ პოლიტიკურ პლატფორმას, პრეტენდენტები იღებენ შედარებით უპირატესობას და შეიძლება აღმოჩნდნენ ელექტორატის უპირატესობათა ცენტრთან უფრო ახლოს. ამიტომ ორპარტიულ სისტემაში სრული ციკლი გამოიყურება როგორც კონკურენტ პარტიებს შორის ხელისუფლების მუდმივი ცვლა.



2000 წლის არჩევნებში, მიუხედავად იმისა, რომ ვერ მოაგროვა ხმების უმრავლესობა, შტატების ამომრჩევთა 5 ხმის უპირატესობით გამარჯვებული გახდა ბუმი-უმცროსი. ასეთია აშშ-ის პოლიტიკური სისტემის თავისებურება.

**ცხრილი 5.2.**

**პრეზიდენტის არჩევნები აშშ-ში, 1960-2000წწ.: მონომოდალური განაწილების მაგალითები**


არჩევნების წელი	პრეტენდენტები	მიცემული ხმების რაოდენობა	ხმების გადაწონვა
1960	ჯ. კენედი	34 226 731	118 574 (0, 17%)
	რ. ნიქსონი	34 108 157	
1968	რ. ნიქსონი	31 785 480	510 314 (0, 81%)
	ჰ. ემფრი	31 275 166	
1976	ჯ. კარტერი	40 380 763	1 232 790 (1,5%)
	ჯ. ფორდი	39 147 973	
2000	ჯ. ბუმი-უმცროსი	50 456 169	-539 947 (0,5%)
	ა. გორი	50 996 116	

წყარო: Мангейм Дж. Б., Рич Р.К. Политология. Методы исследования.


**ამომრჩეველთა ხმების განაწილების ფორმები**

ორი პარტიის მკაცრი დაპირისპირების პირობებში ხმების განაწილებამ შეიძლება მიიღოს ბიმოდალური ფორმა (ნახ. 5.5). ამ სიტუაციაში ცენტრისკენ მოძრაობას თან ახლავს მძიმე შედეგები - საკუთარი ელექტორატის ხმების დაკარგვა. რეალურ სინამდვილეში, ისეთი ბიმოდალური განაწილება, რომელსაც მკაცრად სიმეტრიული ფორმა აქვს, იშვიათად გვხვდება.

ა) სიმეტრიული ბიმოდალური განაწილება




ბ) ასიმეტრიული ბიმოდალური განაწილება




ნახ. 5.5. ამომრჩეველთა ხმების ბიმოდალური განაწილება

საზოგადოებაში, სადაც არ არსებობს ინტერესთა ზუსტი პოლარიზაცია, შეიძლება შეგვხვდეს პოლიმოდალური განაწილებაც. თუ ასეთ საზოგადოებაში მოქმედებს ოთხი პარტია, მაშინ ხმების განაწილებამ შეიძლება მიიღოს (იდეალში) ისეთი ფორმა, როგორც ნაჩვენებია ნახ.5.6 (ა) -ზე. ნახაზზე გამოსახულია პარტიებს შორის ხმების თანაბარი განაწილება. მაგრამ ეს მხოლოდ კერძო შემთხვევაა. ასევე შესაძლებელია ასიმეტრიული გადაადგილება მარჯვნივ ან მარცხნივ (ნახ.5.6 (ბ)).

ა) სიმეტრიული პოლიმოდალური განაწილება



## ბ) ასიმეტრიული პოლიმოდალური განაწილება




ნახ. 5.6. ამომრჩეველთა ხმების პოლიმოდალური განაწილება

პოლიტიკური კონკურენციის წარმოდგენილი მოდელი საკმაოდ აბსტრაქტულია, მაგრამ ის მაინც იძლევა კანდიდატთა პოლიტიკურ ქცევაზე მოქმედი ფაქტორების ახსნის საშუალებას.

დავუშვათ, პარტიის პლატფორმა განსხვავდება ამომრჩევლის შეხედულებებისგან 10%-ზე მეტით. მაშინ ის თავს შეიკავებს ხმის მიცემისგან. ამ შემთხვევაში მოძრაობა ცენტრისკენ მიზანშეუწონელია.

განვიხილოთ ეკონომიკური რეფორმების გატარების ტემპების მიმართ ამომრჩეველთა შეხედულებების განაწილების კონკრეტული მაგალითი (ნახ. 5.7). დავუშვათ, არსებობს ორი პარტია A და B, შესაბამისად, პლატფორმებით 35 და 85 წერტილებში. ამ შემთხვევაში გაიმარჯვებს A პარტია, რომელიც დააგროვებს ხმების 61%-ს. მაგრამ B პარტია შეიძლება შეეცადოს ცენტრისკენ გადაადგილებას, მედიანური ამომრჩევლის უპირატესობათა უფრო ადეკვატური ასახვის მიზნით. B პარტიის „გამემარცხენებამ“ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ A პარტიაც შეეცდება მარჯვნივ, ცენტრისკენ გადაადგილებას.


ამომრჩევლები (%)



ნახ. 5.7. ამომრჩეველთა შეხედულებების განაწილება

ცხადია, რომ ცენტრისკენ მოძრაობას მოჰყვება განხეთქილება ორივე პარტიაში. თუ პარტია ცდილობს ასახოს შეხედულებათა მეტისმეტად ფართო დიაპაზონი უკიდურესად მემარცხენედან (უკიდურესად მემარჯვენედან) ცენტრისტულ პოზიციამდე, წარმოიშობა საშიშროება, რომ პარტიის შიგნით შეიძლება მოხდეს განხეთქილება, რაც გამოიწვევს იმას, რომ A პარტიის მარცხნივ და B პარტიის მარჯვნივ აღმოცენდებიან ახალი პოლიტიკური დაჯგუფებები C და D (ნახ. 5.8). ამ შემთხვევაში პარტიებმა შეიძლება ხმების ნაწილი დაკარგონ. ნახ. 5.7. -დან ჩანს, რომ A პარტიამ დაკარგა ხმების 15%, ხოლო B პარტიამ - 4,5%. ასეთი შედეგი შესაძლებელია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საპარლამენტო არჩევნები ხორციელდება მრავალმანდატიანი ოლქების მიხედვით პროპორციული წარმომადგენლობის პირობებში.

ამომრჩევლები (%)



რეფორმების ტემპი

ნახ. 5.8. ამომრჩეველთა შეხედულებების განაწილება: თავდაპირველი მოდელის კორექტირება

ცხრ. 5.3. - ში ასახულია დეპუტატების პროპორციული წარმომადგენლობა. თუ არსებობს 5%-იანი ბარიერი, D პარტია ვერ მიიღებს ვერცერთ ადგილს და მისი ამომრჩევლების ხმები შეხვდება იმ პარტიებს, რომლებმაც გადალახეს ბარიერი.

ცხრილი. 5.3.

დეპუტატების პროპორციული წარმომადგენლობა პარლამენტში

პარტია	ადგილების რაოდენობა	
	10	20
A	5	10
B	3	7
C	2	3
D	0	0


თუ ადგილების რაოდენობა მრავალმანდატიან ოლქებში პროპორციული წარმომადგენლობის პირობებში 10-ის ტოლია, მაშინ A პარტია მიიღებს 5 ადგილს, B პარტია - 3-ს, C პარტია - 2-ს. თუ ადგილების რაოდენობა იქნება 20, მაშინ A პარტია მიიღებს 10 ადგილს, B - 7-ს, C - 3-ს. საერთო კანონზომიერება ასეთია: რაც მეტი ადგილია პარლამენტში, მით მეტია პარტიები. მაგალითად, იზრაელში და ნიდერლანდებში პარტიათა რიცხვი 16-ს აღწევს.

### **დეტერმინირებული ხმის მიცემა: მრავალგანზომილებიანი შემთხვევა**

ჰოტელინგ-დაუნსის მოდელი წრფივია. რეალურ სინამდვილეში არჩევანი ხორციელდება მრავალი პარამეტრის მიხედვით, თითოეული პარტიის პლატფორმა ხასიათდება მრავალი განზომილებით. განვიხილოთ ორგანზომილებიანი შემთხვევა: დანახარჯები ჯანდაცვაზე და სამართალდამცავ საქმიანობაზე. ამომრჩევლებისთვის ბრძოლაში პარტიები თანმიმდევრულად შესთავაზებენ სხვადასხვა მიდგომებს.

დავუშვათ, არის მხოლოდ ორი პარტია: დემოკრატები და რადიკალები და ამომრჩეველთა სამი ჯგუფი (ნახ. 5.9). თუ დემოკრატებს სურთ მიიღონ ამომრჩეველთა პირველი და მეორე ჯგუფის მხარდაჭერა, ისინი შესთავაზებენ D1 პლატფორმას, რაზეც რადიკალებს შეუძლიათ უპასუხოთ P1 პლატფორმით, რომელიც გათვლილია მეორე და მესამე ჯგუფის ინტერესებზე. პარტიების ქცევა იძენს სტრატეგიულ ხასიათს. და რათა ხელი შეუშალონ რადიკალების გამარჯვებას, დემოკრატებს შეუძლიათ შესთავაზონ პლატფორმა D2, რათა მიიღონ მესამე ჯგუფის მხარდაჭერაც და ა.შ. რამდენადაც ნებისმიერი პლატფორმის მიმართ შეიძლება უკეთესის პოვნა, წაგებული პარტია ყოველთვის ეცდება ახალი საკითხების დაყენებას, რათა გაითვალისწინოს ახალი პარამეტრები.

ჯანდაცვა



ნახ. 5.9. ხმის მიცემის მოდელი: ორგანოზომილებიანი შემთხვევა

### ალბათური ხმის მიცემა

ალბათური ხმის მიცემის მოდელები ეფუძნება ორ ძირითად წინამძღვარს: 1) კანდიდატები არ ფლობენ აუცილებელ ინფორმაციას ამომრჩეველთა უპირატესობების შესახებ და 2) ამომრჩევლებმა არ იციან კანდიდატთა პლატფორმები. არჩევანი ამ შემთხვევაში განისაზღვრება რაიმე ეგზოგენური ფაქტორებით, მაგალითად იდეოლოგიით. ამ მოდელებში კანდიდატი, ჩვეულებრივ, მისთვის მიცემული ხმების რაოდენობას ზრდის გარკვეული ჯგუფისთვის დაპირებების გაცემით. ამიტომ ეგალიტარიზმი, რომელიც ტიპურია სქემისთვის - „ერთი ადამიანი - ერთი ხმა“ - შეიძლება დასუსტდეს (და გადაილახოს კიდევ) განსაკუთრებულ ინტერესთა ჯგუფების ხარჯზე, რომლებიც მოქმედებენ შუამავლის სახით კანდიდატებსა და ამომრჩევლებს შორის.

## ლიტერატურა:

- Downs A.** An Economic Theory of Democracy. New York: Harper & Row, 1957.
- Hotelling, Harold,** Stability in Competition // Economic Journal. Vol. 39. № 153. March 1929, 41–57.
- Mueller D.** Public choice III. New York: Cambridge University Press, 2008. Ch. 11, 12, pp. 230-263.
- Mueller Dennis C.,** Constitutional Democracy, Oxford University Press, 1996. Ch. 8-9. P. 101-126.
- Persson T., Tabellini G.,** Political economics. Explaining Economic Policy, MIT Press, 2000. Ch. 3; 8. P. 47-68; 205-224.
- Johnson D.** Public Choice. An Introduction to the New Political Economy. Bristlecone Books, 1991. Ch.7, 9. P. 188-212; 232-279.
- Cooter R.D.** The Strategic Constitution. Princeton. Princeton University Press. 2000. Ch.2. P.17-51.
- Stevens J.** The Economics of Collective Choice. Boulder, San Francisco. Westview Press. 1993. Ch.7(7.0-7.4). P. 169-180.
- Нуреев Р. М.** Теория общественного выбора. М.: Издательский дом ГУ- ВШЭ, 2005, гл. 6.
- Мюллер Д.** Общественный выбор III. М.: Институт Экономическая школа ГУ-ВШЭ, 2007, Гл. 11-12, С. 303-352.



## თემა 6. წარმომადგენლობითი დემოკრატიის ეკონომიკური ანალიზი: მთავრობა და საპარლამენტო კოალიციები

მთავრობის საქმიანობაში ყოველთვის არსებობს ინტერესთა შეთანხმების პრობლემა. ეს წარმოშობს კონფლიქტურ სიტუაციებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მისი ნორმალური მუშაობის დარღვევა და კრიზისიც კი, როდესაც მთავრობის ფუნქციონირება შეუძლებელი ხდება. რატომ ხდება, რომ ხშირად უმრავლესობის მთავრობა სწრაფად იშლება, ხოლო უმცირესობის მთავრობები უფრო მყარია? როგორი კოალიციებია უფრო სტაბილური პარლამენტში?

### 6.1. კოალიციები მრავალპარტიულ სისტემაში

#### მედიანური ამომრჩეველი - მედიანური კანონმდებელი

ქვეყნებში, სადაც შეინიშნება ამომრჩეველთა ხმების ნორმალური მონომოდალური განაწილება და მედიანური ამომრჩევლის თვალსაზრისის იდენტიფიცირება საკმაოდ ადვილია, აღნიშნული პრობლემები, ჩვეულებრივ, არ არსებობს. მედიანური ამომრჩევლის მოდელის ბაზაზე ყალიბდება ცენტრისტული კოალიცია - **მედიანური კანონმდებელი**. ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის 16 ქვეყნიდან 1945-1990წწ. ცენტრისტული პარტიები მთავრობაზე ყველაზე ძლიერ გავლენას ახდენდნენ შვეიცარიაში, შვედეთში, გერმანიაში, ნიდერლანდებში და ავსტრიაში, ხოლო ყველაზე ნაკლებს - კანადაში იტალიაში, დანიაში, საფრანგეთში, ირლანდიაში (მთავრობის წილი, რომელიც კონტროლდება მედიანური კანონმდებლის მიერ მერყეობს 0-დან 100%-მდე, ანუ „0“ - პარტია, რომელიც გამოხატავს მედიანური ამომრჩევლის ინტერესებს, არ მონაწილეობს მთავრობის ფორმირებაში, „100“ - ასეთი პარტია მუშაობდა ყველა მთავრობაში). ეს ნიშნავს, რომ არსებობს მრავალი ფაქტორი, რომლებიც განსაზღვრავს კოალიციათა ფორმირებას სხვადასხვა ქვეყანაში, რომელიც არ ჯდება ჰოტელინგ-დაუნსის მარტივ მოდელში.

## კოალიციების ფორმირება

დავუშვათ, დემოკრასტანში არის 7 პარტია, რომლებმაც მიიღეს ადგილები საკანონმდებლო ორგანოში. ეს პარტიები კონკურირებენ გადაწყვეტილებათა ერთგანზომილებიან სივრცეში. თითოეული პარტია ახდენს საკუთარი თავის პოზიციონირებას (ერთადერთ განზომილებაში „მარცხნიდან მარჯვნივ“) შემდეგნაირად:

A	B	C	D	E	F	G
15	28	5	4	33	9	6

### ნახ. 6.1. ადგილების განაწილება პარლამენტში და შესაძლო კოალიციები

ტარდება არჩევნები და ყოველი მოქალაქე ხმას აძლევს იმ პარტიას, რომელიც ყველაზე ახლოსაა მის იდეალურ წერტილთან. არჩევნების შედეგად 100 ადგილი პარლამენტში განაწილდა შესაბამისად. როგორც ხშირად ხდება ხოლმე მრავალპარტიულ სისტემებში, ვერც ერთი ცალკე აღებული პარტია ვერ იღებს ადგილების უმრავლესობას. თუ დემოკრასტანის პარლამენტი იყენებს მარტივი უმრავლესობის წესს, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ რომელიმე პარტია ეცდება, ჩამოაყალიბოს ისეთი კოალიცია, რომელიც გააკონტროლებს არანაკლებ 51 ადგილს, რათა შეძლოს ყველა კანონპროექტის ბედის გადაწყვეტა. არსებობს 61 ასეთი შესაძლო კოალიცია: ყველა 7 პარტიის დიდი კოალიცია; ნებისმიერი 6 პარტიის კოალიცია შვიდიდან (6 შესაძლებლობა); B პლუს ნებისმიერი 4 პარტია; E პლუს ნებისმიერი 4 პარტია; B და E პლუს ნებისმიერი სამი პარტია (18 შესაძლებლობა); ოთხი პარტიის 24 შესაძლო კოალიცია; სამი პარტიის 10 შესაძლო კოალიცია; და ერთი შესაძლო ორპარტიული კოალიცია (E და B). რომელი ჩამოაყალიბდება ამ 61 კოალიციიდან (თუკი ასეთი რამ საერთოდ მოხდება) მთავრობის (კაბინეტის) ფორმირებისთვის.

ნეიმანმა და მორგენშტერნმა პირველებმა წამოაყენეს ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ფორმირებული იქნება მინიმალური მომგებიანი კოალიცია. კოალიცია წარმოადგენს მინიმალურ მომგებიან კოალიციას, თუ მისი ნებისმიერი წევრის გამოკლება გამოიწვევს მის გადანაცვლებას უმრავლესობის კოალიციის მდგომარეობიდან უმცირესობის კოალიციის მდგომარეობისკენ.

დემოკრატის პარლამენტში შესაძლებელია 11 ასეთი მინიმალური მომგებიანი კოალიცია (BE, ABF, ACE, ADE, AEF, AEG, ABCD, ABCG, ABDG, CDEF и DEFG).

ვ. რეიკერმა განავითარა ეს კონცეფცია და ამტკიცებდა, რომ ასეთი კოალიცია აღმოჩნდება უმცირესი მინიმალური მომგებიანი კოალიცია (Riker, 1992). ეს ჰიპოთეზა ეფუძნება პოლიტიკის მოდელირებას როგორც თამაშისა ნულოვანი ჯამით. ამ დაშვების სამართლიანობის შეფასება ყველაზე უკეთ შეიძლება, თუ ყველა პოლიტიკურ პრობლემას დავიყვანთ სიმდიდრის გადანაწილებაზე. კაბინეტის ფორმირებასთან დაკავშირებით, მოგება, რომელიც უნდა განაწილდეს, არის ფიქსირებული რაოდენობის ადგილები კაბინეტში. თითოეულ პარტიას სურს, იმდენი პოსტი ჰქონდეს მთავრობაში, რამდენის ადგილზე შეუძლია. რაც უფრო დიდია მისი შეფარდებითი ზომა კოალიციაში, მით მეტია მისი მისწრაფება მთავრობაში პოზიციის დასაკავებლად. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ მინიმალური მომგებიანი კოალიციის ზომა, გამოსახული პარლამენტში ადგილების რაოდენობით, რამდენადაც შესაძლებელია, პატარა უნდა იყოს.

**მინიმალური მომგებიანი კოალიცია შეიცავს ადგილების უმცირეს რაოდენობას ყველა მინიმალურ მომგებიან კოალიციას შორის (კოალიციის მინიმალური სიდიდის მოდელი).** ჩვენს შემთხვევაში, არსებობს ერთი მინიმალური მომგებიანი კოალიცია 11 ასეთ კოალიციას შორის. კოალიცია CDEF აკონტროლებს 51 ადგილს და წარმოადგენს უმრავლესობის ყველა შესაძლო კოალიციებიდან უმცირესს.

**გარიგების თეორემის მოდელში** მთავარია არა მონაწილეთა რიცხვი (თუმცა, რა თქმა უნდა, ის უნდა იყოს მომგებიანი), არამედ პარტიათა რიცხვი, რომლებიც ალიანსს დებენ. ეს დაკავშირებულია ტრანსაქციური ხარჯების მინიმიზაციასთან. რაც უფრო დიდია კოალიციის მონაწილეთა რიცხვი, მით უფრო რთულია მოლაპარაკების წარმოება და ეს მოლაპარაკებები მოითხოვს დროს. ამიტომ გონივრული იქნება ვივარაუდოთ, რომ სამი პარტიისთვის უფრო ადვილია კოალიციის ფორმირება, ვიდრე ოთხისთვის, და კიდევ უფრო ადვილია ორისთვის. ამიტომ კოალიცია პარტიათა მინიმალური რაოდენობით უფრო მოქნილია და მყარი (ჩვენს მაგალითში - B და E პარტიების კოალიცია).

**მინიმალური სივრცის მოდელში** კოალიციის ფორმირების განმსაზღვრელი კრიტერიუმი პარტიების სიახლოვე შკალაზე - „მემარცხენე“-„მემარჯვენე“. (წინა განხილულ ჰიპოთეზებში ეს ასპექტი იგნორირებული იყო. ამიტომ ეს ჰიპოთეზები

შეიცავს დაუნსის დაშვებას იმის შესახებ, რომ პოლიტიკას არა აქვს დამოუკიდებელი ფასეულობა პარტიის ხელმძღვანელობისთვის. მისი ერთადერთი მიზანია - იყოს მომგებიანი კოალიციის ნაწილი. B პარტია მზადაა, შეუერთდეს E-ს კოალიციას ზუსტად ისევე, როგორც C-ს ან A-ს). კონკრეტულ მაჩვენებლად აიღება სივრცე, რომელიც ყოფს პარტიებს ამ შკალაზე. მაგალითად, კოალიცია ABCG ხასიათდება ექვსი გამყოფი სივრცით, ACE - ოთხით, ABCD - სამით, DEFG - სამით და ა.შ.

აქსელროდი ამტკიცებდა, რომ პარტიები, რომლებიც აყალიბებენ მომგებიან კოალიციას, უნდა განლაგდნენ ერთმანეთის გვერდით ერთადერთ განზომილებაში - პრაქტიკული პოლიტიკის განზომილებაში, ანუ უნდა შექმნან კოალიცია „უახლოეს მეზობელთან“ (მინიმალური დაკავშირებული კოალიციის მოდელი). ჩვენს მაგალითში ასეთი კოალიცია იქნება ოთხი: ABCD, BCDE, CDEF და DEFG.


ორ პარტიას ადვილად შეუძლია შეთანხმებამდე მისვლა, როდესაც ისინი განლაგებულნი არიან პოლიტიკის ხაზზე ერთმანეთთან ახლოს, ვიდრე მაშინ, როდესაც ისინი იმყოფებიან ერთმანეთისგან შორს. F პარტია უფრო ადვილად შეთანხმდება E-სთან, ვიდრე G-სთან. ამგვარი ლოგიკით, იმ ვარაუდამდე მივალთ, რომ მომგებიანი კოალიცია იქნება კოალიცია უმცირესი დიაპაზონით. ჩაკეტილი მინიმალური დიაპაზონის ამ ჰიპოთეზით შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ჩამოყალიბდება კოალიცია CDEF (Axelrod, 1984).

ჩვენს მაგალითში, თუ მთავრობა არ ყალიბდება და პარტიები მხოლოდ ხმას აძლევენ საკანონმდებლო ორგანოში, გადაწყვეტილებათა ერთგანზომილებიანი სივრცე საშუალებას გვაძლევს ვიწინასწარმეტყველოთ მედიანურ პოზიციაზე მყოფი წინადადებების გამარჯვება. D პარტიის მიერ წამოყენებულმა ყველა წინადადებამ უნდა გაიმარჯვოს. ამიტომ D-ს, შეიძლება, მარტოს ეცადა მთავრობის ჩამოყალიბება. თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ 4%-იანი პარტია უმცირესობის მთავრობის ფორმირებას ეცდება. მას რომ ჰქონოდა, ვთქვათ, ადგილების 40%, მაშინ სავსებით შეეძლო ამის გაკეთება.

ვან როზენდალი (van Roozendaal, 1990, 1992) ცენტრალურ პარტიას განსაზღვრავს ზუსტად ისე, როგორც ჩვენ განვსაზღვრავთ მედიანურ პოზიციას. ცენტრალური პარტიის ხმების გათვალისწინებით, პარლამენტში არსებობს არანაკლებ ხმების 50% ცენტრალური

პარტიის როგორც მარცხნივ, ასევე მარჯვნივ. მედიანური ამომრჩევლის თეორემის ლოგიკის გავრცელებით მინისტრთა კაბინეტის ფორმირებაზე, ვ. როზენდალი წინასწარმეტყველებს, რომ ცენტრალური პარტიები ყოველი მთავრობის წევრები იქნებიან - უმცირესობის თუ უმრავლესობის. ლეივერის და შოფილდის მიერ გამოკვლეული 196 ევროპული მთავრობიდან 165-ში იყო ცენტრალური პარტია ან მხარს უჭერდა მას (Laver and Schofield, 1990, p. 113). ამგვარად, კაბინეტის ფორმირების როზენდალისეულ თეორიას მნიშვნელოვანი ემპირიული მხარდაჭერა აქვს. თუმცა 20% არ შეიცავდა ცენტრალურ პარტიას, ამიტომ საჭირო ხდება რაღაც დამხმარე დაშვებები ან უფრო ზოგადი თეორია. ერთ-ერთი ახსნა შეიძლება იმაში მდგომარეობდეს, რომ გადაწყვეტილებათა სივრცე არ არის ერთგანზომილებიანი, როგორც ვარაუდობდა ვან როზენდალი. მრავალგანზომილებიან სივრცეში პარტია, რომელსაც უკავია ცენტრალური ადგილი ერთგანზომილებიან სივრცეში, შეიძლება ვერ შევიდეს მთავრობაში.

რატომ წარმოიშობა ხშირად „ზეუმრავლესობის“ კოალიცია? არსებობს ამის ორი ძირითადი მიზეზი: პირველი, დაბალი შიდაპარტიული დისციპლინა, რომელიც ტიპურია თანამედროვე პარტიებისთვის; მეორე, ე.წ. შუალედური პარტიების არსებობა, რომელთა იდეოლოგიური პოზიციები კოალიციის ძირითად მონაწილეებს შორისაა. განვიხილოთ მარტივი მაგალითი (ნახ. 6.2).




**ნახ. 6.2.** ადგილების განაწილება პარლამენტში როდესაც შესაძლებელია „ზეუმრავლესობის“ კოალიცია

მომგებიანი კოალიციაა B + E. მაგრამ მის შიგნით აღმოჩნდა ორი პატარა პარტია C (9%) და D (4%). ამიტომ გასაკვირი არ იქნება, თუ მმართველი კოალიცია ჩართავს ან ორივე

მათგანს, ან ერთ-ერთს. ხშირად ეს დამოკიდებულია სუბიექტურ ფაქტორებზე, მაგალითად, პარტიათა ლიდერების პოლიტიკურ ამბიციებზე.

### უმცირესობის მთავრობა

განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც მთავრობას აყალიბებს პარტია, რომელსაც არა აქვს ადგილების უმრავლესობა (იხ. ნახ. 6.3).



### ნახ. 6.2. ადგილების განაწილება პარლამენტში როდესაც შესაძლებელია უმცირესობის მთავრობის ფორმირება

ამ შემთხვევაში არც ერთი პარტია არ ფლობს ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას, მაგრამ მთავრობას, ალბათ, ჩამოაყალიბებს B პარტია, რომელიც გამოიყენებს A და C პარტიების ინტერესთა დაპირისპირებას. ასეთი მდგომარეობა გარდუვალად წარმოიშობა, თუ ხმის მიცემა უნდობლობის ვოტუმის შესახებ კონსტრუქციული უნდა იყოს. მაშინ A და C, საპირისპირო შეხედულებების გამო, ვერ შეძლებენ კონსტრუქციული კოალიციის შექმნას B-ს წინააღმდეგ. მოცემული სიტუაცია დამახასიათებელია ბევრი ქვეყნისთვის. 1945-1971 წლებში, ყოველი მესამე მთავრობა ევროპაში უმცირესობის მთავრობა იყო. არსებობს ორი გარემოება, რომელიც ხელს უწყობს კოალიციის ფორმირებას: 1) პოლიტიკაზე ზეგავლენის სურვილი გრძელვადიან პერსპექტივაში და 2) პარტიათა ლიდერების პირადი ურთიერთობები.

### 6.2. კოალიციური მთავრობების სიმყარე

კოალიციური მთავრობების სტაბილურობაზე მოქმედებს შემდეგი გარემოებები: პარტიათა ცვლა კოალიციაში, მთავრობის ფორმალური გადადგომა, პრემიერ-მინისტრის შეცვლა, არჩევნები.

განვიხილოთ სიტუაცია, როდესაც ცენტრისტულმა პარტიამ მიიღო ადგილების უმნიშვნელო რაოდენობა და ძალიან ჩამორჩება მემარცხენე ან მემარჯვენე პარტიას. ამ შემთხვევაში მას შეუძლია მოიგოს ერთ-ერთ მსხვილ პარტიასთან შეერთებით.

**ცხრილი 6.1.**

**კოალიციურ მთავრობათა სიმყარე**

პარტიები	A	B	C
ადგილები	42	17	41
პარლამენტში (%)			

მომგებიანი კოალიცია A+C არ გამოირიგბავს B-ს ინტერესებს. მაგრამ სავარაუდოდ, წარმოიშობა კოალიცია A+B ან კოალიცია B+C. ნებისმიერ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ითამაშებს B პარტია და მთავრობაში მეტი წარმომადგენლობა ეყოლება. ითვლება, რომ მცირე პარტიები უფრო ადვილად მართვადია და ამიტომ იღებენ თანამდებობების მეტ რიცხვს - თავისებურ ჯილდოს ამისთვის.

ტეილორმა და ჰერმანმა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პერიოდში, 196 მთავრობის მონაცემების გამოყენებით, აღმოაჩინეს, რომ მთავრობის სტაბილურობა, გაზომილი როგორც მისი არსებობა დღეებში, უარყოფით კორელაციაში იყო როგორც პარლამენტში პარტიების რაოდენობასთან ( $r = -0,39$ ), ასევე კოალიციების რიცხვთან, რომლებიც აყალიბებდნენ მთავრობას ( $r = -0,307$ ). პარტიის „ფრაქციონალიზაციის“ (fractionalization) ინდექსი (ჰერფინდალის ინდექსის მსგავსი) უარყოფით კორელაციაში იყო მთავრობის სტაბილურობასთან ( $F = 1 - \sum pi^2 = 1 - ENS$ ,  $pi = i$ -ური პარტიის ადგილების წილი), როგორც მთლიანად პარლამენტისთვის ( $r = -0,448$ ), ასევე მთავრობისთვის ( $r = -0,302$ ). ერთპარტიული მთავრობები საშუალოდ არსებობდნენ ორჯერ უფრო დიდხანს (1107,9 დღე), ვიდრე კოალიციური მთავრობები (624,5).

პ. უორვიკმა (Warwick, Paul V., 1979, 1994) აღმოაჩინა, რომ უმრავლესობის კოალიციები არსებობენ უფრო დიდხანს, ვიდრე უმცირესობის კოალიციები. მთავრობის არსებობის ხანგრძლივობა უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია მთავრობაში

პარტიების რაოდენობასთან. ქვემოთ მოცემულია მონაცემები ევროპული მთავრობების არსებობის ხანგრძლივობის შესახებ 1948-1998 წლებში (ცხრ. 6.2 (ა), 6.2(ბ)). მონაცემები ადასტურებს, რომ მინიმალური მომგებიანი კოალიციები, საშუალოდ, უფრო დიდხანს არსებობდნენ, ვიდრე „ზეუმრავლესობის“ (ჭარბი) კოალიციები.

**ცხრილი 6.2.**

**ა) ევროპული მთავრობების არსებობის საშუალო ხანგრძლივობა 1945-1987წწ**

ქვეყანა	მთავრობის ტიპი		მთავრობის არსებობის საშუალო ხანგრძლივობა
	ერთპარტიული უმრავლესობა ან მინიმალურად მომგებიანი კოალიცია	ზეუმრავლესობის ან უმცირესობის კოალიცია	
ლუქსემბურგი	9	1	45
ირლანდია	7	5	39
ავსტრია	10	3	38
გერმანია	10	2	37
ისლანდია	10	4	34
ნორვეგია	7	8	32
შვედეთი	6	10	28
ჰოლანდია	6	11	27
დანია	2	18	26
ბელგია	16	6	22
ფინეთი	5	27	15
იტალია	3	32	13

წყარო: Laver. M., Schofield N. Multiparty Government. Oxford: Oxford University Press, 1991. P. 43.



**ბ) ევროპული მთავრობების არსებობის საშუალო ხანგრძლივობა 1948–1998წწ. (თვეებში)**

	ავსტრია	გერმანია	ბელგია	ისლანდია	ლუქსემბურგი	ნორვეგია	ირლანდია	შვედეთი	დანია	ჰოლანდია	ფინეთი	იტალია	სულ
კაბინეტების რაოდენობა	21	25	32		15	25	21	25	30	22	36	47	25.5
საშუალო ხანგრძლივობა	28	23	17		39	25	30	26	21	27	16	12	23.4

წყარო: Müller, Wolfgang C. and Kaare Strom, “Coalition Governance in Western Europe,” 2000b, in W. C. Müller and K. Strom, eds., 2000a, p. 585.

**6.3. მთავრობის „სიკვდილი“**

თუ ადრეულ გამოკვლევებში მთავრობის სტაბილურობა იზომებოდა მისი სიცოცხლის ხანგრძლივობით, ბოლო პერიოდის ნაშრომებში აქცენტი კეთდება მისი „სიკვდილის“ ალბათობის წინასწარმეტყველებაზე. უმარტივეს ვარიანტში ეს მიდგომა გულისხმობს, რომ მთავრობის სიკვდილი მხოლოდ შემთხვევით მოვლენათა ფუნქციაა. თუმცა, სავარაუდოდ, განსხვავებები მთავრობების არსებობის ხანგრძლივობაში მხოლოდ შემთხვევით მოვლენებს არ უნდა მივაწეროთ. არსებობს ზოგიერთი ფუნდამენტური ინსტიტუციური განსხვავება, რომლებიც შემთხვევით მოვლენებს გადააქცევენ მთავრობის სიკვდილად ერთ ქვეყანაში უფრო ხშირად, ვიდრე მეორეში.

დავუშვათ, რომ  $H$  არის საშიშროების კოეფიციენტი (პირობითი ალბათობა იმისა, რომ მთავრობა „მოკვდება“  $t$  პერიოდში) - როგორც ინსტიტუციური და პოლიტიკური ცვლადების ნაკრების ექსპონენციალური ფუნქცია. მაშინ:

$$H = \exp(-\beta'\chi),$$

სადაც  $\chi$  არის კაბინეტის „სიკვდილის“ გამომწვევი ცვლადების ვექტორი, ხოლო  $\beta'$  - იმ კოეფიციენტების ვექტორი, რომლებიც უნდა შეფასდეს. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ უმრავლესობის მთავრობებს საშიშროების ნაკლები კოეფიციენტები ჰქონდათ, ხოლო

კაბინეტებს ფრაქციონალიზაციის მაღალი ხარისხით - უფრო მაღალი კოეფიციენტები. მთავრობის „სიკვდილის“ საშიშროების კოეფიციენტის განმსაზღვრელი ფაქტორებია: უმრავლესობის სტატუსი (წარმოადგენს თუ არა მთავრობა უმრავლესობის კოალიციას); სტატუსი არჩევნების შემდეგ (არის თუ არა პირველი მთავრობა არჩევნების შემდეგ); მთავრობაში პარტიათა ეფექტიანი რაოდენობა; დაბრუნებადობა (სამთავრობო პარტიების წილი, რომლებიც წარმოადგენილნი არიან წინა მთავრობის კრახის შემდეგ ფორმირებულ მთავრობაში); პოლარიზაცია (ადგილების რაოდენობა, რომლებიც ეკუთვნის ექსტრემისტულ პარტიებს); იდეოლოგიური მრავალფეროვნება (პარტიათა იდეოლოგიური მრავალფეროვნების ინდექსი, რომელიც ეფუძნება პარტიათა პოზიციებს შკალაში „მემარცხენეები - მემარჯვენეები“, „რეჟიმის მხარდამჭერები - რეჟიმის მოწინააღმდეგეები“, „კლერიკალები - სეკულარულები) და სხვ. მაგალითად, რაც უფრო დიდია ერთი მთავრობის წევრების წილი, რომლებიც არიან შემდეგ მთავრობაშიც (დაბრუნებადობა), მით უფრო ნაკლებია მთავრობის დაცემიდან მოსალოდნელი ხარჯები ნებისმიერი პარტიისთვის და მით უფრო მეტია მთავრობის გადადგომის ალბათობა. რაც უფრო პოლარიზებულია პარლამენტი (ესე იგი, რაც უფრო მეტად არიან პარტიები მემარცხენეები და მემარჯვენეები), მით მეტი იქნება ხმების სავარაუდო დანაკარგები შემდეგ არჩევნებზე ნებისმიერი პარტიისთვის, რომელიც წავა კომპრომისზე თავისი პოლიტიკური პოზიციის მიმართ და იმოდრავებს ცენტრისკენ. ვინაიდან კოალიციის ფორმირება და შენარჩუნება გამოწვეულია კომპრომისით, კოალიციური მთავრობები პოლარიზებულ სისტემებში მოკვდებიან უფრო მეტი ალბათობით. უმრავლესობის კოალიციის მიერ ფორმირებულ მთავრობას კრახის გაცილებით ნაკლები ალბათობა აქვს, ვიდრე უმცირესობის მთავრობას. უორვიკმა აღმოაჩინა, რომ მთავრობის დაცემის ალბათობა იზრდება კოალიციაში პარტიების რაოდენობის ზრდასთან ერთად, რომლებიც აყალიბებენ ამ მთავრობას.

საშიშროების კოეფიციენტზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს იდეოლოგიური მრავალფეროვნების ინდექსს. რაც უფრო დიდია იდეოლოგიური მრავალფეროვნება იმ პარტიებს შორის, რომლებიც ახდენენ მთავრობის ფორმირებას, მით უფრო მაღალია მათი კოალიციის დაშლის ალბათობა. სწორედ იდეოლოგიური მრავალფეროვნება და არა პარტიათა რაოდენობა, როგორც ასეთი, ზრდის მრავალპარტიული მთავრობის

გადადგომის ალბათობას. თუმცა როგორც პარტიათა რაოდენობა, ისე მათი იდეოლოგიური მრავალფეროვნება დადებითადაა დაკავშირებული მთავრობის დაშლის ალბათობასთან.

ამჟამად, გამოკვლევების უმრავლესობაში დამაჯერებლადაა ნაჩვენები, რომ კეთილსასურველი ეკონომიკური მდგომარეობა ზრდის პრეზიდენტის ან მთავრობის ხელმეორედ არჩევის ალბათობას და პრეზიდენტები და პარტიები მხედველობაში იღებენ ამ ასპექტს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას. მაგრამ ლიტერატურაში, როგორც წესი, იგნორირდება ის საკითხი, მოქმედებს თუ არა ეკონომიკური მდგომარეობა მთავრობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე. სავარაუდოა, რომ მოქმედებს. არახელსაყრელმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ შეიძლება წააქეზოს პარტიები კოალიციიდან გასვლისკენ, შემდგომ არჩევნებზე ეკონომიკის მდგომარეობისთვის პასუხისმგებლობის შიშით. კეთილსასურველ ეკონომიკურ პირობებს, პირიქით, შეუძლია უზრუნველყოს კოალიციის შენარჩუნება. რთულმა ეკონომიკურმა პირობებმა 1980-1990-იან წლებში გაზარდა საშიშროების კოეფიციენტი დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში, ამავე დროს, ეს ქვეყნები უმუშევრობის და ინფლაციის ცვლილებებისადმი უფრო მგრძობიარენი გახადა.

#### 6.4. ხმის მიცემით მანიპულირება

კონდორსეს პარადოქსში განხილულია სამი ამომრჩეველი და სამი კანდიდატი და ნაჩვენებია, რომ მარტივი უმრავლესობის წესი არასრულყოფილია (იხ. ცხრ. 6.3).

**ცხრილი 6.3.**

**კონდორსეს პარადოქსი**

ამომრჩეველები		
პირველი	მეორე	მესამე
x	Z	y
y	x	z
z	y	x

ხმის მიცემის მაქსიმალური მოსალოდნელი სარგებლიანობა შეიძლება მოიძებნოს შემდეგი ფორმულებით:

სამი ამომრჩევლისთვის:

$$P = \frac{3e^{2(N-1)(p-1/2)^2}}{2\sqrt{2\pi(N-1)}};$$

ორი ამომრჩევლისთვის:

$$P = \frac{2e^{2(N-1)(p-1/2)^2}}{2\sqrt{2\pi(N-1)}}.$$

1951 წ. კ. ეროუმ განავითარა და დააზუსტა კონდორსეს პარადოქსი. საქმე იმაშია, რომ საზოგადოებრივ არჩევანს წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებში აქვს არა მარტო პოზიტიური, არამედ ნორმატიული ასპექტიც. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს კენეტ ეროუს და ამარტია სენის ნაშრომებმა. კ. ეროუ შეეცადა, განესაზღვრა საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქცია მონაწილეთა ფასეულობითი განწყობების გამომხატველი ეთიკური აქსიომების ტერმინებში, რამაც იგი შეუძლებლობის თეორემის ფორმულირებამდე მიიყვანა.

### ეროუს შეუძლებლობის თეორემა

კ. ეროუმ სცადა, განესაზღვრა, რომელი ეთიკური ნორმები უნდა გამოდიოდეს საზოგადოებრივი არჩევანის წანამძღვრების სახით და ამ არჩევანის როგორი პროცესი აკმაყოფილებს ამ ნორმებს.

ეროუს თეორემა ამტკიცებს, რომ არ არსებობს კოლექტიური არჩევანის წესი, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ ხუთ მოთხოვნას (აქსიომას):

1. **ერთსულოვნება**, რომელიც გამომდინარეობს პარეტო-ოპტიმალურობის პრინციპიდან. თუ ინდივიდის უპირატესობები არ არის წინააღმდეგობაში რომელიმე სხვა ინდივიდის უპირატესობებთან, მაშინ იგი ხდება სოციალური წესრიგის ელემენტი (თუ ყველა ამომრჩეველი  $xPiy$ , მაშინ კოლექტიური უპირატესობაც შეიცავს  $xPiy$ ). (P - უპირატესობა

(preference), I - განურჩევლობა ანუ ორი ალტერნატივის ტოლფასობა (indifference), R - არამკაცრი უპირატესობები (revealed preference).

**2. დიქტატორის არარსებობა.** კოლექტიური არჩევანის მონაწილეთა შორის არ არის ისეთი ინდივიდი, რომლის ნებისმიერი უპირატესობა ყოველთვის იმარჯვებს ყველა სხვა წევრის საპირისპირო უპირატესობაზე და ხდება სოციალური წესრიგის აუცილებელი ელემენტი.

**3. ტრანზიტულობა.** საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქცია ვარაუდობს ყველა ალტერნატივის განსაზღვრულ რანჟირებას (თუ  $xPy$  და  $yPz$ , მაშინ  $xPz$ , ანუ თუ  $xIy$  და  $yIz$ , მაშინ  $xIz$ ).

**4. მოცვა (სისავსე და უნივერსალურობა).** წესმა უნდა უზრუნველყოს არჩევანი ნებისმიერ ორ ალტერნატივას შორის (ან  $xPiy$ , ან  $yPix$ , ან  $xIiy$ ) ინდივიდუალურ უპირატესობათა ნებისმიერი შეხამების დროს.

**5. გარეშე ალტერნატივებისგან დამოუკიდებლობა** ( $xPiy$  დამოუკიდებელია  $wPiz$ -გან ან  $zPiw$ -გან) (Arrow, 1951; Эппой, 2004).

რადგან რაციონალური არჩევანი პასუხობს სისავსის და ტრანზიტულობის პირობებს, ამიტომ კ. ეროუს მოთხოვნები მოიცავს ინდივიდუალური არჩევანის რაციონალურობის მნიშვნელოვან წანამდგარს. მაგრამ დამტკიცების შედეგად მიიღება, რომ რაციონალური კოლექტიური არჩევანის უნივერსალური წესი, რომელიც შეესაბამება ყველა ზემოთ მითითებულ პირობას, არ არსებობს. უმრავლესობის წესის ანალიზმა აჩვენა, რომ შესაძლებელია ციკლის წარმოქმნის სიტუაცია სამი ინდივიდის მიერ თანმიმდევრული არჩევანის დროს. მაგრამ ტრანზიტულობის აქსიომა მოითხოვს მხოლოდ ერთის არჩევას შესაძლო სამი ვარიანტიდან. იმისათვის, რომ საზოგადოებრივი არჩევანის პროცესი ჩიხში არ შევიდეს, საჭიროა რაიმე მისაღები ალტერნატივის შერჩევა, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი პირობების შესრულებისას ალტერნატივათა ნებისმიერი წყვილისთვის შეუძლებელია ისეთი გადამწყვეტი კოალიციის პოვნა, რომელიც შედგება ერთზე მეტი წევრისგან. ეს ნიშნავს, რომ ასეთი არჩევანის განხორციელება იქნება დიქტატორული.

კოლექტიურ გადაწყვეტილებათა აგების ერთადერთი წესი, რომელიც დააკმაყოფილებს ეროუს ხუთ პირობას, არის სრულიად არადემოკრატიული -

**დიქტატორული წესი: კოლექტიური გადაწყვეტილება ყოველთვის უნდა დაემთხვეს ერთ-ერთი ამომრჩევლის მოსაზრებას.**

ასეთი პარადოქსული არჩევანის თავიდან აცილება შეიძლება წანამძღვრების შერბილებით ან ერთ-ერთზე უარის თქმით. მაგრამ ასეთი უარი ნიშნავს, რომ უარს ვეუბნებით ინდივიდუალიზმის იდეალებს და სამოქალაქო სუვერენიტეტს.

ვინაიდან საზოგადოებრივი არჩევანი უნდა გაკეთდეს ალტერნატივათა ნებისმიერი ნაკრებიდან, კ. ეროუს შემოაქვს ტრანზიტულობის ცნება. პრაქტიკაში ამ მიზნის მიღწევა არ მოითხოვს ტრანზიტულობის აქსიომის გამოყენებას მთელი თავისი სისრულით, ამიტომ ამარტია სენმა დაამტკიცა შესაძლებლობის თეორემა, სადაც ტრანზიტულობა შეცვალა კვაზიტრანზიტულობით (ანუ მკაცრი უპირატესობების ტრანზიტულობით). კვაზიტრანზიტულობა საზოგადოებისთვის ოლიგარქიის ძალაუფლების თავს მოხვევის საშუალებას იძლევა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ოლიგარქიის ყველა წევრისთვის ერთსულოვანი უპირატესობები). ციკლურობის გადალახვა ნიშნავს, რომ ოლიგარქიული ჯგუფის თითოეული წევრი ფაქტობრივად ფლობს ვეტოს უფლებას, აგრეთვე, იმას, რომ ტრანზიტულობიდან კვაზიტრანზიტულობაზე გადასვლა არ აუქმებს დიქტატორულ ძალაუფლებას მთლიანად, არამედ მხოლოდ ავრცელებს მას ოლიგარქიულ ჯგუფზე.

სისრულის და უნივერსალურობის მოთხოვნა არჩევანის თავისუფლების პოსტულატის მსგავსია: თითოეულ ინდივიდს შეუძლია აირჩიოს ის, რაც სურს, ესე იგი, თვითონ განსაზღვრავს უპირატესობათა წყებას. და თუმცა ბევრი გამოდის არჩევანის თავისუფლების მხარდაჭერისთვის, ამგვარი არჩევანის შედეგი შეიძლება იყოს ან კონფლიქტი, ან ციკლის წარმოქმნა, ესე იგი, ამ პოსტულატსაც შეაქვს თავისი წვლილი გადაწყვეტილების მიღების არადემოკრატიული სისტემის დასაბუთებაში. მაგრამ არსებობს მოცემული პრობლემის გადაწყვეტის ორი საშუალება: შესაძლო ვარიანტების მთელი სიმრავლის შეზღუდვა (მაგალითად, კონსტიტუცია იცავს საკუთრების უფლებებს), ან საზოგადოების შემადგენლობის შეზღუდვა იმ ინდივიდებით, ვისი უპირატესობებიც საზოგადოებრივი არჩევანის განხორციელების საშუალებას იძლევა (მაგალითად, უფლებამოსილებების დელეგირება პარლამენტის წევრებზე). ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკაში დაიშვებიან მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი უპირატესობების მქონე პირები, რაც ამცირებს ციკლურობის ალბათობას (რაც უფრო მეტად ერთგვაროვანია

ამომრჩეველთა უპირატესობები, მით უფრო ნაკლებია ციკლის წარმოქმნის შესაძლებლობა).

კლუბების თეორია და პოლიტიკურ პარტიათა ფორმირების თავისებურებანი აგრეთვე ხსნის იმ პირობებს, რომლის დროსაც შესაძლებელია უფრო მეტად ერთგვაროვანი საზოგადოების შექმნა. პროგნოზირებადი კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღება უფრო სავარაუდოა იმ საზოგადოებაში, სადაც იზიარებენ ერთნაირ ფასეულობებს, ვიდრე ინდივიდთა თვითნებურ ჯგუფებში.

თუ უარს ვიტყვით გარეშე ალტერნატივებისგან დამოუკიდებლობის პოსტულატზე, შეიძლება მივიღოთ გადაწყვეტილებათა მიღების ბევრი პროცედურა: მარტივი უმრავლესობა, შეფარდებითი უმრავლესობა, ორსაფეხურიანი შეფარდებითი უმრავლესობის წესი, მოწონებითი ხმის მიცემა, მარტივი უმრავლესობა გამორიცხვით, ბორდას წესი და ა.შ.

როდესაც ვარიანტების რიცხვი ორია, („არჩევა“ – „არ არჩევა“, „მოწონება“ – „არ მოწონება“) და ამომრჩეველთა რიცხვი - კენტი, ერთადერთი წესი, რომელიც აკმაყოფილებს ეროუს თეორემის პირობებს, მარტივი უმრავლესობის წესია.

დასკვნები: ეროუმ დაამტკიცა, რომ არ არსებობს გადაწყვეტილების მიღების ისეთი პროცესი, რომელიც ერთდროულად დააკმაყოფილებს ხუთივე აქსიომას. ამიტომ იმის იმედი, რომ შეიძლება მივიღოთ ერთი ყველაზე უკეთესი ხმის მიცემის წესი, უსაფუძვლოა. ამ პრობლემის გადაჭრა შეიძლება ტრანზიტულობის აქსიომაზე უარის თქმით, ან დამოუკიდებლობის, სისავსის და უნივერსალურობის პოსტულატების შერბილებით.

### **მანიპულირების პრობლემა.**

კ. ეროუს თეორემა და შემდგომი კვლევები აჩვენებენ, რომ ხმის მიცემის ყველა პროცედურა შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: დიქტატორული პროცედურები და მანიპულირება.

**მანიპულირება** - ეს არის პროცედურა, რომელიც ამომრჩეველს საშუალებას აძლევს, მიიღოს სასურველი შედეგი თავისი უპირატესობების ცვლილებით.

არსებობს მანიპულირების სამი ძირითადი საშუალება: 1) ამომრჩეველთა მხრიდან, 2) ხმის მიცემის ორგანიზატორის მხრიდან, 3) როგორც ამომრჩეველების, ისე ხმის მიცემის ორგანიზატორის მხრიდან.

1. მანიპულირება ამომრჩეველთა მხრიდან. განვიხილოთ მარტივი შემთხვევა. დავუშვათ, ამომრჩეველთა ჭეშმარიტი უპირატესობების განაწილება შემდეგნაირია (იხ. ცხრ. 6.4.):

ცხრილი 6.4

ამომრჩეველთა ჭეშმარიტი უპირატესობები

ჯგუფი I (5 ამომრჩეველი)	ჯგუფი II (3 ამომრჩეველი)	ჯგუფი III (3 ამომრჩეველი)
A	C	B
B	A	C
C	B	A

შეფარდებითი უმრავლესობის წესის მიხედვით არჩეული იქნება A (5 ამომრჩეველი 3-ის წინააღმდეგ). მაგრამ III ჯგუფის ამომრჩეველებს, რომელთაც არ სურთ ამის დაშვება, შეუძლიათ დაამახინჯონ თავიანთი უპირატესობები და პირველ ადგილზე დააყენონ C (ცხრ. 6.5). შედეგად, სწორედ ის გაიმარჯვებს 6 ხმით 11-დან.

ცხრილი 6.5.

ამომრჩეველთა უპირატესობების დამახინჯება


ჯგუფი I (5 ამომრჩეველი)	ჯგუფი II (3 ამომრჩეველი)	ჯგუფი III (3 ამომრჩეველი)
A	C	C
B	A	B
C	B	A



2. მანიპულირება ხმის მიცემის ორგანიზატორის მხრიდან შეიძლება: 1) ხმის მიცემის წესის შერჩევით, 2) ალტერნატივათა გარკვეული წყობით ხმის მიცემის შეთავაზებით, 3) განსახილველი ვარიანტების წარმოდგენის ფორმის ცვლილებით.

განვიხილოთ მანიპულირების პირველი ხერხი - ხმის მიცემის წესის შერჩევა. მის კლასიკურ მაგალითს აღწერს პლინიუს უმცროსი.

პლინიუს უმცროსს იურისტ არისტონისადმი მიწერილ წერილში მოაქვს მანიპულირების ერთ-ერთი პირველი მცდელობა ძველი რომის სენატში. კონსული აფრანიუს დექსტრი მოკლული იპოვეს და არ იცოდნენ, თავი მოიკლა თუ პატრონის ბრძანებით იგი მსახურმა მოკლა. ამ საკითხის შესახებ სენატში აზრები გაიყო. ერთი ჯგუფი A (შედარებით დიდი) აუცილებლობად თვლიდა მსახურის გათავისუფლებას. მეორე ჯგუფი B ვარაუდობდა, რომ მსახური უნდა გადაესახლებინათ. და მესამე ჯგუფი C მოითხოვდა მსახურის სიკვდილით დასჯას. ამასთან, B და C ჯგუფები ერთად მეტი იყო, ვიდრე A ( $B + C > A$ ). პლინიუს უმცროსს ესიმპათიურებოდა მსახური და ესმოდა რა დასჯის გარდუვალობა, შეეცადა სასჯელის მინიმუმირებას. მან კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი ალტერნატივები: 1) „დამნაშავეა - არ არის დამნაშავე“, 2) სასჯელის ზომა - „სიკვდილით დასჯა ან გადასახლება“. ამგვარმა პროცედურამ გამოიწვია ის, რომ თუმცა მსახური დამნაშავედ იქნა ცნობილი (ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს B და C ჯგუფებმა), მაგრამ მისი სასჯელის ზომა მაქსიმალურად შემსუბუქებულ იქნა (გადასახლების სასარგებლოდ ხმა მისცა  $A + B > C$ ) (ნახ 6.4).



**ნახ. 6.4. გადაწყვეტილებათა მიღების სისტემები სისხლის სამართლის პროცესებში**

ხმის მიცემის ანალოგიური პრინციპი უდევს საფუძვლად ანგლო-საქსონურ სისტემას ამჟამად სისხლის სამართლის პროცესებში. პირველ სტადიაზე დგება ხარისხობრივი საკითხი დამნაშავეობის ან უდანაშაულობის შესახებ, მეორეზე - განისაზღვრება სასჯელის ზომა ექვიმიტანილის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში. გადაწყვეტილების მიღების სხვა თანმიმდევრობაა დამახასიათებელი კონტინენტური სისტემისთვის. აქ პირველ სტადიაზე განისაზღვრება არა მართო დანაშაული, არამედ სასჯელის ზომაც.

განხილვისთვის ახალი ვარიანტების შეთავაზების გზით მანიპულირების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს აშშ-ის კონსტიტუციის XVII შესწორების მიღება, რომლის თანახმად, სენატორები უნდა არჩეულიყვნენ შტატებში პირდაპირი კენჭისყრით. ამ შესწორების მიღებამდე სენატის წევრები ინიშნებოდნენ შტატების საკანონმდებლო ორგანოების მიერ. ამგვარად, იყო ორი ალტერნატივა: 1) S – status quo (დარჩენილიყო ყველაფერი ისე, როგორც იყო); 2) a - XVII შესწორება. 1905 წ. უმრავლესობა სენატში მხარს

უჭერდა XVII შესწორებას ( $a > S$ ). სენატი ამ დროს შედგებოდა სამი ჯგუფისგან: ლიბერალები, სამხრეთის შტატების დემოკრატები და კონსერვატორები. status quo-ს მისაღწევად ნიუ-იორკის შტატის სენატორმა ჩ. დეპიუმ (კონსერვატორი) შესთავაზა მესამე ალტერნატივის განხილვა: b - მიეღოთ XVII შესწორება იმ პირობით, რომ ფედერალურ მთავრობას შეეძლება აკონტროლოს არჩევნები შტატებში (ცხრ. 6.6).

**ცხრილი 6.6.**

**ამერიკის სენატის სამი ჯგუფის უპირატესობათა სისტემა**

ლიბერალები	დემოკრატები სამხრეთ შტატებიდან	კონსერვატორები
b	a	S
a	S	b
S	b	a

a და b წინადადებების შედარებამ გამოიწვია ის, რომ გაიმარჯვა b-მ ( $b > a$ ). b და S - ის შედარებამ გამოიწვია ის, რომ უმრავლესობამ მხარი დაუჭირა S -ს ( $S > b$ ). და ასე გრძელდებოდა 1912 წლამდე, სანამ არ გაიზარდა ლიბერალების რიცხვი ამერიკის სენატში ( $a > S$ ), რომლებმაც მიიღეს XVII შესწორება.

**3. მანიპულირება როგორც ამომრჩევლების, ისე ხმის მიცემის ორგანიზატორის მხრიდან.** მანიპულირებისთვის საჭიროა ხმის მიცემის ყოველი მონაწილის თვალსაზრისის გაგება. ის, ვინც დაინტერესებულია, შეძლებს ამის გაკეთებას. ამიტომ უმცირესობას შეუძლია უმრავლესობის ტირანიის თავიდან აცილება. ამისთვის აუცილებელია შემდეგი წანამძღვრები: 1) ზუსტი ცოდნა იმისა, გაცხადებული უპირატესობა ჭეშმარიტია თუ ტყუილი, 2) საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის პუბლიკაცია არჩევნების წინა დღეს.

### **კენეტ ჯოზეფ ეროუს - ეკონომისტი, რომელმაც დაამტკიცა დემოკრატიის შეუძლებლობა**

კ. ეროუს პირად ცხოვრებაში არ იყო განსაკუთრებული მოვლენები. მას ჰქონდა ჩვეულებრივი აკადემიური კარიერა: სწავლობდა კოლუმბიის უნივერსიტეტში, დიეტაციის დაცვის შემდეგ გახდა სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, 1968 წლიდან - ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი. 1979 წ. ის დაბრუნდა სტენფორდში. თითქმის ერთადერთი „რომანტიკული“ დეტალი მის ბიოგრაფიაში არის აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში სამსახური მეორე მსოფლიო ომის წლებში. ის იყო მეტეოსამსახურის ოფიცერი და დატოვა იგი კაპიტნის წოდებით.

მაგრამ პირადი ბიოგრაფიის უფერულობის მიღმა იმალება მეცნიერების სამყაროში მისი ცხოვრების არაორდინალურობა. 1972 წ. ის გახდა ნობელის პრემიის ყველაზე ახალგაზრდა ლაურეატი, 51 წლის ასაკში, რაც ნობელის პრემიისთვის თითქმის ბავშვური ასაკია და მისმა პირველმა მსხვილმა ნაშრომმა - სადოქტორო დისერტაციამ „კოლექტიური არჩევანი და ინდივიდუალური ფასეულობანი“ (1951) - თითქმის სკანდალური პოპულარობა მოიპოვა. ამ ნაშრომს „დემოკრატიულ დასავლეთში“ არ შეიძლებოდა, თავისებური შოკი არ გამოეწვია. იმ პირობების გაანალიზებით, რომლის დროსაც ჯგუფური გადაწყვეტილებები შეიძლება მიღებულ იქნეს დემოკრატიული გზით ინდივიდუალურ უპირატესობათა საფუძველზე, ეროუმ დაამტკიცა, რომ დემოკრატიული (ამ სიტყვის დასავლეთისთვის ტრადიციული გაგებით) გადაწყვეტილების მიღება პრინციპულად შეუძლებელია. მისი ცნობილი „შეუძლებლობის“ თეორემის შესახებ დაუყოვნებლივ დაიწყო დისკუსიები, რომელიც დღემდე გრძელდება. თვითონ კ. ეროუს არ უცდია თავისი პოლიტეკონომიური აღმოჩენის გარღმავება და გადაერთო სხვა, არცთუ ისე „სკანდალური“ თემების შესწავლაზე - ეკონომიკური წონასწორობის თეორია, კეთილდღეობის ეკონომიკა, ინფორმაციის ეკონომიკა. მას აქაც ბევრი მეცნიერული აღმოჩენა ელოდა. ამიტომ ნობელის კომიტეტს სუფთა სინდისით შეეძლო მიეცა ამ ამერიკელი ეკონომისტისთვის პრემია „ნოვატორული წვლილისთვის წონასწორობის ზოგად თეორიასა და კეთილდღეობის თეორიაში“, თუმცა, ყველამ იცოდა, რომ აჯილდოვებენ „სწორედ იმ“ ეროუს, რომელმაც დაამტკიცა დემოკრატიის შეუძლებლობა. კ. ეროუს მეცნიერული ბიოგრაფიის პარადოქსი სწორედ იმაშია, რომ ყველაზე დიდი აღიარება მას მოუტანა პირველმა მონოგრაფიამ, თუმცა, თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე იგი სულ სხვა პრობლემების კვლევით იყო დაკავებული.

## **6.5. ლოგროლინგი**

თავის საკანონმდებლო საქმიანობაში დეპუტატები საკუთარი პოპულარობის ამაღლებას ცდილობენ ლოგროლინგის სისტემის გამოყენებით (logrolling – „მორის

გადაგორება“). ლოგროლინგი არის ურთიერთმხარდაჭერის პრაქტიკა „ხმებით ვაჭრობის“ გზით.

თითოეული დეპუტატი ირჩევს მისი ამომრჩევლებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს და ცდილობს, მიიღოს აუცილებელი მხარდაჭერა სხვა დეპუტატების მხრიდან. ამ მხარდაჭერას დეპუტატი „ყიდულობს“ თავისი კოლეგების პროექტების დასაცავად სანაცვლო მხარდაჭერის მეშვეობით.

განვიხილოთ პირობითი მაგალითი, როდესაც ქალაქის საკრებულოში არსებობს სულ სამი პარტია - A, B და C, რომელთაგან არც ერთი არ ფლობს უმრავლესობას (A -35%, B - 35%, C - 30%). თუმცა, ცხადია, რომ ნებისმიერი ორი კოალიცია შეადგენს უმრავლესობას. დავუშვათ, აგრეთვე, რომ ქალაქში ცხოვრობს 10 000 გადასახადის გადამხდელი. A პარტია პირველი რიგის ამოცანად თვლის ახალი საავადმყოფოს აშენებას. ეს ქალაქის ბიუჯეტს დაუჯდება 50 მლნ. ლარი. თუ გადასახადები განაწილებული იქნება თანაბრად, თითოეულ ადამიანს მოუწევს 5 000 ლარი. დავუშვათ, ამ პროექტის რეალიზაცია საშუალებას მისცემს 1000 ადამიანს მიიღოს დამატებითი შემოსავალი 50 000 ლარის ოდენობით თითოეულმა.

B პარტია პირველი რიგის ამოცანად თვლის ახალი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის ორგანიზაციას. სიმარტივისთვის დავუშვათ, რომ იგი, აგრეთვე, ეღირება 50 000 ლარი. თუ გადასახადები განაწილებული იქნება თანაბრად, თითოეულ გადამხდელს მოუწევს 5 000 ლარი. და ამის შედეგადაც 1000 ადამიანი მიიღებს დამატებით შემოსავალს 50 000 ლარის ოდენობით თითოეული.

ცხადია, რომ ვერ ერთი და ვერც მეორე პროექტი შეიძლება ვერ გავიდეს, და ვერ მიიღოს ხმების აუცილებელი რაოდენობა. მაგრამ A (ან B) პარტიის წარმომადგენლებს შეუძლიათ, თავისი შემოსავლების ნაწილი გაუყონ კოლეგებს. ამასთან, A და B პარტიებს შეუძლიათ, დადონ შეთანხმება, ისეთიც კი, რომელიც B პარტიის წევრებს აიძულებს, გასწიონ ხარჯების ძირითადი ტვირთი (ცხრ. 6.7).

## ლოგროლინგის გამოყენების ეფექტი

პარტია	საავადმყოფოს აშენება	ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის ორგანიზაცია
A	+ 45 000 ლარი/ადამ.	-5 000 ლარი/ადამ.
B	-5 000 ლარი/ადამ.	+ 45 000 ლარი/ადამ.
C	-5 000 ლარი/ადამ.	-5 000 ლარი/ადამ.

ლოგროლინგის ქრესტომათიული მაგალითია აშშ-ის პირველი კონგრესის გადაწყვეტილება (1790წ.) აშშ-ის დედაქალაქის ვაშინგტონში განთავსების შესახებ. ათი წლის განმავლობაში ჯ. მედისონი ვერ ახერხებდა ა. ჰამილტონის (რომელიც წარმოადგენდა ნიუ-იორკის შტატს) წინააღმდეგობის გადალახვას დედაქალაქის განთავსების შესახებ ახალ ქალაქ ვაშინგტონში, ვირჯინიის შტატის საზღვართან, რომელსაც წარმოადგენდა მედისონი. მან მოახერხა ჰამილტონის მომხრეთა წინააღმდეგობის გატეხვა მხოლოდ იმ ვალების პატიების სანაცვლოდ, რომელიც ნიუ-იორკის შტატმა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წლებში დააგროვა, მაშინ როცა ვირჯინიამ ფედერალურ ბიუჯეტს თავისი ვალები უკვე გადაუხადა.

## დოკუმენტური პოლიტიკურ-ეკონომიკური დეტექტივი: ისტორია უდიდესი ლოგროლინგის შესახებ

ლოგროლინგი პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე „ჭუჭყიანი“ ინსტრუმენტია. თვით საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის თვალსაზრისითაც (რომელიც, როგორც ცნობილია, პოლიტიკოსებს ჭკვიან ცინიკოსებად თვლის), ხმების ყიდვა-გაყიდვა რიგითი ამომრჩევლების ზურგს უკან პრინციპალისა (ამომრჩევლების) და აგენტის (პოლიტიკოსის) ურთიერთქმედების პრინციპების აშკარა დარღვევაა. ცხადია, რომ პროფესიონალი პოლიტიკოსები არ ჩქარობენ თავიანთი „ჭუჭყიანი თეთრეულის“ საჯაროდ დემონსტრირებას და, ამიტომ, „ხმებით ვაჭრობის“ აღმოჩენა არც ისე ადვილია. მაგრამ ასეთი მაგალითების პოვნა მაინც შეიძლება. მათ შორის ყველაზე აშკარაა „1877 წლის კომპრომისის“ ისტორია, რომლითაც დამთავრდა 1876 წ. პოლიტიკური კრიზისი აშშ-ში.

როგორც ცნობილია, 1876 წ. ამერიკელების მიერ წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპების რამდენადმე თავისებური გაგების შედეგად, ქვეყნის პრეზიდენტი გახდა რესპუბლიკელი ჰეისი, თუმცა მან მიიღო მოქალაქეთა ხმების უმცირესობა, მაგრამ ამომრჩევთა ხმის მიცემის დროს გადაწონა ერთმა ხმამ. მაგრამ ეს უპირატესობაც უკიდურესად საეჭვოდ გამოიყურებოდა. ამიტომ დემოკრატ ტილდენს მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონდა, ფალსიფიცირებული შედეგების გადახედვა მოეთხოვა. 1876წ. ნოემბრიდან 1877 წ. თებერვლამდე ამერიკა ახალი სამოქალაქო ომის ზღვარზე აღმოჩნდა (1877 წ. მოვლენების შესახებ იხ.: Аллен Дж. Реконструкция. Битва за демократию в США. 1865-1876. М.: Изд-во иностранной литературы, 1963. С. 215. Лисневский Э.В. Кланнистское движение в США в период Реконструкции Юга (1865-1877 гг.). Ростов-на-Дону: Изд-во Ростовского университета, 1977. С. 142-144). სამხრეთ შტატებში დემოკრატებმა გააჩაღეს სამოქალაქო ომი ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის და რამდენადმე აღადგინეს თავიანთი პოზიციები, თუმცა ზოგიერთი შტატი ფედერალური ჯარებით დაკავებული რჩებოდა. სამწუხაროდ ცნობილმა კუ-კლუქს-კლანმა მოასწრო ათასობით ზანგის და მათი თეთრკანიანი მოკავშირეების დახოცვა და დემოკრატები იმუქრებოდნენ ვაშინგტონზე გალაშქრებით. პრეზიდენტმა გრანტმა წინასწარ თავი მოუყარა ჯარებს დედაქალაქთან. სიტუაცია რთულდებოდა იმით, რომ რესპუბლიკელებმა მოასწრეს თითქმის მთლიანად დაეკარგათ წინანდელი პოლიტიკური კაპიტალი. თვით გრანტი ჩრდილოელების მამაცი გენერალი, მაგრამ ცუდი პრეზიდენტი - „სკანდალების პრეზიდენტი“ იყო. მისი ადმინისტრაციის ბევრი წევრი ფინანსურ მაქინაციებში ჩართული აღმოჩნდა. ამიტომ, კონფლიქტის გამწვავების შემთხვევაში, კორუმპირებულ რესპუბლიკელებს შეიძლება მთლიანად დაეკარგათ სამოქალაქო ომის მონაპოვარი.

სიტუაციაში, როდესაც ორივე პარტიას საკმაოდ პირქუში პერსპექტივები ჰქონდა, მათმა ლიდერებმა ურთიერთხელსაყრელი გარიგება დადეს, რომელიც ცნობილია როგორც

„უორმლის შეთანხმება“. 1877 წლის 26 თებერვალს ვაშინგტონში, სასტუმრო „უორმლიში“ ფარულად შეხვდნენ დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების ცნობილი წარმომადგენლები. ისინი შეთანხმდნენ, რომ პრეზიდენტი გახდებოდა ჰეისი, სამხრეთ-დემოკრატები მას უნდა დახმარებოდნენ, ხოლო სანაცვლოდ რესპუბლიკელები იღებდნენ ვალდებულებას, გამოეყვანათ სამხრეთიდან ფედერალური ჯარები და შეგუებოდნენ იქ დემოკრატების ხელისუფლების რესტავრაციას. ამიტომ, როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ საარჩევნო კომისიამ ჰეისის გამარჯვების შესახებ გამოაცხადა, ამას რაიმე პოლიტიკური მღელვარება არ გამოუწვევია. ახალმა ადმინისტრაციამ დაუყოვნებლივ გამოიყვანა ჯარები სამხრეთიდან. რეკონსტრუქცია დამთავრდა და სამხრეთ შტატების ზანგთა ადამიანებად ჩათვლა კვლავ შეწყვიტეს. მხოლოდ 1960-1970 წწ. აფროამერიკელებმა კვლავ მოახერხეს ამერიკელი პოლიტიკოსების ყურადღების მიპყრობა და თავიანთი სამოქალაქო უფლებების აღიარების მოპოვება.

ამგვარად, 1876 წლის პოლიტიკური კრიზისი დამთავრდა კლასიკური ლოგროლინგით: რესპუბლიკელებმა გაყიდეს აფროამერიკელების პოლიტიკური უფლებები და ამით დემოკრატების პოლიტიკური მხარდაჭერა იყიდეს. ვინაიდან 1877 წლის შეთანხმებას გამცემლობის ძლიერი სუნი ჰქონდა და აბსოლუტურად ამორალური იყო, მისი დეტალები დიდხანს იმალებოდა ორივე პარტიის ლიდერების მიერ (ისინი ცნობილი გახდა მხოლოდ რამდენიმე ათწლეულის შემდეგ). ამ ისტორიის წვრილმანების გახსენება დღესაც არ უყვართ. თავისი მასშტაბების და შედეგების მიხედვით, „შეთანხმება უორმლიში“ პოლიტიკურ ისტორიაში უდიდეს ლოგროლინგად შეიძლება მივიჩნიოთ.

## წონასწორობის პრობლემა

საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის მომხრეები (მაგალითად, ჯ. ბიუქენენი და გ. ტალოკი) ყველანაირი ტიპის „ხმებით ვაჭრობას“ უარყოფით მოვლენად არ თვლიან. ზოგჯერ ლოგროლინგის მეშვეობით ხერხდება რესურსების უფრო ეფექტიანი განაწილების მიღწევა, ესე იგი, ისეთი განაწილებისა, რომელიც ამაღლებს ხარჯებისა და სარგებლიანობის თანაფარდობას პარეტო-ოპტიმალურობის პრინციპის შესაბამისად. მაგრამ არ არის გამორიცხული სრულიად საპირისპირო ეფექტიც. ადგილობრივი ინტერესების გამო, ლოგროლინგის დახმარებით, მთავრობა ახერხებს სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი დეფიციტის მოწონების მიღწევას, ასიგნებათა ზრდას თავდაცვაზე და ა.შ. ამით საერთოეროვნული ინტერესები ხშირად მსხვერპლად ეწირება რეგიონალურ სარგებელს.



ლოგროლინგის კლასიკურ ფორმას წარმოადგენს „კასრი ქონით,“ - კანონი, რომელიც მოიცავს მცირე ლოკალური პროექტების ნაკრებს. მოწონების მისაღებად საერთოეროვნულ კანონს ემატება მრავალფეროვანი, ზოგჯერ ძირითად კანონთან სუსტად დაკავშირებული წინადადებების მთელი პაკეტი, რომლის მიღებითაც დაინტერესებულნი არიან დეპუტატთა სხვადასხვა ჯგუფები. მისი გასვლისთვის მას უერთებენ სულ ახალ და ახალ წინადადებებს („ქონი“), სანამ არ გაჩნდება დარწმუნება იმაში, რომ კანონი დეპუტატების უმრავლესობის მხარდაჭერას მიიღებს. მსგავსი პრაქტიკა შეიცავს ხიფათს დემოკრატიისთვის, ვინაიდან პრინციპულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები (სამოქალაქო უფლებების შეზღუდვა, სინდისის, შეკრების, პრესის თავისუფლება და ა.შ.) შეიძლება „ნაყიდი“ იყოს კერძო საგადასახადო შეღავათების მიცემით და ადგილობრივი ინტერესების დაკმაყოფილების გზით.

## ლიტერატურა:

- Arrow K.** Social Choice and Individual Values. N.Y.: John Wiley and Sons, 1951;
- Axelrod R.** Conflicts of Interest. Chicago: Markham, 1970;
- Axelrod R.** The Evolution of Cooperation. N.Y.: Basic Books, 1984.
- Cooter R.D.** The Strategic Constitution. Princeton. Princeton University Press. 2000. Ch. 3. P. 51-78.
- Johnson D.** Public Choice. An Introduction to the New Political Economy. Bristlecone Books, 1991. Ch.8. P. 213 - 231.
- Laver, Michael and Norman Schofield,** *Multiparty Government*, Oxford: Oxford University Press, 1990.
- Mueller D.** Public choice III. New York: Cambridge University Press, 2008. pp. 264-332.
- Müller, Wolfgang C. and Kaare Strom,** “Coalition Governance in Western Europe,” 2000b, in W. C. Müller and K. Strom, eds., 2000a, p. 559–592.
- Persson T., Tabellini G.,** Political economics. Explaining Economic Policy, MIT Press, 2000. Ch. 7. P.159-199.
- Riker W.** The Entry of Game Theory into Political Science // Toward a History of Game Theory / Ed. By E. Weintraub. Durnhum; L.: Duke University, 1992;
- Tullock G.** On Voting: A Public Choice Approach. Cheltenham, Edward Elgar, 2001, ch. 6–10, p. 82–169.
- van Roozendaal, Peter,** “Centre Parties and Coalition Formations: A Game Theoretic Approach,” *European Journal of Political Research* 18, 1990, 325–348.
- van Roozendaal, Peter,** “The Effect of Dominant and Central Parties on Cabinet Composition and Durability,” *Legal Studies Quarterly* 17, 1992, 5–36.
- van Roozendaal, Peter,** “Cabinets in the Netherlands (1918–1990): The Importance of ‘Dominant’ and ‘Central’ Parties,” *European Journal of Political Research* 23, 1993, 35–54.
- Warwick, Paul V.,** “The Durability of Coalition Governments in Parliamentary Democracies,” *Comparative Political Studies* 11, January 1979, 465–498.
- Warwick, Paul V.,** *Government Survival in Parliamentary Democracies*, Cambridge: Cambridge University Press, 1994.
- Нуреев Р. М.** Теория общественного выбора. М.: Издательский дом ГУ- ВШЭ, 2005, гл. 7.
- Мюллер Д.** Общественный выбор III. М.: Институт Экономическая школа ГУ-ВШЭ, 2007, Гл. 13, С. 353-406.
- Эрроу К. Дж.** Коллективный выбор и индивидуальные ценности. М.: Изд. Дом ГУ ВШЭ, 2004.

## თემა 7. ავტოკრატიული რეჟიმები: დიქტატურის ეკონომიკური ანალიზი

ფაშისტისათვის ყველაფერი მთავრდება სახელმწიფოს შიგნით და არ არსებობს არაფერი ამქვეყნიური ან სულიერი სახელმწიფოს გარეთ. მის გარეშე ყველაფერს ნაკლები ფასეულობა აქვს. ამ აზრით, ფაშიზმი ტოტალიტარულია და ფაშისტური სახელმწიფო ავითარებს და ამრავლებს ადამიანთა მთელ ცხოვრებას, როგორც თითოეული ფასეულობის სინთეზს და ერთიანობას.

ბენიტო მუსოლინი

### 7.1. პოლიტიკური სისტემები

#### ავტორიტარული და დემოკრატიული სისტემები

ჰაროლდ ლასუელი და აბრაჰამ კაპლანი წიგნში „ხელისუფლება და საზოგადოება“ გამოყოფენ პოლიტიკური სისტემების ორ ძირითად ტიპს: დემოკრატიულს და დესპოტურს (იხ. ცხრ. 7.1.). მათი შედარებითი დახასიათებისთვის ავტორები იყენებენ შემდეგ კრიტერიუმებს: ხელისუფლების განლაგება, მისი საზღვრები, დაყოფის ფორმები, ელიტათა რეკრუტირების წესები, პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე, ფასეულობათა განაწილება (ხელს უწყობს კეთილდღეობის ზრდას თუ მხოლოდ ხალხის ექსპლუატაციას ახდენს) და სამთავრობო გადაწყვეტილებათა კრიტიკის შესაძლებლობა (ან ასეთი შესაძლებლობის არარსებობა).

#### ცხრილი 7.1

##### დემოკრატიული და დესპოტური მმართველობის მახასიათებლები

კრიტერიუმები	დემოკრატიული მმართველობა	დესპოტური მმართველობა
ხელისუფლების განლაგება	რესპუბლიკური (ღია ელიტა)	ავტოკრატიული (შეზღუდული ელიტა)
ძალაუფლების საზღვრები	ლიბერალური (ნებაყოფლობითობა)	ტოტალიტარული (მკაცრი დისციპლინა და ერთსახოვნობა)

ხელისუფლების დაყოფა	ბალანსირებული (გაფანტულობა)	დიქტატორული (კონცენტრაცია)
ელიტების რეკრუტირება	თანაბარუფლებიანი (ღია კლასი)	დისკრიმინატორული (ჩაკეტილი კლას-კასტა)
პასუხისმგებლობა	ლიბერტიარიანული (პიროვნება)	ავტორიტარული (სხვები)
ფასეულობათა განაწილება	კეთილისმყოფლური (მიუკერძოებელი - საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო)	ექსპლუატატორული (მიკერძოებული)
გადაწყვეტილებები	იურიდიული (შედავებადი)	ტირანული (არაშედავებადი)

წყარო: Lasswell H., Kaplan A. Power and Society: A Framework for Political Inquiry. New Haven: Yale University Press, 1957. P. 235.

ამ მკვლევარების აზრით, დემოკრატია არსებობს იქ და მაშინ, სადაც ხელისუფლება მაქსიმალურად პასუხისმგებელია ხალხის წინაშე, გადაწყვეტილებები არ არის აბსოლუტური და შეიძლება გაპროტესტდეს, ხოლო მართვის პროცესიდან მიღებული სარგებლიანობა ნაწილდება პოლიტიკური სტრუქტურის ყველა ელემენტს შორის. სინამდვილეში, როგორც დემოკრატიული, ასევე დესპოტური მმართველობა ძალიან მრავალფეროვანია და მათი ფართო სპექტრით განხილვისათვის აუცილებელია პოლიტიკური კონტროლის თავისებურებების გაანალიზება. არსებობს თუ არა მმართველი ელიტის კონტროლის შესაძლებლობა მართულების მხრიდან და როგორია შიდასისტემური ავტონომიის საზღვრები? შიდასისტემური ავტონომია გვიჩვენებს პოლიტიკური სტრუქტურის სხვადასხვა ელემენტების (პოლიტიკური პარტიების, ინტერესთა ჯგუფების, პრესის) მონაწილეობის და კონტროლის ხარისხს და ხელისუფლებისგან მათი ორგანიზაციული დამოუკიდებლობის ხარისხს.

გ. ალმონდის და ბ. პაუელის მიერ შემოთავაზებული ავტორიტარული და დემოკრატიული სისტემების მოდელის კრიტერიუმია შიდასისტემური ავტონომია. რადიკალურ ტოტალიტარულ სისტემებში იგი სრულიად არ არსებობს, მაღალავტონომიურ სისტემებში იგი ყოველმხრივ განვითარებულია.

**ავტორიტარულ სისტემებში** გ. ალმონდი და ბ. პაუელი გამოყოფენ რადიკალურ ტოტალიტარულ (სსრკ), კონსერვატიულ ტოტალიტარულ (ფაშისტური გერმანია), წინამობილიზაციურ-ავტორიტარულ (განა) და გათანამედროვეებულ ავტორიტარულ (ბრაზილია) სისტემებს. ტოტალიტარული სისტემებისთვის ტიპურია ზუსტად შემუშავებული იდეოლოგია, რომელიც მოიცავს ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტს: ერთადერთი მასობრივი პარტია, მონოპოლია კომუნიკაციაზე, ძალოვანი სტრუქტურების გამოყენება მასობრივი ტერორის (ფიზიკურის თუ ფსიქიკურის) დამყარებისთვის, ეკონომიკის მართვის ცენტრალიზაციის მაღალი ხარისხი. წინამობილიზაციურ ავტორიტარულ სისტემებში შენარჩუნებულია მართვის ტრადიციული ავტორიტარული სტრუქტურები, მაგრამ მათ არ შეუძლიათ მოსახლეობის მობილიზაციის ქმედითი მექანიზმების ამოქმედება რეჟიმის აქტიური მხარდაჭერისთვის (განა - 1960-იან წლებში, XXI ს.-ის დასაწყისისთვის - საუდის არაბეთი და მაროკო). გათანამედროვეებული ავტორიტარული სისტემები ხასიათდებიან პოლიტიკური პლურალიზმის არარსებობით და ხშირად ადოცენდებიან სამხედრო გადატრიალების შემდეგ, როგორც ეს იყო ბრაზილიაში 1964 წლის შემდეგ და ჩილეში 1973წლის შემდეგ.

**დემოკრატიულ სისტემებში** გ. ალმონდი და ბ. პაუელი გამოყოფენ წინამობილიზაციურ დემოკრატიულ, დაბალავტონომიურ, შეზღუდულად ავტონომიურ, მაღალავტონომიურ სისტემებს. წინამობილიზაციური დემოკრატიული სისტემები დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები სუსტია და ფორმალური, ხოლო მართვა ხორციელდება პოლიტიკაში მოსახლეობის აქტიური მონაწილეობის გარეშე. ასეთი სტრუქტურები სამხედრო გადატრიალებისგან დაზღვეული არ არის. დაბალავტონომიურ დემოკრატიებს უკვე აქვთ ცალკეული პარტიები, ორგანიზაციები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებსაც შეუძლიათ მოსახლეობის ინტერესების დაცვა. მაგრამ აქ არსებობს დომინირებადი პოლიტიკური პარტია, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკურ პოლიტიკას. ასე იყო მექსიკაში ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტიის ბატონობის პერიოდში (1930-1980) და ინდოეთში ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ბატონობის პერიოდში (1940-1980). შეზღუდულად ავტონომიური სისტემებისთვის დამახასიათებელია პოლიტიკური პარტიების, ინტერესთა ჯგუფების და მასმედიის უფრო განვითარებული სისტემა. მაგრამ

პოლიტიკურ სფეროში შეინიშნება მუდმივი მისწრაფება გაერთიანებისკენ და კოალიციური მოქმედებისკენ ახლო იდეოლოგიის ბაზაზე. მაღალავტონომიურ სისტემებში პოლიტიკური სტრუქტურის ელემენტები მაღალგანვითარებული და ერთმანეთისგან დამოუკიდებელია.

### გარდამავალი პოლიტიკური სისტემები

გამოიყოფა კრიზისული და არაკრიზისული გადასვლები. კრიზისმა შეიძლება მოიცვას ეკონომიკის, პოლიტიკის და სამართლის სფეროები. კლასიფიკაციათა უმრავლესობაში (მაგალითად, სტ. ჰაგარდის და რ. კაუფმანის გარდამავალი პოლიტიკური სისტემების ტიპოლოგია) აქცენტი კეთდება ეკონომიკურ სფეროზე (ცხრ 7.2). ათი ქვეყნის შედარებამ აჩვენა, რომ ბოლივიაში (1980წ.), არგენტინაში (1983წ.), ურუგვაიში (1985წ.) და ფილიპინებში (1986წ.) გადასვლა ხდებოდა ღრმა ეკონომიკური დაცემის პერიოდში. პერუსა (1980წ.) და ბრაზილიაში (1985წ.) ეკონომიკურმა გამოცოცხლებამ ვერ დაფარა ღრმა ეკონომიკური რყევები და მხოლოდ ოთხ ქვეყანაში - ტაილანდში (1983წ.), თურქეთში (1983წ.), კორეაში (1986წ.) და ჩილეში (1990წ.) - გარდამავალი პროცესები მიდიოდა ეკონომიკური ზრდის პირობებში.

### ცხრილი 7.2

#### დემოკრატიული გადასვლების პოლიტიკური ეკონომია

	კრიზისული გადასვლა	არაკრიზისული გადასვლა
ავტორიტარული მმართველობისადმი პოლიტიკური გამოწვევა	პოლიტიკური მოთხოვნები გადაიკვეთება : ბიზნეს-ელიტის დეზერტირობასთან; ეკონომიკურად მოტივირებულ მასობრივ პროტესტთან; განხეთქილებასთან მთავრობის შიგნით რესურსების განაწილების მიმართ	უპირატესად ლიბერალიზაციის პოლიტიკური მოთხოვნები
კონსტიტუციური რეფორმის პროცესი	ოპოზიციის ძლიერი გავლენა	მიიღება ავტორიტარული ძალების მიერ როგორც ვალდებულება

არჩეული ოფიციალური პირების უფლებამოსილებანი	ავტორიტარული ტერიტორიის შემცირება. სამხედროების პრეროგატივების შეზღუდვა	მნიშვნელოვანი ავტორიტარული ტერიტორიები. სამხედროების მნიშვნელოვანი პრეროგატივები
ბარიერები პოლიტიკური გადასვლის დაწყების წინ	ზოგიერთი შეზღუდვა არჩევნებში მონაწილეობაზე. არავალდებული ამომრჩეველი და კანონები პარტიის რეგისტრაციის შესახებ	გრძელდება ზოგიერთი პოლიტიკური ჯგუფის შეზღუდვა. თავშეკავებული ამომრჩეველი და შეზღუდული კანონები პარტიის რეგისტრაციის შესახებ
პოლიტიკური განხეთქილება და განლაგება	სუსტი შენარჩუნებული პარტიები. ფრაგმენტირებული და (ან) პოლარიზებული პარტიული სისტემები	ძლიერი შენარჩუნებული პარტიები. ცენტრისტული პარტიული სისტემები.

წყარო: Haggard St., Kaufman R. The Political Economy of Democratic Transition. Princeton: Princeton University Press, 1995. P. 269.

გ. მანკი და ჩ. ლეფი ითვალისწინებენ დემოკრატიაზე გადასვლის გამოცდილებას არა მარტო სამხრეთ ამერიკაში, არამედ აღმოსავლეთ ევროპაშიც (ცხრ. 7.3). ისინი გამოყოფენ ავტორიტარული რეჟიმიდან დემოკრატიულზე გადასვლის შვიდ შესაძლო ფორმას იმის მიხედვით, თუ რომელი ელიტური ჯგუფი ახორციელებს გადასვლას - ძველი თუ ახალი - და რომელ სტრატეგიას ირჩევს იგი - კონფრონტაციას თუ შეგუებას. ორკრიტერიუმიანი მიდგომა გადასვლათა ფართო სპექტრის გამოყოფის საშუალებას იძლევა.

### ცხრილი. 7.3

**გადასვლის ტიპები: სამხრეთ ამერიკის და აღმოსავლეთ ევროპის გამოცდილება**

	ცვლილებათა აგენტების იდენტიფიკაცია
--	------------------------------------

ცვლილებათა აგენტების სტრატეგია	ძველი რეფორმატორული ელიტები	ძველი რეფორმატორული კონტრელიტები	კონტრელიტები
კონფრონტაცია	რევოლუცია ზემოდან ბულგარეთი	რეფორმები გახლეჩის მეშვეობით ჩეხოსლოვაკია, არგენტინა	სოციალური რევოლუცია
კონფრონტაციის და შეგუების გაერთიანება	-	რეფორმები გამოსხნის მეშვეობით უნგრეთი	-
შეგუება	კონსერვატიული რეფორმა	რეფორმა კომპრომისების მეშვეობით პოლონეთი, ბრაზილია	რეფორმა ქვემოდან ჩილე

წყარო: Munk G., Leff C. Modes of Transition and Democratization // Comparative Politics. 1997. Vol. 29. N.3. P. 346.

## 7.2. დიქტატურა

### შესავალი

მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის პოსტულატი საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის მთელი ანალიზის საფუძველია. სახელმწიფოს მოქმედებების ახსნისას ჩვენ ვიწყებთ იმ ინდივიდების ქცევის გაანალიზებას, რომელთაგანაც ის შედგება. დემოკრატიაში ესენი არიან ამომრჩევლები, მათ მიერ არჩეული წარმომადგენლები და დანიშნული ბიუროკრატები. მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის პოსტულატს აქვს ნორმატიული ანალოგი. სახელმწიფოს მოქმედებები რამდენადმე ფუნდამენტურად უნდა პასუხობდეს ინდივიდთა (მისი მოქალაქეების) უპირატესობებს, რომელთაც ეს მოქმედებები ეხება. ნორმატიული ინდივიდუალიზმის ეს პოსტულატი საზოგადოებრივი არჩევანის თეორიაში ნორმატიული ანალიზის დიდი ნაწილის საფუძველია. მაშასადამე,



სრულიად გასაგებია, თუ რატომ არის თითქმის ყველა კვლევა ახალ პოლიტიკურ ეკონომიაში მიმართული დემოკრატიული სახელმწიფოების ანალიზისკენ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საზოგადოებრივი არჩევანის თითქმის ყველა თეორეტიკოსმა თავისი ცხოვრება დემოკრატიულ ქვეყნებში გაატარა და პოლიტიკური სისტემის ეს სახეობა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს; მეორე, იმიტომ, რომ ისინი გრძნობენ, რომ ყველა სახელმწიფო ორგანიზებული უნდა იყოს როგორც დემოკრატია. ვინმეს რომ მოეხდინა დედამიწაზე ოდესმე არსებული თითოეული სახელმწიფოს კლასიფიცირება დასაწყისიდან, დოკუმენტირებული ადამიანური ისტორიით, როგორც დიქტატურის ან დემოკრატიის, აგრეთვე, შეეფასებინა მმართველობის თითოეული ტიპის არსებობის ხანგრძლივობა, დარწმუნდებოდა, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები ქმნიან ყველა თანამედროვე და ადრინდელი სახელმწიფოების მხოლოდ უმნიშვნელო წილს. დღესაც კი, მესამე ათასწლეულის დასაწყისში, როდესაც დემოკრატიული სახელმწიფოები უფრო მეტად არიან წარმოდგენილნი მსოფლიოში, ვიდრე ოდესმე ისტორიაში, ისინი მათი მთლიანი რაოდენობის მეოთხედსაც კი არ შეადგენენ. 1997 წ. Freedom House-მა განვითარებულ დემოკრატიას ქვეყნების მხოლოდ 22% მიაკუთვნა.

ნებისმიერი, ვინც ცდილობს გაიგოს, თუ როგორ ფუნქციონირებენ რეალური სახელმწიფოები მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში, უნდა შეუდგეს დიქტატურის კვლევას. უკანასკნელ ათწლეულებში პოლიტიკური ეკონომიკის თეორეტიკოსებმა დაიწყეს ამ რთულ პრობლემაზე მუშაობა. ამ თავში განვიხილავთ მათი მიღწევებიდან ზოგიერთს. „ოქსფორდის მოკლე ლექსიკონის“ მეოთხე გამოცემაში დიქტატორი განმარტებულია როგორც „სახელმწიფოს აბსოლუტური მბრძანებელი, ჩვეულებრივ, დროებითი ან არაკანონიერი, უპირატესად ის, ვინც ახშობს ან ცვლის დემოკრატიულ ხელისუფლებას; აბსოლუტური ძალაუფლების მქონე პიროვნება ნებისმიერ სფეროში“. ეს განმარტება, ალბათ, მიესადაგება დიქტატორის ისეთ არქეტიპს, როგორიცაა ადოლფ ჰიტლერი. მან შეცვალა და ჩაახშო დემოკრატია, ფლობდა რა აბსოლუტურ ძალაუფლებას. ამასთან, მისი მმართველობა დროებითი იყო. მათ, ვინც ცხოვრობდა ფიდელ კასტროს ან იოსებ სტალინის ხელისუფლების დროს, შეიძლება ექვეყნებოდა დააყენონ დიქტატურის დროებითი ხასიათი, გარდა ამისა, არც ერთი მათგანი არ მოსულა დემოკრატიის ნაცვლად. მაგრამ ორივე ახშობდა მათ ქვეყნებში არსებულ ნებისმიერ დემოკრატიულ ტენდენციას და

ორივეს გააჩნია საერთო თვისება ჰიტლერთან (და ყველა სხვა დიქტატორთან) - რომ დიქტატორის ძალაუფლება ამა თუ იმ ზომით აბსოლუტურია. დიქტატურის ეს თვისება გულისხმობს, რომ მისი ანალიზი ახალ პოლიტიკურ ეკონომიაში, დაფუძნებული მეთოდოლოგიურ ინდივიდუალიზმზე, შეიძლება მოიცავდეს მხოლოდ ერთი ინდივიდის - დიქტატორის - უპირატესობების და მოქმედებების ანალიზს. თუმცა არც ერთი დიქტატორი არ მართავს მხოლოდ თვითონ. ის გარშემორტყმულია ბიუროკრატით, რომელმაც უნდა გაატაროს მისი დირექტივები და, ამგვარად, ეჯახება პრინციპალისა და აგენტის ურთიერთობის იმავე პრობლემას, რომელიც ყველა ბიუროკრატიაში არსებობს. თვით მოქალაქეებსაც, რომელთაც ის თრგუნავს, არჩევანი აქვთ სახელმწიფოს ქმედებების მიმართ წინააღმდეგობასა და მათ მხარდაჭერას შორის, ხოლო თუ აირჩევა წინააღმდეგობა, შეიძლება არჩევანის გაკეთება მის პასიურ და აქტიურ ფორმებს შორის. ამგვარად, დიქტატურასა და დემოკრატიას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებების მიუხედავად, ერთი და იგივე საბაზო მეთოდოლოგიური მიდგომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს თითოეული მათგანის ანალიზისას. ცხადია, წინა თავებში გაანალიზებული რამდენიმე კონცეფცია კვლავ თავის როლს თამაშობს დიქტატურის ანალიზშიც. განხილვას დავიწყებთ ანარქიიდან დიქტატურის წარმოშობით.

### 7.2.1. დიქტატურის წარმოშობა

როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, „პატიმრების დილემის“ კოოპერაციული გადაწყვეტა და საზოგადოებრივი დოვლათის მიწოდება ფორმალური სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნის გარეშე შესაძლებელია არსებობდეს პატარა და სტაბილურ საზოგადოებებში იმ ინდივიდთა რაციონალური, ეგოისტური ქცევის ფარგლებში, რომლებიც ჩართულნი არიან „პატიმრების დილემის“ სუპერთამაშების სერიაში. მაგრამ ეფექტიანი კოოპერაციისადმი წაქეზების ასეთი არაფორმალური მექანიზმი მოთამაშეთა რიცხვის ზრდასთან და მათი იდენტურობის შემცირებასთან ერთად ირღვევა. ასეთ დარღვევაზე ერთ-ერთი პასუხი შეიძლება გახდეს ყველა მოთამაშის შეკრება და დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა კოლექტიური მოქმედებების ამ პრობლემის გადასაწყვეტად ყველა მოთამაშის ურთიერთსარგებლობისთვის. თუმცა ამგვარი „კოლექტიური პასუხი“ კოლექტიური მოქმედებების პრობლემაზე „უბილეთოების“ იმავე

ქცევის მსხვერპლი ხდება, რომელიც ამ პრობლემას წარმოშობს. ამგვარად, მოსალოდნელია, რომ კოლექტიური მოქმედებების პრობლემის გადაწყვეტა რეალურ სამყაროში უფრო ხშირად ცალკეული ინდივიდების ან მცირე ჯგუფების მოქმედებებს გულისხმობს. აცნობიერებს რა სარგებლობას საზოგადოებრივი დოვლათის მიწოდებიდან, მეწარმეობაში ჩაბმული ვინმე ინდივიდი ავანსცენაზე გამოდის და აფუძნებს ინსტიტუტებს ამ დოვლათის უზრუნველყოფის მიზნით.

დაახლოებით ასევე ახასიათებს დიქტატურის წარმოშობას მ. ოლსონი (Olson, 1993, 2000). დიქტატორი - ეს არის სიმდიდრის მაქსიმიზატორი, რომელიც ცხოვრობს თავის სასარგებლოდ მისი გადანაწილებით იმათგან, ვისაც მართავს. ერთ-ერთი სტრატეგია, რომელსაც შეიძლება ამ მაქსიმიზატორმა მიმართოს სამყაროში, სადაც ინდივიდები ცხოვრობენ მშვიდობიანი ანარქიის პირობებში მცირე საზოგადოებებად, არის სამხედრო ძალის გამოყენება და ერთი საზოგადოებიდან მეორეში გადაადგილება ყოველგვარი სიმდიდრის ექსპროპრიაციით, რაც თითოეულმა მათგანმა დააგროვა. მაგრამ ასეთ სამყაროში მომთაბარე არმიის ნებისმიერ არაწევრ ინდივიდს სიმდიდრის დაგროვების სტიმულები არა აქვს, ვინაიდან ის ცხოვრობს იმის მოლოდინით, რომ მომთაბარე ბანდიტი და მისი არმია მოვა და წაართმევს დაგროვილ სიმდიდრეს. რაციონალური, კეთილდღეობის მაქსიმიზატორი ბანდიტი მოისურვებს ინდივიდებისათვის სიმდიდრის დაგროვების სტიმულების მიცემას, რათა ამოსაღები სიმდიდრე უფრო მეტი იყოს. ასეთი სტიმულების უზრუნველყოფა შესაძლებელია, თუ ბანდიტი საზოგადოებას ართმევს სიმდიდრის მხოლოდ ნაწილს და დარჩენილ სიმდიდრეს იცავს სხვა მომთაბარე ბანდიტებისგან. ამგვარად, მომთაბარე ბანდიტმა შეიძლება მეტი სიმდიდრე დააგროვოს, თუ გადაიქცევა სტაციონარულ ბანდიტად და უზრუნველყოფს ყველა საზოგადოებრივ საქონელს და მომსახურებას (პოლიციის და თავდაცვის ჩათვლით). ამ გზით წარმოიშობა დიქტატურა. თუ ბანდიტი ხდება სტაციონარული და მხარს უჭერს და იცავს თავის საზოგადოებას, უმჯობესდება როგორც ბანდიტის, ასევე იმ საზოგადოების მდგომარეობა, რომელსაც ის ძარცვავს. ბანდიტის არამობილურობა მის ინტერესებს საზოგადოების წევრთა ინტერესების გვერდით აყენებს, თუმცა მათ იდეალურ დამთხვევას არ უზრუნველყოფს. საზოგადოების კეთილდღეობა ჩამორჩება იმ დონეს, რომელიც

შეიძლება ყოფილიყო კეთილგანმზრახველი დიქტატორის დროს, რომელიც ამაქსიმიზებს საზოგადოების სიმდიდრეს.

ამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემოსავლების ნაკადი და არა - დაგროვილი სიმდიდრე. დიქტატორი აწვდის ისეთ საზოგადოებრივ დოვლათს, როგორცაა გზები და ხიდები, სამართლებრივი სისტემა და ა.შ. ამგვარად, ეროვნული შემოსავალი (Y) იზრდება საზოგადოებრივი საქონლის (G) ზრდასთან ერთად.  $Y = Y(G)$ , ამასთან,  $\partial Y / \partial G > 0$ ,  $\partial^2 Y / \partial G^2 < 0$ .

საზოგადოებრივი დოვლათის მიწოდების დაფინანსების მიზნით, დიქტატორი შემოსავალს ბეგრავს პროპორციული გადასახადით (t). ეს გადასახადი ახდენს დემასტიმულირებელ გავლენას ძალისხმევაზე. ამიტომ უფრო მაღალი გადასახადები ეროვნული შემოსავლის შემცირებას იწვევს. დავუშვათ, რომ მიღებული შემოსავალი (Yr) ხასიათდება მუდმივი ელასტიკურობით საგადასახადო განაკვეთის ( $\eta$ ) მიმართ, მაშინ:  $Yr = Y(1 - \eta t)$ . დიქტატორის მოხმარების (C) წყარო ასევე აკრეფილი გადასახადებია. ამგვარად,  $tYr = G + C$ . დიქტატორი ცდილობს მოხმარების მაქსიმიზებას მოცემული შეზღუდვის დროს. თუ გამოვიყენებთ ამ შეზღუდვას როგორც C-ს შემცვლელს, მაშინ დიქტატორი აირჩევს G-ს და t-ს იმგვარად, რომ მოახდინოს მიზნობრივი ფუნქციის მაქსიმიზება:  $OD = tY(G)(1 - \eta t) - G$ . ეს იწვევს პირველი რიგის შემდეგ ორ პირობას:

$$t \frac{dY}{dG} - 1 = 0 \tag{7.1}$$

$$Y - 2\eta t Y = 0, \tag{7.2}$$

საიდანაც ვიღებთ:

$$\frac{dY}{dG} = \frac{1}{t} \tag{7.3}$$

$$t = \frac{1}{2\eta}. \tag{7.4}$$

უკანასკნელი განტოლება იძლევა ოპტიმალურ საგადასახადო განაკვეთს. მოცემულ მოდელში დიქტატორი ახდენს მოსახლეობის ექსპლუატირებას ისეთივენაირად, როგორც

ლევიათანის მოდელში, იმ განსხვავებით, რომ მოქალაქეებისგან ამოღებული ფული მიდის დიქტატორის საკუთარი მოხმარების დაფინანსებაზე და არა - სახელმწიფოს გაფართოებაზე. თუ საზოგადოებრივ საქონელს საზოგადოების წევრებისთვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს შემოსავალზე ზეგავლენის გარდა, მაშინ მოქალაქეები მოისურვებენ საზოგადოების შემოსავლის მაქსიმიზებას იმის გამოკლებით, რაც ამ საზოგადოებრივ საქონელში უნდა გადაიხადონ:  $Y(1 - \eta t) - G$ . საზოგადოების მიზნობრივი ფუნქციის ( $Q_s$ ) მაქსიმიზებით

$G$  - ის მიმართ მივიღებთ:


$$\frac{\partial O_s}{\partial G} = \frac{dY}{dG}(1 - \eta t) - Y\eta \frac{\partial t}{\partial G} - 1 = 0, \quad (7.5)$$

ამ ფორმულის პირველი წევრი -  $(dY/dG)(1 - \eta t)$  არის საზოგადოების ზღვრული მოგება საზოგადოებრივი საქონლის რაოდენობის გაზრდიდან. ხოლო მეორე წევრი -  $(Y\eta (\partial t / \partial G))$  - საზოგადოებრივი საქონლის ზრდის ზღვრული დანახარჯები იმ ფაქტის გამო, რომ  $G$ -ის გაზრდა მოითხოვს  $t$ -ს გადიდებას და ეს გადიდება ამცირებს  $Y$ -ს, დაბეგვრის დემასტიმულირებელი ეფექტის გამო. მესამე წევრი  $-1$  ასახავს  $G$ -ის გაზრდის ზღვრულ დანახარჯებს, რომელიც წარმოიშობა იმის გამო, რომ  $G$  უნდა დაფინანსდეს  $Y$ - დან. დიქტატორის და საზოგადოების მიზნობრივი ფუნქციებიდან ( $Q_D$  და  $Q_s$ ) ჩანს, რომ დიქტატორის მიერ მიწოდებული საზოგადოებრივი საქონლის მოცულობა საზოგადოებრივად ოპტიმალურ სიდიდეზე ნაკლებია:

$$O_D = tY(G)(1 - \eta t) - G \quad (7.6)$$

$$O_s = Y(G)(1 - \eta t) - G. \quad (7.7)$$

$Y(G)$  - ის ამოზნექილობის და იმ ფაქტის გამო, რომ  $(1 - \eta t)$  მცირდება  $t$ -სთან ერთად,  $Q_s$ , ისევე როგორც  $Q_D$ , ამოზნექილია  $G$ -ის მიმართ (ნახ. 7.1.).



ნახ. 7.1. საზოგადოებრივი საქონლის ოპტიმალური მიწოდება დიქტატურისა და საზოგადოებისთვის.

რადგან დიქტატორის მოხმარება აუცილებელია დაფინანსდეს საგადასახადო შემოსავლებიდან, დიქტატურის დროს  $t$  მეტია  $G$ -ის ნებისმიერი დონისას და, ამგვარად,  $(1 - \eta t)$  ნაკლებია. ეს გარემოება იმ ფაქტთან ერთად, რომ პირველი წევრი  $Q_D$ -ში მრავლდება ( $t < 1$ ) -ზე, იმის გარანტიას იძლევა, რომ  $Q_D$  მაქსიმუმს უფრო ადრე აღწევს, ვიდრე  $Q_S$ . დიქტატურა აწვდის  $G$ -ის საზოგადოებრივად ოპტიმალურზე ნაკლებ რაოდენობას.

### 7.2.2. დიქტატორთა მიზნები

**მოხმარება.** იმ ავტოკრატთა სია, ვინც თავის ქვეშევრდომებს გადასახადებით ბეგრავდა ექსტრავაგანტური და ეგზოტიკური ცხოვრების წესისთვის, თითქმის უსასრულოა. ვარაუდი იმის შესახებ, რომ დიქტატორი თავის ძალაუფლებას იყენებს ქვეშევრდომებისგან მიღებული შემოსავლების გადასაქცევად პირად მოხმარებად, მრავალი დიქტატორის ქცევას შეესაბამება. მაგალითად, ცნობილია რომაელი იმპერატორის - ნერონის ყველა სახის მოხმარებისადმი უსაზღვრო სწრაფვა. თუმცა ფრანგი ლუდოვიკო XIV-ის მიერ ვერსალში აშენებული სასახლე ნერონსაც კი შურით აავსებდა. ინგლისის მეფე ჰენრი VIII გამოირჩეოდა განსაკუთრებული მადით საჭმელ-სასმელისა

და ცოლებისადმი. როდესაც იმეღდა მარკოსი - ფერდინანდო მარკოსის (ფილიპინების დიქტატორის) ცოლი სასწრაფოდ გაიქცა ქვეყნიდან ქმრის სიკვდილის შემდეგ, სხვა საკუთრებასთან ერთად, მან 3000 წყვილი ფეხსაცმელი დატოვა.

**ძალაუფლება.** ყველა დიქტატორს არ სურს „მეფურად ცხოვრება“. მაგალითად, ადოლფ ჰიტლერი, თავისი აბსოლუტური ძალაუფლების მიუხედავად, ძალიან მოკრძალებულ ცხოვრების წესს მისდევდა, ისევე, როგორც ჟან კალვინი იმ პერიოდში, როდესაც მან და მისმა მიმდევრებმა ჟენევის მოქალაქეებს თავს მოახვიეს რელიგიური ავტოკრატია. ზოგიერთ დიქტატორს ამოძრავებს სურვილები, რომლებიც მათი პირადი მოხმარების ფარგლებს სცდება. ასეთ შემთხვევაში დიქტატორი ძალაუფლებისკენ ისწრაფვის კონკრეტული იდეოლოგიის „ჩანერგვისა“ და გავრცელებისთვის. ჰიტლერისთვის - ეს იყო ფაშიზმი, კალვინისთვის - პროტესტანტიზმის განსაკუთრებული დოქტრინა, რომელსაც კალვინიზმი ეწოდა. დიქტატორი ცდილობს, რომ მისი ქვეშევრდომები მისდევდნენ განსაზღვრულ პრინციპებს და ცხოვრობდნენ მათ შესაბამისად. ის ისწრაფვის ქვეშევრდომებზე ძალაუფლებისკენ, რაც მას მათი აზრების და მოქმედებების გაკონტროლების საშუალებას მისცემს. მაგალითად, კალვინი „კარნახობდა“ ჟენევის მოქალაქეებს, რა უნდა ჩაეცვათ, სად შეეძლოთ ეცხოვრათ და რომელი სახელები დაერქმიათ ბავშვებისთვის. ფაშიზმის მიზანი იყო პირადი ცხოვრების ყოველი ასპექტის გაკონტროლება (იხ. მუსოლინის ციტატა მოცემული თავის დასაწყისში). ფაშიზმის ან კალვინიზმის მსგავსი ნებისმიერი სისტემა, რომელიც ინდივიდთა ცხოვრების სრული კონტროლისაკენ ისწრაფვის, შეიძლება გაერთიანდეს ტოტალიტარიზმის კატეგორიაში. (ტოტალიტარიზმის შესახებ იხ.: Wintrobe, 1998, pp. 7–11, 58–68).

ამგვარად, დიქტატორის მეორე შესაძლო მიზანია ძალაუფლება, რათა აკონტროლოს ზოგიერთი, ხოლო იდეალში - ყველა მოქმედება იმათი, ვისაც მართავს.

**უსაფრთხოება.** თუ დიქტატორს სურს, გააგრძელოს ძალაუფლების გამოყენება და იმ სიკეთეებით ტკბობა, რაც მის მდგომარეობას მოაქვს, მან უნდა აღკვეთოს სხვების მიერ მისი ჩანაცვლების მცდელობა. საკუთარი მდგომარეობის შენარჩუნება ანუ „სამუშაო ადგილის“ უსაფრთხოება დიქტატორის მესამე და ყველაზე აშკარა მიზანია და, ამასთან - ყველაზე ძნელად მისაღწევი (Tullock, 1987). ჩვენ განვიხილეთ სამი მოქმედი პირიდ ქცევა დემოკრატიის დროს - მოქალაქე-ამომრჩევლის, არჩეული პოლიტიკოსის და დანიშნული

ბიუროკრატის. დიქტატორი ყველა ამ როლს აერთიანებს და, ამგვარად, მისი მოტივაცია ამ სამი სხვადასხვა მოქმედი პირის მოტივების კომბინაციაა. დიქტატურის დროს დიქტატორის უპირატესობები ყოვლისმომცველია და ამიტომ, სახელმწიფო ხარჯები და შემოსავლები ორიენტირებულია, ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც, მისი სამომხმარებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, ხოლო დემოკრატიაში ეს ხარჯები და შემოსავლები ორიენტირებულია, ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც, მოქალაქეთა კეთილდღეობის მაქსიმიზაციაზე საზოგადოებრივი და კერძო დოვლათის მოხმარებიდან. დიქტატორი მართავს სახელმწიფო ბიუროკრატias. თუ მას სურს, თავს მოახვიოს განსაკუთრებული იდეოლოგია ყველა თავის ქვეშევრდომს, ის ყველა მათგანზე უნდა მბრძანებლობდეს. ამგვარად, დიქტატორი, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ბიუროკრატი, მისწრაფვის ძალაუფლებისკენ და, თითოეული არჩეული პოლიტიკოსის მსგავსად, თავის თანამდებობაზე დარჩენა სურს.

### 7.2.3. დიქტატურის ფუნქციონირება და გადარჩენა

#### დიქტატორის მიერ სარგებლიანობის მაქსიმიზაცია

გამოვსახოთ დიქტატორის სარგებლიანობა როგორც მოხმარების (C), ძალაუფლების (P) და უსაფრთხოების (S) ფუნქცია:  $U(C,P,S)$ . დავუშვათ, რომ ამ მიზნების მისაღწევად დიქტატორი ეყრდნობა ორ სტრატეგიულ ინსტრუმენტს - თავისი ქვეშევრდომების ლოიალურობას და რეპრესიებს მათ მიმართ (Wintrobe, 1990, 1998). ლოიალურობა მიიღწევა მოქალაქეთა მდგომარეობის გაუმჯობესებით. დავუშვათ, რომ დიქტატურის პირობებში ქვეშევრდომთა ლოიალურობა იზრდება მათ (გადასახადებისგან „გაწმენდილ“)შემოსავლებთან ერთად:  $L = L(Y_T)$ ,  $L' > 0$ ,  $L'' < 0$ . მოქალაქეთა გარკვეული მოქმედებების ჩახშობისთვის დიქტატორმა უნდა დახარჯოს რესურსები პოლიციაზე, ციხეებზე, ინფორმატორებზე და ა.შ. ამგვარად, რეპრესიების დონე არის მათზე დახარჯული საგადასახადო შემოსავლების ფუნქცია:  $R = R(T_R)$ ,  $R' > 0$ ,  $R'' < 0$ . მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ როგორც დიქტატორის ძალაუფლება, ასევე მისი მდგომარეობის სიმყარე იზრდება ქვეშევრდომთა ლოიალურობის და რეპრესიებზე გამოყოფილი რესურსების ზრდასთან ერთად:

$$P = P(L, R), \partial P / \partial L > 0, \partial^2 P / \partial L^2 < 0, \partial P / \partial R > 0, \partial^2 P / \partial R^2 < 0;$$



$$S = S(L, R), \partial S / \partial L > 0, \partial_2 S / \partial L_2 < 0, \partial S / \partial R > 0, \partial_2 S / \partial R_2 < 0.$$

როგორც წინათ, ამჯერადაც დავუშვათ, რომ დიქტატორი სახსრებს იღებს მოქალაქეთა შემოსავალზე დაწესებული გადასახადიდან. ეს შემოსავალი კვლავ არის მიწოდებული საზოგადოებრივი საქონლის მოცულობის ფუნქცია. დავუშვათ, რომ როგორც საზოგადოებრივი საქონლის (G), ასევე მთლიანი ეროვნული შემოსავლის (Y) დონე - მუდმივი სიდიდეებია. მაშინ დიქტატორის ამოცანაა, აირჩიოს მოხმარების (C) და რეპრესიებზე დანახარჯების (Tr) ისეთი დონე, რომ მოახდინოს თავისი სარგებლიანობის მაქსიმიზაცია.

ამ სიდიდეების გათვალისწინებით, საგადასახადო შემოსავლების საერთო მოცულობა წინასწარგანსაზღვრულია, ხოლო ეს, თავის მხრივ, განსაზღვრავს მოსახლეობის გადასახადისშემდგომ შემოსავალს ( $Y_T = Y - G - C - Tr$ ) და ამით - მისი ლოიალურობის დონეს.

U - ს მაქსიმიზაცია (C)-ს და (Tr)-ის მიმართ გვაძლევს:

$$\frac{\partial U}{\partial C} = \frac{\partial U}{\partial C} - \frac{\partial U}{\partial P} \frac{\partial P}{\partial L} - \frac{\partial U}{\partial S} \frac{\partial S}{\partial L} = 0 \quad (7.8)$$

$$\frac{\partial U}{\partial Tr} = -\frac{\partial U}{\partial P} \frac{\partial P}{\partial L} + \frac{\partial U}{\partial P} \frac{\partial P}{\partial R} R' - \frac{\partial U}{\partial S} \frac{\partial S}{\partial L} + \frac{\partial U}{\partial S} \frac{\partial S}{\partial R} R' = 0. \quad (7.9)$$

(7.8)-ის გადაჯგუფებით ვიღებთ:

$$\frac{\partial U}{\partial C} = \frac{\partial U}{\partial P} \frac{\partial P}{\partial L} + \frac{\partial U}{\partial S} \frac{\partial S}{\partial L}. \quad (7.10)$$

დიქტატორი ირჩევს მოხმარების ისეთ დონეს, რომლის დროსაც გადასახადის სახით აკრეფილი და მოხმარებაზე გამოყოფილი უკანასკნელი ტალანტის<sup>6</sup> (ფულადი ერთეული) ზღვრული სარგებლიანობა ზუსტად უდრის იმ გაზრდილი ძალაუფლების და უსაფრთხოების ზღვრულ სარგებლიანობას, რომელსაც ის მიიღებდა, თუ ეს ტალანტი არ იქნებოდა საგადასახადო შემოსავლების შემადგენლობაში და ამით გაზრდიდა მოქალაქეთა ლოიალურობას.

<sup>6</sup> იმისათვის, რომ რომელიმე კონკრეტული ქვეყანა არ შეფასდეს როგორც დიქტატურა, ანალიზისთვის ვიყენებთ ამ უძველეს ფულად ერთეულს.

მეორე ფორმულის გადაჯგუფებით ვიღებთ:

$$\left( \frac{\partial U}{\partial P} \frac{\partial P}{\partial R} + \frac{\partial U}{\partial S} \frac{\partial S}{\partial R} \right) R' = \frac{\partial U}{\partial P} \frac{\partial P}{\partial L} + \frac{\partial U}{\partial S} \frac{\partial S}{\partial L}. \quad (7.11)$$

დიქტატორი გაიღებს საგადასახადო შემოსავალს რეპრესიებზე იმ წერტილამდე, სადაც რეპრესიებზე დახარჯული დამატებითი ტალანტის ზღვრული სარგებლიანობა ტოლია იმ გაზრდილი ლოიალურობის ზღვრული სარგებლიანობისა, რომელსაც უზრუნველყოფდა ეს ტალანტი, თუკი არ შევიდოდა საგადასახადო შემოსავალში.

### „კასრები“ (“tinpots”) და „ტოტალიტარისტები“

ვინტრობი იკვლევდა დიქტატორთა პოლარული ტიპების ქცევას, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ან მხოლოდ ძალაუფლებით, ან მხოლოდ პირადი მოხმარებით (Wintrobe, 1990, 1998). მათ, ვისი მიზანიც მხოლოდ ძალაუფლებაა, ის უწოდებს „ტოტალიტარისტებს“, ხოლო მათ, ვინც ამაქსიმიზებს საკუთარ მოხმარებას - „კასრებს“. „კასრი“ ადარებს მოხმარების ზრდის შედეგად მიღებულ ზღვრულ სარგებლიანობას იმ დამატებითი დოლარის ზღვრულ სარგებლიანობას, რომელიც დაუტოვა ხალხს თავისი უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, ხოლო შემდეგ ანაწილებს ფულს ლოიალურობის ფორმირებასა და რეპრესიების ზრდას შორის ისე, რომ ისინი ერთნაირად ეფექტიანი იყოს უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

$$\frac{\partial U}{\partial C} = \frac{\partial U}{\partial S} \frac{\partial S}{\partial C} \quad (7.12)$$

$$\frac{\partial S}{\partial R} R' = \frac{\partial S}{\partial L}. \quad (7.13)$$

დიქტატორის უსაფრთხოების საშიშროება შეიძლება განიმარტოს როგორც  $\partial U / \partial S$  თანაფარდობის ზრდა. „კასრის“ რეაქცია ასეთ გამოწვევაზე არაორაზროვანია. ის ამცირებს მოხმარებას ლოიალურობის გაზრდისათვის. „ტოტალიტარისტის“ რეაქცია უფრო განუსაზღვრელია. უპასუხებს თუ არა ტოტალიტარისტი გადასახადების შემცირებით ლოიალურობის ამაღლების მიზნით, ან გადასახადების გაზრდით რეპრესიების გასაძლიერებლად - დამოკიდებულია ამ ორი სტრატეგიის შეფარდებით ეფექტიანობაზე.

ეროვნული შემოსავლის ეგზოგენური ზრდა იწვევს მოსახლეობის ლოიალურობის ზრდას და, ამით - მოსახლეობაზე გადასახადების შემცირების ზღვრული გავლენის დაცემას. ვაინტრობი ვარაუდობს, რომ ლოიალურობა არის რეპრესიების ზრდადი ფუნქცია რეპრესიების დაბალი დონის დროს. ამგვარად, შემოსავლის გაზრდით გამოწვეული ლოიალურობის ეგზოგენური ზრდა „დუნდრუხას“ რეპრესიების შემცირების საშუალებას აძლევს. დ. მიულერი განასხვავებს ლოიალურობის და რეპრესიის ცნებებს, რასაც ჩვენც ვიზიარებთ. ლოიალურობა ნიშნავს მოქალაქეთა ნებაყოფლობით ერთგულებას დიქტატორისადმი მადლიერების ან ნდობის გამო. რეპრესიები აფართოებს დიქტატორისადმი არანებაყოფლობით მხარდაჭერას შიშის ან იძულების გამო.

ეროვნული შემოსავლის ეგზოგენური ზრდა ამცირებს ორივე წევრს (7.11)-ის მარჯვენა ნაწილში და, ამგვარად იწვევს ტოტალიტარისტის მიერ როგორც გადასახადების გაზრდას, ასევე რეპრესიების გაძლიერებას იმისათვის, რომ გაზარდოს როგორც თავისი ძალაუფლება, ისე უსაფრთხოება.

### **გადარჩენის სელექციური სტრატეგიები**

ლოიალურობა და რეპრესიები თუმცა სრულიად განსხვავებულია თავისი მიზეზებით, მაგრამ ერთნაირია თავისი შედეგებით. მათზე მეტი რესურსების გამოყოფის შემთხვევაში ისინი აძლიერებენ დიქტატორის ძალაუფლებას და უსაფრთხოებას. მაგრამ განხილული მოდელები არ აზუსტებენ, თუ როგორ იხარჯება ეს რესურსები: მოქალაქეთა ყველა აქცია იხშობა თუ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი? ყველა მოქალაქის შემოსავალი იზრდება, მათი ლოიალურობის მისაღებად, თუ - მხოლოდ ზოგიერთის? რეპრესიული პოლიტიკა - სამთავრობო ინფორმატორები, საიდუმლო პოლიცია, სიკვდილის ესკადრონები და ა.შ. თესვენ შიშსა და უნდობლობას და ხშირ შემთხვევაში ამცირებენ ლოიალურობას, რაც შეიძლებოდა გამოეწვია სახელმწიფოს სხვა ღონისძიებებს (მაგალითად, უფასო განათლებას, ხელოვნების დარგების სუბსიდირებას, ჯანსაღ ეკონომიკურ პოლიტიკას). ამგვარად, სავარაუდოა, რომ დიქტატორი ლოიალურობასა და რეპრესიებში ინვესტიციებს განახორციელებს სელექციურად. ერთ-ერთი სტრატეგია შეიძლება იყოს იმ ინდივიდების და ჯგუფების ლოიალურობის კულტივირება, რომელთაც დიქტატურის წარმატებაში მეტი წვლილის შეტანა შეუძლიათ, ხოლო

რეპრესიების გატარება იმათ მიმართ, ვისაც დიქტატურისთვის ყველაზე ძლიერი ზიანის მიყენება ძალუძს. მაგალითად, სამხედროთა ლოიალურობა წახალისდება მაღალი ანაზღაურებით და გულუხვი ბიუჯეტით მაშინ, როცა სტუდენტური გაერთიანებები და პრესა ექვემდებარება ცენზურას და რეპრესიებს.

აქამდე ჩვენ ვგულისხმობდით, რომ დიქტატორი საზოგადოებრივ საქონელს აწვდის საზოგადოების ყველა წევრის შემოსავლების გაზრდის მიზნით, როგორც ლოიალურობის უზრუნველსაყოფად (რომელიც ხელს უწყობს დიქტატორის ძალაუფლებას და უსაფრთხოებას), ასევე მისი პოტენციური საგადასახადო შემოსავლების მაქსიმიზაციისთვის. მაგრამ გარკვეული ჯგუფის ლოიალურობის მიღწევა შესაძლებელია როგორც რომელიმე სხვა ჯგუფიდან მისთვის შემოსავლის გადაცემით, ისე წმინდა საზოგადოებრივი საქონლის მიწოდებით და ჯანსაღი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით. ამგვარად, რაციონალური დიქტატორი ახორციელებს შემოსავლის ტრანსფერს არა მარტო საზოგადოებიდან - თავისკენ, პირადი მოთხოვნილებების და ამბიციების დასაკმაყოფილებლად, არამედ, აგრეთვე, შემოსავლის ტრანსფერს საზოგადოების ცალკეული ჯგუფების სასარგებლოდ, რომელთა ლოიალურობის მიღებაც მას ყველაზე მეტად სურს. ის ჯგუფები, რომელთაგანაც ამოიღება შემოსავალი მსგავსი ტრანსფერების დასაფინანსებლად, რეპრესიის აშკარა ობიექტები ხდებიან.

ჯგუფის შემოსავლის ზრდასთან ერთად მისი ლოიალურობა რეჟიმისადმი და წვლილი მის წარმატებაში იზრდება. თუმცა თითოეული ჯგუფის წვლილი რეჟიმის წარმატებაში შეიძლება განსხვავებული იყოს. ეს განსხვავება აღვნიშნოთ  $\alpha$ : პარამეტრით. გარდა ამისა, დიქტატურის წარმატება დამოკიდებულია იმ რესურსებზეც, რომელსაც ის გამოყოფს რეპრესიებზე. აგრეთვე დავუშვათ, რომ რეჟიმის წარმატებაში წვლილი რეპრესიებიდან განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რომელი ჯგუფის მიმართ გამოიყენება იგი. და ეს განსხვავებული რეაქციები აღვნიშნოთ  $\beta$ : პარამეტრით.

შემოსავალი ჯგუფებს შორის გადანაწილდება ისე, რომ გაათანაბროს ნებისმიერი ჯგუფის წევრის მზარდი შემოსავლის ზღვრული ზეგავლენა დიქტატურის უსაფრთხოებაზე. საგადასახადო შემოსავლები ნაწილდება რეპრესიებზე ყოველი ჯგუფის მიმართ ისე, რომ კვლავ გაათანაბროს ნებისმიერი ჯგუფის წევრის რეპრესირების ზღვრული ზეგავლენა უსაფრთხოებაზე.

$$\alpha_i U'_i = \alpha_j U'_j = \beta_k R'_k = \beta_h R'_h. \quad (7.14)$$

ძალიან დაბალი  $\beta$  პარამეტრის მქონე ჯგუფებისათვის სარგებლობა რეპრესიებიდან იმდენად მცირეა, რომ არავითარი სახსრები ამ საქმიანობაზე არ გამოიყოფა. ძალიან დაბალი  $\alpha$  პარამეტრის მქონე ჯგუფებისათვის მთელი მათი შემოსავალი ამოიღება გადასახადის სახით.

ამგვარად, დიქტატორის პოლიტიკა მოიცავს წახალისების და დასჯის სელექციურ გამოყენებას. ამ კონტექსტში უნდა შევნიშნოთ, რომ დიქტატორის მიერ პოლიტიკის არჩევის ამოცანა იმის ანალოგიურია, რასაც აწყდებიან კონკურირებადი პარტიები ორპარტიულ ელექტორალურ სისტემაში ალბათური ხმის მიცემის მოდელის გამოყენებისას. როდესაც ინტერესთა ჯგუფებს პარტიის წარმატებაში განსხვავებული წვლილი შეაქვთ, პარტია მათ სახელმწიფო პროგრამებიდან ასეთივე განსხვავებულ სიკეთეებს ჰპირდება. ხმებისათვის კონკურენცია ორ პარტიას შორის იწვევს მათ მიერ პოლიტიკის ისეთი ნაკრების მიწოდებას, რომელიც ამაქსიმიზებს საზოგადოებრივი კეთილდღეობის რომელიმე შეწონილ ფუნქციას. დიქტატორს არ უწევს შეჯიბრი ორგანიზებულ ოპოზიციასთან, მაგრამ ის უნდა ცხოვრობდეს მუდმივ შიშში, რომ რომელიმე გენერალი ან უარყოფილი ინტელექტუალი მოძრაობაში მოიყვანს მოვლენებს, რომელიც მის დაცემას გამოიწვევს. ეს განუსაზღვრელობა დიქტატორს აიძულებს, ისეთი მიზნობრივი ფუნქციის მაქსიმიზირებას, რომელიც დამოკიდებულია მოქალაქეთა სარგებლიანობებზე. ის განსხვავდება პარტიის მიზნობრივი ფუნქციისგან იმით, რომ წონები, რომელიც ენიჭება ზოგიერთი ჯგუფის სარგებლიანობებს, შეიძლება უარყოფითი იყოს.

### დიქტატორის დილემა

როგორც ვხედავთ, დიქტატურის დროს მოქალაქეებს აქვთ სხვადასხვა სარგებლიანობა და დანაკარგები სახელმწიფო პოლიტიკისგან ისევე, როგორც ეს ხდება დემოკრატიის დროს. არსებობს რენტის ძიების სურვილი და სხვადასხვა ჯგუფები კონკურირებენ ამ რენტისთვის. თავისი მიზნების მისაღწევად დიქტატორმა უნდა

განსაზღვროს, ვინ არის მისი ჭეშმარიტი მომხრე და ვინ - მტერი, ვინ დააჯილდოვოს და ვინ - დასაჯოს (ანუ  $\alpha$  და  $\beta$  პარამეტრები). დემოკრატიაში ეს ინფორმაცია აბსოლუტურად ხელმისაწვდომია. ინტერესთა ჯგუფები პარტიას სთავაზობენ ხილულ მხარდაჭერას ხმების და საარჩევნო კამპანიაში საკუთარი წვლილის სახით, ხოლო პოლიტიკოსს შეუძლია სრულიად ადვილად განსაზღვროს, რომელი ჯგუფები არიან მის მიმართ ლოიალური და იმსახურებენ წახალისებას. დიქტატურის დროს მთავრობის მხარდაჭერა გაცილებით უფრო პასიურია. ის იღებს აქტიურ ოპოზიციაში (ან რევოლუციაში) არმონაწილეობის, დიქტატორის პოლიტიკის არასაბოტირების და ა.შ. ფორმას. ყველა ჯგუფს აქვს დიქტატორის იძულებითი მხარდაჭერის სტიმული მაშინაც კი, თუ ისინი აქტიურად მუშაობენ მის წინააღმდეგ. დიქტატორი ეჯახება ამოცანას - დაადგინოს, რომელი ჯგუფები უჭერენ მხარს ნამდვილად და რომლები - მხოლოდ თვალთმაქცობენ ან (აქტიურად თუ პასიურად) მის დამხობას ფიქრობენ. ჭეშმარიტი განზრახვების დაფარვის სტიმული სულ უფრო ძლიერდება რეპრესიების გაძლიერებასა და დიქტატორის მიერ აბსოლუტური ძალაუფლების მოპოვების სურვილთან ერთად. თითოეული მოქალაქე დიქტატორის შესახებ აზრის ღიად გამოხატვისას ფიქრობს, ხომ არ შეუქმნის მისი შეხედულებები არა მარტო დაბრკოლებას კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, არამედ რეპრესიის ობიექტადაც აქცევს? ამგვარად, დიქტატურის დროს, რაციონალური მოქალაქისგან თავისი ჭეშმარიტი დამოკიდებულების დაფარვას უნდა ველოდოთ. ეს სამართლიანია როგორც საშუალო ადამიანისათვის, ასევე დიქტატორის უახლოესი და გავლენიანი მრჩევლებისთვის. ამის შედეგად წარმოიშობა **დიქტატორის დილემა** (Wintrobe, 1998, pp. 20–39). რაც უფრო აბსოლუტურია მისი ძალაუფლება და სასტიკია მის მიერ გატარებული რეპრესიები ამ ძალაუფლების შესანარჩუნებლად, მით უფრო მწირია მისი ინფორმაციის წყაროები იმის შესახებ, როგორ განახორციელოს ძალაუფლება უფრო ეფექტიანად. პარადოქსულია, მაგრამ დიქტატორის ნამდვილი ძალაუფლება, რომელიც შიშს და რეპრესიებს იყენებს თავისი სტატუსის შენარჩუნებისთვის, სინამდვილეში შეიძლება შემცირდეს ამ სტრატეგიების სულ უფრო ხშირად გამოყენებასთან ერთად. თავისი რეჟიმის მხარდაჭერის განმტკიცებისთვის დიქტატორს სჭირდება სანდო სიგნალები იმათზე, ვისი ლოიალურობის მოპოვებასაც ის ცდილობს. მათ, ვინც ეძიებს რენტას ან სხვა ჯილდოს დიქტატორისგან, ესაჭიროება სიგნალები საკუთარი მზადყოფნის

შესახებ - რენტა გაცვალოს ლოიალურობაზე. ზოგადად, დიქტატორს ესაჭიროება კრიტერიუმები, რათა განსაზღვროს, თუ ვინ დააჯილდოვოს და ვინ - არა, აგრეთვე - ვინ უნდა დასაჯოს. აქ სასარგებლო როლს იდეოლოგია ასრულებს. მაგალითად, თეოკრატიის დროს მოქალაქეებს შორის განსხვავება შეიძლება გატარდეს სახელმწიფო რელიგიისადმი მათი მიკუთვნება/არმიკუთვნების საფუძველზე. რეჟიმის იდეოლოგია ახდენს სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად სარგებლობისა და ზარალის მიმღებთა იდენტიფიცირებას და, გარკვეულწილად, ავალდებულებს დიქტატორს, არ გამოიყენოს რეპრესიები იმ მოქალაქეების წინააღმდეგ, რომლებიც სახელმწიფო რელიგიას მიეკუთვნებიან. სახელმწიფო რელიგიის არსებობა ხელს უწყობს დიქტატორის დაპირებებისადმი ნდობის შექმნას. მოქალაქეთა დიფერენციაციის სხვა კრიტერიუმები შეიძლება იყოს ეკონომიკური ინტერესები (კომუნიზმი) და ეთნიკური ჯგუფები (ფაშიზმი, აპარტეიდი, ნაციონალიზმი).

### **ტოტალიტარიზმის საზღვრები**

როგორც უკვე ვნახეთ, დიქტატორის სურვილია, ზოგიერთი ჯგუფი დაბეგროს გადასახადებით და ზოგიერთ ჯგუფს მიაწოდოს ტრანსფერები მათი ლოიალურობის მოპოვების მიზნით. სხვა ჯგუფების მიმართ საჭიროა დამატებითი რესურსები რეპრესიებისთვის. დროთა განმავლობაში იმ ჯგუფების მწარმოებლურობა, რომლებიც მძიმე დაბეგვრას და რეპრესიებს ექვემდებარებიან, ეცემა. საგადასახადო შემოსავლების შენარჩუნებისთვის რეჟიმმა უნდა გააფართოოს იმათი სია, ვინც ექვემდებარება დაბეგვრას და რეპრესიებს. როდესაც მათი მწარმოებლურობაც აგრეთვე დაეცემა, სია ისევ უნდა გაფართოვდეს და ა. შ. მეორე მიზეზი, რის გამოც ტოტალიტარულმა რეჟიმმა შეიძლება ვერ შეძლოს მოსახლეობის სრული იდეოლოგიური დაქვემდებარება, არის ის ფაქტი, რომ მას აუცილებელი ეკონომიკური რესურსები არ ჰყოფნის.

### **7.2.4. დიქტატურის აღმავლობა და დაცემა**

ჩვენ უკვე აღვწერეთ, თუ როგორ შეიძლება აღმოცენდეს დიქტატურა წმინდა ანარქიის მდგომარეობიდან. ძალიან ხშირად, დიქტატორული რეჟიმები მყარდება ომის, რევოლუციის ან მმართველობის სხვადასხვა ფორმის კოლაფსის შემდეგ. ნაპოლეონ

ბონაპარტეს იმპერია აღმოცენდა საფრანგეთში რევოლუციის და კონფლიქტების შემდეგ. კომუნისტური დიქტატურა საბჭოთა კავშირში გაჩნდა რევოლუციის შედეგად, რომელმაც იფეთქა რუსეთში პირველი მსოფლიო ომის დროს. მან შეცვალა რომანოვების მონარქია. ჰიტლერის ფაშისტურმა დიქტატურამ შეცვალა მმართველობის დემოკრატიული სისტემა გერმანიაში 1930-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის დროს. ფიდელ კასტრო მეთაურობდა რევოლუციურ არმიას, რომელმაც შეცვალა არაპოპულარული დიქტატურა კუბაში. ამ და სხვა შემთხვევებში ახალი რეჟიმი ცვლიდა კორუმპირებულ ან დაცემის პირას მყოფ რეჟიმს ქვეყანაში დიდი რყევების და უბედურების დროს. შედეგად, ახალი დიქტატორული რეჟიმი ხშირად იწყებს ხოლმე „მოღვაწეობას“ მნიშვნელოვანი მხარდაჭერით, ყოველ შემთხვევაში, მოსახლეობის ზოგიერთი ფენის მხრიდან მაინც. წარმატებული დიქტატორი აფართოებს და განამტკიცებს თავის თავდაპირველ მხარდაჭერას. ლოიალურობის მისაღწევად ზოგიერთ ჯგუფში გამოიყენება დაჯილდოება, სხვათა (შესაძლო) არალოიალურობის კონტროლისთვის გამოიყენება რეპრესიები. თუ იმ მოძრაობას, რომელმაც დიქტატურის დამყარება გამოიწვია, ჰქონდა იდეოლოგია, დიქტატორს შეუძლია მისი გამოყენება ლოიალურობის გასაძლიერებლად. რევოლუციურ ბრძოლაში (ისევე, როგორც ნებისმიერ შეჯიბრებაში) გამარჯვებულნი, როგორც წესი, აღვსილნი არიან აღტაცებით და ენთუზიაზმით. გამარჯვებით წარმოშობილ ამ ენთუზიაზმს შეუძლია უზრუნველყოს ენერჯია, რომელიც აუცილებელია მრავალი ინსტიტუტიც შექმნისთვის, რაც საჭიროა გრძელვადიან პერიოდში დიქტატურის შესანარჩუნებლად. მაგრამ დროთა განმავლობაში ეს ენთუზიაზმი ქრება და დიქტატურა ეცემა. დიქტატორული სისტემის დაცემის და შემდგომი კოლაფსის ყველაზე აშკარა მაგალითი იყო კომუნისტური რეჟიმის კოლაფსი საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში. ვაინტრობმა და ოლსონმა მოგვცეს ამ დაცემის კიდევ ერთი ახსნა, ამ ქვეყნებში სახელმწიფო დაგეგმვის გიგანტური ბიუროკრატიული სისტემის თვისებებზე ყურადღების გამახვილებით.

იერარქიული ორგანიზაციის კლასიკურ მოდელში ორგანიზაციის წარმატებისთვის აუცილებელი ინფორმაცია იკრიბება იერარქიის ფსკერზე და გადაეცემა ზემოთ, ხოლო ბრძანებები გაიცემა ზემოთ და ჩამოდის ქვემოთ. იერარქიული კიბის გავლისას ორივე ტიპის ინფორმაცია მახინჯდება და იქსაქსება. გარდა ამისა, ადგილი აქვს ინფორმაციის



შეგნებულ დამახინჯებას და გაქრობასაც, რადგან იერარქიის წევრებს ახასიათებთ ოპორტუნისტული ქცევა და საკუთარი მიზნებისადმი გამოდევნება. ნებისმიერი კონტროლიორის ამოცანა იერარქიულ ორგანიზაციაში ამგვარი დანაკარგების შემცირებაა. ვაინტრობი (Wintrobe, 1998, ch. 9, 10), განასხვავებს იერარქიულ ორგანიზაციაში ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ გაცვლებს. ქვეშევრდომები აწვდიან გარკვეულ მომსახურებას თავიანთ კონტროლიორებს, რომლებიც, თავის მხრივ, მათ განსაზღვრულ ჯილდოს სთავაზობენ. ამგვარად მყარდება ნდობა უფროსებსა და ქვეშევრდომებს შორის და ასეთი ვერტიკალური გაცვლები ქმნის ორგანიზაციას, რომელიც წარმატებით ახდენს თავისი მიზნების რეალიზაციას. ენთუზიაზმს (რომელიც ახასიათებს ახალ დიქტატორულ სისტემას ადრეულ წლებში) და იდეოლოგიას (რომელიც საფუძვლად უდევს დიქტატურას) ერთად, შეუძლია აამაღლოს ნდობის დონე სახელმწიფო ბიუროკრატის ვერტიკალურად დაკავშირებულ წევრებს შორის და, ამგვარად, დიქტატურის ეფექტიანობა. ვაინტრობი ამტკიცებს, რომ ვერტიკალური ნდობა განსაკუთრებით ძლიერი იყო საბჭოთა სახელმწიფო ბიუროკრატიაში რევოლუციის შემდგომ პირველ ათწლეულებში. ამით შეიძლება აიხსნას საბჭოთა ცენტრალიზებული დაგეგმვის არნახული წარმატება და აშკარა ეფექტიანობა ათწლეულების განმავლობაში. ვერტიკალური გაცვლების საპირისპიროდ, ჰორიზონტალური გაცვლები ანგრევს იერარქიული ორგანიზაციების ეფექტიანობას. ჰორიზონტალური გაცვლები მიმდინარეობს ინდივიდებს შორის იერარქიის მოცემულ დონეზე. ამ ინდივიდთა ნებისმიერი ინტერესები კონფლიქტშია ორგანიზაციის უმაღლეს მიზნებთან. მაგალითად, კვლევითი ლაბორატორიის ყველა მეცნიერს იმ კვლევითი თემის განსაზღვრის საერთო ინტერესი აქვს, რომელსაც ისინი ატარებენ. მაგრამ, ლაბორატორიის წარმატება შეიძლება საეჭვო გახდეს, თუ მისი თითოეული თანამშრომლის კვლევა ძალიან გადაიხრება ამ მიზნისგან. ამგვარად, ბიუროკრატიაში ჰორიზონტალური კავშირების განვითარებასთან ერთად, მისი ეფექტიანობის დაცემას უნდა ველოდეთ. ნდობითი ურთიერთობები ვითარდება იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც იერარქიაში ერთნაირი მდგომარეობა უკავიათ, ერთმანეთს შორის სარგებლიანობების გაცვლის მეშვეობით („თქვენ ამბობთ, რომ ჩემი კვლევა კარგია ორგანიზაციისთვის, ხოლო მე ვამბობ, რომ - თქვენი; თქვენ მფარველობთ მე, ხოლო მე - თქვენ). ვინაიდან ვერტიკალურ გაცვლებს ორგანიზაციისთვის

წარმატება მოაქვს, მათი ღიად რეკლამირება შესაძლებელია. კარგი მუშაობისთვის ერთი ქვეშევრდომის დაჯილდოებას პოზიტიური გავლენა ექნება ორგანიზაციის წარმატებაზე, თუკი მის თანამშრომლებს იერარქიის იმავე დონეზე ეცოდინებათ ამის შესახებ, ვიდრე მაშინ, თუ ის საიდუმლოდ დარჩებოდა. ვერტიკალური გაცვლების წერილობით განმტკიცება და ვერიფიცირება ადვილია. ჰორიზონტალური გაცვლები, რომელსაც სარგებლობა მოაქვს გარიგების მონაწილეებისთვის, მაგრამ ზიანი - ორგანიზაციის ეფექტიანობისთვის, საიდუმლოდ უნდა განხორციელდეს. როდესაც მასში ჩართულია რამდენიმე ინდივიდი, ეს გაცვლები კარტელურ შეთანხმებას გვაგონებს. საბაზრო ეკონომიკაში შესაძლებელია მდუმარედ ჩართვა კარტელურ შეთანხმებაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემოწმება კონკურენციის მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან, ეკონომიკის ეფექტიანობის ხელშეწყობის მიზნით. ასევე შეიძლება არსებობდეს ჰორიზონტალურ კარტელურ შეთანხმებებში მდუმარედ შესვლის აუცილებლობა ბიუროკრატებს შორისაც, რათა თავიდან აიცილონ შემოწმება იერარქიის ზედა საფეხურზე მდგომთაგან, რომლებიც ბევრს დაკარგავენ, თუ ორგანიზაცია ნაკლებად ეფექტიანი გახდება. ჰორიზონტალური კარტელის ყველა წევრი ვარდება „პატიმრების დილემის“ სიტუაციაში. კარტელის მიერ შექმნილი რენტა ქარმოადგენს საზოგადოებრივ საქონელს მისი მონაწილეებისთვის. კარტელის ყველა წევრი მოიგებს, თუ შეთანხმება არ დაირღვევა, მაგრამ ყოველ ცალკეულ მონაწილეს შეუძლია მოიგოს უფრო მეტი, სხვა მონაწილეთა მოტყუებით. ჰორიზონტალურ კარტელში მოტყუება იღებს ფასების ფარული შემცირების ფორმას. ბიუროკრატების ჰორიზონტალურ კარტელში მოტყუებამ შეიძლება მიიღოს სხვა მონაწილეთა დასმენის ფორმა, რომლის მეშვეობითაც შეიძლება მნიშვნელოვანი ჯილდოს და დაწინაურების მიღება. ასეთი დასმენა სრულიად სავარაუდოა დიქტატორული რეჟიმის ადრეულ პერიოდში. , როდესაც მისი ბევრი წევრი იდეოლოგიის და „საქმის ერთგული“ რჩება. დროთა განმავლობაში მოგონებები რევოლუციაზე გაივლის და იდეოლოგიური თავგამოდებაც ცივდება. დასმენა ნაკლებად გავრცელებული ხდება. ასევე ადვილი ხდება იმის განსაზღვრა, ვისი ნდობა შეიძლება კარტელურ შეთანხმებაში და ვინ არის სავარაუდო დამსმენი. ამგვარად, ჰორიზონტალური გაცვლები და რენტის მაძიებელი კარტელები, რომლებიც ამცირებენ ბიუროკრატის ეფექტიანობას, მხოლოდ მოწიფულ

ბიუროკრატიაში ჩნდება. ისევე, როგორც „ინსტიტუციური სკლეროზი“ და რენტის ძიება, რაც იწვევს ეკონომიკურ დაცემას, ჩნდება მხოლოდ მოწიფულ დემოკრატიაში, როდესაც საკმაოდ დრო გადის მათი წარმომშობი ომიდან ან რევოლუციიდან, ზუსტად ასევე, „ინსტიტუციური სკლეროზი“ და რენტის ძიება, ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკის გიგანტური ბიუროკრატის შიგნით ამოწურვადი ხდება მხოლოდ დიქტატურის წარმომშობი ომიდან ან რევოლუციიდან მრავალი წლის შემდეგ. ვანტრობიც და ოლსონიც „ჯეროვნად აფასებენ“ სტალინს იმისათვის, რომ მან დაძლია ბიუროკრატული სკლეროზის შეტევა და ამით გაახანგრძლივა საბჭოთა კავშირის „ეკონომიკური სასწაული“, ჰორიზონტალური გაცვლების და კარტელური სტრუქტურების დანგრევის გზით საბჭოთა ბიუროკრატის შიგნით, მრავალრიცხოვანი და სასტიკი „წმენდის“ მეშვეობით. ბიუროკრატული სკლეროზი გარდაუვალი გახდა წმენდის შეწყვეტასთან ერთად და საბჭოთა ბიუროკრატია შეძლო, შესულიყო მშვიდობიან მოწიფულობაში.

## 7.2.5. დიქტატურა და ეკონომიკის ეფექტიანობა

### დიქტატურის და დემოკრატის შეფარდებითი უპირატესობანი

სამწუხაროდ, კვლევები არ იძლევა ერთმნიშვნელოვან პასუხს კითხვაზე - სჯობია თუ არა დიქტატურას დემოკრატია?

ჩვენ ვნახეთ, რომ მოხმარების მმაქსიმიზებელი დიქტატორი მიაწოდებს საზოგადოებრივი დოვლათის ოპტიმალურზე ნაკლებ რაოდენობას, ეს შედეგი გულისხმობს, რომ დემოკრატის დროს, რომელიც თავის კოლექტიურ გადაწყვეტილებებს იღებს ერთსულოვნების წესის საფუძველზე, როგორც საზოგადოებრივი საქონლის მიწოდების დონე, ისე ეროვნული შემოსავალი უფრო მაღალი იქნება, ვიდრე დიქტატურის დროს, სადაც დიქტატორი ირჩევს საზოგადოებრივი საქონლის ისეთ დონეს, რომელის ამაქსიმიზებს მის პირად მოხმარებას. თუმცა არც ერთ დემოკრატიაში კოლექტიური გადაწყვეტილებები არ მიიღება ერთსულოვნების წესის საფუძველზე და, როგორც ცნობილია, მაჟორიტარულ დემოკრატებში მოგებული უმრავლესობა შეიძლება მოქმედებდეს როგორც დიქტატორი (უმცირესობის

შემოსავლების გადანაწილებით თავისკენ). იქნება თუ არა მისი შედეგები დიქტატურის შედეგებზე უკეთესი ან უარესი?

დავუშვათ, რომ ეროვნული შემოსავალი, ისევე როგორც წინათ, ახლაც არის მიწოდებული საზოგადოებრივი საქონლის რაოდენობის ფუნქცია და პროპორციული საშემოსავლო გადასახადის ზრდასთან ერთად კლებულობს.

$Y_r = Y(G)(1 - \eta t)$ , სადაც  $\eta$  არის შემოსავლის ელასტიკურობა საგადასახადო განაკვეთის მიმართ. დიქტატორის მიზანი იყო საკუთარი მოხმარების მაქსიმიზაცია, რომელიც უდრის საგადასახადო შემოსავლებს გამოკლებული საზოგადოებრივ საქონელზე გაწეული დანახარჯები:

$$OD = tY(1 - \eta t) - G. \quad (7.15)$$

მეორე მხრივ, საზოგადოებას სურს მთლიან შემოსავალსა და საზოგადოებრივი საქონლის ღირებულებას შორის სხვაობის მაქსიმიზაცია:

$$OS = Y(1 - \eta t) - G. \quad (7.16)$$

უმრავლესობის კოალიციის ქცევის განხილვის ერთ-ერთი გზა იმაში მდგომარეობს, რომ ის, დიქტატორის მსგავსად, ირჩევს საზოგადოებრივი საქონლის რაოდენობას და გადაანაწილებს შემოსავლის ნაწილს საზოგადოებიდან თავისკენ სუბსიდიის ( $S$ ) ფორმით. ამგვარად, საგადასახადო შემოსავლებმა უნდა დაფაროს როგორც საზოგადოებრივი საქონლის დანახარჯები, ისე სუბსიდია.

$$tY(1 - \eta t) = G + S. \quad (7.17)$$

დავუშვათ,  $m$  არის იმ საზოგადოების ნაწილი, რომლისგანაც შედგება უმრავლესობის კოალიცია. მაშინ მისი მიზანია ეროვნული შემოსავლის საკუთარი წილის მაქსიმიზაცია სუბსიდიასთან ერთად, გადასახადების გამოკლებით:

$$OM = m(1 - t) Y(1 - \eta t) + S. \quad (7.18)$$

თუ გამოვიყენებთ (7.17)-ს (7.18)-ში  $S$ -ის შესაცვლელად, მივიღებთ:

$$OM = m(1 - t) Y(1 - \eta t) + tY(1 - \eta t) - G. \quad (7.19)$$

როდესაც  $m = 0$ , მაშინ (7.19) დაიყვანება (7.15)-ზე და ვიღებთ დიქტატორის მიზნობრივ ფუნქციას, რომელიც ამაქსიმიზებს მოხმარებას. როდესაც  $m = 1$ , მაშინ (7.19)

დაიყვანება (7.16)-ზე და ჩვენ ვიღებთ საზოგადოების მიზნობრივ ფუნქციას, რომელიც ამქსიმოზებს საზოგადოებრივი საქონლის ღირებულებისგან „გაწმენდილ“ შემოსავალს. ამგვარად, მიზნობრივი ფუნქცია უმრავლესობის გადამანაწილებელი კოალიციისათვის აღმოჩნდება წმინდა დიქტატურასა და ერთსულოვნების წესის საფუძველზე მოქმედ საზოგადოებას შორის. მის მიერ არჩეული საგადასახადო განაკვეთები და საზოგადოებრივი საქონლის რაოდენობაც ასევე მდებარეობს ამ ორ უკიდურეს მნიშვნელობებს შორის. მაგრამ, დაბეგვრის დემასტიმულირებელი ეფექტის გათვალისწინებით, უმრავლესობის კოალიცია არ მოახდენს ერთდროულად, საკუთარი თავის დაბეგვრასაც და საკუთარი თავისთვის სუბსიდიის გამოყოფასაც. ალტერნატიული სტრატეგია იქნებოდა საკუთარი თავის და უმცირესობის სხვადასხვა განაკვეთებით დაბეგვრა. თუ დავუშვებთ, რომ  $t_m$  არის გადასახადი უმრავლესობის კოალიციისთვის, ხოლო  $t_n$  - გადასახადი უმცირესობის კოალიციისათვის, მაშინ უმრავლესობის კოალიციის მიზნობრივი ფუნქცია გახდება უბრალოდ შემოსავლის მაქსიმოზაცია გადასახადის გამოკლებით ბიუჯეტური შეზღუდვის დროს:

$$O_m = m(1 - t_m) Y(1 - \eta_{t_m}) + \lambda[G - mt_m Y(1 - \eta_{t_m}) - (1 - m)t_n Y(1 - \eta_{t_n})]. \quad (7.20)$$

უმრავლესობის მიერ უმცირესობისთვის თავსმოხვეული საგადასახადო განაკვეთი ზუსტად იმ განაკვეთის ტოლია, რომელსაც თავს ახვევს საზოგადოებას მოხმარების მმაქსიმოზებელი დიქტატორი. ამგვარად, მოსალოდნელია, რომ თუმცა უმრავლესობის კოალიცია დემოკრატიის დროს მოახდენს უმცირესობის ექსპლუატაციას თითქმის ისევე, როგორც ამას აკეთებს დიქტატორი, მაგრამ მისი არჩევანი საკუთარი თავის მიმართ ნაკლებად ექსპლუატატორული იქნება, ხოლო შედეგები მაჟორიტარული დემოკრატიისას უფრო ახლოს იქნება საზოგადოების კეთილდღეობის მაქსიმოზაციასთან, ვიდრე დიქტატურის დროს.

ეს არგუმენტები აბსტრაგირებას ახდენენ იმ პრობლემებისგან, რასაც შეიძლება წააწყდეს დიქტატორი თავისი სტატუსის შენარჩუნების ან სხვადასხვა იდეოლოგიური მიზნებისადმი შესაძლო ინტერესის საქმეში. უკანასკნელ პერიოდში მეცნიერებმა გამოიკვლიეს განუსაზღვრელობის შემოტანის შედეგები, სტატუსის შენარჩუნების თვალსაზრისით, მოხმარების მმაქსიმოზებელი დიქტატორის მოდელში (Overland, Jody,

Kenneth, I., Simons, and Michael Spagat, 2000). მათ ივარაუდეს, რომ დიქტატორის დამხობის ალბათობა ეცემა საზოგადოების კეთილდღეობის ზრდასთან ერთად. თუ ამოსავალი პირობა (მათ მოდელში - კაპიტალის თავდაპირველი მარაგი) საკმარისია კრიტიკულ ზღვარს ზემოთ ცხოვრების დონის უზრუნველყოფისთვის, დიქტატურას გადარჩენის მეტად მაღალი ალბათობა აქვს დიქტატორის მიერ ზრდის მასტიმულირებელი პოლიტიკის არჩევისას, ვინაიდან მან იცის ეროვნული შემოსავლიდან საკუთარი წილის მიღების მაღალი ალბათობის შესახებ. მაგრამ, თუ თავდაპირველი პირობები არაკეთილსასურველია, დიქტატურის გადარჩენის ალბათობა დაბალია და დიქტატორი ძარცვავს ეკონომიკას. ამგვარად, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ დიქტატურები იყოფა ორ კატეგორიად: ერთი ძალიან კარგად ფუნქციონირებს ეკონომიკური ზრდის პირობებში, ხოლო მეორე - პირიქით.

სრულიად სხვა მოდელში რობინსონმა აჩვენა, რომ დიქტატორმა შეიძლება გააკეთოს არჩევანი არაინვესტირების სასარგებლოდ ისეთ საზოგადოებრივ საქონელში, როგორცაა განათლება, რომელიც ზრდის მთელი საზოგადოების კეთილდღეობას, რადგან უფრო განათლებულ საზოგადოებას უფრო მეტად შეუძლია დიქტატორის დამხობა. ეს შედეგები ართულებს იმის წინასწარმეტყველებას, იფუნქციონირებს თუ არა დიქტატურა კარგად ეკონომიკური ზრდის პირობებში. იგივე შეიძლება ითქვას დემოკრატიაზეც, თუ გავითვალისწინებთ რენტის ძიების სხვადასხვა სახეობებს, ციკლურობას, ბიუჯეტის მმაქსიმიზებელ ბიუროკრატias და ა.შ.

### **დიქტატურის და დემოკრატის შეფარდებითი ეკონომიკური ეფექტიანობა**

შემოსავლის დონე ან ერთ სულზე შემოსავლის ზრდა ხშირად გამოიყენება როგორც შედეგების საზომები საერთაშორისო შედარებებში. არსებითად, თითქმის მთელი ლიტერატურა, დემოკრატის და დიქტატურის შედარებისას, ასეთი ტიპის მაჩვენებლებს იყენებს. ეს კი ნიშნავს აბსტრაგირებას დემოკრატის ბევრი ატრიბუტისგან. მაგალითად, ვინმე შეიძლება გაცილებით ბედნიერი იყოს იმ ქვეყანაში ცხოვრებით, სადაც თავისუფლად წაიკითხავს იმას, რაც უნდა, ვიდრე იმ ქვეყანაში, სადაც თავისუფლებები არ არსებობს, მაშინაც კი, თუ შემოსავლის დონე და ზრდის ტემპები ამ ორ ქვეყანაში ერთნაირია. შეეფარდება თუ არა ეკონომიკური განვითარების ეს სტანდარტული

მაჩვენებლები დემოკრატიის და თავისუფლების ხარისხს? ამჟამად სტანდარტული მიდგომაა სამოქალაქო, ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლების სხვადასხვა ინდექსების კომბინაცია. ზოგ შემთხვევაში აქცენტი კეთდება ეკონომიკურ თავისუფლებებზე. სხვა კვლევებში მეტად აქცენტირებულია დემოკრატიული თავისუფლებები. თავისუფალი ბაზრის და კაპიტალისტური სისტემის დამცველებისთვის ყველაზე სანუგეშო ფაქტს წარმოადგენს ის, რომ ეკონომიკური თავისუფლება დადებით კორელაციაშია ერთ სულზე შემოსავლის ზრდის ტემპთან. თუმცა აღმოჩნდა ისიც, რომ მხოლოდ ეკონომიკური თავისუფლების ზრდას აქვს დადებითი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე და არა მის დონეებს. ზოგიერთმა მეცნიერმა აღმოაჩინა, რომ საკუთრების უფლებების დაცულობა დადებითადაა დაკავშირებული ეკონომიკურ შედეგებთან პოლიტიკური სისტემის ყველა ტიპში. ნაკლებად სანუგეშო დემოკრატიის დამცველებისთვის აღმოჩნდა კავშირი დემოკრატიულ/პოლიტიკურ თავისუფლებებსა და შემოსავლის ზრდის ტემპებს შორის. თუმცა ზოგიერთმა კვლევამ დაადგინა მნიშვნელოვანი დადებითი კავშირები პოლიტიკური თავისუფლების მაჩვენებლებსა და ზრდას შორის. მაგრამ სხვებმა აღმოაჩინეს, რომ ავტორიტარულ რეჟიმებს ზრდის უკეთესი მაჩვენებლები აქვთ. პრუფერსკიმ და ლიმონჯიმ (1993) გააანალიზეს ოცდაერთი ემპირიული კვლევა, რომელშიც ტესტირდებოდა კავშირი პოლიტიკური სისტემის ტიპსა და ეკონომიკურ ზრდას შორის და რაიმე მყარი კანონზომიერების აღმოჩენა ვერ შეძლეს. საქმე იმაშია, რომ დემოკრატიებმაც შეიძლება განიცადონ ეკონომიკური დაცემა. როგორც ავტოკრატიაში, ისე დემოკრატიაში შეიძლება გაიაროს „სასიცოცხლო ციკლი“, ამიტომ მათი ეკონომიკური ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად განსხვავდება რეჟიმის ასაკის მიხედვით.

მეორე სირთულე, რომელიც ჩნდება ეკონომიკურ შედეგებზე დემოკრატიის გავლენის გაზომვისას, იმაში მდგომარეობს, რომ არც დემოკრატია და არც დიქტატურა არ არსებობს ერთგვაროვანი ფორმით. ევროპულ, ანგლოსაქსონურ და ლათინოამერიკულ დემოკრატიულ ქვეყნებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები საარჩევნო წესებში (ორპარტიულობა, მრავალპარტიულობა, საპრეზიდენტო მმართველობა), პირდაპირი დემოკრატიის ინსტიტუტების (მაგალითად, რეფერენდუმი) გამოყენებაში და ა.შ. დიქტატურის შიგნითაც არსებობს არსებითი განსხვავებები. ვაინტრობი, მაგალითად, გამოყოფს ტოტალიტარულ, ტირანულ, ტიმოკრატიულ დიქტატურებს. ეკონომიკური

კრიტერიუმით კი - კლექტოკრატიას, კაპიტალისტურ ავტორიტარიზმს, მბრძანებლურ ეკონომიკას და ჩრდილოვან ეკონომიკას. არ არსებობს არავითარი საფუძველი, რომ დიქტატურის ეს სხვადასხვა ტიპები ერთნაირ ეკონომიკურ შედეგებს აჩვენებენ.


### 7.3. საპრეზიდენტო და საპარლამენტო სისტემები

თანამედროვე დემოკრატიები წარმოდგენილია საპრეზიდენტო და საპარლამენტო სისტემების სახით. საპარლამენტო სისტემები ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: 1) საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებები ერთმანეთს ემთხვევა; 2) პრემიერ-მინისტრად არჩევის შესაძლებლობა დამოკიდებულია იმაზე, შეუძლია თუ არა კანდიდატს უმრავლესობის საპარლამენტო კოალიციის შექმნა; 3) პრეზიდენტის თანამდებობა (თუ არსებობს) ცერემონიალურ ხასიათს ატარებს.


პარლამენტის წევრების არჩევის პროცედურები სხვადასხვაგვარია:

- შეფარდებითი უმრავლესობა;
- პროპორციული წარმომადგენლობა;
- შერეული სისტემები.

თითოეული პროცედურა, თავის მხრივ, შეიძლება დაკონკრეტდეს არჩევნების დონის (საერთოეროვნული ან რეგიონალური) და ოლქში მანდატების რაოდენობის მიხედვით (ერთმანდატიანი ან მრავალმანდატიანი) (იხ. ნახ. 7.2).







**ნახ. 7.2. პარლამენტის წევრთა არჩევის პროცედურების კლასიფიკაცია**

საპრეზიდენტო სისტემა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: 1) სახელმწიფოს მეთაური აირჩევა პარლამენტისგან დამოუკიდებლად შეზღუდული ვადით; 2) სახელმწიფოს მეთაური ფლობს საკანონმდებლო ძალაუფლებას; 3) სახელმწიფოს მეთაური აკონტროლებს აღმასრულებელ ხელისუფლებას.

პრეზიდენტის არჩევის ძირითადი პროცედურები შემდეგია:

- შეფარდებითი უმრავლესობა (კოლუმბია, ტაივანი 1995 წლიდან);
- შეფარდებითი უმრავლესობის ორსაფეხურიანი წესი (პორტუგალია, რუსეთი, საფრანგეთი);
- ორსაფეხურიანი პროცედურა, რომლის დროსაც პირველ ეტაპზე აირჩევა ამრჩევთა კოლეგია (აშშ, ფინეთი);
- შერეული სისტემა (მაგალითად, კოსტა-რიკაში თუ კანდიდატმა დააგროვა ხმების 40%-ზე მეტი, მაშინ მოქმედებს შეფარდებითი უმრავლესობის წესი, თუ 40%-ზე ნაკლები, მაშინ - შეფარდებითი უმრავლესობის ორსაფეხურიანი წესი.

საპრეზიდენტო არჩევნები შეიძლება ჩატარდეს საპარლამენტო არჩევნებთან ერთად (აშშ (სენატის 1/3), კოსტა-რიკა, ფილიპინები) ან მისგან დამოუკიდებლად (საფრანგეთი, რუსეთი, ჩილე).

პარტიების (კანდიდატების) ეფექტიანი რაოდენობა განისაზღვრება ფორმულით:

$$E = \frac{1}{(a_1/100)^2 + (a_2/100)^2 + (a_3/100)^2 + \dots + (a_n/100)^2} = \frac{1}{\sum_{i=1}^n (a_i/100)^2}, \quad (7.20)$$

სადაც  $a_1, a_2, \dots, a_n$  სხვადასხვა პარტიებისათვის მიცემული ხმების პროცენტია.

მაგალითად, თუ არის ოთხი კანდიდატი, რომელთაგან თითოეული აგროვებს ხმების თანაბარ რაოდენობას (25%), მაშინ პარტიების ეფექტიანი რიცხვი იქნება 4-ის ტოლი. თუ დომინირებს ორი კანდიდატი (თითოეული აგროვებს ხმების 45%-ს, ხოლო დანარჩენები - 5%-ს), მაშინ პარტიების ეფექტიანი რიცხვი იქნება 2,44 (ცხრ. 7.4).

#### ცხრილი 7.4.

##### პარტიათა ეფექტიანი რიცხვის განსაზღვრის მაგალითები

ხმების პროცენტი	4 კანდიდატი ხმების თანაბარი რიცხვით	4 კანდიდატი ხმების არათანაბარი რიცხვით
$a_1$	25	45
$a_2$	25	45
$a_3$	25	5
$a_4$	25	5
$E$	4,0	2,44

ემპირიული გამოკვლევები აჩვენებს, რომ შეფარდებითი უმრავლესობის წესის გამოყენება, შეფარდებითი უმრავლესობის ორსაფეხურიან წესთან შედარებით, იწვევს კონკურირებადი კანდიდატების რიცხვის შემცირებას.

კანდიდატების ეფექტიან რიცხვზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს: ოლქების რიცხვი (ერთმანდატიანი, მრავალმანდატიანი), ხმის მიცემის წესი (შეფარდებითი უმრავლესობა, პროპორციული წარმომადგენლობა), საპარლამენტო არჩევნების დრო (საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთდროულად ან არაერთდროულად). თუ პარლამენტის არჩევნები მიმდინარეობს პრეზიდენტის არჩევნებთან არაერთდროულად, ეს ხელს უწყობს კონკურირებადი პარტიების რიცხვის ზრდას. პარლამენტის და პრეზიდენტის ერთდროული არჩევნების დროს, პირიქით, პარტიების და კანდიდატების რიცხვი უმცირესია. თუ პარლამენტს და პრეზიდენტს ერთდროულად ირჩევენ, ხოლო პრეზიდენტის არჩევა ხდება შეფარდებითი უმრავლესობის წესის

მიხედვით, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე კონკურირებადი პარტიების რიცხვი, როგორც წესი, ერთნაირია.

პარლამენტში პარტიათა რიცხვის ზრდაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორია ქვეყნის ეთნიკური არაერთგვაროვნება და თითოეული საარჩევნო ოლქიდან პარლამენტში ადგილების რაოდენობა. რაც უფრო არაერთგვაროვანია ქვეყანა, მით მეტი პარტია მონაწილეობს არჩევნებში. ცხრ.7.5-ში განხილული ქვეყნები დაყოფილია ერთგვაროვან (იაპონია, ირლანდია), არაერთგვაროვან (ბელგია, კანადა, შვეიცარია) და ძლიერ არაერთგვაროვან ქვეყნებად (რუსეთი, ინდოეთი).

### ცხრილი 7.5.

#### პარტიების ეფექტიანი რიცხვი ქვეყნის ეთნიკური არაერთგვაროვნების მიხედვით

ადგილების რაოდენობა პარლამენტში ოლქიდან, m	ერთგვაროვანი ქვეყნები	არაერთგვაროვანი ქვეყნები	ძლიერ არაერთგვაროვანი ქვეყნები
m =1	-	4,9	4,4
1 < m < 10	6,5	6,4	9,7
m ≥ 10	7,7	8,9	-

წყარო: Ordeshook P.C., Shvetsova O. Ethnic Heterogeneity, District Magnitude and the Number of Parties // American Journal of Political Science. 1994. Vol. 38. №1. P. 100-123.

საპრეზიდენტო სისტემები საპარლამენტოსგან იმით გამოირჩევა, რომ მათში წინასწარაა განსაზღვრული თანამდებობაზე მუშაობის ვადა, მაშინ როცა საპარლამენტო სისტემებში ეს ვადა ცვალებადია. საპრეზიდენტო არჩევნებისთვის დამახასიათებელია პირდაპირი არჩევნები, რომელიც, როგორც წესი, ხორციელდება პარლამენტისგან დამოუკიდებლად. საპრეზიდენტო სისტემებში გამარჯვებული იღებს ყველაფერს, ხოლო საპარლამენტოში ხდება პასუხიმგებლობის დაყოფა სხვადასხვა პოლიტიკურ სტრუქტურებს შორის. საინტერესოა, რომ საპარლამენტო სისტემები უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე საპრეზიდენტო. ს. მეინვორინგი იკვლევდა 46 დემოკრატიულ პერიოდს არანაკლებ 25-წლიანი ხანგრძლივობით 30 ქვეყანაში (იხ. ცხრ. 7.6). ის ყველა სიტემას ყოფს საპრეზიდენტო, საპარლამენტო და შერეულ სისტემებად, რომელთა კლასიფიკაციას ახდენს იმის მიხედვით, თუ რამდენი პარტია დომინირებს -

ერთი, ორი თუ რამდენიმე. მრიცხველში მოცემულია ქვეყნების რაოდენობა, რომლებშიც დემოკრატია არსებობდა არანაკლებ 25 წელი, ხოლო მნიშვნელში - ქვეყნების რიცხვი, რომლებშიც არსებობს მმართველობის შესაბამისი ფორმა. ანალიზის დასკვნებიდან მნიშვნელოვანია, რომ საპრეზიდენტო სისტემები ნაკლებად სტაბილურია, განსაკუთრებით, მრავალპარტიულობის პირობებში. საპრეზიდენტო მმართველობის მქონე 31 ქვეყნიდან დემოკრატიის ხანგრძლივი პერიოდებით ხასიათდება მხოლოდ 7 ქვეყანა. 15 მრავალპარტიული ქვეყნიდან საპრეზიდენტო მმართველობით მხოლოდ ერთი ქვეყანა (ჩილე) აღმოჩნდა სტაბილური. დემოკრატიისთვის საფრთხეს წარმოადგენს აგრეთვე ერთი პარტიის ბატონობა. ერთი დომინირებადი პარტიის მქონე 14 ქვეყნიდან მხოლოდ ერთი მოიძებნა დემოკრატიული მმართველობის ხანგრძლივი პერიოდით.

### ცხრილი 7.6.

#### დემოკრატიის სტაბილურობა საპრეზიდენტო და საპარლამენტო სისტემების დროს

სისტემები	ერთი დომინირებადი პარტია	ორი დომინირებადი პარტია	რამდენიმე დომინირებადი პარტია	სულ
საპრეზიდენტო	0/5	6/11	1/15	7/31
საპარლამენტო	1/8	5/7	19/29	25/44
შერეული	0/1	0/1	4/5	4/7

საპარლამენტო სისტემების სუსტ მხარეს წარმოადგენს კოალიციების არამყარობა. ეს სისტემა უფრო ეფექტიანია ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში, ხოლო მესამე სამყაროს ქვეყნებში დემოკრატიის ყველა ფორმა არაეფექტიანია.

ამგვარად, საპრეზიდენტო სისტემების დაცემა დაკავშირებულია პარტიების ფრაქციულობასთან, ხოლო საპარლამენტო სისტემებისა - ღრმა ეთნიკურ კონფლიქტებთან.

**ლიტერატურა:**

- Acemoglu D., Robinson J.** “Economic Origins of Dictatorship and Democracy”, Cambridge University Press. 2005. Chapter 5: Non-democratic politics.
- Acemoglu D.** “Oligarchic Versus Democratic Societies.” *Journal of European Economic Association*, forthcoming. 2007.
- Besley, T., Kudamatsu, M.** “Making Autocracy Work”, mimeo. 2007.
- Egorov, G., Sonin, K.** “Dictators and their Viziers: Endogenizing the Loyalty-Competence Trade-off”, *Journal of the European Economic Association*, 2011.
- Egorov, G., Guriev, S., Sonin, K.** “Why Resource-Poor Dictators Allow Media Freedom: Theory and Evidence from Panel Data”, *American Political Science Review*, 103 (4), 2009, p. 645-668.
- Haggard St., Kaufman R.** *The Political Economy of Democratic Transition*. Princeton: Princeton University Press, 1995. P. 269.
- Mueller D.** *Public choice III*. New York: Cambridge University Press, 2008. pp. 406-426.
- Mueller Dennis C.**, *Constitutional Democracy*, Oxford University Press, 1996. Ch. 6; 10-11. P.77-94; 127-174.
- Munk G., Leff C.** *Modes of Transition and Democratization // Comparative Politics*. 1997. Vol. 29. N.3.
- Myerson, R.** “The Autocrat’s Credibility Problem and the Foundations of the Constitutional State”, mimeo, 2007.
- Olson, Mancur, Jr.**, “Dictatorship, Democracy and Development,” *American Political Science Review* 87, September 1993, 567-576;
- Olson, Mancur, Jr.**, *Power and Prosperity: Outgrowing Communist and Capitalist Dictatorships*, New York: Basic Books, 2000.
- Overland, Jody, Kenneth, I., Simons, and Michael Spagat**, “Political Instability and Growth in Dictatorships”, mimeo, Royal Holloway College, University of London, 2000.
- Persson T., Tabellini G.**, *Political economics. Explaining Economic Policy*, MIT Press, 2000. Ch.10. P. 251-273.
- Wintrobe, Ronald**, “The Tinpot and the Totalitarian: An Economic Theory of Dictatorship,” *American Political Science Review* 84, 1990, 849-872.
- Wintrobe, Ronald**, *The Political Economy of Dictatorship*, Cambridge: Cambridge University Press, 1998.
- Barro, Robert.** “Determinants of Democracy,” *Journal of Political Economy*, 1999, 107(6), 158-183.  
[https://dash.harvard.edu/bitstream/handle/1/3451297/Barro\\_DeterminantsDemocracy.pdf?sequence=2](https://dash.harvard.edu/bitstream/handle/1/3451297/Barro_DeterminantsDemocracy.pdf?sequence=2)

**Нуреев Р. М.** Теория общественного выбора. М.: Издательский дом ГУ- ВШЭ, 2005, гл. 8.

**Мюллер Д.** Общественный выбор III. М.: Институт Экономическая школа ГУ-ВШЭ, 2007, Гл. 18, С. 533-562.

## თემა 8. ბიუროკრატიის ეკონომიკა

### 8.1. ბიუროკრატია როგორც ეკონომიკური მოვლენა

პოლიტიკოსების უპირატესობებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივი სექტორის გამოშვების მოცულობაზე. ჩვენ განვიხილავთ მოდელებს, რომლებიც გვიჩვენებენ მთავრობის როლს პოლიტიკის განსაზღვრაში, რომლებიც სცდება მოქალაქეთა ფარული უპირატესობების უბრალო გამოვლენის საზღვრებს. ისინი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის მიწოდების მოდელები. ბევრ შემთხვევაში გამოშვება, რომელსაც აწარმოებს სახელმწიფო, კონტროლდება და რეგულირდება ბიუროკრატიის მიერ. ტერმინი „ბიუროკრატია“ შემოიტანა ფრანგმა ფილოსოფოსმა ვინსენტ დე გურმემ 1765 წ. და გამოჩენის დროიდან უარყოფითი მნიშვნელობა შეიძინა. მაშინ როცა ტერმინი „laissez faire“ (აგრეთვე შემოტანილი დე გურმეს მიერ) იწვევს მოქმედების თავისუფლების და ეფექტიანობის ასოციაციას (ყოველ შემთხვევაში, ეკონომისტებში), ტერმინი „ბიუროკრატია“ მეტყველებს რუტინულ და შეზღუდულ ქცევაზე და არაეფექტიანობაზე.

**ბიუროკრატიის ეკონომიკა (economics of bureaucracy)** - ეს არის ორგანიზაციის სისტემა, რომელიც აკმაყოფილებს, მინიმუმ, ორ კრიტერიუმს: ჯერ ერთი, იგი არ აწარმოებს ეკონომიკურ დოვლათს, რომელსაც აქვს ღირებულებითი შეფასება და, მეორე, თავისი შემოსავლების ნაწილს იღებს წყაროებიდან, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისი საქმიანობის შედეგების გაყიდვასთან. თავისი მდგომარეობის გამო, ბიუროკრატია არ არის დაკავშირებული უშუალოდ ამომრჩევლებთან, იგი ემსახურება, უპირველეს ყოვლისა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა ემელონების ინტერესებს.

სახელმწიფო აპარატის იერარქიული სრუქტურა იგივე პრინციპებით აიგება, როგორც მსხვილი კორპორაციის სტრუქტურა. მაგრამ სახელმწიფო დაწესებულებებს ხშირად არ შეუძლიათ ისარგებლონ კერძო ფირმების ორგანიზაციული სტრუქტურის უპირატესობებით, მათი მოქმედების სუსტი კონტროლის, არასაკმარისი კონკურენციის და ბიუროკრატიის დიდი დამოუკიდებლობის გამო.

ძირითადი განსხვავება ადმინისტრაციულ და მწარმოებლურ საქმიანობას შორის მდგომარეობს ბიუროკრატის შრომის მწარმოებლურობის გაზომვის სირთულეში, მათი მიზნების მრავალფეროვნებაში და იმ საექვო ტექნოლოგიებში, რომელსაც ჩინოვნიკები იყენებენ მიზნების მისაღწევად. ბიუროკრატის შრომის მწარმოებლურობის გაზომვა რთულია, რადგან ფირმის მენეჯერებისგან განსხვავებით, მათი საქმიანობის შეფასების განზოგადებული მაჩვენებლები არ არსებობს. გარდა ამისა, მაშინაც კი, როდესაც მიზანი მეტ-ნაკლებად ცხადაა ფორმულირებული, მისი მიღწევის გზები არაცხადი რჩება. როგორც სირილ პარკინსონმა შენიშნა, „ჩინოვნიკების რაოდენობა და სამუშაოს მოცულობა აბსოლუტურად არ არის დაკავშირებული ერთმანეთთან...ჩინოვნიკებს სურთ ქვეშევრდომთა და არა კონკურენტთა რაოდენობის გაზრდა. ისინი მუშაობენ ერთმანეთისთვის“.

ბიუროკრატი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანი, შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც სარგებლიანობის ეგოისტური მაქსიმიზატორი. მაგრამ რას ამაქსიმიზირებს იგი? მ. ვებერი ვარაუდობდა, რომ ბიუროკრატის ნამდვილი მიზანი ძალაუფლებაა. ძალაუფლების ცნება, რომელიც აქტიურად გამოიყენება პოლიტოლოგების და სოციოლოგების მიერ, - როგორც აღნიშნავს დ. მიულერი, - უკანასკნელ პერიოდამდე იგნორირებული იყო ეკონომისტების და, კერძოდ, საზოგადოებრივი არჩევანის თეორეტიკოსების და პრაქტიკოსების მიერ.

## 8.2. განუსაზღვრელობა, ინფორმაცია და ძალაუფლება

ინტუიციურ დონეზე სიტყვა „ძალაუფლება“ ასოცირდება „რაიმეს გაკეთების უნართან“ (Wagner, R. H., “The Concept of Power and the Study of Politics,” in R. Bell, D. V. Edwards, and R. H. Wagner, eds., 1969, pp. 3–4), პოლიტიკური ძალაუფლება, დ. მიულერის აზრით, უნდა განისაზღვროს როგორც პოლიტიკური პროცესის მეშვეობით გარკვეული მიზნების მიღწევის შესაძლებლობა. „თუ საზოგადოების ყველა წევრი, A-ს ჩათვლით, უპირატესობას ანიჭებს x-ს y-თან შედარებით, და არჩეული იქნება x, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ A-მ გამოიყენა ძალაუფლება. თუ მხოლოდ A ანიჭებს უპირატესობას x-ს და არჩეული იქნება x, მაშინ A ფლობს პოლიტიკურ ძალაუფლებას (Mueller, 2008, p. 360).



რუსელი გამოყოფს სამ გზას, რომელთა მეშვეობითაც ინდივიდს შეუძლია გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ კონტექსტზე; 1) პირდაპირი ფიზიკური ზეგავლენა (მაგალითად, დაპატიმრება ან სიკვდილით დასჯა); 2) დაჯილდოების ან სასჯელის შეთავაზება; 3) გავლენის მოხდენა თვალსაზრისზე, განათლების ან პროპაგანდის გამოყენებით. პირველი ორი ხერხი დაკავშირებულია პროცედურულ ძალაუფლებასთან. A-ს შეუძლია მიაღწიოს სასურველ  $x$  არჩევანს იმიტომ, რომ მოქმედი წესები მას გადააქცევენ დიქტატორად ან ისეთი დღის წესრიგის დადგენის უფლებას აძლევენ, რომლის მეშვეობითაც ადამიანები მიდიან  $x$ -ის არჩევამდე. მაგრამ სწორედ გავლენის მესამე წყარო, რომელსაც აღნიშნავს რუსელი, ყველაზე ახლოსაა პოლიტიკური ძალაუფლების ზოგად ცნებასთან. განათლება, პროპაგანდა და დარწმუნება - სამივე ინფორმაციის ტიპებია. ინფორმაციას ფასი აქვს ანუ ძალაუფლებას იძლევა მხოლოდ განუსაზღვრელობის არსებობის შემთხვევაში. განუსაზღვრელობა ქმნის ძალაუფლების გამოყენების პოტენციალს. ინფორმაცია უზრუნველყოფს მისი განხორციელების შესაძლებლობას.

პოლიტიკური ძალაუფლება - ეს არის ვინმეს წაქეზება რაიმე მოქმედებისთვის, რაც მას არ სურდა. მაგალითად, როდესაც A აიძულებს რომელიმე საზოგადოებას, აირჩიოს  $x$ , როდესაც ყველა, A-ს გარდა, უპირატესობას ანიჭებს  $y$  ალტერნატივას (Dahl, Robert A., "The Concept of Power," Behavioral Science 2, 1957, 201-15; reprinted in R. Bell, D. V. Edwards, and R. H. Wagner, 1969, p. 80).

სწორედ არსებული განუსაზღვრელობა, დიქტატორის მიერ ფიზიკური ძალის გამოყენებისას ან ზედამხედველის მიერ დაჯილდოების და დასჯის გამოყენებისას, საშუალებას აძლევს ამ ადამიანებს, გააკონტროლონ თავიანთი ქვეშევრდომები. თუ B დარწმუნებულია, რომ A დააჯილდოვებს მას, თუ B გააკეთებს  $x$ -ს, როგორც ამას მოითხოვს წესები, მაშინ B  $x$ -ის შესრულებისას ისეთივე ძალაუფლებას მოიპოვებს A-ს მიმართ, როგორც აქვს A-ს B-ს მიმართ. თუ განუსაზღვრელობა არ იარსებებდა, ბიუროკრატის კომპეტენციის სფეროს არსებობა შეეძლო, მაგრამ მას რეალური ძალაუფლება არ მოჰყვებოდა. ყველა მუშავს ეცოდინებოდა ყველა შესაძლო მოვლენა და შეეძლოთ ეწინასწარმეტყველათ საბოლოო შედეგები. სრული განსაზღვრულობის სამყაროში ყველა ინდივიდი მოქმედებს თავისთავად, „წესების მიხედვით“, და ბიუროკრატის სათავეში მდგომთ ისევე, როგორც ქვემოთ მყოფთ, არა აქვთ

თვითნებურად მოქმედების ძალაუფლება. ასეთი სიტუაცია ახლოსაა ფრანგულ მონოპოლიაში არსებულ პირობებთან, რომელიც აღწერა კრუაზიემ „ბიუროკრატის ფენომენში“ (Crozier, 1964, pp. 98–111). როგორც კრუაზიე გვიჩვენებს, მონოპოლია მოქმედებს განსაზღვრულობის სამყაროში, ერთი გამონაკლისის გარდა: ზოგჯერ მანქანები ფუჭდება. ეს მანქანების გამომყენებელ ქალებს აყენებს მექანიკოსების ძალაუფლების ქვეშ, რომლებიც პასუხს აგებენ მოწყობილობის რემონტზე, ვინაიდან ქალებს აქვთ ყოველდღიური გამოშვების ნორმა და მათ უფრო ინტენსიურად უნდა იმუშაონ მოცდენის კომპენსაციისთვის. საინტერესოა, რომ ზედამხედველები, რომელთაც ნომინალურად მეტი კომპეტენციები აქვთ, ნაკლებ ძალაუფლებას ფლობენ, ვიდრე მექანიკოსები. რადგან მექანიკოსებმა იციან, როგორ გაარემონტონ მანქანები, ხოლო ზედამხედველებმა - არა, ამ უკანასკნელთ არ შეუძლიათ ჰქონდეთ რაიმე რეალური კონტროლი მექანიკოსებზე. კრუაზიეს მაგალითში შეიძლება დავინახოთ ექსპერტების ძალაუფლების ზომიერი ნაირსახეობა ბიუროკრატის შიგნით. ექსპერტიზის ძალაუფლების შესახებ აღნიშნავდა მ. ვებერიც. ქვემოთ განხილულ მოდელებში ჩვენ ვნახავთ, რომ ყველა მოტანილი ვარაუდი სხვადასხვაგვარად ეხება ძალაუფლებას, რომელიც აღმოცენდება ინფორმაციის ასიმეტრიულობიდან განუსაზღვრელობის სამყაროში.

### **8.3. რას ამაქსიმიზებს ბიუროკრატია?**

ბიუროკრატი ისწრაფვის ძალაუფლებისკენ, ეკონომიკური ადამიანი ისწრაფვის მოგებისკენ. ფ. ნაიტის მოგების თეორიაში მოგება შეიძლება მიღებულ იქნეს მათ მიერ, ვისაც აქვს გამბედაობა და ინფორმაცია, რათა მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები განუსაზღვრელობის პირობებში. ამგვარად, არსებობს მჭიდრო კავშირი მოგების ეკონომიკურ თეორიასა და ძალაუფლების პოლიტიკურ თეორიას შორის. როგორც მოგება, ასევე ძალაუფლება არსებობს განუსაზღვრელობის შედეგად. ორივე ერგება ინფორმაციის მფლობელებს (Mueller, 2008, p. 362). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძირითადი განსხვავება ბიზნეს-კორპორაციასა და ბიუროკრატიულ ორგანიზაციას შორის იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელია მენეჯერთა ძალაუფლების „მონეტიზირება“. მაგრამ მენეჯერებს არ შეუძლიათ მათ მიერ შექმნილი მთელი მოგება საკუთარ თავს გაუნაწილონ. მოგების

ნაწილი აქციონერებს ერგებათ. ამიტომ, მენეჯერები კორპორაციის მოგებაზე პრეტენზიას აცხადებენ არა მარტო ფულადი ბონუსების და ხელფასის სახით. ჩნდება მრავალი არაფულადი მიზანი-სუბსტიტუტი: ჭარბი პერსონალი და ჯილდოები, გარანტიები და სხვ. რომლებიც შეიძლება გაერთიანებულ იქნეს სახელწოდებით „X-არაეფექტიანობა“ (Leibenstein, Harvey, “Allocative Efficiency vs X-Efficiency,” American Economic Review 56, June 1966, 392–415).

მენეჯერთა მრავალი არაფულადი მიზანი კორელაციაშია კორპორაციის ზომასთან ან მის ზრდასთან. რაც უფრო რთული სტრუქტურის და დიდი ზომისაა ფირმა, მით უფრო რთულია აქციონერებისთვის მენეჯერთა საქმიანობის გაკონტროლება და მით მეტი ძალაუფლება აქვთ მათ. ამგვარად, ფირმის ზომა და მისი ზრდა, მოგებასთან ერთად, მენეჯერთა სავარაუდო მიზანია.


მოგების მიღება სახელმწიფო ორგანიზაციების ლეგიტიმურ მიზანს არ წარმოადგენს. ამიტომ ბიუროკრატებისთვის ძალაუფლების შემოსავლად გადაქცევა უფრო რთულია. მენეჯერთა არაფულადი სარგებლიანობა, მათ შორის, ორგანიზაციის ზომა და რისკის თავიდან აცილება, ბიუროკრატების ლოგიკური მიზანი ხდება.

მიზანთა უმეტესობის რეალიზაციისთვის ბევრი ბიუროკრატი ცდილობს საკუთარი ორგანიზაციის ზომების გაზრდას. თუ შევეცდებით განვსაზღვროთ მოთხოვნა ჩინოვნიკების მომსახურებაზე, მაშინ მთლიანი ხარჯები იქნება E წერტილში (ნახ. 8.1).

ჩინოვნიკთა კეთილდღეობის განმსაზღვრელი ფაქტორები განპირობებულია მათი მდგომარეობით საზოგადოებრივ იერარქიაში და ანაზღაურებით, რომელიც დამოკიდებულია მათი ფუნქციების მოცულობასა და სირთულეზე, კონტროლირებადი რესურსების მასშტაბზე და ქვეშევრდომთა რაოდენობაზე. აქედან გამომდინარეობს გაზრდილი მოთხოვნა საზოგადოებრივ დოვლათზე, რომლის სტრუქტურაც შეესაბამება მათ უპირატესობებს. ყოველივე ეს იწვევს საზოგადოებრივი სექტორის ზრდას და მონოპოლიური მდგომარეობისკენ მისწრაფებას.

ბიუროკრატების რიცხოვნობის მაქსიმიზაცია გამოწვეულია კანონმდებლებთან შედარებით მათი ინფორმაციული უპირატესობით და კონკურენციის არარსებობით. ამიტომ კონგრესმენებისთვის რთულია ბიუროკრატების საქმიანობის ეფექტიანობის განსაზღვრა. ეს ქმნის დაწყებული პროგრამებისთვის დამატებითი სახსრების მიღების

შესაძლებლობებს. როდესაც არსებობს საერთო ბიუჯეტის ხარჯვის ოპერატიული თავისუფლება, მისი ცალკეული ნაწილების შეკვეცის მცდელობა ამაოა და ამით არ არიან დაინტერესებულნი არც ბიუროკრატები, არც კონგრესმენები. ბიუროკრატები კონგრესმენებს წარუდგენენ, როგორც წესი, ალტერნატივათა მეტად შეზღუდულ ნაკრებს: იაფ, მაგრამ არაეფექტიან პროგრამას, ან - ეფექტიანს, მაგრამ ძვირს.



**ნახ. 8.1. ჩინოვნიკთა რაოდენობის მაქსიმიზაცია**

სიძვირე დაკავშირებულია სახელმწიფო სახსრების ფრთხილად ხარჯვასა და რისკისადმი ნაკლებ მიდრეკილებასთანაც. ყოველივე ამის შედეგი კი ხარჯების ზრდაა.

როგორც აღნიშნავს დაუნსი, ბიუროს ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი მისი პროდუქციის არასაბაზრო ბუნებაა (Downs, 1967, pp. 24–25). ცხადია, ბიურო არის არა გამოშვების ერთეულის, როგორც ასეთის, არამედ საქმიანობის რაღაც მოცულობის ტიპური მიმწოდებელი. მაგალითად, თავდაცვის სამინისტრო ფლობს სამხედრო მოსამსახურეთა გარკვეულ რაოდენობას და შეიარაღების სისტემას, თუმცა ის აწვდის თავდაცვითი და შეტევითი შესაძლებლობების სხვადასხვა დონეებს (ერთეულებს). მისი ბიუჯეტი განისაზღვრება მისი საქმიანობის მიხედვით მაშინაც კი, თუ მყიდველები - გადასახადის გადამხდელები და მათი წარმომადგენლები - დაინტერესებულნი არიან მხოლოდ „საბოლოო პროდუქციით“- ბრძოლისუნარიანობით, რაც ამ საქმიანობის შედეგად იწარმოება. ამის მიზეზი აშკარაა: ჯარისკაცების და თვითმფრინავების დათვლა

უფრო ადვილია, ვიდრე თავდაცვისუნარიანობის ერთეულების. „გაზომვის“ ეს პრობლემა, რომელიც დამახასიათებელია მრავალი საქონლისა და მომსახურებისთვის, დამფინანსებელი ორგანოსთვის მონიტორინგის პრობლემას ქმნის. ბიუროს პროდუქციის „არაგაზომვადი“ ბუნების გამო როგორ შეუძლია მომხმარებელს მისი წარმოების ეფექტიანობის შემოწმება?

მონიტორინგის პრობლემა ძლიერდება ბიუროს და სპონსორს შორის ურთიერთობის, როგორც ორმხრივი მონოპოლიის გამო. ბიუროს პროდუქციის მყიდველი მონოპსონისტია, რაც გამომდინარეობს გასაყიდი დოვლათის თავისებურებიდან. იმის გამო, რომ საზოგადოებრივი დოვლათი მოიხმარება ყველა ადამიანის მიერ, მათი წარმომადგენელი აგენტი მყიდველი-მონოპსონისტია. მთავრობას, რა თქმა უნდა, შეუძლია მიაწოდოს არა მარტო წმინდა საზოგადოებრივი დოვლათი, მაგრამ იგი ინტერესთა რომელიღაც ჯგუფის ერთადერთ წარმომადგენლად რჩება ბიუროკრატისთან ურთიერთობაში. მაშინაც, თუ მთავრობა მოქმედებს როგორც მოსახლეობის ან ინტერესთა ჯგუფების ერთადერთი აგენტი, ის არ არის ვალდებული, შესყიდვები განახორციელოს ერთი წყაროდან, თუმცა ხშირად ეს ასე ხდება. ბიუროსთვის გარკვეული მომსახურების მიწოდების მონოპოლიის მიცემის მიზეზი დუბლირების თავიდან აცილების მცდელობაა. მონოპოლია, აგრეთვე, ათავისუფლებს ბიუროს კონკურენტული ზეწოლისგან, რაც ხელს უშლის ეფექტიანობას და დამფინანსებელი ორგანოსთვის აქრობს ინფორმაციის ალტერნატიულ წყაროს. ბიუროს მომსახურების არაეფექტიანობა ღრმავდება ბიუროკრატთა დაჯილდოების სქემითაც. კერძო კორპორაციების მენეჯერებისგან განსხვავებით, ბიუროკრატების ანაზღაურება არ არის (ან არაპირდაპირაა) დაკავშირებული ეფექტიანობასთან და, შეიძლება უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშიც იყოს მის ამაღლებასთან (Warren, 1975).

ამგვარად, ბიურო ხასიათდება ეფექტიანობის სუსტი გარე კონტროლით და სუსტი შიდა სტიმულებით. მაშინ როგორია მისი მიზნები? ნისკანენის აზრით, ბიუროკრატის შესაძლო მიზნებია: „ანაზღაურება, რომელიც დაკავშირებულია თანამდებობასთან, საზოგადოებრივი რეპუტაცია, ძალაუფლება, პატრონაჟი (ზემდგომი ჩინოვნიკების მფარველობა), ბიუროს გამოშვება, ცვლილებათა განხორციელების და ბიუროს მართვის სიადვილე“ (Niskanen, 1971. P. 38). მისი აზრით, ამ ჩამონათვალის ყველა პუნქტი, ბოლო

ორის გარდა, დადებითად და მონოტონურადაა დამოკიდებული ბიუჯეტის სიდიდეზე. დაუნსი ბიუროკრატის მიზნებს მიაკუთვნებს, აგრეთვე, დაკავებული სივრცის ფართო მოცულობას (Downs, 1967, p. 81–111).

#### 8.4. უ. ნისკანენის მოდელი

##### ნისკანენის თავდაპირველი მოდელი

უილიამ ნისკანენმა პირველმა გამოიკვლია ბიუროკრატიულ ორგანიზაციათა საქმიანობა „დანახარჯები-სარგებლიანობა“ ანალიზის პოზიციიდან. ფირმის საქმიანობის თვალსაზრისით, ეს ნიშნავს „დანახარჯები-გამოშვების“ თანაფარდობას.

ნისკანენის მოდელის თავდაპირველი ვარიანტი გადმოცემულია წიგნში „ბიუროკრატია და წარმომადგენლობითი მმართველობა“ (1971წ.). ამ კონცეფციის მიხედვით, ბიურო - ეს არის ორგანიზაცია, რომელიც აწვდის საზოგადოებრივი დოვლათის მოცემულ მოცულობას თავისი მომსახურების მონოპოლიურ მყიდველს - პოლიტიკური თანამდებობის პირთა ჯგუფს. თავის მხრივ, ბიურო აგრეთვე მონოპოლისტია (თავისი მომსახურების მონოპოლიური მიმწოდებელია). წარმოიშობა ორმხრივი მონოპოლიის სიტუაცია, რომლის თავისებურაბაა დაპირებული პროდუქციის გაცვლა ბიუროსთვის გამოყოფილ ბიუჯეტზე. როგორც ნებისმიერი ორმხრივი მონოპოლიის სიტუაციაში, აქ არ არსებობს ერთადერთი წონასწორობა. სპონსორის უპირატესობები შეიძლება გამოისახოს ფუნქციით „ბიუჯეტი-გამოშვება“. მოსალოდნელი გამოშვების განსაზღვრულ ინტერვალში სპონსორი მზად არის მიაწოდოს მეტი ბიუჯეტი მეტი მოსალოდნელი გამოშვებისთვის:

$$B = aQ - bQ^2, \quad 0 \leq Q < \frac{a}{2b}, \quad (8-1)$$


სადაც  $Q$  არის ბიუროს მოსალოდნელი გამოშვება,  $B$  - მაქსიმალური ბიუჯეტი, რომლის მისაწოდებლადაც მზადაა სპონსორი. ივარაუდება, რომ  $B' > 0$ ,  $B'' < 0$  (ნახ. 8.2).

„ბიუჯეტი-გამოშვება“ ფუნქციის წარმოებულს არა აქვს ოპერაციული მნიშვნელობა, რადგან ბიურო არ აწვდის ცალკეულ მომსახურებას ცალკეულ ფასად. მას აქვს გარკვეული ინტერესი სპონსორისთვის და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ანალოგიური მომსახურების


მიწოდება შესაძლებელი იქნებოდა კონკურენტული დარგის მიერ. ზღვრული სარგებლიანობის ფუნქციას აშემდეგი სახე აქვს:

$$V = a - 2bQ, \quad 0 \leq Q < \frac{a}{2b}, \quad (8-2)$$

სადაც  $V$  არის მაქსიმალური ფასი გამოშვების ერთეულისთვის, რომლის გადასახდელადაც მზადაა სპონსორი (ნახ. 8.3).



ნახ. 8.2. ფუნქცია „ბიუჯეტი-გამოშვება“





ნახ. 8.3. ზღვრული სარგებლიანობის ფუნქცია

ბიუროს სპონსორი პოლიტიკოსები ფლობენ მისი საქმიანობის კონტროლის, ბიუჯეტის დამტკიცების და ხელმძღვანელი გუნდის შეცვლის უფლებას. მაგრამ სპონსორს ასეთი კონტროლის საკმარისი სტიმულები არა აქვს. საქმე იმაშია, რომ ბიურო, როგორც წესი, ასრულებს სხვადასხვა ფუნქციებს და მისი ეფექტიანობის კონტროლი, პირველ რიგში, კანონმდებელთა და ამომრჩეველთა პრეროგატივაა. ამიტომ სპონსორის ძალაუფლება მიმართულია, უპირველეს ყოვლისა, ბიუროს გამოშვების ნამეტის მიტაცებისკენ. ეს ნამეტი ყოველთვის ფულად ფორმას არ იღებს და შეიძლება რეალიზებულ იქნეს არაპირდაპირ: იმ პროგრამების გაფართოებით, რომლითაც დაინტერესებულნი არიან სპონსორები და (ან) ბიუროკრატები. ასეთი გაყოფა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბიუჯეტი და (ან) ბიუროს გამოშვება ოპტიმალურზე მეტია.

იგულისხმება, რომ ბიურო რესურსებს ყიდულობს კონკურენტულ ბაზრებზე. ბიუროს მიერ გადახდილი წარმოების ფაქტორთა ფასები გამოისახება ფუნქციით,

რომელსაც ნისკანენმა უწოდა „დანახარჯები-გამოშვება“ (ნახ. 8.4, 8.5). ივარაუდება, რომ  $C' > 0$ ,  $C'' > 0$ .



ნახ. 8.4. ფუნქცია „დანახარჯები-გამოშვება“

ნახ. 8.5. ზღვრული ხარჯების ფუნქცია

რესურსების მფლობელებისთვის განსაზღვრულ პერიოდში მინიმალური ჯამური ხარჯები აღვნიშნით  $TC$  - ით:

$$TC = cQ + dQ^2, \quad 0 \leq Q. \quad (8-3)$$

მინიმალური ზღვრული დანახარჯების ფუნქცია არის ჯამური დანახარჯების წარმოებული:

$$C = c + 2dQ, \quad 0 \leq Q. \quad (8-4)$$

იგულისხმება, რომ ის ცნობილია ბიუროს შიგნით, მაგრამ არ არის ცნობილი გარეშეთათვის: სრული ინფორმაცია  $C = C(Q)$  აქვთ ბიუროს თანამშრომლებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბიუროკრატის საქმიანობის შინაგანი მოტივი არ არის დასმული ამოცანების შესრულება. უ. ნისკანენის მიხედვით, ბიუროკრატის კლიენტები არიან პარლამენტარები, რომლებიც ხმას აძლევენ ასიგნებებს და მონაწილეობენ ბიუროს მუშაობაში. ბიუროკრატები ამაქსიმირებენ ბიუჯეტს, ვარაუდობენ რა, რომ თუ ამას არ გააკეთებენ, თავის პოსტზე დიდხანს ვერ დარჩებიან. იგულისხმება, რომ ისინი, ვინც იმაზე მეტს ჰპირდებიან, ვიდრე შესრულება შეუძლიათ, უფრო ნაკლებ ბიუჯეტს იღებენ, ხოლო ისინი, ვინც ნაკლებს ჰპირდებიან, მაგრამ დაპირებებს გადაჭარბებით ასრულებენ, „ჯილდოვდებიან“ მეტი ბიუჯეტით.



საბაზო მოდელი ერთპერიოდიანია. ის აგებულია მარტივი ბიუროსთვის, რომელიც აწარმოებს ერთადერთ მომსახურებას და რომელიც მიეწოდება სპონსორს ერთჯერადი ბიუჯეტის სანაცვლოდ. ბიურო მომსახურების მონოპოლიური მიმწოდებელია, მაგრამ სპონსორი არ იყენებს მონოპოლიური მყიდველის მთელ თავის პოტენციურ მონოპოლიურ ძალაუფლებას (სტიმულების ან შესაძლებლობის არქონის გამო).

ივარაუდება, რომ ბიუჯეტი მინიმალურ მთლიან დანახარჯებზე ნაკლები არ არის:

$$B \geq TC. \quad (8-5)$$

ბიუჯეტის (B) მაქსიმიზირებით მივიღებთ:

$$Q = \frac{a}{2b}$$

ეს არის, სწორედ, ბიუროკრატის გამოშვების მაქსიმალური დონე. მინიმალური დონე მიიღწევა მაშინ, როდესაც სრულდება ტოლობა:  $B'(Q) = TC'(Q)$ . შესაბამისი ჩასმით (იხ. (8-1) და (8-3) ) მივიღებთ:

$$Q = \frac{a-c}{b+d}$$

Q- ს ეს ორი დონე ტოლია, როცა:

$$a = \frac{2bc}{b-d}$$

მაშინ წონასწორული დონე იქნება:

$$Q = \begin{cases} \frac{a-c}{b+d}, & a < \frac{2bc}{b-d} \\ \frac{a}{2b}, & a \geq \frac{2bc}{b-d} \end{cases} \quad (8-6)$$

უფრო დაბალი მოთხოვნის დროს, რომელიც წარმოდგენილია ზღვრული სარგებლიანობის ფუნქციით  $V_1$ , წონასწორული დონე ტოლი იქნება:


$$Q = \frac{a_1-c}{b+d}, \quad a_1 < \frac{2bc}{b-d}$$

მაშინ  $Soa1gh = Socfn$  (ნახ. 8.6). ეს ნიშნავს, რომ ბიუჯეტი ფარავს მინიმალურ მთლიან დანახარჯებს და ნამეტი (ნისკანენის ტერმინოლოგიით, „ქონი“) არ წარმოიქმნება. მაგრამ

თუ ბიუროს გამოშვება ოპტიმალურ დონეზე მეტია, მინიმალურად მისაღწევი ხარჯები hf მაღალია, ვიდრე hg - ზღვრული სარგებლიანობა სპონსორისთვის. ამ გამოშვების ზომა შეიძლება ვიპოვოთ (8-2)-ს და (8-4)-ის ერთმანეთთან გატოლებით. მაშინ ოპტიმალური დონე ტოლი იქნება:


$$Q = \frac{a-c}{2(b+d)}, \quad a \geq \frac{2bc}{b-d}$$

ამგვარად, წონასწორული გამოშვება ოპტიმალურზე ორჯერ მეტი აღმოჩნდება. წარმოიქმნება „ქონი“, რომელიც მოწმობს ჭარბი „საწარმოო სიმძლავრეების“ არსებობას.




ნახ. 8.6. ბიუროს წონასწორული გამოშვება

ბიუროს სამუშაოს მოცულობა და მისი დაფინანსება იზრდება მანამდე, სანამ მთლიანად არ შთაინთქმება მომხმარებლის ნამეტი (ნახ. 8.7). თუ საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებიდან ზღვრული სარგებლიანობა ნულამდე ეცემა, მაშინ მანამდე, სანამ მომხმარებლის ნამეტი მთლიანად გაქრება, ბიუჯეტის მმართველები ბიუროკრატი შესთავაზებს საქმიანობის სხვა სახეობებს მისი კომპეტენციის გარეთ. ეს შეიძლება იყოს რადიკალური სიახლეები ან (რაც უფრო სავარაუდოა) მისი შეჭრა სხვა ბიუროს საქმიანობის სფეროში, ან კერძო ბაზრის სფეროში (ნახ. 8.8).



ნახ. 8.7. მომხმარებლის ნამეტის შთანთქმა



ნახ. 8.8. დაკავშირებულ სფეროებში შეჭრა

### ნისკანენის მოდელის გაფართოება

უფრო ზოგადი მოდელი ნისკანენმა პირველად ჩამოაყალიბა 1975 წ. იგი გვთავაზობს სარგებლიანობის შემდეგ ფუნქციას:

$$U = \alpha_1 Y^{\beta_1} P^{\gamma_1}, \quad (8-7)$$

სადაც Y არის ბიუროკრატის შემოსავლის მიმდინარე ფასეულობა მისი თანამდებობიდან, P - სამსახურებრივი სიკეთეები, პირდაპირი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული არაფულადი ანაზღაურების ჩათვლით.

დაჯილდოების სტრუქტურა განისაზღვრება შემდეგი განტოლებებით:

$$Y = \alpha_2 Q^{\beta_2} (B - C)^{\gamma_2} \quad (8-8)$$

$$P = \alpha_3 Q^{\beta_3} (B - C)^{\gamma_3} \quad (8-9)$$

სადაც Q - ბიუროს გამოშვება; B - მაქსიმალური ბიუჯეტი, რომელსაც მოიწონებდა ზემდგომი (ბიუროს საქმიანობის მაკონტროლებელი) ორგანიზაცია; C - ბიუროს გამოშვების მინიმალური დანახარჯები.

ამგვარად,  $B - C$  იქნება ბიუროს დისკრეციული ბიუჯეტი<sup>7</sup>. ასეთი მიდგომა არა მარტო სამთავრობო, არამედ კერძო დაწესებულებების საქმიანობის, სხვადასხვა ტიპის მენეჯერთა მუშაობის ანალიზის საშუალებას იძლევა.

პარამეტრი  $\gamma_2$  ასახავს მენეჯერთა მისწრაფებას ორგანიზაციის მიერ მოგების მიღებისაკენ. ჩვეულებრივ, ეს ტიპიურია მსხვილი კორპორაციის მენეჯერებისთვის. სამთავრობო ბიუროკრატებისთვის, პირიქით, ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია. მათთვის ტიპიურია  $\beta$  პარამეტრის უფრო მაღალი მნიშვნელობა. თუ ჩავსვამთ  $Y$ -ის და  $P$ -ის მნიშვნელობებს სარგებლიანობის ფუნქციაში (8-7), მივიღებთ:

$$U = \alpha Q^\beta (B - C)^\gamma \quad (8-10)$$

სადაც

$$\alpha = \alpha_1 \alpha_2^{\beta_1} \alpha_3^{\gamma_1}, \quad \beta = \beta_1 \beta_2 + \gamma_1 \beta_3, \quad \gamma = \beta_1 \gamma_2 + \gamma_1 \gamma_3$$

თავდაპირველი მოდელის ანალოგიურად, მივიღებთ:

$$\begin{aligned} \beta &= \alpha Q - bQ^2, \\ C &= cQ + dQ^2, \\ B - C &= (a - c)Q - (b + d)Q^2 \end{aligned} \quad (8-11)$$

მაშინ სარგებლიანობის ფუნქცია მიიღებს შემდეგ სახეს:

$$U = \alpha Q^\beta [(a - c)Q - (b + d)Q^2]^\gamma \quad (8-12)$$

გამოშვების დონე, რომლის დროსაც ბიუროკრატის სარგებლიანობა მაქსიმიზირდება, იქნება:

$$Q = \left( \frac{\beta + \gamma}{\beta + 2\gamma} \right) \left( \frac{a - c}{b + d} \right) \quad (8-13)$$

<sup>7</sup> ჟან ლუკ მიგემ და ჟერარ ბელანჟემ შემოიტანეს დაშვება, რომლის თანახმადაც ბიუროკრატები ამაქსიმიზებენ დისკრეციულ ბიუჯეტს, რომელიც განისაზღვრება როგორც სხვაობა მის საერთო სიდიდესა და მოსალოდნელი გამოშვების მინიმალურ დანახარჯებს შორის.

ვინაიდან ეს ფორმულა უნივერსალური ხასიათისაა და გამოსაყენებელია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო დაწესებულებებისათვის, ჩვენ შეგვიძლია მისი კონკრეტიზირება დაწესებულებათა ამ ორი ტიპისთვის.

სამთავრობო ჩინოვნიკებისთვის, რომლებიც არ ისწრაფვიან ორგანიზაციის მიერ მოგების მიღებისკენ,  $\gamma$  სიდიდე ნაკლები იქნება. უკიდურეს შემთხვევაში ის უდრის ნულს. თუ  $\gamma=0$ , მაშინ:

$$Q = \left( \frac{a-c}{b+d} \right) \quad (8-14)$$

მსხვილი ორგანიზაციების მენეჯერებისთვის, პირიქით,  $\beta$  პარამეტრი შედარებით მცირეა. უკიდურეს შემთხვევაში ის უდრის ნულს. თუ  $\beta = 0$ , მაშინ:

$$Q = \frac{1}{2} \left( \frac{a-c}{b+d} \right) \quad (8-15)$$

საინტერესოა, რომ მეორე შემთხვევაში ის ორჯერ მცირეა, ვიდრე პირველში. თუ  $Q$ -ს მნიშვნელობას ჩავსვამთ (8-11)-ში, მივიღებთ:

$$B = a \left( \frac{\beta+\gamma}{\beta+2\gamma} \right) \left( \frac{a-c}{b+d} \right) - b \left( \frac{\beta+\gamma}{\beta+2\gamma} \right)^2 \left( \frac{a-c}{b+d} \right)^2 \quad (8-16)$$

$$B-C = \left( \frac{\beta+\gamma}{\beta+2\gamma} \right) \left[ 1 - \frac{\beta+\gamma}{\beta+2\gamma} \right] \left[ \frac{(a-c)^2}{b+d} \right] \quad (8-17)$$

დისკრეციული ბიუჯეტი უმცირესი იქნება როდესაც  $\beta = 0$ , ანუ როდესაც ბიურო მუშაობს მხოლოდ დაყენებული ამოცანის შესრულებაზე და არა - ბიუროკრატის შემოსავლის გაზრდაზე. ბიუჯეტის დანახარჯებთან შეფარდებით მივიღებთ:

$$\frac{B-C}{C} = \frac{(a-c)(b+d)}{2c(b+d)+d(a-c)} \quad (8-18)$$

ბიუჯეტის მუდმივობისას ფორმულა მნიშვნელოვნად მარტივდება:

$$\frac{B-C}{C} = \frac{a-c}{a+c} \quad (8-19)$$

ამ ფორმულის თანახმად, ბიუროს საწარმოო არაეფექტიანობა წარმოადგენს გამოშვების ერთეულის დადებით ფუნქციას.

თუ თავდაპირველ მოდელში ივარაუდებოდა, რომ სამთავრობო ბიუროები ვაჭრობენ პოლიტიკოსებთან ძალიან ფართო დიაპაზონში (ნულიდან ზემოთ), სინამდვილეში მოლაპარაკებები ბიუჯეტის შესახებ ხდება რაღაც დიაპაზონში, რომლის ბაზაც წინა წლის ბიუჯეტია. ამიტომ ვაჭრობა ეხება ბიუჯეტის განაწილებას იმ სტატიებს შორის, რომლებიც უკეთესად ასახავენ სამთავრობო უმრავლესობის ინტერესებს (უმრავლესობას მაკონტროლებელ ორგანოში).

ნისკანენის მოდელი მნიშვნელოვანი იმპულსი იყო ბიუროკრატის ქცევის გამოკვლევებისთვის. მაგრამ მან განზე დატოვა იმ ინსტიტუციური (კერძოდ, პოლიტიკური) გარემოცვის საკითხები, რომელშიც მუშაობს ბიურო. ამიტომ ბიუროკრატის თეორიის შემდგომი განვითარება უკავშირდება კონსტიტუციურ ეკონომიკას, რომელსაც მე-12 ლექციაში განვიხილავთ.

### 8.5. გ. ტალოკის ბიუროკრატის მოდელი

გორდონ ტალოკი გვთავაზობს ბიუროკრატის დინამიკურ ჰიპოთეზას. ზრდის ექსპონენციალური ფუნქციის გამოყენებით, ის განიხილავს ბიუროს ზრდის ფაქტორებს. დავუშვათ, რომ დროის  $t$  პერიოდში ბიუროს ზომა უდრის  $B_t$ -ს. რაციონალური ინდივიდის მიერ ბიუჯეტის მაქსიმიზაცია გამოისახება დასაქმებულთა რაოდენობის ზრდით  $N$  ბიუროში. ამ საკითხში გ. ტალოკი მიჰყვება ე. დაუნსის სასიცოცხლო ციკლის თეორიას. ზრდის ფუნქცია იღებს შემდეგ სახეს:


$$B_{t+1} = B_t \exp(rt) \quad (8-20)$$

სადაც  $B_{t+1}$  არის ბიუროს ზომა  $t+1$  პერიოდში, ხოლო  $B_t$  - ბიუროს ზომა  $t$  პერიოდში.

ტალოკის მოდელში ბიუროკრატი მონოპოლისტია და ბიუროს ზრდიდან საკმაოდ მაღალ სარგებლიანობას იღებს, ვინაიდან ეს მას საშუალებას აძლევს, გააფართოვოს მიწოდებული ანაზღაურებადი მომსახურების სპექტრი და მოახდინოს ბიუროს საქმიანობაზე მოთხოვნის დივერსიფიცირება. ამიტომ კანონმდებელთა მოთხოვნის მრუდი კომბინირებული ხასიათისაა. ის ასახავს ოპტიმალურ მოთხოვნას როგორც

ზემდგომი ორგანიზაციების მხრიდან, ასევე მოსახლეობის მხრიდან. კანონმდებელი ფლობს რაღაც B ბიუჯეტს, რომლითაც შეუძლია იყიდოს ბიუროს მომსახურების განსაზღვრული რაოდენობა. ვინაიდან ბიუროკრატები ცდილობენ მთელი ბიუჯეტი გადააქციონ თავის ხარჯებად (C), ამიტომ წარმოებული იქნება აშკარად მეტი ბიუროკრატიული მომსახურება, ვიდრე ეს აუცილებელია მოსახლეობისთვის (საზოგადოებისთვის). რადგან მსგავსი ოპერაცია ხდება წლიდან წლამდე, მოთხოვნის კომბინირებული მრუდი გადაადგილდება მარცხნივ.

გ. ტალოკის ბიუროკრატიის მოდელი შესაძლებელია გამოვსახოთ გრაფიკულად (ნახ. 8.9). ვერტიკალურ ღერძზე აღვნიშნოთ ხარჯები (C), ხოლო ჰორიზონტალურზე - მიწოდება  $q$ .  $C_{max}$ -ით აღვნიშნოთ ბიუროს იმდენად მაღალი ხარჯები, რომლის დროსაც მოსახლეობის მოთხოვნა ბიუროს მომსახურებაზე 0-ის ტოლია. ხოლო  $C_{min}$ -ით - იმდენად დაბალი ხარჯები, რომლის დროსაც მოსახლეობის მოთხოვნა ბიუროს მომსახურებაზე მაქსიმალურია (D). რადგან კანონმდებლებს აქვთ უფრო მაღალი ბიუჯეტი და მზად არიან გაიღონ უფრო მაღალი ხარჯები, მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება B წერტილში. ამავე დროს, ცხადია, რომ კანონმდებელთა მაქსიმალურმა მოთხოვნამ, რომლებიც მუშაობენ მოსახლეობის ინტერესებისთვის, არ უნდა გადააჭარბოს მოსახლეობის მაქსიმალურ მოთხოვნას. ამიტომ ერთობლივი მოთხოვნის მრუდი იქნება ჩატეხილი მრუდი  $C_{max DE}$ . ბიუროს და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, კანონმდებელმა შეიძლება დააწესოს წარმოებული მოთხოვნა. ის იქნება გარკვეული კომპრომისი ორი სახის (ბიუროკრატების და მოსახლეობის) მოთხოვნას შორის. დავუშვათ, ხდვრული ხარჯები მუდმივია და უდრის  $C_0$ -ს. მაშინ მოთხოვნა განისაზღვრება ხარჯების და მოთხოვნის  $C_{max DE}$  მრუდის გადაკვეთის წერტილით. აღვნიშნოთ იგი  $q_1$ -ით. მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნა ამ ხარჯების დროს წარმოადგენს გაცილებით ნაკლებ სიდიდეს  $q_2$  (ზღვრული ხარჯების და ზღვრული სარგებლობის გადაკვეთის წერტილი). ეს ნიშნავს, რომ „მკვდარი ტვირთის“ ხარჯები  $efg$  სამკუთხედის ფართობის ტოლი იქნება.



ნახ. 8.9. გ. ტალოკის ბიუროკრატის მოდელი

მოთხოვნის შემცირების შემთხვევაში BDE მრუდი გადაინაცვლებს B'D'E' მდგომარეობაში. მაშინ კანონმდებელთა მოთხოვნა შემცირდება  $q_3$ -მდე, ხოლო „მკვდარი ხარჯები“ – ehl-მდე. თუ მოქალაქეები ზრდიან თავიანთ მოთხოვნას ბიუროს გამოშვებაზე, მაშინ განსხვავება შემცირდება. ამის ილუსტრირება შეიძლება ბიუროს გამოშვების მოცულობის არჩევით  $q_2$ -სა და  $q_1$ -ს შორის. შედეგად, განსხვავება კანონმდებლებსა და მოსახლეობას შორის მინიმიზირებული იქნება და მასთან ერთად მინიმიზირებული იქნება „მკვდარი ტვირთის“ დანაკარგებიც.

### 8.6. ბრეტონ-ბრენან-ბიუქენენის მოდელი

ა. ბრეტონის წარმომადგენლობითი მთავრობის თეორია დაუნსის მოდელის გაგრძელებაა ამ თეორიის მიხედვით, მთავრობა იმყოფება კანონმდებლობის სრული კონტროლის ქვეშ და წარმოადგენს საზოგადოებრივი დოვლათის მონოპოლიურ მწარმოებელს. ეს მოდელი განავითარეს ბრენანმა და ბიუქენენმა 1980 წელს მთავრობა-




მონოპოლისტის მოდელში მათ დაუშვეს, რომ მოქალაქეებს შეუძლიათ მისი საქმიანობის შეზღუდვა საგადასახადო ბაზის შევიწროვებით. ნისკანენისგან განსხვავებით, ბრენან-ბიუქენენის მოდელი აქცენტს აკეთებს საგადასახადო კანონების მეშვეობით ბიუროკრატების საქმიანობის შეზღუდვაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ წინა მოდელები ბიუროს საქმიანობას განიხილავდნენ სახელმწიფო ხარჯების თვალსაზრისით, ეს მოდელი განიხილავს მას სახელმწიფოს შემოსავლების თვალსაზრისით. გადასახადების შესახებ კანონები ბიუროს ზრდის შემზღუდავ ფაქტორებს წარმოადგენს. ეს მოდელი გაანალიზებულია დ. მიულერის და პ. მაკ-ნატის მიერ. თუ მოქალაქეები თვლიან, რომ მათი გადასახადები მიდის ბიუროკრატიული აპარატის გაფართოებაზე, ისინი შეეცდებიან ამ გადასახადების შემცირებას. ივარაუდება შემდეგი წანამძღვრები:

- 1) მოქალაქეები ამაქსიმიზირებენ სარგებლიანობას მოცემული ბიუჯეტური შეზღუდვის ფარგლებში;
- 2) არსებობს სულ ორი საქონელი: „შრომა“ და „დასვენება“, რომლებიც განიხილება როგორც ნორმალური საქონელი;
- 3) სახელმწიფო ხარჯები - ეს არის ერთდროული ტრანსფერები, რომელიც უმსუბუქებს ცხოვრებას იმათ, ვინც იხდის მაღალ გადასახადებს;
- 4) არსებობს დაბალანსებული ბიუჯეტი, რომელშიც გადასახადები ნაწილდება ბიუროკრატისა და ტრანსფერული გადასახდელების მიმღებებს შორის;
- 5) ზღვრული გადასახადები წრფივი ხასიათისაა.

ასეთი წანამძღვრების დროს, შემოსავლის ეფექტს და გადასახადიდან ჩანაცვლების ეფექტს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე საგადასახადო ბაზის ცვლილებას. აბსცისათა ღერძზე აღვნიშნოთ მთლიანი დრო (შრომის და დასვენების საათები), ხოლო ორდინატთა ღერძზე - შემოსავალი. დავუშვათ, რომ ვიღაც, ვისაც აქვს ბიუჯეტური შეზღუდვა AB, იმყოფება E0 წერტილში (ნახ. 8.10). მაშინ სამუშაო დრო იქნება BH0, ხოლო თავისუფალი დრო - OH0. იდეალური გადასახადი, თუ გამოვსახავთ მას დამახინჯების გარეშე (სუბსტიტუციის ეფექტის არარსებობისას), შეიძლება გამოისახოს ბიუჯეტური ხაზით CD. ცხადია, რომ ეს ბიუჯეტური ხაზი AB-ს პარალელური უნდა იყოს. უფრო მაღალი ზღვრული გადასახადი შეიძლება ვაჩვენოთ ბიუჯეტური ხაზით EB და უდრის AE/AO. მოსახლეობისთვის ოპტიმალური წერტილებია E0 და E2 (და ზღვრული გადასახადის

შემთხვევაში E0, E3). რადგან U2 განურჩევლობის მრუდი უპირატესია U3 განურჩევლობის მრუდზე, ეს იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს, რომ მოსახლეობა აირჩევს იდეალურ გადასახადს დაბეგვრის ნაკლებად დამახინჯებული ბაზით. ანალოგიურად, თუ მოსახლეობა მზადაა შეამციროს სარგებლიანობა U3-მდე, ბიუჯეტის მმაქსიმიზებელი ბიუროკრატი ეცდება, ასწიოს გადასახადი AG - მდე. ზღვრული გადასახადისთვის AE/AO დონეზე, რომელიც გამოიწვევს სარგებლიანობის შემცირებას U1 დონიდან U3-მდე, ოპტიმალური წერტილი იქნება E2, და არა E0. თუ მთავრობას ნებას დავრთავთ, შემოიღოს ერთდროული არადამახინჯებადი გადასახადი, ეს გამოიწვევს EB ბიუჯეტური ხაზის გადაადგილებას LL' მდგომარეობაში, და მაშინ ოპტიმალური წერტილი აღმოჩნდება E1. მანძილი E0E1 წარმოადგენს სუბსტიტუციის ეფექტს, ხოლო E0E2 მანძილი - შემოსავლის ეფექტს. მაშასადამე, სუბსტიტუციის ეფექტი მეტია შემოსავლის ეფექტზე. ამიტომ მრუდი „ფასი - მოხმარება“ გაივლის E0E2 წერტილების პროექციაზე, ხოლო მრუდი „შემოსავალი - მოხმარება“ - E0E1 წერტილების პროექციაზე. სამუშაო დრო შემცირდება BH0-დან BH2-მდე. ეს ნიშნავს, რომ მაღალი გადასახადების დროს მოქალაქეები შეამცირებენ სამუშაო დროს E1E2 სიდიდით, რაც გამოიწვევს აკრეფილი გადასახადების შემცირებას.



ნახ. 8.10. ბიუროს ზრდის შეზღუდვა საგადასახადო ბაზის შემცირების გზით

განხილული მოდელები ანალიზებენ ბიუროკრატის ზოგად თეორიას, რომელშიც ზემდგომი და ქვემდგომი სუბიექტების ინტერესები სპეციფიცირებული არ არის. მაგრამ ბიუროკრატია დაკავშირებულია არა მარტო ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებთან, იგი წარმოადგენს, აგრეთვე, სპეციალურ ინტერესთა ჯგუფების იარაღსაც.

8.7. გ. ალისონის „ბიუროკრატული პოლიტიკის“ და „ორგანიზაციული პროცესის“ მოდელები

„ორგანიზაციული პროცესის“ მოდელი

„ორგანიზაციული პროცესის“ მოდელი ეფუძნება ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის გ. ალისონის კონცეფციას, რომელიც გადმოცემულია მონოგრაფიაში

„გადაწყვეტილების არსი“ (1971წ.). მან ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა ორგანიზაციული ქცევის პარადიგმა საგარეო პოლიტიკის ანალიზისათვის. გ. ალისონი მთავრობას განიხილავს როგორც „შედარებით თავისუფლად ასოცირებულ ორგანიზაციათა უზარმაზარ კონგლომერატს, რომელთაგან თითოეული თავისი განსაკუთრებული ცხოვრებით ცხოვრობს“ (Allison, Zelikow 1999, p. 143). შესაბამისად, სამთავრობო გადაწყვეტილებათა მიღებას იგი განსაზღვრავს, როგორც დიდი ორგანიზაციების პრაქტიკული საქმიანობის შედეგს (outputs), რომლებიც ფუნქციონირებენ ქცევის სტანდარტული ნიმუშების (patterns) შესაბამისად. შედეგად, სამთავრობო გადაწყვეტილებათა მიღების კვლევაში აქცენტი კეთდება „ორგანიზაციულ ლოგიკაზე“ (ე.ი. ორგანიზაციული პროცედურების და რეგლამენტების „მუშაობაზე“), სახელმწიფო ორგანოების შიგნით და მათ შორის კომპლექსურ ურთიერთქმედებაზე, აგრეთვე, ორგანიზაციული ქცევის ფორმებზე და ორგანიზაციული კულტურის სტერეოტიპებზე. გ. ალისონის ძირითადი თეზისი მდგომარეობს იმაში, რომ ანალიზის ცენტრში უნდა იყოს კომპლექსური სამთავრობო მოქმედების ლოგიკა, რომელიც, თავის მხრივ, ყალიბდება სხვადასხვა უწყებათა აქციებისგან, რომლებიც ერთმანეთთან კონკურენციასა და ვაჭრობაში იმყოფებიან. ნებისმიერი სიტუაცია, რომელშიც გადაწყვეტილება მიიღება, შეიძლება დავიყვანოთ „ორგანიზაციულ გამოშვებამდე“ (organizational outputs). სწორედ ამ კონტექსტში განიხილავს გ. ალისონი 1962 წელს კარიბის კრიზისის დროს ჩამოყალიბებულ სიტუაციას. მისი იზრით, თვით ასეთ მწვავე პირობებშიც კი, გადაწყვეტილებათა მიღება ხდება საკმაოდ ზუსტ ორგანიზაციულ ჩარჩოებში, ვინაიდან დიდი ხნით ადრე ჩამოყალიბებული იყო შესაბამისი წესები და სტანდარტული პროცედურები, რომლებიც მიმართულებას აძლევენ და წინასწარ განსაზღვრავენ ორგანიზაციული ქცევის ლოგიკას. აქედან გამომდინარეობს, რომ სამთავრობო გადაწყვეტილებათა მიღება დიდწილად დამოკიდებულია ე.წ. „ორგანიზაციულ შესაძლებლობებზე“. თუ სახელმწიფო დღეს ახორციელებს განსაზღვრული ტიპის მოქმედებებს, მაშასადამე, მისი ორგანიზაციები ჯერ კიდევ გუშინ ახორციელებდნენ მოქმედებებს, რომლებიც ოდნავ თუ განსხვავდებიან დღევანდელისგან. ნებისმიერ მომენტში სახელმწიფო შედგება ორგანიზაციათა კონგლომერატისგან, რომელთაგან თითოეულს თავისი მიზნები, პროგრამები და რეპერტუარი აქვს. სახელმწიფოს

მოქმედების ხასიათი, ნებისმიერ შემთხვევაში, განპირობებულია ამ რუტინით და იმით, თუ არსებული პროგრამებიდან რომელს ირჩევენ სახელმწიფოს ლიდერები. ორგანიზაციის ქცევის საუკეთესო ახსნა  $t$  დროში, ეს არის  $t-1$ , ხოლო  $t+1$  პროგნოზი - ეს არის  $t$ .

### **„ბიუროკრატიული პოლიტიკის“ მოდელი**

ორგანიზაციის ლიდერები არ არიან მონოლითური ჯგუფი. თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, თითოეული მათგანი წარმოადგენს კონკურენტული თამაშის მონაწილეს, რომელსაც ეწოდება **ბიუროკრატიული პოლიტიკა - ვაჭრობა მოთამაშეებს შორის, რომლებიც იმყოფებიან სამთავრობო აპარატის იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე**. ამიტომ სახელმწიფოს ქცევა, ამ მოდელის მიხედვით, შეიძლება განვიხილოთ არა როგორც ორგანიზაციის პროდუქტი, არამედ როგორც თამაშის (ვაჭრობის) შედეგი. ბიუროკრატიული პოლიტიკის მოდელი განიხილავს არა ერთ მოქმედ პირს, არამედ თამაშის მრავალ მონაწილეს, რომლებიც კონცენტრირდებიან არა ერთ სტრატეგიულ პრობლემაზე, არამედ მრავალზე და იღებენ სახელმწიფო გადაწყვეტილებებს არა რაციონალური არჩევანის გზით, არამედ ძალის-ძალად „გაყვანის“ და „გაღწევის“ მეთოდით, რასაც პოლიტიკა ეწოდება.

თითოეული სახელმწიფოს სამთავრობო აპარატი შიდასახელმწიფოებრივი თამაშის რთული არენაა. პოლიტიკური ლიდერები, ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად, ქმნიან ძირითად მოთამაშეთა წრეს. ამ წრეში შესვლა გარკვეული ზომით დამოუკიდებელ მდგომარეობას უზრუნველყოფს. გადაწყვეტილებათა მიღების დეცენტრალიზაცია თითოეულ მოთამაშეს მოქმედების მნიშვნელოვანი თავისუფლების გარანტიას აძლევს. ამგვარად, ხელისუფლება აღმოჩნდება დაყოფილი. ადამიანები იყოფენ ხელისუფლებას და ადამიანები არ ეთანხმებიან ერთმანეთს იმაში, თუ რა უნდა გაკეთდეს. ის, რასაც სახელმწიფო აკეთებს, ზოგჯერ ერთი ჯგუფის მეორეზე გამარჯვების შედეგია. მაგრამ ხშირად სხვადასხვა მიმართულებით მოქმედი სხვადასხვა ჯგუფები, საბოლოოდ წარმოშობენ ხაზს, რომელიც თითოეული ჯგუფისთვის სასურველისგან განსხვავდება. ფიგურებს საჭადრაკო დაფაზე ამოდრავებს არა უბრალოდ რაიმე მოქმედების მხარდაჭერის მიზანშეწონილება, არა ორგანიზაციის

ჩამოყალიბებული პრაქტიკა, არამედ ამ მოქმედების წესის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ძალა და უნარი.

მოქმედი პირია არა მთელი სახელმწიფო, არა ორგანიზაციათა კონგლომერატი, არამედ ცალკეული მოთამაშეები. ხოლო მოთამაშეები არიან ადამიანები, რომელთაც უკავიათ ცალკეული პოსტები. პიროვნება - ეს არის ბიუროკრატიული პოლიტიკის ბირთვი. ის, თუ როგორ უძლებს თითოეული ადამიანი „სამზარეულოს სიცხეს“, მოქმედების როგორი სტილია დამახასიათებელი მისთვის, ერთმანეთს ავსებენ თუ ეწინააღმდეგებიან ცალკეული პიროვნებები და მათი სტილები - პოლიტიკური „შენადნობის“ აუცილებელი კომპონენტებია. გარდა ამისა, თითოეულ მოღვაწეს აქვს თავისი დაინტერესება გარკვეული პრობლემებით, თავისი მოვალეობები სხვადასხვა პროგრამებში, თავისი მდგომარეობა და ვალდებულება საზოგადოების განსაზღვრული ჯგუფების მიმართ.

ბევრ შემთხვევაში, რაიმე მიდგომისადმი სწრაფვა, გამომდინარე მოთამაშის მდგომარეობიდან, საშუალებას იძლევა, გაკეთდეს საიმედო პროგნოზები იმის შესახებ, თუ რა პოზიციას დაიკავებს იგი. მაგრამ ამ სწრაფვას ამცირებს ან ზრდის ის, თუ რა „მარაგით“ მოდიან მოთამაშეები თავიანთ პოსტებზე. ამიტომ ხშირად, პროგნოზების გასაკეთებლად საჭიროა როგორც მოთამაშეზე ზეწოლის, ისე მისი მარაგის გათვალისწინება.

თამაში მიმდინარეობს გარკვეული შედეგების მისაღწევად. ეს შედეგები კი ხელს უწყობს ან უშლის ნაციონალური ინტერესების განხორციელებას, როგორც ეს წარმოუდგენია თითოეულ მოთამაშეს, გავლენას ახდენს მის პროგრამებზე, მისი მეგობრების კეთილდღეობაზე და მის პირად ინტერესებზე. ეს ურთიერთგადაამკვეთი ინტერესები არის, სწორედ, თამაშებში გაკეთებული ფსონი. ყოველი მოთამაშის უნარი, წარმატებით წაიყვანოს თამაში, დამოკიდებულია მის ძალაზე. ძალა, ესე იგი, პოლიტიკის შედეგებზე არსებითი გავლენის მოხდენის უნარი, არანაკლებ სამი ელემენტის შეხამებაა: 1) უპირატესობების არსებობა ვაჭრობისთვის (ინსტიტუციური მხარდაჭერა, ოფიციალური უფლებამოსილებები, ამომრჩეველთა მხარდაჭერა, კომპეტენტურობა და სტატუსი); 2) ამ უპირატესობების გამოყენების სურვილი და უნარი; 3) სხვა მოთამაშეების მიერ პირველი ორი ელემენტის აღქმა. ძალის გონივრული გამოყენება ადამიანის რეპუტაციას ამყარებს, წარუმატებელი გამოყენება იწვევს დაგროვილი კაპიტალის და

რეპუტაციის დაკარგვას. თუმცა არც ერთ მოთამაშეს არა აქვს საკმარისი ძალა მისაღები შედეგების გარანტირებისთვის.

ვაჭრობასთან დაკავშირებული თამაშები თვითნებურად არ მიმდინარეობს. მათ აწესრიგებენ, ესე იგი, გარკვეულ არხებში მიმართავენ: წინასწარ ადგენენ ძირითად მოთამაშეებს, უთითებენ, რა მომენტში უნდა ჩაერთონ თამაშში და ა.შ. რაც ყველაზე მთავარია - ამ არხებით განისაზღვრება, „ვინ უნდა იმოქმედოს“.

პოლიტიკა, როგორც არჩევანის მექანიზმი, განისაზღვრება ხელისუფლების დაყოფით, მაგრამ ინდივიდუალური განსჯით. ეს თამაში გამოირჩევა განუსაზღვრელობით იმის შესახებ, თუ ვინ უნდა გააკეთოს, რაიმეს გაკეთების აუცილებლობით და შიშით იმ შედეგების მიმართ, რაც გაკეთდება. ეს გარემოება აიძულებს ადამიანებს, გახდნენ აქტიური მოთამაშეები. ამიტომ მნიშვნელოვანია თამაშის ტემპი, თამაშის სტრუქტურა, თამაშის წესები და ჯილდო თამაშისთვის.

პოლიტიკის შემუშავების სფეროში პრობლემა „ზემოდან შეხედვისას“ წარმოადგენს ამოცანას: როგორ შევინარჩუნო მოქმედების თავისუფლება, სანამ დრო არ გააქრობს განუსაზღვრელობას; „გარშემო მიმოხედვისას“ - პრობლემა მდგომარეობს ვალდებულებების დადგენაში: როგორ ვაიძულო სხვები შემოუერთდნენ ჩემს კოალიციას; „ქვემოდან ზემოთ“ შეხედვისას, პრობლემა მდგომარეობს ნდობაში: როგორ ვაიძულოთ ბოსი დაიჯეროს იმის გაკეთების აუცილებლობა, რაც საჭიროა.

## ლიტერატურა:

ბალარჯიშვილი ი. დანაშაულის და სასჯელის ეკონომიკა: თეორიული მემკვიდრეობა და თანამედროვე პრობლემები. თბ., „ინოვაცია“, 2010. თავი 5, გვ. 116-159.

Allison, Graham; Zelikow, Philip. *Essence of Decision: Explaining the Cuban Missile Crisis, 2ed.* Longman, 1999.

Breton A. *The Economic Theory of Representative Government.* L.: Macmillan Press. 1974.

Brennan G., Buchanan J. M. *The Power to Tax.* Cambridge: Cambridge University Press. 1980.

Mueller D. *Public choice III.* New York: Cambridge University Press, 2008. Ch. 16, pp. 359-385.

Cooter R. *The Strategic Constitution.* Princeton University Press, 2000, ch. 5-7, p. 103-169.

Crozier, Michel, *The Bureaucratic Phenomenon.* Chicago: University of Chicago Press, 1964.

Downs, Anthony, *Inside Bureaucracy,* Boston: Little, Brown, 1967.

Drazen A. *Political Economy in Macroeconomics.* Princeton University Press, 2000, ch. 14, p. 675-733.

Kingston, “Social Structure and Cultures of Corruption”, *Journal of Economic Behavior and Organization*, 2008.

McNutt P. *The Economics of Public Choice*, 2nd ed. Edward Elgar, 2002, ch. 6,7, p. 124-222, 146-148.

Mueller D. *Public choice III.* New York: Cambridge University Press, 2008. Ch. 16.

Niskanen W. *Bureaucracy and Public Economics.* 2<sup>nd</sup> ed. Vermont: Edward Elgar, 1994. P. 243-267.

Niskanen, William A., Jr., *Bureaucracy and Representative Government,* Chicago: Aldine-Atherton, 1971.

Tullock G. *Dynamic Hypothesis on Bureaucracy//Public Choice.* 1974.Vol. 19. P. 127-131.

Wintrobe, Ronald, “Modern Bureaucratic Theory,” 1997, in D. C. Mueller, ed., 1997a, 429-54.

Warren, R. S., Jr., “Bureaucratic Performance and Budgetary Reward,” *Public Choice* 24, Winter 1975, 51-57.

Заостровцев А. Экономическая теория бюрократии по Нiskanену. – Экономическая школа.

Аналитическое приложение 2002, т. 1, № 1, с. 148 – 180.

Мюллер Д. Общественный выбор III. М.: Институт Экономическая школа ГУ-ВШЭ, 2007, Гл. 16, С. 480-510.

Нiskanен В. Особая экономика бюрократии // Вехи экономической мысли. Экономика благосостояния и общественный выбор. Т. 4. СПб., 2004. С. 477-493.

Нуреев Р. М. Теория общественного выбора. М.: Издательский дом ГУ- ВШЭ, 2005, гл. 9.

Олсон М. Бюрократия // Экономическая теория / Под ред. Дж. Итуэлла, М. Милгейта, П. Ньюмена. М., 2004. С. 33-4



## თემა 9. სპეციალურ ინტერესთა ჯგუფები და რენტის ძიება

„ფრაქციულობის ყველაზე ზოგადი და ხანგრძლივი წყარო იყო საკუთრების განსხვავებული და არათანაბარი განაწილება. მათ, ვისაც აქვს საკუთრება და მათ, ვისაც არა აქვს იგი, ყოველთვის სხვადასხვა ინტერესები აქვთ საზოგადოებაში... მიწათმოქმედთა ინტერესებმა, მრეწველთა და კომერსანტთა ინტერესებმა, ფულადმა ინტერესებმა, აგრეთვე, მრავალმა არცთუ მნიშვნელოვანმა ინტერესებმა, რომლებიც აღმოცენდა ცივილიზებული საზოგადოებების საჭიროებებიდან, დაყვეს ეს უკანასკნელნი სხვადასხვა კლასებად, რომლებსაც მოქმედებისკენ განსხვავებული გრძნობები და შეხედულებები უბიძგებს. ამ მრავალფეროვანი და ურთიერთგადახლართული ინტერესების რეგულირება ქმნის თანამედროვე კანონმდებლობის მთავარ ამოცანას, აგრეთვე, შეაქვს პარტიულობის და ფრაქციულობის სული მთავრობის რიგით და აუცილებელ მოქმედებებში“, - აღნიშნავდა ჯეიმს მედისონი ჯერ კიდევ ორასი წლის წინ. კარლ მარქსი საზოგადოებას უყურებდა როგორც ორ მტრულ კლასად დაყოფილს. პოლიტიკური ბიზნეს-ციკლების ზოგიერთი მოდელი ვარაუდობს, რომ ერთი პარტია მუშათა კლასის გულის მოსაგებად ცდილობს შეინარჩუნოს დაბალი უმუშევრობა, მაშინ, როცა მეორე მხარდაჭერილია კაპიტალისტების მიერ და ცდილობს შეინარჩუნოს დაბალი საპროცენტო განაკვეთი. თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს პოლიტიკა - ეს არის არა დაპირისპირება ორ პოლარულ ეკონომიკურ კლასს შორის, არამედ უფრო - ბრძოლა განსხვავებული ინტერესების მქონე მრავალ ჯგუფს შორის.

### 9.1. კოლექტიური მოქმედებების ლოგიკა

სპეციალურ ინტერესთა ჯგუფები წარმოადგენს ინდივიდთა ერთობლიობას, რომელთათვისაც ერთი და იგივე ღონისძიება იწვევს სარგებლიანობის ცვლილებას ერთი მიმართულებით.

ანალიზს დავიწყებთ მანსურ ოლსონის ჰიპოთეზით სპეციალურ ინტერესთა ჯგუფების შესახებ, რომელიც მან შემოგვთავაზა ნაშრომში “კოლექტიური მოქმედებების ლოგიკა“ (Olson, 1965). ინტერესთა ჯგუფები განსხვავებულია ზომით და ინსტიტუციური ფორმით. ზოგიერთი მათგანი ცდილობს თავისი წევრების მიზნების როგორც წარმოების

ფაქტორების ან როგორც მწარმოებელთა წინ წამოწევას (პროფკავშირები, ფერმერების, ექიმების, საცალო მოვაჭრეთა, მრეწველთა და ა.შ. პროფესიული ასოციაციები). სხვები ცდილობენ, გავლენა მოახდინონ სახელმწიფო პოლიტიკაზე ან საზოგადოებრივ აზრზე განსაკუთრებულ საზოგადოებრივ დოვლათთან და ექსტერნალიებთან დაკავშირებით (მშვიდობისათვის მებრძოლთა და გარემოს დაცვის ჯგუფები და სხვ.). ზოგჯერ ჯგუფი, რომელიც ორგანიზებულია ერთი მიზნის მისაღწევად, მიმართავს საქმიანობის სხვა ფორმებს თავისი წევრების სარგებლობისთვის. პროფკავშირები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მუშებსა და მენეჯმენტს შორის ურთიერთობის მოწესრიგებაში, მაგრამ როგორც კი დიდი საწყისი ხარჯები ორგანიზაციის შექმნაზე უკვე აღარ არის საჭირო, ისინი ერთვებიან საქმიანობის დამატებით სახეობებში, როგორცაა, მაგალითად, იმ კანონმდებლობის ლობირება, რომელიც გააუმჯობესებს მუშათა მდგომარეობას. გარდა ამისა, ზოგიერთი ჯგუფი ცდილობს წამოწიოს იმ ადამიანთა ინტერესები, რომლებსაც აქვთ განსაზღვრული სოციალური სიახლოვე ერთმანეთთან მათი ეთნიკური, რელიგიური ან გეოგრაფიული წარმოშობის გამო. ნებისმიერ შემთხვევაში, ინტერესთა ჯგუფის ჩამოყალიბების მამოძრავებელი ძალაა იმის რწმენა, რომ მის ყველა წევრს აქვს საერთო ინტერესები და მიზნები, ეს იქნება მაღალი ხელფასები სატვირთო ავტომობილების მძღოლთათვის და ქალებისთვის, თუ უფრო სუფთა მდინარეები იმათთვის, ვისი მოხმარებაც იზრდება მოცემული საზოგადოებრივი პოლიტიკის გატარების შედეგად (Olson, 1965, pp. 5–8).

ინტერესთა ჯგუფის წევრების მიზანთა ერთიანობა ამ მიზნების მიღწევას საზოგადოებრივ დოვლათად აქცევს და, ამგვარად, ქმნის იმავე სტიმულს „უბილეთო მგზავრთა“ არსებობისთვის, რასაც „პატიმართა დილემის“ ყველა შემთხვევაში. მეფოლადე და მრეწველი იგებენ ფოლადზე ტარიფიდან იმისგან დამოუკიდებლად, გაიღებენ თუ არა ძალისხმევას ტარიფის შემოღებისთვის (Olson, 1965, pp. 9-16). მოცემული შენიშვნიდან შეიძლება ორი დასკვნის გამოტანა: 1) ინტერესთა ჯგუფის ფორმირება უფრო ადვილია, როდესაც წევრთა რიცხვი მცირეა, ვიდრე მაშინ, როდესაც ის დიდია. უფრო ადვილია ორი ათეული ფოლადის მწარმოებლის ინტერესთა ჯგუფის ორგანიზება, ვიდრე ორასი ათასი მეფოლადის და 2) ისეთი ორგანიზაციის გაჩენისთვის, რომელიც ეფექტიანად წარმოადგენს ინდივიდთა დიდ რაოდენობას, საჭიროა, რომ „ცალკეული და „სელექციური

სტიმულები“ გამოყენებულ იქნეს „უბილეთო მგზავრის“ ქცევის შესაკავებლად (p. 51). სელექციური სტიმულების გამოყენების მაგალითია პროფკავშირები. ისინი იბრძვიან, რათა აიძულონ დამქირავებლები, დაუკავონ ხელფასიდან შენატანები პროფკავშირის წევრებს და ე.წ. „ჩაკეტილი საამქროების“ კონტრაქტებისთვის, რომელიც უკრძალავს დამქირავებლებს პროფკავშირის არაწევრი მუშაკების დაქირავებას. იქ, სადაც ასეთი სელექციური სტიმულები ძლიერია (აშშ-ის ბევრი შტატი და ევროპის ქვეყნები), პროფკავშირის წევრთა რაოდენობა უფრო დიდია და წევრთა ხელფასებიც უფრო მაღალი. საფრანგეთში, სადაც პროფკავშირებში ეს სელექციური სტიმულები არ არსებობს, პროფკავშირების წევრთა რაოდენობა გაცილებით დაბალია. იქ, სადაც სარგებლობა კოლექტიური მოქმედებებიდან არაერთნაირია ჯგუფის წევრებისთვის, „არსებობს უმცირესობის მიერ უმრავლესობის „ექსპლუატაციის“ სისტემატური ტენდენცია“ (Olson, 1965, p. 29).

მ. ოლსონის თეორიის ერთ-ერთი, ინტუიციის საწინააღმდეგო, პროგნოზი იმაში მდგომარეობს, რომ ინტერესთა მცირე ჯგუფები გაცილებით უფრო ეფექტიანია სახელმწიფოს მხარდაჭერის მოპოვებაში, ვიდრე მსხვილი. ამ ჰიპოთეზის დადასტურებაა სახელმწიფოს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა მთელ მსოფლიოში. ღარიბ ქვეყნებში, სადაც სოფლის მეურნეობის სექტორი დიდია, ხოლო ქალაქის მცხოვრებთა - საშუალო კლასის წარმომადგენლების - ჯგუფი მცირე, ფერმერები თავიანთი პროდუქციის მცირე სუბსიდირებას იღებენ. მდიდარ ქვეყნებში, სადაც ფერმერები მთლიანი საშუალო ძალის უმცირეს წილს შეადგენენ, ისინი ხშირად იღებენ უდიდეს სუბსიდიებს. ვან ბასტელერი (van Bastelaer, 1998) აღწერს რიგ ეფექტიან სუბსიდიებს ფერმერებისთვის 1955-1980 წწ., დაწყებული განადან (26,9%) დამთავრებული შვეიცარიით (85,9%). ის გვთავაზობს ოლსონის ჰიპოთეზის ეკონომეტრიკულ დადასტურებას 31 ქვეყნის მონაცემების მიხედვით.

მ. ოლსონს ფორმალურად არ მოუხდენია იმის მოდელირება, თუ როგორ მოქმედებენ ინტერესთა ჯგუფები პოლიტიკურ პროცესში და როგორ ახდენენ გავლენას მის შედეგებზე. თუმცა ეს უკმარისობა შეავსეს სხვა მკვლევარებმა.

## 9.2. ინტერესთა ჯგუფების ქცევის მოდელები პოლიტიკაში

ინტერესთა ჯგუფი პოლიტიკურ პროცესში ერთვება თავისი წევრების საერთო ინტერესის დასაცავად. ამის მიღწევა მას შეუძლია კანდიდატებისთვის მოცემული ინტერესის შესახებ ინფორმაციის მიწოდებით, იმ კანდიდატისთვის ხმის მიცემით, რომელიც ჰპირდება ჯგუფის ინტერესების დაცვას არჩევნების შემდეგ, და, რაც მთავარია, უკანასკნელ წელს კანდიდატის დაფინანსებით. ინტერესთა ჯგუფების საქმიანობის ამ საში სახეობიდან, როგორც პოზიტიური, ასევე ნორმატიული თვალსაზრისით, ყველაზე საკამათოა ფულის გამოყენება პოლიტიკური პროცესის შედეგებზე ზეგავლენისთვის.

ერთ-ერთი ფორმულირების თანახმად, საარჩევნო კამპანიაში შენატანების/ხარჯების ერთადერთი მიზანია არჩევნების შედეგების განსაზღვრა. კანდიდატები წინასწარ აყალიბებენ თავიანთ პოზიციებს, ხოლო ინტერესთა ჯგუფები აფინანსებენ კანდიდატს, ვისი პოზიციაც ახლოსაა მათ უპირატესობებთან. არჩევნები გამარჯვებულ კანდიდატს/პოზიციას განსაზღვრავს წინასწარ დადგენილი ვარიანტების ნაკრებიდან. კამპანიის დაფინანსების ამგვარმა განმარტებამ მიიღო „პოლიტიკური ადამიანის“ თეორიის სახელწოდება (Welch, 1976), სადაც სპონსორები არჩეული კანდიდატების პოზიციების პასიური „მომხმარებლები“ არიან (Snyder, James M., Jr., “Campaign Contributions as Investments: The US House of Representatives 1980–86,” *Journal of Political Economy* 98, 1990, 1195–1227). სხვა შეხედულებით, სპონსორები განმარტებიან როგორც „ინვესტორები“, რომლებიც ყიდულობენ კანდიდატების პოზიციებს. ესაა „ეკონომიკური ადამიანის“ მოდელი პოლიტიკაში, როდესაც არსებობს სისტემა - „მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ“- ინტერესთა ჯგუფსა (რომელიც აფინანსებს საარჩევნო კამპანიას) და კანდიდატს შორის, რომელიც ჯგუფს „აწვდის“ თავის პოზიციას გარკვეული შემოსავლის ფასად (Welch, 1976). ამ ორი მოდელიდან რომელია უფრო ახლოს რეალობასთან?

### საინფორმაციო კამპანია დაუნსის მოდელში

ზოგიერთი ავტორი კამპანიის ხარჯებს განმარტავს როგორც რეკლამის ფორმას. ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, განასხვავებენ ინფორმაციულ და დამარწმუნებელ რეკლამას.

დაუნსის მარტივ მოდელში, ერთგანზომილებიანი  $x$  საკითხით, ინფორმაციულ პოლიტიკურ რეკლამას აქვს ბუნებრივი ინტერპრეტაცია - კანდიდატი ამომრჩევლებს აწვდის ინფორმაციას  $x$ -ის მიმართ თავისი პოზიციის შესახებ. თუ ინფორმირებული ამომრჩევლები ხმას აძლევენ კანდიდატს, რომელიც მათ იდეალურ წერტილთან ყველაზე ახლოს იმყოფება, ხოლო არაინფორმირებული ამომრჩევლები თავს იკავებენ, მაშინ თითოეულ კანდიდატს აქვს იმ ამომრჩეველთა ინფორმირების სტიმული, რომელთა იდეალური წერტილები ყველაზე ახლოსაა მის პოზიციასთან. ინფორმირებულ ამომრჩეველთა რიცხვის ზრდასთან ერთად, კანდიდატი, რომლის პოზიციაც ყველაზე ახლოსაა მედიანური ამომრჩევლის იდეალურ წერტილთან, იგებს ამომრჩეველთა დამატებითი ხმების მეტ წილს. ორივე კანდიდატის საინფორმაციო კამპანია ზრდის მედიანური ამომრჩევლის იდეალურ წერტილთან ახლოს მყოფი კანდიდატის მოგების ალბათობას, რაც ორივე კანდიდატს უბიძგებს, გადაინაცვლოს ამ მედიანური პოზიციისკენ.

თუ ორივე კანდიდატი ირჩევს მედიანური ამომრჩევლის იდეალურ წერტილს, ყველა ამომრჩევლისთვის სულ ერთი ხდება, ვინ გაიმარჯვებს. ასეთ სიტუაციაში არც ერთი ადამიანი ან ჯგუფი არ ჩადებს სახსრებს კანდიდატისთვის, მისი გამარჯვების შანსების გასაზრდელად. მედიანური ამომრჩევლის მარცხნივ მყოფ ჯგუფს გაუჩნდება  $L$  კანდიდატის დაფინანსების სტიმული, თუ ის გადაიწევს მარცხნივ. მაგრამ თუ  $L$  დატოვებს მედიანურ პოზიციას და ამის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის ყველა ამომრჩეველს, ის შეამცირებს თავისი გამარჯვების შანსებს. მარცხნივ მყოფთა შერჩევითი ინფორმირებულობა მიმზიდველი სტრატეგიაა, მაგრამ, სამწუხაროდ, მარჯვნივ მყოფ ჯგუფს სტიმული აქვს, ჩადოს სახსრები  $R$ -ში, თუ მას შეუძლია პოტენციური სპონსორების ინფორმირება. ამგვარად, დაუნსის გამარტივებულ სამყაროში, სადაც მხოლოდ ინფორმაციული კამპანიები არსებობს, რთულია „ეკონომიკური ადამიანის“ მოდელის აგება პოლიტიკაში. არც ერთ ჯგუფს არა აქვს ერთ-ერთი კანდიდატის ფონდში შენატანების გაკეთების სტიმული, თუ ორივე კანდიდატს ერთი და იგივე პოზიცია უკავია. არც ერთ კანდიდატს არა აქვს სტიმული, დატოვოს მედიანური პოზიცია თავისი კამპანიის დაფინანსების გაზრდის მიზნით, თუკი ერთადერთი, რაც შეიძლება გააკეთოს შეგროვილი

სახსრებით, ეს არის ამომრჩეველთა ინფორმირება იმის შესახებ, რომ მას არ უკავია მედიანური პოზიცია.

### **დამარწმუნებელი კამპანია დაუნსის მოდელში**

წმინდა ინფორმაციული პოლიტიკური რეკლამის მეშვეობით კანდიდატი ზრდის იმის ალბათობას, რომ ზოგიერთი ამომრჩეველი ხმას მისცემს მას, როდესაც ის მიაწვდის მათ ინფორმაციას თავისი პოზიციის შესახებ, მაგრამ ამცირებს მისთვის ზოგიერთი სხვა ამომრჩეველის ხმის მიცემის ალბათობას. სამომხმარებლო საქონლის რეკლამის ანალოგიის გამოყენებით, კამპანიის ჩატარებაზე ამგვარი ხარჯები შეგვიძლია განვსაზღვროთ როგორც ხარჯები დამარწმუნებელ კამპანიაზე.

როდესაც უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი კომპანია პოტენციურ მყიდველებს ინფორმაციას აწვდის იმაზე, რომ ის ყიდის ლიმონათს ლიმონის არომატით, ეს ზრდის იმის ალბათობას, რომ ის, ვისაც ასეთი არომატი უყვარს, ამ ლიმონათს იყიდის, მაგრამ ამცირებს მისი შეძენის ალბათობას იმ ადამიანების მიერ, ვინც უპირატესობას ანიჭებს ფორთოხლის, ალუბლის ან კოლის გემოს. მაგრამ როდესაც იგივე კომპანია ამტკიცებს თავის რეკლამაში, რომ მის სასმელს „საუკეთესო გემო აქვს“ ან „უკეთესია ყველა დანარჩენზე“, ამან შეიძლება გაზარდოს ყველა პოტენციური მომხმარებლის მიერ მისი შეძენის ალბათობა. იგივე შეიძლება სწორი იყოს პოლიტიკური რეკლამის გარკვეული სახეობების მიმართაც. ყველა მოქალაქეს ურჩევნია პატიოსანი პოლიტიკოსი - თაღლითს, კომპეტენტური პოლიტიკოსი - სულელს და ა.შ. პოლიტიკოსმა, რომელიც დაბეჯითებით ახდენს საკუთარი თავის რეკლამირებას, როგორც უფრო პატიოსანი ადამიანისა კონკურენტთან შედარებით, შეიძლება გაზარდოს თითოეული ამომრჩეველისგან მხარდაჭერის შანსები x ვექტორზე მისი პოზიციისგან დამოუკიდებლად.

### **9.3. საარჩევნო კამპანიების დაფინანსების მიზეზების და შედეგების ემპირიული კვლევები**

საარჩევნო კამპანიების დაფინანსების თეორიული მოდელები გვიჩვენებს სამი ტიპის პროგნოზებს:

1) კანდიდატებისთვის მიცემული ფულადი სახსრების ზომებზე გავლენას უნდა ახდენდეს წარსულში კანდიდატების მიერ სხვადასხვა საკითხების მიმართ დაკავებული პოზიციები, მათი იდეოლოგიური მოსაზრებები და, შესაძლოა, მათი უნარი, დაეხმარნენ ინტერესთა ჯგუფებს მომავალში;

2) დანახარჯებმა კამპანიის ჩატარებაზე უნდა გაზარდოს კანდიდატების მიერ მიღებული ხმების რიცხვი;

3) მოქალაქეთა წარმომადგენლების ფაქტობრივ ქცევაზე სხვადასხვა საკითხების მიმართ ხმის მიცემის დროს გავლენა უნდა იქონიოს საარჩევნო კამპანიის ჩატარებისთვის მათ მიერ ადრე მიღებული სახსრების ზომებმა და წყაროებმა.


პროგნოზების მეორე ჯგუფს განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს. თუ პოლიტიკური რეკლამა ვერ უზრუნველყოფს დამატებითი ხმების მიღებას, მაშინ არც ერთ კანდიდატს არა აქვს მისი გამოყენების საფუძველი და არც ერთ ინტერესთა ჯგუფს არა აქვს კანდიდატთა კამპანიის დაფინანსების საფუძველი.

კანდიდატების მიერ მიღებული ხმების რიცხვი წარმოადგენს წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებაზე მისი ხარჯების, მისი ოპონენტის კამპანიის ხარჯების და განსახილველ საკითხებზე მათი პოზიციების ფუნქციას. კავშირი ხარჯებსა და ხმების რაოდენობას შორის მგრძობიარეა მოცემული კანდიდატის ოპონენტის მახასიათებლების მიმართ. გარდა ამისა, ის შეიძლება დამოკიდებული იყოს თვით კანდიდატის პირად თვისებებზე და მისი საარჩევნო ოლქის მახასიათებლებზე. მაგალითად, პოლიტიკური რეკლამის მოცემული მოცულობის ეფექტიანობა შეიძლება იცვლებოდეს სხვადასხვა საარჩევნო ოლქებში მცხოვრებ მოქალაქეთა განათლების და შემოსავლების მიხედვით. კათოლიკე კანდიდატებმა შეიძლება დიდ წარმატებას მიაღწიონ ოლქებში, სადაც ამომრჩეველთა შორის კათოლიკეთა მნიშვნელოვანი წილია. კერძოდ, მოსალოდნელია, რომ კავშირი კანდიდატის საკუთარ ხარჯებსა და მის მიერ მიღებულ ხმებს შორის არაწრფივი აღმოჩნდეს. აქ ისევ მართებულია ანალოგია საარჩევნო კამპანიაზე დანახარჯებსა და სამომხმარებლო საქონლის რეკლამას შორის. „კოკა-კოლას“ რეკლამის მნიშვნელოვანი მიზანია მომხმარებელთა გაცნობა ფირმის სავაჭრო მარკასთან და მისი შემდგომი დამახსოვრება, რათა სწორედ ეს სახელწოდება ამოტივტივდეს პირველად მომხმარებლის ცნობიერებაში უალკოჰოლო სასმელის შეკვეთისას. მოსალოდნელია, რომ

ამ ტიპის რეკლამით უზრუნველყოფილი გაყიდვების მოცულობის გრაფიკს ექნება S-ის ფორმა. კერძოდ, დამატებითი რეკლამის მიერ მოზიდული ახალი მომხმარებლების რიცხვი შემცირდება, როდესაც მოსახლეობას მოყირჭდება სარეკლამო მოწოდებები. იგივეს უნდა ველოდეთ პოლიტიკური რეკლამის შემთხვევაშიც. ყველაზე რთული ამოცანა, რასაც აწყდებიან დამწყები პოლიტიკოსები, იმაში მდგომარეობს, რომ აიძულონ მოქალაქეები, დაიმახსოვრონ მათი სახელები. თუ ასეთი პოლიტიკოსი არ არის ყოფილი პრეზიდენტის შვილი ან ყოფილი მებრძოლი, ის იწყებს კარიერას S-ის ფორმის ფუნქციის ამოსავალი წერტილიდან (ნახ. 9.1). წინასაარჩევნო კამპანიის დასაწყისში ხარჯები უაღრესად პროდუქტიულია, ვინაიდან კანდიდატს საქმე აქვს იმ მოქალაქეებთან, ვინც მზადაა ხმა მისცეს მას მაშინვე, როგორც კი მის შესახებ რაიმეს გაიგებენ. მას შემდეგ, რაც მოქალაქეთა სულ უფრო მეტი რაოდენობა გაიგებს კანდიდატის გვარს და მის პოზიციას განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, ახალი ხმების რაოდენობა, კამპანიის წარმოებაზე დახარჯულ ერთ დოლარზე გაანგარიშებით, მცირდება და, როგორც ნახაზიდან ჩანს, Cz დონეზე შეიძლება ნულს მიაღწიოს.

მოცემული გრაფიკიდან ორი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ჯერ ერთი, ვინაიდან მრუდი ფაქტობრივად, არ ეცემა ვერტიკალურად ქვემოთ, კანდიდატს სტიმული აქვს, რომ დახარჯოს კამპანიის წარმოებისთვის მისთვის მიცემული მთელი ფული; მეორე, კანდიდატის წინაშე დგას მიზანი - შეაგროვოს ფულადი სახსრების ისეთი რაოდენობა, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ მიაღწიოს Cz წერტილს, სადაც ზღვრული უკუგება კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობის სახით ნულის ტოლია.





**ნახ. 9.1. კავშირი ხმების რაოდენობასა და კამპანიაზე დანახარჯებს შორის**

პოლიტიკურ და კომერციულ რეკლამას შორის ანალოგია ერთი მნიშვნელოვანი პროგნოზის გაკეთების საშუალებას იძლევა: რეკლამა უზრუნველყოფს არახელშესახები, შეუმჩნეველი კაპიტალის ზრდას. ფირმას, რომლის მარკაც დიდი ხანია ცნობილია (მაგალითად, „კოკა-კოლა“), ამ კაპიტალის შესანარჩუნებლად გაცილებით ნაკლები სახსრების დახარჯვა სჭირდება, ვიდრე საჭიროა ასეთი კაპიტალის შესაქმნელად ახალი სავაჭრო მარკის მქონე ფირმისთვის. ეს ასიმეტრია ქმნის „შესვლის ბარიერს“ სამომხმარებლო საქონლის ბაზრებზე და მნიშვნელოვან უპირატესობას აძლევს პოლიტიკოსებს, რომლებიც იმყოფებიან ხელისუფლებაში. თუ პრეტენდენტს აშშ-ის კონგრესში თავისი საარჩევნო კამპანია შეუძლია დაიწყოს გრაფიკის საწყისი წერტილის მახლობლად, პოლიტიკოსს, რომელსაც უკვე უკავია არჩევითი პოსტი, შეუძლია სტარტის აღება  $C_i$  წერტილიდან და ამით, პრეტენდენტთან შედარებით, მნიშვნელოვანი უპირატესობის მიღება.

**საარჩევნო კამპანიის დაფინანსების განმსაზღვრელი ფაქტორები**

საარჩევნო კამპანიის დაფინანსების დონესა და მიმართულებასთან დაკავშირებით შეიძლება სამი დასკვნის გაკეთება:

- 1) სკონსორი სახსრებს აძლევს იმ კანდიდატს, ვისი პოზიციაც ყველაზე ახლოსაა მის საკუთარ პოზიციასთან;

2) სპონსორი სახსრებს აძლევს იმ კანდიდატს, რომელიც მზადაა მიუახლოვოს თავისი პოზიცია იმას, რომელსაც უპირატესობას ანიჭებს სპონსორი;

3) შემოწირულობები კანდიდატის ფონდში მით უფრო მეტია, რაც უფრო მაღალია არჩევნებზე მისი გამარჯვების ალბათობა.

#### 9.4. ლობირება

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ინტერესთა ჯგუფების მხრიდან კონგრესმენტთა ლობირება ზოგჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი საარჩევნო კამპანიის დაფინანსება. გარდა ამისა, ინტერესთა ჯგუფები ლობისტურ საქმიანობაზე გაცილებით მეტ სახსრებს გამოყოფენ, ვიდრე კონგრესმენტთა საარჩევნო კამპანიის დაფინანსებისთვის ხარჯავენ. ამგვარად, ლობისტური საქმიანობა წარმოადგენს კიდევ ერთ ფაქტორს, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ხალხის წარმომადგენელთა მიერ ხმის მიცემაზე.

ლობირება, არსებითად, ინტერესთა ჯგუფებიდან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წევრებისათვის ინფორმაციის ცალმხრივად გადაცემას წარმოადგენს. თუმცა, ინტერესთა ჯგუფებს არა აქვთ საკუთარი უპირატესობების შესახებ ინფორმაციის ფალსიფიცირების სტიმულები (იმ გამონაკლისის გარდა, როდესაც ცდილობენ მათი ინტენსივობის გაზვიადებას), მაგრამ, გარკვეულ გარემოებებში, მათ შეიძლება ჰქონდეთ „საქმის ვითარების“ შესახებ არსებული ინფორმაციის დამახინჯების სტიმულები.

დავუშვათ, მაგალითად, რომ აშშ-ის რომელიმე შტატში ავტოსატრანსპორტის სიჩქარის შეზღუდვა უდრის 55 კმ/სთ-ს. სატვირთო ავტოგადაზიდვების ინდუსტრიისთვის ეს ნიშნავს 200 მლნ დოლარის ყოველწლიურ ხარჯებს, რასაც ის გაიღებს ტვირთების ტრანსპორტირებისთვის დროის დამატებითი დანახარჯების შედეგად. შტატის საკანონმდებლო ორგანოში სიჩქარის ზღვარის გაზრდის ლობირებით ავტოსატრანსპორტო ფირმები დეპუტატებს აწვდიან ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ამგვარი გადაწყვეტილების შედეგად მათი დარგი დამატებით მოგებას მიიღებს, ხოლო დეპუტატებს მოუტანს ამომრჩეველთა დამატებით ხმებს და შენატანებს მათი საარჩევნო კამპანიის ფონდში. მაგრამ დაინტერესებულმა ფირმებმა შეიძლება კანონმდებლებს წარუდგინონ მათი დარგის დანახარჯების შემცირების და ავტოსაგზაო შემთხვევათა დამახინჯებული „ფაქტები“, რათა უფრო მიმზიდველი გახადონ მათთვის სიჩქარის

გაზრდა. თუმცა თუ ავტოსატრანსპორტო ფირმები ყოველთვის ამახინჯებენ ფაქტებს, კანონმდებლებს არ ექნებათ მათი ინფორმაციის გათვალისწინების სტიმული. ვინაიდან ლობირება ფული ღირს, ფირმებს არ ექნებათ ლობისტური საქმიანობის სტიმული იმ შემთხვევაში, თუ მათი ძალისხმევა იგნორირებული იქნება. მაშასადამე, ფირმები დაინტერესებულნი არიან, საკანონმდებლო ორგანოსთვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდებით (ყოველ შემთხვევაში, ზოგჯერ მაინც), რათა მათ მიერ მიწოდებული ინფორმაცია გათვალისწინებულ იქნეს გადაწყვეტილების მიღებისას. ამგვარად, როდესაც ფაქტობრივ ინფორმაციას შეუძლია შეცვალოს საკანონმდებლო ორგანოს პოლიტიკა ინტერესთა კონკრეტული ჯგუფისთვის სასურველი მიმართულებით, ეს ჯგუფი ზოგჯერ დაინტერესებულია სწორი ინფორმაციის მიწოდებით ლობისტური საქმიანობის მეშვეობით.

თუ ავტოსატრანსპორტო ფირმები ელიან, რომ საკანონმდებლო ორგანო გაზრდის დასაშვები სიჩქარის ზღვარს მათი ლობირების გარეშე, ან, ვთქვათ, უსაფრთხოების მოსაზრებებით, უფრო დაბალ სიჩქარეს ამჯობინებენ, ისინი, ცხადია, არ დაიწყებენ ამ ცვლილების ლობირებას, ვინაიდან ლობირება ფულად დანახარჯებს გულისხმობს.

ამგვარად, როგორც ეკონომიკის რომელიმე დარგის ფირმათა ლობისტურ საქმიანობას, ასევე ასეთი საქმიანობის არარსებობას კანონმდებელთა ზუსტი ინფორმაციით უზრუნველყოფა შეუძლია. ლობისტური საქმიანობის მოდელირების მეშვეობით გამოვლინდა, რომ ინტერესთა ჯგუფებს ხშირად აქვთ მართალი ინფორმაციის გადაცემის სტიმული და ლობირება საპირისპირო ინტერესების მქონე ჯგუფების მიერ, როგორც წესი, აუმჯობესებს საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებული ინფორმაციის ხარისხს.

## 9.5. ინტერესთა ჯგუფების საქმიანობის გავლენა კეთილდღეობაზე

დ. მიულერის მიხედვით, „ყოველწლიურმა ხარჯებმა იმ საკითხის გადაწყვეტაზე, თუ ვინ დაიკავებს სახელმწიფო თანამდებობებს აშშ-ში და როგორ მოიქცევიან ეს ადამიანები, სრულიად შესაძლებელია მიაღწიოს 10 მლრდ დოლარს“ (Mueller, 2008, p. 497). აუმჯობესებენ თუ აუარესებენ ეს ხარჯები სახელმწიფოს დემოკრატიულ მართვას? მოაქვს თუ არა უკეთესი პოლიტიკური შედეგები შენატანებს კანდიდატთა ფონდებში და ბიზნესმენების, დარგობრივი და პროფესიული ასოციაციების, პროფკავშირების თუ სხვა

ჯგუფთა ლობისტურ ძალისხმევას? სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინტერესთა ჯგუფების საქმიანობის მეშვეობით, ვუახლოვდებით თუ არა საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციის (სკვ) (social welfare function (SWF)) მაქსიმალურ მნიშვნელობას?

ამ კითხვაზე პასუხისთვის განვიხილოთ მარტივი მაგალითი. დავუშვათ, ყოველ  $i$  ინდივიდს აქვს სარგებლიანობის ამოხსნეილი ფუნქცია  $U_i(x)$ , რომელიც განსაზღვრულია ერთგანზომილებიანი  $x$  საკითხის მიმართ. დავუშვათ  $x_i$   $x$ -ის ისეთი მნიშვნელობაა, რომლის დროსაც  $U_i(x)$  აღწევს თავის მაქსიმალურ მნიშვნელობას -  $i$  ინდივიდის იდეალურ წერტილს. მაშინ, თუ ჩვენი სკვ წარმოადგენს „ბენტამისეულ“ ფუნქციას:

$$W = \alpha_1 U_1 + \alpha_2 U_2 + \dots + \alpha_i U_i + \dots + \alpha_n U_n,$$

მაშინ  $x = x_{sw}$  - ის ოპტიმალური მნიშვნელობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობას:

$$\alpha_1 U'_1 + \alpha_2 U'_2 + \dots + \alpha_n U'_n = 0,$$

სადაც  $\alpha_i$  არის  $i$ -ური ამომრჩევლის სარგებლიანობის დადებითი წონა მოცემულ სკვ-ში.

არ უნდა ველოდეთ, რომ  $x_{sw}$  დაემთხვევა  $x_m$ -ს - მედიანური ამომრჩევლის იდეალურ წერტილს და იმ შედეგს, რომელიც მიიღებოდა იმ შემთხვევაში, თუ ორი კანდიდატი ამომრჩეველთა ხმებისთვის იბრძოლებდა თავის ფონდში შენატანების მიზიდვის გარეშე. უკანასკნელი განტოლებიდან გამომდინარეობს, რომ  $x$ -ის საზოგადოებისთვის ოპტიმალური მნიშვნელობა გადაადგილდება  $x_m$ -სგან იმ ამომრჩეველთა იდეალური წერტილების მიმართულებით, რომლებსაც აქვთ ან  $\alpha_i$  -ის მაღალი მნიშვნელობები, ან მაღალი ზღვრული სარგებლიანობა  $x$  დოვლათის რაოდენობის ცვლილებიდან. თუ დავუშვებთ, რომ იმ ჯგუფებს, რომლებიც სარგებლიანობის ყველაზე მაღალ ნამეტს იღებენ  $x$ -ის მნიშვნელობის  $x_m$ -სგან დაშორებით, ყველაზე მეტი შენატანები შეაქვთ კანდიდატთა საარჩევნო კამპანიის ფონდში და ლობისტური საქმიანობისთვის ყველაზე მეტ რესურსებს გამოყოფენ, მაშინ ხარჯები საარჩევნო კამპანიის წარმართვაზე და ლობისტურ საქმიანობაზე შეიძლება გამართლებული იყოს ნორმატიული თვალსაზრისით, რადგან იგი საზოგადოების არჩევანს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ოპტიმუმთან აახლოვებს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მ. ოლსონის მიერ გამოკვლეულ განსხვავებებს სხვადასხვა ჯგუფების რესურსებსა და ორგანიზაციულ შესაძლებლობებში, საარჩევნო კამპანიების დაფინანსების და ლობისტური საქმიანობის შედეგები ნაკლებად

მიმზიდველი იქნება. საზოგადოების მიერ არჩეული x-ის მნიშვნელობა გადაადგილდება x-ის იმ რაოდენობის მიმართულებით, რომელიც უპირატესია ყველაზე ორგანიზებული და ფინანსურად უზრუნველყოფილი ინტერესთა ჯგუფებისთვის.

ლობირების და საარჩევნო კამპანიის ხარჯები არა მარტო, უბრალოდ, გავლენას ახდენს x-ის მნიშვნელობის არჩევაზე, არამედ იწვევს რესურსების დამატებით დანახარჯებს ამ პროცესის მსვლელობისას. ამ თვალსაზრისით, ინტერესთა ჯგუფების საქმიანობა მხოლოდ რენტის ძიების კიდევ ერთ ფორმას წარმოადგენს. რენტის წმინდა ძიების მოდელში ინტერესთა ჯგუფებს შორის კონკურენცია მიმდინარეობს რენტული სამკუთხედისთვის, რომელსაც წარმოშობს მონოპოლიური ძალაუფლება. ეს რენტა წარმოადგენს ერთი ჯგუფის - მომხმარებელთა - დაკარგულ სარგებლიანობას, რომელიც გადაეცემა სხვა ჯგუფს - მონოპოლიის მფლობელს. როდესაც კანდიდატთა კამპანიის დაფინანსება და ლობისტური საქმიანობა პოლიტიკური პროცესის შედეგების ცვლილებას, ესე იგი, x-ის მნიშვნელობის ცვლილებას იწვევს, აგრეთვე ხდება ერთი ჯგუფიდან მეორისთვის სარგებლიანობის გადაცემა და ამ გადაცემაზე რესურსების დანახარჯები პოტენციური დანაკარგებია.

განვიხილოთ მატრიცა. სიმარტივისთვის დავუშვათ, რომ ყოველ კანდიდატს აქვს მხოლოდ ორი ვარიანტი - შეაგროვოს სახსრები თავისი კამპანიის ფონდში და მთლიანად დახარჯოს, ან არ შეაგროვოს და არ დახარჯოს არავითარი თანხები. თუ ორივე კანდიდატი არაფერს ხარჯავს, მოქმედი დეპუტატი იღებს ამომრჩეველთა ხმების 65%-ს. თუ მოქმედი დეპუტატი არაფერს ხარჯავს, ხოლო პრეტენდენტი ქმნის ფონდს და ხარჯავს მას, მაშინ მას შეუძლია გაზარდოს თავისი გამარჯვების შანსები და დაიყვანოს იგი 50/50-ზე. მაგრამ თუ ორივე კანდიდატი ხარჯავს სახსრებს, პრეტენდენტის შანსები კვლავ მცირდება 35/65-მდე. მოცემულ მატრიცას აქვს „პატიმრების დილემის“ კონფიგურაცია და შედეგი: ორივე კანდიდატი ირჩევს დომინირებად სტრატეგიას - აგროვებს და ხარჯავს ფულს მიუხედავად იმისა, რომ ეს ხარჯები არავითარ გავლენას არ ახდენენ არჩევნების შედეგზე.

		პრეტენდენტი			
		ხარჯავს მთელ სახსრებს		არ ხარჯავს არავითარ სახსრებს	
მოქმედი წარმომადგენელი	ხარჯავს მთელ სახსრებს	65	35	75	25
	არ ხარჯავს არავითარ სახსრებს	50	50	65	35

ცხადია, უფრო სავარაუდოა, რომ ორივე კანდიდატის ხარჯები მათი გამარჯვების ალბათობას შეცვლის, მაგრამ უმნიშვნელოდ (მაგალითად, უჯრაში „ხარჯავს/ხარჯავს“ იქნება რიცხვები 62 და 38). ამიტომ საზოგადოებისთვის უფრო ხელსაყრელი იქნება, თუ არც ერთი კანდიდატი არ დახარჯავს სახსრებს. იმის გათვალისწინებით, რომ გადარჩეული მოქმედი დეპუტატების წილი აშშ-ის წარმომადგენლობით პალატაში 97%-ს აღწევს და სენატში 90%-ს აჭარბებს, პრეტენდენტების შანსების მკვეთრი შემცირება მათი ხარჯების შემცირების შემთხვევაში უბრალოდ შეუძლებელია.

ანალოგიური დასკვნის გაკეთება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ განვიხილავთ ხარჯების გავლენას არა წარმომადგენელთა შეცვლის შესაძლებლობაზე, არამედ პოლიტიკური შედეგების ცვლილების შესაძლებლობაზე. თუ ინტერესთა ჯგუფები განლაგებულნი არიან მედიანური ამომრჩევლის იდეალური წერტილის ორივე მხარეს, მათი ძალისხმევა x-ის მნიშვნელობის შესაცვლელად ნაწილობრივ გააწონასწორებს ერთმანეთს. ზუსტად ასევე Coca-Cola-ს და Pepsi-Cola-ს სარეკლამო კამპანიები მნიშვნელოვნად „აქრობენ“ ერთმანეთს და ორივე ფირმის წილები ბაზარზე თითქმის უცვლელი რჩება. მაგრამ პოლიტიკურ ბაზარზე სახსრების მეტისმეტი ხარჯვის ტენდენცია უფრო ძლიერაა გამოხატული, ვიდრე კერძო საქონლის ბაზრებზე. როდესაც Coca-Cola და Pepsi-Cola სარეკლამო კამპანიას ატარებენ, ისინი ხარჯავენ ფულს, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო აქციონერთა დივიდენდების ან მენეჯერთა ხელფასების გასაზრდელად. ამ თანხებისთვის არსებობს ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების

ხარჯები. მაგრამ როდესაც კანდიდატები ხარჯავენ ინტერესთა ჯგუფების სახსრებს, ისინი ხარჯავენ ფულს, რომელსაც სხვა გამოყენება არა აქვს. ისინი ხარჯავენ სხვების ფულს და, ცხადია, დაინტერესებულნი არიან, დახარჯონ მთელი მიღებული თანხა მანამდე, სანამ ზღვრული უკუგება ამ დანახარჯებიდან უარყოფითი არ გახდება. 1997-1998 წლების ელექტორალურ ციკლში აშშ-ის კონგრესის წევრობის კანდიდატების კამპანიაზე დაიხარჯა ორჯერ მეტი თანხები, ვიდრე 1981-1982 წლებში. 1988 წ. საარჩევნო კამპანიებზე დაიხარჯა 6-ჯერ მეტი თანხა, ვიდრე 1976 წ. უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში პოლიტიკურ კამპანიებზე დახარჯული სახსრების ზრდა ბადებს კითხვას - უზრუნველყო თუ არა მან დემოკრატიული პროცესების ხარისხის პროპორციული ამაღლება აშშ-ში ან სხვა ქვეყნებში?


## 9.6. რენტის ძიების თეორია

**პოლიტიკური რენტის ძიება (political rent seeking)** - ეს არის ეკონომიკურ აგენტთა მისწრაფება, მიიღონ ეკონომიკური რენტა პოლიტიკური პროცესის მეშვეობით. ეკონომიკური აგენტები ცდილობენ მოიპოვონ განსაკუთრებული უპირატესობა, ჩააყენონ სახელმწიფოს მაიმულელებელი ძალა კერძო ინტერესების სამსახურში.

მთავრობის ჩინოვნიკები ისწრაფვიან მიიღონ მატერიალური სარგებლობა როგორც მთელი საზოგადოების, ისე ცალკეული პირების ხარჯზე. ბიუროკრატები პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობით ხელს უწყობენ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მათ საზოგადოების ხარჯზე ეკონომიკური რენტის მიღების გარანტიას აძლევს. პოლიტიკოსები დაინტერესებულნი არიან ისეთი გადაწყვეტილებებით, რომელიც უზრუნველყოფს აშკარა და დაუყოვნებელ მოგებას და მოითხოვს ფარულ, ძნელად განსასაზღვრავ ხარჯებს. ასეთი გადაწყვეტილებები ხელს უწყობს პოლიტიკოსების პოპულარობის ზრდას არჩევნების წინ, მაგრამ, როგორც წესი, ეკონომიკურად არაეფექტიანია.


პოლიტიკური რენტა დაკავშირებულია ეკონომიკაში სახელისუფლო უფლებამოსილებათა გამოყენებასთან, კონკურენციის ხელოვნურ შეზღუდვასთან. თუმცა კონკურენცია ამით არ ქრება, არამედ საკუთრივ საბაზრო სფეროდან გადადის სახელმწიფოზე ზეგავლენის სფეროში, ეკონომიკური სფეროდან - პოლიტიკურში (ნახ.

9.2). ახლა უკვე დამატებითი ხარჯები მიემართება არა ეკონომიკური დოვლათის სრულყოფისკენ, არამედ პოლიტიკური საქმიანობისკენ: პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, ლობირება, მოსყიდვა და ა.შ.



### ნახ. 9.2. კონკურენციის სხვადასხვა როლი

რენტის ძიების პრობლემა პირველად განიხილა გ. ტალოკმა (Таллок, 2004). თვით ტერმინი „რენტის ძიება“ პირველად გამოიყენა ე. კრუგერმა. რენტის ძიების კლასიკური მოდელი საკმაოდ მარტივია და ეფუძნება წმინდა მონოპოლიის მოდელს (ნახ. 9.3). ნახაზზე გამოსახულია მოთხოვნა მონოპოლიზირებულ პროდუქტზე. თუ მონოპოლია აწესებს  $P_m$  ფასს  $P_c$  კონკურენტული ფასის ნაცვლად, და აწარმოებს  $Q_m$ -ს  $Q_c$ -ის ნაცვლად, წარმოიქმნება მონოპოლიური (პოლიტიკური) რენტის მართკუთხედი  $R$ , რომელიც მიიღება სამომხმარებლო ნამეტის ხარჯზე, აგრეთვე სამკუთხედი  $L$ , რომელიც აღნიშნავს მონოპოლიის საზოგადოებრივ დანაკარგებს რენტის ძიების გამო. ეს ნამეტი იარსებებდა სრულყოფილი კონკურენციის შემთხვევაში, მაგრამ იკარგება მონოპოლიის დროს.



ნახ. 9.3. საზოგადოებრივი დანაკარგები მონოპოლიისგან რენტის ძიების შემთხვევაში



## პოლიტიკოსთა რენტორიენტირებული ქცევის შესახებ: სერიოზულად და ღიმილით

XIX საუკუნის ფრანგმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ოდესღაც მწუხარებით შენიშნა: „რაც უფრო მეტ ხალხს რჩეულებს ვხვდები, მით უფრო მეტად მიყვარს ჩემი ძაღლები“. ეკონომისტებს, რომლებიც საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის პრობლემებს სწავლობენ, ასევე არა აქვთ ილუზიები წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებში პოლიტიკოსთა მორალურ სახესთან დაკავშირებით. მათი აზრით, პოლიტიკოსთა საქმიანობის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს მათი მისწრაფება პირადი სარგებლობის - პოლიტიკური რენტის - მიღებისაკენ. რა ფორმები შეიძლება მიიღოს ამ პოლიტიკურმა რენტამ?

ყველაზე ადვილია პოლიტიკური შემოწირულობების მითვისება. მაგალითად, 1965 წ. აშშ-ის სენატში ფართოდ გახმაურდა დემოკრატი სენატორის ტ. დოდის საქმე. საჯარო სადილების დროს შეგროვებული ნახევარი მილიონი დოლარის შენატანები მან დახარჯა არა პოლიტიკურ საქმიანობაზე, არამედ თავისი საშემოსავლო გადასახადის გადასახდელად, საკუთარი სახლის რემონტზე და, უბრალოდ, კლუბებსა და რესტორნებში. გამოძიების დროს (რომელიც, სხვათა შორის, ინიცირებული იყო არა მისი კოლეგა-სენატორების, არამედ სკანდალური სენსაციების მოყვარული ჟურნალისტების მიერ) ამ სენატორმა ამაყად განაცხადა, რომ „არაფერი ამორალური და არაკანონიერი“ არ ჩაუდენია, რადგან არც ერთ მჩუქებელს შემოწირული ფული უკან არ მოუთხოვია. ვინაიდან სენატის ეთიკის კომიტეტი ანგარების მოყვარული სენატორის მიმართ მხოლოდ გაკიცხვით შემოიფარგლა, როგორც ჩანს, მისი კოლეგების უმრავლესობა მსგავსად იქცეოდა.

პოლიტიკური რენტის სხვა ტიპური სახეობაა ჰონორარები ლექციებისა და პუბლიკაციებისთვის, რომელსაც უხდიან ხალხის რჩეულებს. მაგალითად, რუსეთში ცნობილი გახდა ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ მიიღო ვიცე-პრემიერმა ა. ჩუბაისმა 100 ათასი დოლარი პრივატიზაციის შესახებ დაწერილი წიგნის ერთი თავისთვის. პოლიტიკური მოღვაწეები ხშირად იღებენ ჰონორარებს, რომელიც ნობელის პრემიის ლაურეატებსაც კი არ დაესიზმრებათ. ზოგიერთი შეფასებით, 1960-იან წლებში აშშ-ის სენატორთა მთელი ჰონორარების დაახლოებით ნახევარი უშუალოდ სავაჭრო ასოციაციებიდან და სხვა ლობისტური ჯგუფებიდან შემოდიოდა.

ამჟამად, პოლიტიკური რენტის ძიების ეპიცენტრმა აშკარად გადაინაცვლა განვითარებულიდან განვითარებადი ქვეყნებისკენ. ყველა დროის ყველაზე გამოჩენილ პოლიტიკოს-ხაზინის ქურდად უნდა ჩაითვალოს ფილიპინების ყოფილი პრეზიდენტი ფერდინანდ მარკოსი. თავისი მმართველობის ოცი წლის განმავლობაში მან მიიტაცა, ყველაზე მოკრძალებული შეფასებით, 5 მლრდ დოლარი. არსებობს პოლიტიკური რენტამდიებლობის ამ რეკორდსმენის მიღწევების კიდევ უფრო შთამბეჭდავი შეფასებები: 1994 წ. ბრიტანული ტელეკომპანიის მიერ ჩატარებული გამოძიების თანახმად, მარკოსმა მოიპარა 1200 ტონა ოქრო, რაც აშშ-ის ოქროს მარაგის 15%-ის ანუ კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე მოპოვებული მთელი ოქროს 1%-ის ტოლია!

მაგრამ არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოსდა რენტორიენტირებული ქცევა მხოლოდ ფულადი ნიშნებისადმი ტრივიალურ გამოდევნებაზე დადის. ნებისმიერი ეკონომისტი აღიარებს, რომ სარგებლიანობის მაქსიმიზაცია, ფულადი შემოსავლების გაზრდასთან ერთად, მოიცავს, აგრეთვე, პრესტიჟის ამღლებას და სხვა არამატერიალურ დოვლათსაც. სწორედ პოლიტიკური ავანსცენა სთავაზობს ყველაზე კეთილსასურველ პირობებს პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებისათვის. მოვიტანთ რამდენიმე საინტერესო ისტორიას, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ არა მხოლოდ ფულისთვის ცხოვრობენ პოლიტიკოსები.

მაგალითად, 2000 წ. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ ალბერტ გორის დენვერში (კოლორადოს შტატი) ვიზიტის დროს დაგეგმილი იყო მისი სამახსოვრო ფოტოგრაფირება ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტასთან ერთად. გადაღებები უნდა მომხდარიყო მდინარის პირას, რომელიც, თითქოს ჯიბრზე, ძლიერ გათავთხელდა და ვერ უზრუნველყოფდა პეიზაჟის საჭირო სილამაზეს. მაშინ წყალმომარაგების საქალაქო დეპარტამენტის უფროსმა ჰამლეტ ბერი III-მ უბრძანა, მდინარეში ჩაეშვათ ქალაქის რეზერვუარების სასმელი წყალი. შედეგად, დენვერის პოლიტიკოსებმა მიიღეს ლამაზი ფოტოგრაფია, ხოლო ქალაქის ბიუჯეტიდან გაქრა 60 ათასი დოლარი.

ჯონ კენედიმ, როდესაც 1961 წ. აშშ-ის პრეზიდენტი გახდა, თავისი უმცროსი ძმა - რობერტ კენედი ქვეყნის გენერალურ პროკურორად დანიშნა. როდესაც ზოგიერთებმა დაიწყეს უკმაყოფილების გამოხატვა, თუ იურისპრუდენციაში რა დიდი დამსახურებებისთვის მიიღო გუშინდელმა სტუდენტმა ასეთი მაღალი პოსტი, პრეზიდენტმა იუმორით უპასუხა: „ვერ ვხედავ ვერაფერს ცუდს იმაში, რომ ბობის გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობა მივცეთ, სანამ ის კერძო პრაქტიკას დაიწყებს“.

უფრო ცნობილ ამერიკელ პრეზიდენტს ფრანკლინ რუზველტს ჰყავდა საყვარელი ძაღლი, რომელიც აშშ-ის ბიუჯეტს ძვირად დაუჯდა. მის გასეირნებებს პირადად ადევნებდნენ თვალს პრეზიდენტის მცველი გვზ-ის აგენტები. ეს კიდევ არაფერია. 1944 წ. „საშინელება მოხდა“: ალეუტის კუნძულებზე რუზველტის ვიზიტის დროს ტერიერი დაიკაგა და მის სამებნად გადაისროლეს (ომის დროს!) თვითმფრინავები და მზვერავთა ჯგუფები, რაც ხაზინას არა ერთი მილიონი დოლარი დაუჯდა. როდესაც ყველგან მყოფმა მეგაზეთეებმა ამ ისტორიის გაზვიადება დაიწყეს, პრეზიდენტმა შემდეგნაირი რეაგირება მოახდინა: „მე პროტესტს ვაცხადებ ცრუ და ცილისმწამებლური მტკიცებების წინააღმდეგ, რომელიც ეხება ჩემი ძაღლის ღირსებას“.

პრიუს რენტის „მოპოვების“ ყველაზე ორიგინალური ხერხისთვის, ალბათ, მიიღებდა ჯეიმს მაკენდრიუ, ქალაქ ოტაგოს მერი ახალ ზელანდიაში შორეულ 1871წელს. ისე მოხდა, რომ ვალების გადაუხდელობის გამო სასამართლომ მერს ორი თვით სავალო პატიმრობა მიუსაჯა. მაკენდრიუმ მაშინვე გამოსცა დადგენილება: ჩათვლილიყო მისი საკუთარი სახლი ქალაქის ციხედ, სადაც მან „მოიხადა“ კიდევ საჭირო ვადა მაქსიმალური კომფორტით. გონებამახვილობაც ამას ჰქვია!

მონოპოლიის ტრადიციულ განმარტებაში L სამკუთხედი ითვლება ეფექტიანობის დაკარგვის საზომად მონოპოლიის გამო, ხოლო R - მონოპოლიზირებული პროდუქტის ან მომსახურების მომხმარებლებიდან მწარმოებლებისკენ შემოსავლის წმინდა გადანაწილებად. დავუშვათ, რომ მონოპოლია შექმნილია და დაცულია მთავრობის მიერ. მაგალითად, განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც რომელიმე ავიაკომპანია იღებს მონოპოლიურ უფლებას ორ ქალაქს შორის ფრენების განხორციელებაზე. თუ ასეთი ავიაკომპანია, რომელიც უზრუნველყოფს ფრენებს ერთი და იგივე მარშრუტით, ქვეყანაში რამდენიმე იქნებოდა, მაშინ R, ან R-ის მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება იქნებოდა პრიზი იმ ავიაკომპანიისთვის, რომელიც წარმატებით დაარწმუნებდა მთავრობას, მოცემულ მარშრუტზე მონოპოლიური უფლება სწორედ მისთვის ეჩუქებინა. თუ ავიაკომპანიები შეძლებდნენ დამატებითი რესურსების ინვესტირებას და მონოპოლიური უფლების მიღების ალბათობის გაზრდას, ისინი უეჭველად ასე მოიქცეოდნენ. გ. ტალოკის თავდაპირველმა კვლევამ აჩვენა, რომ ამ ინვესტირებულმა რესურსებმა შეიძლება შეადგინოს მონოპოლიისგან საზოგადოებრივი დანაკარგები დამატებით L სამკუთხედზე.

ჟ. ბიუქენენი გამოყოფს რენტის ძიებასთან დაკავშირებულ სამი ტიპის დანახარჯებს:

- 1) პოტენციურ მონოპოლისტთა ხარჯები;
- 2) ბიუროკრატების ძალისხმევა, რომლებიც ცდილობენ პოტენციურ მონოპოლისტთა ხარჯები გადააქციონ თავიანთ შემოსავლებად;
- 3) დამახინჯებები მესამე მხარისათვის, რომლებიც აღმოცენდება წარმოქმნილი მონოპოლიების შედეგად ან სახელმწიფოს საქმიანობის შედეგად, რომელიც მიმართულია პოლიტიკური რენტის ძიებისკენ (Buchanan, 1980, p. 12–14).

დანახარჯების თითოეული ამ ტიპის ილუსტრაციისთვის წარმოვიდგინოთ, რომ ავიაკომპანიებმა დაიქირავეს ლობისტები იმ ჩინოვნიკების მოსყიდვისთვის, რომლებიც ანაწილებენ მარშრუტებს. ცნობილი ხდება, რომ სამთავრობო ჩინოვნიკის შემოსავალი ივსება ქრთამის ხარჯზე და, ამგვარად, უფრო დაბალი დონის ჩინოვნიკები ახდენენ დროის ინვესტირებას ავიაგადაზიდვების შესწავლაზე, რათა გაზარდონ ასეთი პოზიციის მიღების საკუთარი შანსები. ბოლოს, წარმოვიდგინოთ, რომ მონოპოლიის შექმნიდან

მთავრობის დამატებითი საგადასახადო შემოსავლები იწვევს კონკურენციას ინტერესთა სხვა ჯგუფებს შორის დოტაციებისთვის ან საგადასახადო შეღავათებისთვის. ავიაკომპანიების ლობისტური ძალისხმევა წარმოადგენს პირველი ტიპის საზოგადოებრივ დანაკარგებს. ბიუროკრატების დამატებითი ძალისხმევა, რომლებიც ცდილობენ დაწინაურებას - მეორე ტიპის მაგალითია (ივარაუდება, რომ ისინი არ აუმჯობესებენ მარშრუტების განაწილების პროცესს, რაც გონივრული დაშვებაა, როდესაც ჯილდო განისაზღვრება ქრთამით). ინტერესთა სხვა ჯგუფების ხარჯები გენერირებული დამატებითი საგადასახადო შემოსავლების მიღების მიზნით, წარმოადგენს მესამე ტიპის საზოგადოებრივ დანაკარგებს. აღსანიშნავია, რომ ქრთამი, თავისთავად, არ მიეკუთვნება საზოგადოების დანაკარგებს. თუ ავიაკომპანიას შეეძლებოდა მონოპოლიური პოზიციის მიღება უბრალოდ ქრთამის შეთავაზებით და ეს ქრთამი სრულიად უდანახარჯოდ გადაეცემოდა სამთავრობო ჩინოვნიკს, რომელიც ანაწილებს მარშრუტებს, მაშინ ქრთამი არ შექმნიდა არავითარ საზოგადოებრივ დანაკარგებს. ის იქნებოდა, უბრალოდ, კიდევ ერთი გადამანაწილებელი ტრანსფერი ავიაკომპანიის მგზავრებიდან ავიაკომპანიის მემწეობით სამთავრობო ჩინოვნიკისკენ. საზოგადოებრივი დანაკარგები ქრთამის გადაცემიდან გამოდიან როგორც ამ გადაცემის ტრანსაქციური ხარჯები, ლობისტური ორგანოების გასამრჯელო და იმ ბიუროკრატების დახარჯული დრო და ფული, რომლებიც კონკურირებენ იმ პოსტების დასაკავებლად, რომლებიც ქრთამის აღების საშუალებას იძლევა.

რენტის ძიების საშუალებები მრავალფეროვანია. მაგალითად, იგი შეიძლება განხორციელდეს:

- გამოშვების მოცულობის და ფასების რეგულირების მემწეობით, რაც იწვევს მონოპოლიური ძალაუფლების ზრდას;
- ტარიფების და ქვოტების მემწეობით, რაც ხელს უწყობს კონკურენციის შეზღუდვას.

**ლიტერატურა:**

- Buchanan J.M.** Rent-Seeking and Profit Seeking // Toward a Theory of the Rent-Seeking Society / Ed. By J.M. Buchanan, D. Tollison, G. Tullock. College Station: Texas A&M University Press, 1980.
- Grossman G., Helpman E.** "Electoral competition and special interest politics," *Review of Economic Studies*. Vol. 63, Issue 2. 1996, p. 265-286. <http://people.bu.edu/dilipm/ec722/papers/30-grossmanhelpman.pdf>
- Mueller D.** Public choice III. New York: Cambridge University Press, 2008. Ch. 15, 20, pp. 333-358, 472-500.
- Olson M., Jr.**, *The Logic of Collective Action*, Cambridge, MA: Harvard University Press, 1965.
- Persson T., Tabellini G.**, *Political economics. Explaining Economic Policy*, MIT Press, 2000. Ch. 7. P. 159-200.
- Samuels W., Mercurio N.** *A Critique of Rent-Seeking Theory // Neoclassical Political Economy: The Analysis of Rent-Seeking and DUP Activities*. Ed. by D.C. Colander, Cambridge: Ballinger, 1984. P. 56-57.
- Tollison R.** *Rent Seeking // Perspectives on Public Choice: A Handbook*. Ed. by D. Mueller, New York: Cambridge University Press, 1997. P. 506-525.
- van Bastelaer, Thierry**, "The Political Economy of Food Pricing: An Extended Test of the Interest Group Approach," *Public Choice* 96, July 1998, 43-60.
- Welch, William P.**, "The Effectiveness of Expenditures in State Legislative Races," *American Politics Quarterly* 4, July 1976, 333-356.
- Welch, William P.**, "The Allocation of Political Monies: Economic Interest Groups," *Public Choice* 35(1), 1980, 97-120.
- Мюллер Д.** *Общественный выбор III*. М.: Институт Экономическая школа ГУ-ВШЭ, 2007, Гл. 15, 20. С. 449-482, 627- 670.
- Нуреев Р. М.** *Теория общественного выбора*. М.: Издательский дом ГУ- ВШЭ, 2005, гл. 9. С. 372-384.
- Олсон М.** *Логика коллективных действий. Общественные блага и теория групп*. М.: Фонд Экономической Инициативы, 1995 [1971], гл. 6, с.124-156.
- Олсон М.** *Возвышение и упадок народов. Экономический рост, стагфляция, социальный склероз*. Новосибирск, 1998.
- Павроз А. В.** *Теория политического плюрализма: сущность, противоречия, альтернативы*. СПб., 2009.
- Павроз А. В.** *Соискание ренты как категория политического анализа // Вестник Московского университета. Серия 12. Политические науки*. 2009. № 2. С. 84-94.
- Таллок Г.** *Соискание ренты // Экономическая теория / Под ред. Дж. Итуэлла, М. Милгейта, П. Ньюмена*. М., 2004. С. 741-747.

## თემა 10. პოლიტიკური ეკონომია და საზოგადოებრივი პოლიტიკა

### 10.1. სახელმწიფოს ზომები. „ლევიათანის საფრთხე“

როგორ ახორციელებენ პოლიტიკური პროცესის სუბიექტები თავიანთ ეკონომიკურ და საზოგადოებრივ პოლიტიკას? რას წარმოადგენს პოლიტიკური ეკონომია პრაქტიკაში?

სახელმწიფო ხარჯების და ბიუროკრატიული აპარატის ზრდამ XX საუკუნეში გამოიწვია სახელმწიფო სექტორის მეტისმეტად გაფართოება. ამ მოვლენას ჯ. ბიუქენენმა „ლევიათანის საფრთხე“ უწოდა. როგორც ცნობილია, ბაზრის „ჩავარდნები“ დაკავშირებულია ოთხი ტიპის არაეფექტიან სიტუაციასთან: 1) მონოპოლია, 2) არასრულყოფილი (ასიმეტრიული ინფორმაცია), 3) გარე ეფექტები, 4) საზოგადოებრივი დოვლათი. სახელმწიფო ცდილობს გაუმკლავდეს ბაზრის „ჩავარდნებს“ ანტიმონოპოლიური პოლიტიკის, სოციალური დაზღვევის, უარყოფითი გარე ეფექტების მქონე საქონლის წარმოების შეზღუდვით და დადებითი გარე ეფექტების მქონე საქონლის წარმოების და მოხმარების სტიმულირებით. სახელმწიფოს საქმიანობის ეს მიმართულებები შეადგენს, სახელმწიფოს ჩარევის, ასე ვთქვათ, ქვედა ზღვარს საბაზრო ეკონომიკაში.

მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები გაცილებით ფართოა: ინფრასტრუქტურის განვითარება, დოტაციები განათლებაზე, უმუშევართა დახმარება და ა.შ. ამ მომსახურებათა მხოლოდ მცირე რაოდენობა ფლობს წმინდა საზოგადოებრივი საქონლის თვისებებს. მათი უმრავლესობა არა კოლექტიურად, არამედ ინდივიდუალურად მოიხმარება. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში ყველა განვითარებულ ქვეყანაში XX საუკუნეში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. ამასთან ერთად, სახელმწიფო, ჩვეულებრივ, ატარებს ანტიინფლაციურ და ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას, ცდილობს შეამციროს უმუშევრობა, უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო აქტიურად მონაწილეობს სტრუქტურული ცვლილებების პროცესში, ასტიმულირებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ისწრაფვის შეინარჩუნოს ეროვნული ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპები. თუ ამას დავუმატებთ რეგიონალურ და საგარეო-ეკონომიკურ რეგულირებას, ცხადი გახდება, რატომ იზრდებოდა უკანასკნელი ასწლეულის განმავლობაში სახელმწიფოს როლი.

მაგალითად, თუ 1890 წ. სახელმწიფო ხარჯები სოციალურ კეთილდღეობაზე აშშ-ში შეადგენდა მშპ-ის მხოლოდ 2,4%-ს, სახელმწიფო ხარჯები სოციალურ დაზღვევასა და ჯანდაცვაზე საერთოდ არ არსებობდა, 1990 წ. ამ მაჩვენებლებმა, შესაბამისად, მშპ-ის 19,1%, 9,3% და 13,2% შეადგინა. (დ. მიულერის მონაცემებით, 1799 წ. აშშ-ის ფედერალური მთავრობის ხარჯები შეადგენდა ეროვნული შემოსავლის მხოლოდ 1,4%-ს, XIX ს.-ის ბოლოს ეს მაჩვენებელი გაორმაგდა, ხოლო დაწყებული 1930-იანი წლებიდან, შემდგომი 70 წლის განმავლობაში 7-ჯერ გაიზარდა. ბელგიაში, იაპონიაში, შვედეთში და შვეიცარიაში 1980 წ. სახელმწიფო სექტორი ორჯერ მეტი იყო, ვიდრე 1960 წ. ამასთან, დ. მიულერის აზრით, მოცემული მოვლენის ანალიზისას, გასათვალისწინებელია სახელმწიფოს ფისკალური ზეგავლენაც, ანუ საგადასახადო ხარჯები თითოეულ ქვეყანაში. მასში მეცნიერი გულისხმობს ტრანსფერებს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისთვის, რომელიც იღებს არა საბიუჯეტო ტრანსფერების, არამედ საგადასახადო კრედიტის ფორმას. სახელმწიფო სექტორის ზომების სრული სურათის წარმოსადგენად, საჭიროა ფაქტობრივად განხორციელებულ სახელმწიფო ხარჯებს და ტრანსფერებს დაემატოს არაცხადი ხარჯებიც (განხორციელებული გადასახადების შემცირების მეშვეობით).

სახელმწიფო აპარატის წინაშე იდგა ორი ურთიერთდაკავშირებული ამოცანა: უზრუნველყო ბაზრის ნორმალური მუშაობა და გადაეწყვიტა (ან შეერბილებინა მაინც) მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ამიტომ სახელმწიფო ხარჯები იზრდებოდა OECD-ის პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში. ხარჯების საშუალო ზომამ 1990 წ. მშპ-ის 45%-ს გადააჭარბა (ცხრ. 10.1).

წამყვანი ქვეყნების სახელმწიფო ხარჯების სტრუქტურაში ჭარბობს მთლიანი მიმდინარე გადასახდელები, რომელმაც 1990 წ. მთლიანი სახელმწიფო ხარჯების მეოთხედიდან-ნახევრამდე შეადგინა. დაახლოებით მეხუთედი მოდიოდა მოხმარებაზე. სოცურუნველყოფასა და სხვა ტრანსფერებზე იხარჯებოდა 11-24%.

## სახელმწიფო ხარჯები OECD-ის ქვეყნებში, პროცენტულად მშპ-სთან

	1960 წ.	1970 წ.	1980 წ.	1990წ.
აშშ	27,6	31,6	33,7	33,3
იაპონია	18,3	19,4	32,6	31,7
გერმანია	32,5	38,6	48,3	45,2
საფრანგეთი	34,6	38,9	46,4	49,8
დიდი ბრიტანეთი	32,6	39,8	45,1	39,9
იტალია	30,1	34,2	46,1	43,2
კანადა	28,9	34,8	40,5	45,9
საშუალოდ დიდ ქვეყნებში	29,2	33,9	41,8	42,7
ავსტრალია	22,1	25,1	32,1	34,3
ავსტრია	32,1	39,2	48,9	48,7
ბელგია	30,3	36,5	50,8	49,1
დანია	24,8	40,2	56,2	58,3
ფინეთი	26,7	30,5	36,5	39,7
საბერძნეთი	17,4	22,4	30,5	52,5
ისლანდია	28,2	30,7	31,4	38,0
ირლანდია	28,0	39,6	50,9	42,4
ჰოლანდია	33,7	43,9	57,5	54,1
ნორვეგია	39,9	41,0	50,7	53,7
ესპანეთი	18,8	22,2	32,9	41,8
შვედეთი	31,1	43,3	61,6	59,1
შვეიცარია	17,2	21,3	29,3	34,1
საშუალოდ მცირე ქვეყნებში	26,2	33,5	43,8	46,6
საშუალოდ ყველა ქვეყანაში	27,2	33,7	43,1	45,2
სტანდარტული გადახრა ნყველა ქვეყნის მიხედვით	5,62	7,85	7,85	8,30

წყარო: OECD Reports; World Bank and United Nations Reports.

რამ გამოიწვია სახელმწიფოს ზომების ზრდა უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში? რატომ დაჩქარდა სახელმწიფოს ზომების ზრდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ? რით აიხსნება განსხვავება სახელმწიფო სექტორის ზომებში განვითარებად ქვეყნებს შორის?



## 10.2. სახელმწიფოს ზომების ზრდის ახსნა

### 10.2.1. სახელმწიფო როგორც საზოგადოებრივი საქონლის მიწოდებელი და ექსტერნალიების ლიკვიდატორი

სახელმწიფო სექტორის ზომების და ზრდის ჰიპოთეტური მიზეზების განხილვა, ფაქტობრივად, სახელმწიფოს და მთავრობის არსებობის კიდევ ერთხელ ახსნას ნიშნავს. სახელმწიფოს არსებობის ტრადიციული ახსნა იმაში მსგომარეობს, რომ ის უზრუნველყოფს საზოგადოებრივი საქონლის მიწოდებას და ექსტერნალიების შერბილებას ან ლიკვიდაციას. დავუშვათ, რომ ეს არის სახელმწიფოს ერთადერთი ფუნქცია. მაშინ ყოველი მოქალაქის მოთხოვნა საზოგადოებრივ საქონელზე იქნება ფუნქცია მისი შემოსავლის, საზოგადოებრივი საქონლის ფასის (კერძო საქონელთან შედარებით) და სხვა ცვლადებისა, რომლებიც ახასიათებენ მის გემოვნებას. თუ ხმის მიცემა ხდება უმრავლესობის წესის საფუძველზე და ერთადერთი საკითხი არის სახელმწიფო ხარჯების დონე, მაშინ შეიძლება გამოვიყენოთ მედიანური ამომრჩევლის თეორემა და სახელმწიფო ხარჯების სიდიდე ჩავწეროთ როგორც მედიანური ამომრჩევლის მახასიათებლების ფუნქცია. დავუშვათ,  $X$  არის კომპოზიტური კერძო საქონელი, ხოლო  $G$  - კომპოზიტური საზოგადოებრივი საქონელი (შესაბამისი ფასებით  $P_x$  და  $P_G$ ).  $Y_m$  - მედიანური ამომრჩევლის შემოსავალი,  $Z$  - მისი გემოვნების პარამეტრების ვექტორი. მაშინ შეიძლება ჩაიწეროს სახელმწიფო ხარჯების ლოგარითმული განტოლება მედიანური ამომრჩევლისთვის:

$$\ln G = a + \alpha \ln P_g + \beta \ln Y_m + \gamma \ln Z + \mu. \quad (10.1)$$

სახელმწიფო სექტორის შეფარდებითი ზრდა შეიძლება აიხსნას, თუ სრულდება ნებისმიერი ერთი შემდეგი პირობებიდან:

- მოთხოვნა საზოგადოებრივ საქონელზე არაელასტიკურია ( $-1 < a < 0$ ), ხოლო  $P_G$  გაიზარდა  $P_x$ -თან შედარებით;
- მოთხოვნა საზოგადოებრივ საქონელზე ელასტიკურია ( $-1 > a$ ), ხოლო  $P_G$  შემცირდა  $P_x$ -თან შედარებით;

- თუ  $Y_m$  დროთა განმავლობაში იზრდებოდა და თუ  $G$ -ს ზრდა  $X$ -თან შედარებით შეიძლება აიხსნას  $Y_m$ -ის ცვლილებით, მაშინ  $\beta$  უნდა იყოს ერთზე მეტი;
- გემოვნების ზოგიერთი ცვლადი,  $\gamma$  პარამეტრის ნიშნის გათვალისწინებით, შესაბამისად უნდა შეიცვალოს.

განვიხილოთ „გემოვნების ცვლადები“. როგორც ცნობილია, გადანაწილების სახელმწიფო პოლიტიკა შეიძლება გახდეს დაზღვევის ფორმა, რომელსაც სარგებლობა მოაქვს ყველა მოქალაქისთვის და ამით დასაწყისშივე (ex ante) ფლობს საზოგადოებრივი საქონლის თვისებებს, მაშინაც კი, თუ შედეგად დაზღვევის ეს პროგრამები დოვლათის გადანაწილების ფორმა ხდება. სახელმწიფო სექტორის ზრდის მოცემული ახსნის სასარგებლოდ მეტყველებს დ. როდრიკის გამოკვლევები. მან ყურადღება გაამახვილა იმ რისკებზე, რომელსაც განიცდის ინდივიდუალური შემოსავლები ღია ეკონომიკაში. ასეთ ეკონომიკაში შესაძლებელია ექსპორტის და იმპორტის ფასების მკვეთრი რყევები, რაც იწვევს დასაქმების და შემოსავლების მნიშვნელოვან ცვლილებებს. სავაჭრო პირობებთან დაკავშირებული მაღალი რისკების მქონე ღია ეკონომიკებს გაცილებით მეტი სახელმწიფო მოხმარება აქვთ. სწორედ ეკონომიკის ღიაობის მაღალი დონის და სავაჭრო რისკის მაღალი ხარისხის ერთდროული არსებობა იწვევს სახელმწიფო მოხმარებაზე ხარჯების ზრდას. დ. როდრიკის მტკიცებით, ბევრ განვითარებად ქვეყანას არ ჰყოფნის ადმინისტრაციული შესაძლებლობები უმუშევრობის დაზღვევის და სხვა სოციალური პროგრამების მართვისთვის და უმუშევრობის რისკის შესამცირებლად ისინი, უბრალოდ, ზრდიან დასაქმებულთა რიცხვს ეკონომიკის უფრო სტაბილურ სახელმწიფო სექტორში.

„გემოვნების მეორე ცვლადად“ შეიძლება განვიხილოთ მოსახლეობის სიმჭიდროვე. მჭიდროდ დასახლებულ ადგილას ფაბრიკის მიწებიდან გამომავალ ბოლს უფრო მეტი ადამიანისთვის მოაქვს ზიანი, ვიდრე ნაკლებად დასახლებულ ადგილას. მჭიდროდ დასახლებულ ადგილას ახალი პარკი ხელმისაწვდომი იქნება მეტი ადამიანისათვის და, სავარაუდოდ, მეტი სარგებლობა ექნება, ვიდრე რომელიმე სასოფლო რაიონში.

გემოვნების სხვა ცვლადებიდან ჯერჯერობით არც ერთს არ მიუღია, ერთდროულად, აპრიორული და ემპირიული მხარდაჭერა.

რაც შეეხება **შემოსავალს**, იმისათვის, რომ სახელმწიფოს ზომების ზრდა აიხსნას შემოსავლის ზრდით, აუცილებელია, რომ მოთხოვნის ელასტიკურობა შემოსავლის

მიხედვით საზოგადოებრივ საქონელზე 1-ზე მეტი იყოს. უმეტეს შემთხვევაში, ეს პირობა არ სრულდება, ამიტომ მოცემული ფაქტორი ვერ ახსნის სახელმწიფოს ზომების ზრდას.

**ბაუმოლის ეფექტი.** ბაუმოლი ამტკიცებდა, რომ მოსალოდნელია სახელმწიფოს მიერ მიწოდებული საქონლის ფასების შეფარდებითი ზრდა იმის გათვალისწინებით, რომ მრავალი მათგანი (განათლება, პოლიციის დაცვა და სხვ.) მომსახურებაა, ხოლო მომსახურების სფერო, (სახელმწიფო მომსახურების ჩათვლით) მწარმოებლურობის ზრდის ნაკლებ პოტენციალს ფლობს. სახელმწიფო სექტორში შრომის მწარმოებლურობის მკვლევართა შორის, პრაქტიკულად, კონსენსუსია იმასთან დაკავშირებით, რომ იგი ჩამორჩება შრომის მწარმოებლურობას კერძო სექტორში და შეიძლება ნულოვანი ან უარყოფითი კი იყოს. როგორც აღნიშნავდა ჯ. ბიუქენენი, მწარმოებლურობის ეს ჩამორჩენა შეიძლება მოწმობდეს იმას, რომ სახელმწიფოს ზრდა „პრობლემას“ წარმოადგენს. მაგრამ რამდენად ხსნის „ბაუმოლის ეფექტი“ სახელმწიფო სექტორის ზრდას? სახელმწიფო ბიუჯეტის ზოგიერთი შემადგენელი ნაწილი (მაგ., წმინდა ტრანსფერები და საპროცენტო გადასახდელები) ძნელია განვიხილოთ როგორც „საქონელი“, რომელთა ფასი კერძო საქონლის ფასთან შედარებით იზრდება. „ბაუმოლის ეფექტზე“ დაყრდნობა შეიძლება უფრო მართებული იყოს ბიუჯეტის იმ ნაწილის განხილვისას, რომელიც მიეკუთვნება „საბოლოო მოხმარებას“, ანუ ხარჯები იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელიც ნამდვილად მოიხმარება სახელმწიფოს მიერ.

### 10.2.2. სახელმწიფო როგორც შემოსავლის და სიმდიდრის გადამანაწილებელი

ზოგიერთი ავტორი აკრიტიკებს იმ თვალსაზრისს, რომ სახელმწიფო არსებობს საზოგადოებრივი საქონლის მიწოდებისა და ექსტერნალიების შერბილებისთვის. მათი აზრით, ეს შეხედულება, არსებითად, სახელმწიფოს ნორმატიულ აღწერას წარმოადგენს - თეორიას იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ - მაგრამ არა იმის აღწერას, თუ რას აკეთებს იგი სინამდვილეში. ამ ავტორთა აზრით, სახელმწიფოს პოზიტიური თეორია უნდა აანალიზებდეს მის გადამანაწილებელ საქმიანობას, ყველა სახელმწიფო ხარჯი შეიცავს გადამანაწილებელ შემადგენელს: გზები შეიძლება დაიგოს ან ერთ, ან მეორე ადგილას, მშენებლობის უფლება ეძლევა ფირმათა ერთ ჯგუფს, რაც ნიშნავს დანაკარგს ყველა დანარჩენისთვის. ამიტომ, იმისათვის, რომ გავიგოთ, რა არის

სახელმწიფო და რატომ იზრდება იგი, აუცილებელია მისი გადამანაწილებელი საქმიანობის გაანალიზება.

ა. მელცერის და ს. რიჩარდის მოდელი. სახელმწიფოს ზრდის ყველაზე მარტივი და ელევანტური მოდელი შემოგვთავაზეს ა. მელცერმა და ს. რიჩარდმა (Meltzer, Richard, 1978, 1981, 1983). მათი მოდელი ვარაუდობს, რომ მთავრობის მთელი საქმიანობა გადამანაწილებას წარმოადგენს. ეს გადამანაწილება ხორციელდება სულობრივი ერთდროული გრანტით ( $r$ ), რომელიც ფინანსდება პროპორციული გადასახადის ხარჯზე ( $t$ ) და რომელიც ამოიღება ყველა გამომუშავებული შემოსავლებიდან. თუ საშუალო სულობრივ შემოსავალს აღვნიშნავთ  $y$ -ით, მაშინ დაბალანსებული სახელმწიფო ბიუჯეტი იქნება:

$$r = ty. \quad (10.2)$$

ინდივიდის სარგებლიანობა დამოკიდებულია მის მოხმარებაზე ( $c$ ) და დასვენებაზე ( $l$ ). დავუშვათ  $n$  არის სამუშაო დროის წილი. ამ შემთხვევაში გვექნება შემდეგი ტოლობები:

$$l = 1 - n \quad (10.3)$$

$$c = (1 - t)y + r. \quad (10.4)$$

ა. მელცერი და ს. რიჩარდი ვარაუდობდნენ, რომ შემოსავალი დამოკიდებულია უნარებზე ანუ  $x$  ფაქტორის მწარმოებლურობაზე, რომლებიც შემთხვევითი წესითაა განაწილებული მოსახლეობას შორის. მოცემული  $n$  სამუშაო დროისას, შემოსავალი მით უფრო მაღალია, რაც უფრო მეტია  $x$  ფაქტორის მნიშვნელობა:

$$y = nx \quad (10.5)$$

$t$  -ს და  $r$ -ის მოცემული მნიშვნელობებისას, ერთადერთი, რაც შეუძლია აირჩიოს ინდივიდმა - ეს არის სამუშაო დროის ხანგრძლივობა -  $n$ . თუ მოვახდენთ  $U(c, l)$ -ს მაქსიმიზირებას  $n$ -ის მიმართ, (10.3) და (10.5) ტოლობების გათვალისწინებით, მივიღებთ:

$$U_c(1 - t)x = U_l \quad (10.6)$$

ანუ

$$U_l / U_c = (1 - t)x. \quad (10.7)$$

დასვენებასა და მოხმარებას შორის ჩანაცვლების ზღვრული ნორმა უდრის ინდივიდის დროის ზღვრულ პროდუქტს გადასახადის გამოკლებით. (10.7) გამოსახულებიდან შეიძლება გამოვთვალოთ ინდივიდის მიერ ნამუშევარი საათების

რაოდენობა. სტოუნ-გირის ფუნქციის კერძო შემთხვევისთვის  $U = \ln(c + \gamma) + \alpha \ln(1 + \lambda)$ , მივიღებთ ოპტიმალურ  $n$ -ს:

$$n = (1 - t)(1 + \lambda)x - \alpha(r + \gamma) / (1 - t)(1 + \alpha)x \quad (10.8)$$


(10.8) ტოლობაში მნიშვნელი დადებითი უნდა იყოს, ხოლო მრიცხველს  $x$ -ის მცირე მნიშვნელობებისას შეიძლება უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდეს. ცხადია, რომ  $n$  არ შეიძლება უარყოფითი იყოს. მაშასადამე, არსებობს უნარების რაღაც კრიტიკული დონე -  $x_0$ , რომლის დროსაც  $n$ -ის ოპტიმალური მნიშვნელობა უდრის 0-ს. (10.8) ტოლობიდან შეიძლება დავწეროთ:

$$x_0 = \alpha(r + \gamma) / (1 - t)(1 + \lambda) \quad (10.9)$$

თუმცა ინდივიდის თვალსაზრისით,  $r$  და  $t$  ეგზოგენური ფაქტორებია, პოლიტიკური სისტემისთვის ისინი ენდოგენურია. თუ (10.8) გამოსახულებას ჩავსვამთ ცალკეული მოქალაქის სარგებლიანობის ფუნქციაში, დავრწმუნდებით იმაში, რომ ინდივიდის სარგებლიანობა, საბოლოო ანგარიშით, დამოკიდებულია  $r$ -სა და  $t$ -ზე.  $r$ -სა და  $t$ -ს შორის არჩევანის გაკეთებისას, რაციონალური ამომრჩეველი ითვალისწინებს ამას და მხედველობაში იღებს  $r$ -სა და  $t$ -ს შორის იმ დამოკიდებულებას, რომელიც მოცემულია (10.2) გამოსახულებით. ამ შემთხვევაში  $\partial \hat{y} / \partial t < 0$ . გადასახადის ზრდასთან ერთად საშუალო შემოსავალი მცირდება - შრომით ძალისხმევაზე უფრო მაღალი გადასახადების დემასტიმულირებელი ზეგავლენის გამო (შევნიშნავთ, რომ  $t$ -ს ზრდასთან ერთად იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ არ მუშაობას). ამგვარად  $r$  წარმოადგენს  $t$ -ს ფუნქციას, რომელიც იზრდება კლებადი ტემპით იმ მომენტამდე, სანამ სრულდება პირობა:  $\partial \hat{y} / \partial t = \hat{y} / t$ , ხოლო შემდეგ - მცირდება (ნახ. 10.1).

მომუშავე ამომრჩევლებს აქვთ დადებითი დახრილობის განურჩევლობის მრუდები  $U_1$  და  $U_2$  ( $U_2 > U_1$ ), რადგან უფრო მაღალი გადასახადები სარგებლიანობას ამცირებს, ხოლო სუბსიდიების ზრდა - სარგებლიანობას ზრდის. რაც შეეხება არამომუშავე ამომრჩევლებს,  $t$ -ს ცვლილება მათ სარგებლიანობაზე გავლენას არ ახდენს. მათი განურჩევლობის მრუდები ჰორიზონტალური წრფეებია ( $U_3$  და  $U_4$ ), ამასთან,  $U_4 > U_3$ . თითოეული რაციონალურად მოქმედი ამომრჩეველი აცნობიერებს, რომ  $r = t\hat{y}$  ტოლობა იძლევა  $t$ -ს (ან  $r$ -ის) არჩევის მრავალ შესაძლებლობას. ყოველი ამომრჩეველი  $r = t\hat{y}$  მრუდზე ირჩევს  $t$ -ს და

$r$ -ის ისეთ კომბინაციას, რომელიც უზრუნველყოფს მისი სარგებლიანობის მაქსიმიზაციას. ყველა არამომუშავე ამომრჩეველი ირჩევს  $t_0$ -ს, რომლის დროსაც მაქსიმიზირდება ერთდროული ტრანსფერი. ამომრჩეველები, რომელთათვისაც  $x > x_0$ , უპირატესობას ანიჭებენ  $t$ -ს ისეთ მნიშვნელობებს, რომლებიც ნაკლებია  $t_0$ -ზე.



ნახ. 10.1.  $t$ -ს ოპტიმალური არჩევანი

თუ ყველა ამომრჩეველს სარგებლიანობის ერთნაირი ფუნქცია აქვს და ერთმანეთისგან განსხვავდებიან მხოლოდ თავიანთი უნარების ფაქტორით ( $x$ ), მაშინ  $x$ -ის უფრო მაღალი დონის მქონე ამომრჩეველებს ექნებათ სარგებლიანობის უფრო მსხვილი ფუნქციები და უპირატესობას მიანიჭებენ  $t$ -ს უფრო დაბალ მნიშვნელობას. არსებითად, ამომრჩეველები აწყდებიან ერთგანზომილებიან არჩევანს -  $r$ -თან ერთად ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრება  $t$ -ც. უმრავლესობის წესის პირობებში წონასწორობის არსებობის დასამტკიცებლად შეიძლება მედიანური ამომრჩეველის თეორემის გამოყენება. თუ  $U_1$  და  $U_2$  მედიანური ამომრჩეველის განურჩევლობის მრუდებია, მაშინ გადასახადის და სუბსიდიის ოპტიმალური კომბინაცია იქნება  $t_m - r_m$ .

### 10.2.3. სახელმწიფოს ზრდის სხვა ჰიპოთეზები

აღსანიშნავია სამი დამატებითი ჰიპოთეზა, რომელიც სახელმწიფოს ზომებს გადანაწილებასთან აკავშირებს. თ. კიუსაკის ჰიპოთეზის მიხედვით, მემარცხენე მთავრობები მემარჯვენეებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებენ გადანაწილების უფრო მნიშვნელოვან მასშტაბებს და უფრო დიდ სახელმწიფო ბიუჯეტებს (Cusack, 1997). ეს პროგნოზი მტკიცდება OECD-ის 15 (16) წევრი-ქვეყნის მონაცემთა როგორც სტრუქტურული (ერთდროული), ასევე რეგრესული ანალიზის შედეგებით 1955-1989 (1961-1989) წლებში. ცხადია, მოცემულ ჰიპოთეზას არ შეუძლია ახსნას სახელმწიფოს საუკუნეობრივი ზრდა დამხმარე ჰიპოთეზის გარეშე, რომლის თანახმადაც პარტიების (ამომრჩევლების) იდეოლოგიური პოზიციები დროთა განმავლობაში მარცხნივ გადაადგილდებოდა.

ლ. კრისტოვი, პ. ლინდერტი და რ. მაკ-კლელანდი (Kristov, Lindert and McClelland, 1992) გადანაწილებას განიხილავენ არა როგორც უბრალოდ მდიდრებისაგან დოვლათის არანებაყოფლობით ამოღებას, არამედ როგორც შემოსავლების განაწილებაში მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების სოციალური სოლიდარობის ფუნქციას. მათი ჰიპოთეზა უახლოვდება იმ თეორიებს, რომლებიც გადანაწილებას ხსნიან დაზღვევის და პარეტო-ოპტიმალურობის მიღწევის მოტივებით. ისინი, აგრეთვე, ეყრდნობიან მედიანური ამომრჩევლის მოდელს. მათი ჰიპოთეზით, საშუალო კლასი უმაღლეს კლასთან მით უფრო მეტ ერთიანობას განიცდის, რაც უფრო ნაკლებია მათ შორის განსხვავება შემოსავლებში. მაშასადამე, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული გადანაწილების მასშტაბი დადებით კავშირშია ამ განსხვავების სიდიდესთან. ანალოგიურად, საშუალო კლასი განიცდის მით უფრო მეტ ერთიანობას ლატაკებთან, რაც უფრო ნაკლებია განსხვავება დაბალი და საშუალო კლასის შემოსავლებს შორის და, ამგვარად, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული გადანაწილების მასშტაბი უარყოფით კავშირშია ამ განსხვავების სიდიდესთან. გარდა ამისა, ისინი ამტკიცებენ, რომ რაც უფრო სწრაფად იზრდება შემოსავლები, მით უფრო ნაკლები იქნება სოციალური ერთიანობა ლატაკებთან და, შესაბამისად, ნაკლები იქნება შემოსავლის გადანაწილების მასშტაბი.

სახელმწიფოს ზრდის კიდევ ერთი ახსნა შემოგვთავაზა ს. პელცმანმა (Peltzman, 1980). მაგრამ მის ანალიზში არ გამოიყენება მედიანური ამომრჩევლის მოდელი. ის

ვარაუდობს წარმომადგენლობითი მმართველობის რაღაც ფორმის არსებობას, რომლის დროსაც კანდიდატები იბრძვიან ამომრჩეველთა ხმებისთვის და ჰპირდებიან შემოსავლის გადანაწილებას ამომრჩეველთა იმ ჯგუფების სასარგებლოდ, რომლებიც მზად არიან შეუერთდნენ მოცემული კანდიდატის მომხრეთა კოალიციას. ს. პელცმანი ამტკიცებდა, რომ რაც უფრო თანაბარია შემოსავლის განაწილება რომელიმე კანდიდატის პოტენციურ მომხრეთა შორის, მით მეტ მოლაპარაკების ძალას ფლობენ ისინი. ამგვარად, რაც უფრო თანაბარია ამომრჩეველთა შორის შემოსავლის თავდაპირველი განაწილება, გადანაწილების მით უფრო მეტ მოცულობას უნდა დაპირდეს კანდიდატი. პელცმანი მიუთითებდა განათლების გავრცელებაზე, როგორც მნიშვნელოვან ფაქტორზე, რომელიც ზრდის შემოსავლების გათანაბრებას ტრანსფერების გათვალისწინების გარეშე და იწვევს სახელმწიფოს ზომების ზრდას. ს. პელცმანის ჰიპოთეზაში სახელმწიფოს ზრდის მამოძრავებელი ძალა კოალიციის პოტენციური წევრების შემოსავლების ზრდადი გათანაბრებაა, მაშინ როცა ა. მელცერთან და ს. რიჩარდთან ასეთ ძალას ამომრჩეველთა შემოსავლების განაწილების მზარდი უთანაბრობა წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ დღეს სხვადასხვა ქვეყანაში სახელმწიფო პროგრამების რიცხვმა და სახელმწიფო აპარატში დასაქმებულთა რაოდენობამ გაცილებით დიდ სიდიდეს მიაღწია, ვიდრე მხოლოდ დოვლათის გადანაწილებისთვისაა საჭირო. ამასთან, მოდელების უმრავლესობა ვარაუდობს, რომ გადანაწილება ყოველთვის ხორციელდება მდიდრებიდან ღარიბებისკენ. ასეთი მიდგომა ზოგჯერ არ შეესაბამება ფაქტებს. ზოგიერთ კვეყანაში ზედა ფენა უფრო მეტ ტრანსფერებს იღებს, ვიდრე ქვედა (მაგ., ბიზნესის დახმარების სპეციალური პროგრამები). იმ შემთხვევაშიც, თუკი სახელმწიფოს მთელ საქმიანობას დავახასიათებთ როგორც გადამანაწილებელს, მაშინ მისი თავისებურება ამ გადანაწილების ერთიანი მიმართულების არარსებობაა.

გადანაწილების მულტიმიმართულება აძნელებს სახელმწიფოს მთელი საქმიანობის ახსნას მხოლოდ გადანაწილების მოტივებით. თუ ყველა სახელმწიფო პროგრამა წარმოადგენს დოვლათის უბრალო ამოღებას მოსახლეობის ერთი ჯგუფიდან და მეორე ჯგუფისთვის გადაცემას და თუ გადანაწილების ამ პროცესში ყველა მოქალაქე მონაწილეობს, მაშინ ვინ იღებს სარგებლობას ამ პროცესიდან? ან უნდა არსებობდნენ ამ პროცესიდან წმინდა სარგებლობის მიმღებნი, რომელთაც შეუძლიათ შეინარჩუნონ და



გაზარდონ თავიანთი სარგებლობა, ან სახელმწიფოს საქმიანობას მხოლოდ გადამანაწილებელი ხასიათი არა აქვს. თუ სახელმწიფოს ზრდა აიხსნება პირველი ალტერნატივით, მაშინ ვინ იღებს სარგებლობას სახელმწიფოს საქმიანობიდან და როგორ აღწევენ ისინი თავიანთ მიზნებს დემოკრატიული პროცესის ფარგლებში? თუ სახელმწიფოს საქმიანობის რაღაც ნაწილი გადამანაწილებელი არ არის და, ვთქვათ, მიმართულია საზოგადოებრივი საქონლის მიწოდებისკენ, მაშინ კვლავ ვაწყდებით ლოგიკურ პრობლემას, რადგან ვცდილობთ, სახელმწიფოს ზრდა ავხსნათ გადამანაწილებელი ბრძოლის შედეგებით. თუ ვაღიარებთ, რომ სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილის მიზანი საზოგადოებრივი საქონლის მიწოდებაა, მაშინ გადამანაწილების მიზნები შეიძლება მიღწეულ იქნეს დაბეგვრაში ინდივიდების ან მათი ჯგუფების წილის ცვლილებით. როგორც წესი, არ არის აუცილებელი ფულის დახარჯვა რომელიმე ჯგუფზე იმისათვის, რომ ამ ჯგუფს კერძო საქონლის მეტი რაოდენობა მივცეთ.

როგორც მელცერ-რიჩარდის, ასევე პელცმანის მოდელში დაშვებულია, რომ სახელმწიფოს ზრდას მხარს უჭერენ ისინი, ვინც ამისგან მოგებას იღებენ. მედიანურ ამომრჩეველზე ნაკლები შემოსავლის მქონე ყველა ამომრჩეველი უპირატესობას ანიჭებს სახელმწიფო ტრანსფერების ზრდას. თუმცა, ემპირიული კვლევების ანალიზი მოწმობს, რომ სახელმწიფოს ზრდისგან სარგებლობის აშკარა მიმღებნი (მაგალითად, სახელმწიფო მოსამსახურეები და სოციალური დახმარების მიმღებნი) თავიანთი უპირატესობებით დაბეგვრის შეზღუდვის მიმართ ამომრჩეველთა სხვა ჯგუფებისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან.

### **ინტერესთა ჯგუფები და სახელმწიფოს ზრდა**

თუ სახელმწიფოს ზომების განსაზღვრისას მხოლოდ სახელმწიფო ხარჯებისა და გადასახადების დონით შემოვიფარგლებით, წინააღმდეგობრივ პროგნოზებს მივიღებთ. ზოგიერთი ინტერესთა ჯგუფი მხარს უჭერს სახელმწიფო ხარჯების ზრდას (ავტომობილისტებს და სატვირთო ავტომობილების მძღოლებს სურთ ავტოსტრადებზე დანახარჯების გაზრდა), მაგრამ სხვა ჯგუფები გამოდიან ამ ხარჯების შემცირების მომხრედ (გარემოს დაცვის ჯგუფები ეწინააღმდეგებიან ავტოსტრადების მშენებლობას). თითოეული ამჯობინებს მეტი სუბსიდის მიღებას, მაგრამ, ამასთან ერთად, ნაკლები

გადასახადის გადახდას. ასეთმა ძალისხმევამ შეიძლება გამოიწვიოს საგადასახადო ტვირთის და სუბსიდირების სარგებლობის უბრალო გადანაწილება მათი მთლიანი სიდიდის ცვლილების გარეშე. სახელმწიფოს ზომებზე ინტერესთა ჯგუფების საბოლოო გავლენის განსაზღვრა a priori შეუძლებელია. ეს ემპირიული საკითხია.

ცალკეული დაკვირვება საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ ინტერესთა ჯგუფები თავიანთი საგადასახადო ტვირთის შემცირებას წარმატებით აღწევენ. უკანასკნელ დრომდე დასავლეთ ევროპაში ნავთობის მოპოვება უმნიშვნელო იყო აშშ-სთან შედარებით, მაგრამ გადასახადები ნავთობპროდუქტებზე ევროპაში გაცილებით მაღალი იყო. აშშ-ის იმ შტატებში, სადაც თამბაქო მოჰყავთ, სიგარეტზე გადასახადები უფრო დაბალია, ვიდრე დანარჩენ შტატებში. მეორე მხრივ, ზოგიერთმა მკვლევარმა აღმოაჩინა, რომ ინტერესთა ჯგუფების გავლენა აშშ-ში ავტოსტრადების მშენებლობის ხარჯებზე არც ისე დიდი იყო: სატვირთო ავტომობილების მძღოლებმა შეძლეს პოზიტიური ზეგავლენის მიღწევა ამ ხარჯების სიდიდეზე, მაგრამ რკინიგზის მუშაკები უფრო ეფექტიანნი აღმოჩნდნენ მის შემცირებაში.

ნორტი და უოლისი პარალელს ავლებენ სახელმწიფოს ზომის ზრდასა და კერძო სექტორში მმართველთა და მოსამსახურეთა რიცხვის ზრდას შორის. ორივე მოვლენა განიხილება როგორც რეაქცია ტრანსაქციური ხარჯების ზრდაზე საბაზრო ეკონომიკაში სპეციალიზაციის ზრდის შედეგად (North and Wallis, 1982). მათი აზრით, „მზარდმა სპეციალიზაციამ...წარმოშვა ინტერესთა მრავალი ახალი ჯგუფი“. მოთხოვნები, რომელსაც ეს ჯგუფები უყენებენ სახელმწიფოს, არ დაიყვანება უბრალო გადანაწილებაზე. ისინი მიმართულია იმ ტრანსაქციური ხარჯების შემცირებისკენ, რომელიც ამ ჯგუფებს აქვთ სულ უფრო მეტად სპეციალიზირებულ საზოგადოებაში. ამგვარად, ინტერესთა ჯგუფების გავლენა სახელმწიფოს საქმიანობაზე განიხილება როგორც ეფექტიანობის ამადლების, ასევე გადანაწილების რაკურსში.

სახელმწიფოს ზრდის ახსნა ტრანსაქციური ხარჯებით ყველაზე ზოგადი ხასიათისაა. სახელმწიფო წარმოიშობა როგორც ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი დოვლათით და აღკვეთს ექსტერნალიებს უმცირესი ტრანსაქციური დანახარჯებით. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს სახელმწიფოს ძალისხმევის და, შეესაბამისად, მისი ზრდის ახსნა ტრანსაქციური ხარჯების შემცირების მიზნით. მაგრამ

სწორედ, ტრანსაქციური ხარჯების ცნების ზოგადი ხასიათი ართულებს იმ კონკრეტული ტრანსაქციური ხარჯების განსაზღვრას, რომელიც უნდა იყოს შემცირებული და ბიუჯეტის იმ სტატიების განსაზღვრას, რომელიც უნდა გაიზარდოს ამ ამოცანის გადასაწყვეტად.

### **ბიუროკრატია და სახელმწიფოს ზრდა**

სახელმწიფო შეიძლება გაიზარდოს არა მარტო იმიტომ, რომ მოქალაქეები, ინტერესთა ჯგუფები ან კანონმდებლები ხარჯების გაზრდას მოითხოვენ, არამედ იმიტომაც, რომ ამას ითხოვს ბიუროკრატია, რომელიც აწვდის სახელმწიფო პროგრამებს. სახელმწიფო ბიუროკრატია წარმოადგენს დამოუკიდებელ ძალას და ამ გარემოებამ შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფოს ზომის ზრდა. სახელმწიფოს ზრდის მიზეზთა შორის ბიუროკრატები და ინტერესთა ჯგუფები ერთნაირად მაღალ ადგილს იკავებენ. ამ ჰიპოთეზის სასარგებლოდ მრავალი კვლევა არსებობს. ზოგიერთმა მეცნიერმა დაამტკიცა, აგრეთვე, რომ სახელმწიფო მოსამსახურეები დამატებით სარგებლობას იღებენ არჩევნებში მონაწილეობისგან და ამით აიხსნება მათი მონაწილეობის უფრო მაღალი მაჩვენებელი, ვიდრე იმ მოქალაქეებისა, რომელთა დასაქმება კერძო სექტორზეა დამოკიდებული.

ზოგიერთ გამოკვლევაში შემოწმდა ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც ბიუროკრატების ელექტორალური წონა პირდაპირ და ირიბად იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდას. რაც უფრო დიდია სახელმწიფო, მით უფრო მეტია მასზე მომუშავე ამომრჩეველთა რაოდენობა და თუ ეს ამომრჩეველები აცნობიერებენ, რომ სახელმწიფოს ზრდა მათ ინტერესებს პასუხობს, ხმას აძლევენ ასეთ შედეგს.

ბიუროკრატის უნარი, გაზარდოს თავისი ბიუჯეტი საკანონმდებლო ორგანოს ან მოქალაქეთა მოთხოვნის ზომასზე მეტად, ნაწილობრივ დამოკიდებულია მის უნარზე, დაამახინჯოს სახელმწიფოს მიერ მიწოდებული დოვლათის რაოდენობა და მათი ნამდვილი ფასები. დამახინჯების ეს უნარი, თავის მხრივ, დამოკიდებულია თვით ბიუჯეტის ზომასა და სირთულეზე. რაც უფრო დიდია ბიუროკრატიული აპარატი, მით უფრო რთულია გარეშეთათვის მისი საქმიანობის კონტროლი და მით მეტნი არიან ინსაიდერები, რომლებიც მუშაობენ ამ აპარატის ზომების გასაზრდელად.

## ფისკალური ილუზია

ფისკალური ილუზიის ჰიპოთეზა გულისხმობს, რომ საკანონმდებლო ორგანოს შეუძლია მოატყუოს მოქალაქეები სახელმწიფოს რეალურ ზომასთან დაკავშირებით. სახელმწიფოს ზომების ზრდის ახსნა ფისკალური ილუზიის კონცეფციის საფუძველზე გულისხმობს იმას, რომ მოქალაქეები მას ზომავენ თავიანთი საგადასახადო დეკლარაციით. თუ შესაძლებელია საგადასახადო ტვირთის სათანადოდ შენიღბვა, მოქალაქეებს უჩნდებათ ილუზია, თითქოს სახელმწიფოს შენახვის ტვირთი ნაკლებია, ვიდრე არის სინამდვილეში.

ფისკალური ილუზიის ჰიპოთეზა ამომრჩეველთა რაციონალური იგნორირების (არცოდნის) დაშვების ლოგიკური შედეგია. ბინის არენდატორი პირდაპირ არ იხდის ქონების გადასახადს. მან შეიძლება საერთოდ არ იცოდეს ამგვარი გადასახადის არსებობის შესახებ, ან არ შეეძლოს საკმარისი დროის და ძალისხმევის დახარჯვა სახელმწიფო ფინანსების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად. ამიტომ ვერ განსაზღვრავს, რა დოზით გადააკისრებს მას ბინის მფლობელი საგადასახადო ტვირთს. შედეგად, არენდატორმა შეიძლება ხმა მისცეს განათლების ბიუჯეტის გაზრდას (რომელიც დაფინანსებული იქნება ქონების გადასახადის ზრდის ხარჯზე), იმის გაუცნობიერებლად, რომ მას უფრო მაღალი გადასახადების გადახდა მოუწევს.


სახელმწიფო სექტორის ზრდის კიდევ ერთი წყარო უკავშირდება **დაბეგვრის ელასტიკურობას**, ანუ მნიშვნელოვანია არა იმდენად ამ ზრდის მსურველთა მოტივაცია, არამედ ის საშუალებები, რომელიც ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენება.

### 10.3. საზოგადოებრივი სექტორის საზღვრები - ნორმატიული მიდგომა

სახელმწიფო აპარატის გაფართოების მოწინააღმდეგენი გამოდიან „მინიმალური“ სახელმწიფოს მხარდამჭერებად. რ. ნოზიკი ნაშრომში „ანარქია, სახელმწიფო და უტოპია“ წერს, რომ სახელმწიფოს ფუნქციები მკაცრად უნდა იყოს შეზღუდული და დაყვანილი ქურდობის, თაღლითობის და ძალადობისგან დაცვაზე, ხოლო იძულება გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ იმ პირებისადმი, ვინც არღვევს კონტრაქტს (Nozick, 1974). ყველა დანარჩენი ფუნქცია, მისი აზრით, ადრე თუ გვიან პიროვნების უფლებების ხელყოფა გახდება. ამიტომ ასეთი ფუნქციების გამართლება არ შეიძლება.

მაგრამ ასეთ მაქსიმალისტურ თვალსაზრისს მინიმალურ სახელმწიფოზე ყველა ეკონომისტი არ იზიარებს. ჯ. ბიუქენენი და გ. ტალოკი უშვებენ, რომ სახელმწიფომ შეიძლება შეასრულოს გარკვეული ფუნქციები (დაბეგვრის და სახელმწიფო ხარჯების გამოყენებით), რათა გააუმჯობესოს არსებული ეკონომიკური სიტუაცია პარეტო-ეფექტიანობის პოზიციიდან, ე.ი. საზოგადოების წევრთა უფლებების შელახვის გარეშე. ეს შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როდესაც მოქმედებს ერთსულოვნების წესი, ე.ი. მთავრობის ყველა გადაწყვეტილებას ერთხმად მხარს უჭერენ მოქალაქეები. სტატიაში „დიფერენციაციის როლზიანური პრინციპის ჰობსიანური ინტერპრეტაცია“ ბიუქენენი გვთავაზობს სახელმწიფოს ფუნქციონირების შემდეგ მოდელს (Buchanan, 1976).

თითოეულ ღერძზე აღვნიშნოთ ორი ინდივიდის სარგებლიანობები (ნახ. 10.1). დავუშვათ, რომ მინიმალური სახელმწიფოს (ნოზიკის მიხედვით) პირობებში სარგებლიანობების მნიშვნელობას ასახავს N წერტილი. დავუშვათ, აგრეთვე, რომ სახელმწიფოს პოლიტიკური შესაძლებლობები გამოსახულია PT მრუდით, რომელზეც ნებისმიერი წერტილი NC ნაწილზე უშვებს პარეტო-გაუმჯობესებას. მაშინ, ნებისმიერი მოძრაობა ამ მიმართულებით ნიშნავს როგორც პირველი, ასევე მეორე ინდივიდის სარგებლიანობის ერთდროულ გაუმჯობესებას. შევნიშნავთ, რომ ეს შეუძლებელი იქნებოდა, თუ ჩვენ ვიქნებოდით N' წერტილში. საიდანაც მოძრაობა C წერტილისკენ ნიშნავს მეორე ინდივიდის სარგებლიანობის შემცირებას, ხოლო მოძრაობა N წერტილისკენ შელახავდა ორივეს ინტერესებს.



**ნახ. 10.1. ალტერნატიული მიდგომები მთავრობის მიზნებისადმი**

ნახ. 10.1. საზოგადოებრივი კეთილდღეობის სხვა ფუნქციების ილუსტრირების საშუალებასაც იძლევა: როულზიანური (R წერტილი) და ეგალიტარული (E წერტილი). ეგალიტარიზმი ამოდის იმ წანამძღვრიდან, რომ საზოგადოების ყველა წევრს უნდა ჰქონდეს არა მარტო მეტ-ნაკლებად თანაბარი შესაძლებლობები, არამედ თანაბარი შედეგებიც. ეს შეიძლება გამოისახოს წრფით, რომელიც გამოდის კოორდინატთა სათავიდან და  $45^\circ$ -იანი კუთხით. ამ წრფის გადაკვეთას სახელმწიფოს პოლიტიკურ შესაძლებლობებთან ასახავს სწორედ E წერტილი. მისგან ქვემოთ მოძრაობა ნიშნავს ორივე ინდივიდის სარგებლიანობების გაუარესებას, ხოლო მოძრაობა ზემოთ, თუმცა მოწმობს პარეტო-გაუმჯობესებას, მაგრამ მიიღწევა იმგვარად, რომ მეორე ინდივიდის სარგებლიანობა უფრო სწრაფი ტემპით იზრდება, ვიდრე პირველის სარგებლიანობა.

R წერტილი ასახავს ფილოსოფოს ჯ. როულზის მიდგომას. როულზის მიხედვით, უნდა მაქსიმიზირდეს, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილი წევრების სარგებლიანობა. ამით, მისი აზრით, იგებს მთელი საზოგადოება. თუ პირველი ინდივიდი მდიდარია, ხოლო მეორე - ღარიბი, მაშინ მაქსიმალურ სარგებლიანობას, რომელსაც მიაღწევენ ყველაზე ნაკლებად

უზრუნველყოფილი ინდივიდები, მდიდრების მდგომარეობის გაუარესების გარეშე, შეესაბამება R წერტილი. ამ წერტილში სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული პოლიტიკური შესაძლებლობები მთლიანად ამოწურული იქნება.

როულზიანური მიდგომა შეიძლება გამოდგეს სახელმწიფოს ექსპანსიის დასასაბუთებლად. ამასთან, სახელმწიფო სექტორის და სახელმწიფო რეგულირების სწრაფი ზრდა საბაზრო ეკონომიკის პირობებში არ შეიძლება იყოს უსაზღვრო. სახელმწიფო სექტორის ზრდა იწვევს ეკონომიკის ეფექტიანობის შემცირებას, რის შესახებაც წერდა ჯერ კიდევ ვ. პარეტო.

**ლიტერატურა:**

- Buchanan J.M.** A Hobbesian Interpretation of the Rawlsian Difference Principle // *Kyklos*. 1976. Vol. 29. P. 5-25.
- Mueller D.** Public choice III. New York: Cambridge University Press, 2008. pp. 501-581.
- Cusack, Thomas R.**, “Partisan Politics and Public Finance: Changes in Public Spending in the Industrialized Countries, 1955–1989,” *Public Choice* 91, June 1997, 375–395.
- Kristov, Lorenzo, Peter Lindert, and Robert McClelland**, “Pressure Groups and Redistribution,” *Journal of Public Economics* 48, July 1992, 135–163.
- Meltzer, Allan H. and Scott F. Richard**, “Why Government Grows (and Grows) in a Democracy,” *Public Interest* 52, Summer 1978, 111–118.
- Meltzer, Allan H. and Scott F. Richard**, “A Rational Theory of the Size of Government,” *Journal of Political Economy* 89, October 1981, 914–927.
- Meltzer, Allan H. and Scott F. Richard**, “Tests of a Rational Theory of the Size of Government,” *Public Choice* 41(3), 1983, 403–418.
- Nozick R.** Anarchy, State, and Utopia. Oxford: Basic Books, 1974.
- North, Douglass C. and John J. Wallis**, “American Government Expenditures: A Historical Perspective,” *American Economic Review* 72, May 1982, 336–340.
- North, Douglass C.**, “The Growth of Government in the United States: An Economic Historian’s Perspective,” *Journal of Public Economics* 28, December 1985, 383–399.
- Peltzman, Sam**, “The Growth of Government,” *Journal of Law and Economics* 23, October 1980, 209–288.
- Нуреев Р. М.** Теория общественного выбора. М.: Издательский дом ГУ- ВШЭ, 2005, гл.10.
- Мюллер Д.** Общественный выбор III. М.: Институт Экономическая школа ГУ-ВШЭ, 2007, гл. 21, 22, 23. С. 671-775.




## თემა 11. პოლიტიკური საქმიანი ციკლი

### 11.1. ნორდჰაუს-მაკ-რეის ელექტორალური ციკლის მოდელი

პოლიტიკური საქმიანი ციკლი (Political business cycle) - ეს არის მთავრობის ეკონომიკური და პოლიტიკური აქტიურობის ციკლი არჩევნებს შორის. პოლიტიკური ციკლის იდეა აღმოცენდა ეკონომიკური ციკლის იდეიდან. ეკონომიკური რყევების გათვალისწინებით, ვ. ნორდჰაუსმა ჩამოაყალიბა პოლიტიკური საქმიანი ციკლის თეორია, რომელიც დაზუსტებულ იქნა დ. მაკ-რეის მიერ. ამ იდეის არსი მდგომარეობს იმაში, რომ არსებობს ფასების და უმუშევრობის დონის რყევები.

აბსცისათა ღერძზე აღვნიშნოთ წლები, ხოლო ორდინატა ღერძზე - უმუშევრობის და ინფლაციის დონე (პროცენტებში). დავუშვათ, რომ არსებობს ოთხწლიანი საარჩევნო ციკლი, და აღვნიშნოთ ყოველი საპრეზიდენტო ციკლის წლები როგორც  $Y_1, Y_2, Y_3, Y_4$  (ნახ. 11.1). ვერტიკალური ხაზები  $E$  აღნიშნავენ არჩევნებს. დავუშვათ, რომ ისინი ტარდება მესამე და მეოთხე კვარტლის მიჯნაზე, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება აშშ-ში. დავუშვათ, აგრეთვე, რომ უმუშევრობის დონე  $u$  ირყევა 2-4% დიაპაზონში, ხოლო ინფლაციის დონე 2-6% დიაპაზონში.

ნახ.11.1.-ზე გათვალისწინებულია, დაახლოებით, ნახევარწლიანი დროითი ლაგი. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების შესაბამისად, ვ. ნორდჰაუსმა და დ. მაკრ-ეიმ ინფლაციის დონის მერყეობის ამპლიტუდა აიღეს მეტი, ვიდრე უმუშევრობის მერყეობის ამპლიტუდა. პოლიტიკოსი, რომელიც დაინტერესებულია ხელმეორედ არჩევით, ეცდება უმუშევრობის და ინფლაციის დონის მინიმიზირებას არჩევნების მომენტისათვის, რაც ასახულია კიდევ ნახაზზე.




ნახ. 11.1. ნორდჰაუს - მაკ-რეის ელექტორალური ციკლი

გამოკვლევები პოლიტიკური საქმიანი ციკლის შესახებ, თანდათან, უფრო მრავალფეროვანი გახდა: დაიწყო არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური შემადგენელის გათვალისწინებაც. საქმე იმაშია, რომ მთავრობის ეკონომიკური აქტიურობის რყევები საპირისპირო ხასიათს ატარებს: აქტიურობა მინიმალურია პოლიტიკური საქმიანი ციკლის შუაში და მაქსიმალურია არჩევნების მომენტში.

მთავრობის ეკონომიკური აქტიურობის თვალსაზრისით, პოლიტიკური საქმიანი ციკლი შეიძლება აღიწეროს შემდეგნაირად: არჩევნების შემდეგ ხორციელდება ზომები, რომელიც მიმართულია წინა მთავრობის საქმიანობის მიზნების ან მასშტაბების ცვლილებისკენ. ეს ზომები განსაკუთრებით რადიკალური ხასიათისაა, თუ ხელისუფლებაში მოდის პარტია, რომელიც მანამდე ოპოზიციაში იმყოფებოდა. არის მცდელობა, შემცირდეს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, შეიკვეცოს არაპოპულარული პროგრამები, გადაეწყოს სახელმწიფო აპარატის მუშაობა. ხელისუფლებაში მოსული ადამიანები ცდილობენ, შეასრულონ წინასაარჩევნო დაპირებათა ნაწილი მაინც. მაგრამ შემდეგ აქტიურობა შემცირებას იწყებს და ეს პროცესი გრძელდება მანამდე, სანამ ახალი მთავრობის პოპულარობა კრიტიკულ დონემდე არ დაეცემა. მომდევნო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, მთავრობის აქტიურობა იზრდება.

თუ აბსცისათა ღერძზე აღნიშნავთ დროს, ხოლო ორდინატთა ღერძზე - მთავრობის აქტიურობას, აღწერილი ციკლი შეიძლება გამოვსახოთ გრაფიკულად (ნახ. 11.2).



ნახ. 11.2. პოლიტიკური საქმიანი ციკლი: მთავრობის ეკონომიკური აქტიურობა

$T_1T_2$  მონაკვეთი ასახავს მთავრობის პოპულარობის დაცემას,  $T_2T_3$  მონაკვეთი - აქტიურობის ზრდას, რომელიც დაკავშირებულია მომავალი არჩევნებისთვის მზადებასთან. ახალი აქტიურობის პიკი არ უნდა მდებარეობდეს მომავალი არჩევნებისგან ძალიან შორს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამომრჩევლები მოასწრებენ მთავრობის კარგი საქმეების დავიწყებას. ამასთან, სასურველია, რომ აქტიურობის დონე  $T_3$  წერტილში არ იყოს წინა მთავრობის აქტიურობის დონეზე ნაკლები  $T_1$  წერტილში.

ზოგადი პოლიტიკურ-ეკონომიკური ციკლი შეიძლება მოიცავდეს უფრო მცირე ქვეციკლებს, რომლებიც, მთლიანობაში, ჯდება აღნიშნულ კანონზომიერებაში.

იმ შემთხვევაში, როდესაც მთავრობა მომავალ არჩევნებს უახლოვდება ეკონომიკური აღმავლობის ფაზაში, ძველი მთავრობის ხელმეორედ არჩევის ალბათობა მეტია, ვიდრე ქვეყანაში აშკარაა დაცემის ან კრიზისის ნიშნები.

ნორდჰაუს - მაკ-რეის ელექტორალური ციკლის კონცეფცია ცდილობს უპასუხოს კითხვას მთავრობის ხელმეორედ არჩევის შანსების მაქსიმიზაციის პირობების შესახებ. მასში საშუალო კერძო მეწარმის ინტერესები გაითვალისწინება მისი მოლოდინებისგან დამოუკიდებლად, ესე იგი, ანალიზში ივარაუდება ე.წ. „ახლომხედველი“ ამომრჩეველი.


ამიტომ, რეალობის ამგვარმა გამარტივებამ მოდელის საკმაოდ არსებითი კრიტიკა გამოიწვია.

პოლიტიკური ციკლის შემდგომი ემპირიული კვლევების ობიექტი გახდა არა მარტო ინფლაცია და უმუშევრობა, არამედ ტრანსფერული გადასახდელები, მშპ-ის და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დინამიკა და სხვ. ვერ ვიტყვით, რომ ყველა კვლევამ დაადასტურა ეს ჰიპოთეზა, მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა იხრება იქითკენ, რომ მას აქვს არსებობის უფლება. უფრო მეტიც, ემპირიულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ამა თუ იმ ფორმით ნორდჰაუს - მაკ-რეის ციკლები არსებობს არა მარტო განვითარებულ, არამედ განვითარებად ქვეყნებშიც.

## 11.2. ორპარტიული ციკლი: არჩევანი უმუშევრობასა და ინფლაციას შორის

ნორდჰაუს - მაკ-რეის მოდელი იდეალური იქნებოდა, რომ მოხერხებულიყო ინფლაციის და უმუშევრობის ცვლილებების სინქრონიზირება და არჩევნების წინ მათი მინიმალური დონის მიღწევა. მაგრამ სინამდვილე არც ისე მარტივია. ე. ფილიპსის მიერ 1958 წ. ინფლაციასა და უმუშევრობას შორის უკუპროპორციული დამოკიდებულების აღმოჩენის შემდეგ, ცხადი გახდა, რომ მათი სინქრონიზირება საკმაოდ რთულია. როდესაც ეკონომიკა აღმავლობის გზაზეა, უმუშევრობა მცირდება, მაგრამ ინფლაცია იზრდება. როდესაც ეკონომიკა დაცემის ფაზაშია, ინფლაცია მცირდება, მაგრამ იზრდება უმუშევრობა. ამიტომ გამოჩნდა პუბლიკაციები, რომლებშიც განიხილებოდა არჩევანის პრობლემა ინფლაციასა და უმუშევრობას შორის და სამთავრობო პოლიტიკის ალტერნატივები.

აბსცისათა ღერძზე აღვნიშნოთ უმუშევრობის დონე  $u$ , ხოლო ორდინატთა ღერძზე - ინფლაციის დონე  $\pi$ . თუ ამომრჩეველს აინტერესებს მხოლოდ ინფლაციის და უმუშევრობის პრობლემები, მაშინ ფილიპსის გრძელვადიანი მრუდი ( $LL$ ) იქნება ალტერნატიული ნაკრები ორი პოლიტიკური პარტიისთვის. დავუშვათ, რომ  $I_1$  და  $I_2$  - მედიანური ამომრჩეველის განურჩევლობის მრუდებია. მაშინ  $M$  წერტილი (რომელიც გამოხატავს ინფლაციის და უმუშევრობის განსაზღვრულ დონეს) იქნება წერტილი, რომელთან დამთხვევაც ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიას არჩევნებზე გამარჯვებას მოუტანს (ნახ. 11.3(ა)).



წყარო: Mueller D. Public choice III. Ch. 19. P. 438.

### ნახ. 11.3. პოლიტიკური საქმიანი ციკლი როგორც არჩევანი ინფლაციასა და უმუშევრობას შორის


მაგრამ რამდენადაც ეკონომიკური კონიუნქტურა იცვლება, შესაბამისად იცვლება მედიანური ამომრჩევლის უპირატესობებიც. აღმავლობის პერიოდებში, როდესაც უმუშევრობა მცირდება, ოპტიმალურმა წერტილმა შეიძლება გადაინაცვლოს მარჯვნივ ( $M'$  მდგომარეობაში, როგორც ნაჩვენებია ნახ.11.3 (ბ)-ზე), ხოლო დაცემის პერიოდში - გადაადგილდეს მარჯვნივ.

დავუშვათ, რომ მთავრობა აწყდება, აგრეთვე, ფილიპსის მოკლევადიან მრუდს ( $SS$ ). მაშინ მან უნდა დააბალანსოს დამოკიდებულება  $SS$ -ს,  $LL$ -ს და მედიანური ამომრჩევლის განურჩევლობის მრუდს შორის. ასეთ ბალანსირებას იდეოლოგიური შეფერილობა აქვს, რამაც გამოიწვია კიდევ პოლიტიკური საქმიანი ციკლის დაზუსტება სოციალურ-ეკონომიკური უპირატესობების გათვალისწინებით. საქმე იმაშია, რომ კეინზიანელები მთავარ პრობლემად ყოველთვის განიხილავდნენ უმუშევრობას, ხოლო მონეტარისტები - ინფლაციას. მაშასადამე, პოლიტიკური საქმიანი ციკლი, როგორც არჩევანი უმუშევრობასა და ინფლაციას შორის, ყველაზე ზოგადი სახით, შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად: ინფლაციის ზრდა მცირდება უმუშევრობის ზრდით, ხოლო უმუშევრობის ზრდა ჩერდება, როდესაც ხელისუფლებაში მოდიან კეინზიანელები. უმუშევრობის შემცირების მათ მიერ გატარებული პოლიტიკის საზღაური არის უფრო მაღალი ინფლაცია,

რომელთან ბრძოლაც იწვევს ხელისუფლებაში მონეტარისტების მოსვლას და ყველაფერი თავიდან იწყება (იხ. ნახ 11.3.-ზე წრიული წყვეტილი ხაზი).

ორპარტიული ციკლის მოდელებში ეკონომიკის ციკლურობა ხელისუფლებაში მოსული პარტიების იდეოლოგიური განსხვავებებით აიხსნება. ითვლება, რომ მემარცხენე პარტიები, უპირველეს ყოვლისა, უმუშევრობის დონის შემცირებისკენ ისწრაფვიან, მაშინ, როცა მემარჯვენეები მეტ ძალისხმევას ინფლაციის დონის შემცირებაზე ხარჯავენ. უმუშევრობის დონის შემცირების ფასი აღმოჩნდება ფასების გაზრდილი დონე, ხოლო მემარჯვენე მთავრობის მიერ გატარებული მონეტარული ზომების შედეგი უმუშევრობის დონის ამაღლება ხდება.

ორპარტიული ციკლის უმარტივესი მოდელი შექმნა დუგლას ჰიბსმა. ნახ, 11.4.-ზე ჩანს, რომ ინფლაციის პრობლემის გამწვავებამ შეიძლება გამოიწვიოს მემარცხენე მთავრობის მარცხი (პირველი ელექტორალური ციკლი).



ნახ. 11.4. ჰიბსის ორპარტიული ციკლი (მოლოდინის ფაქტორის გაუთვალისწინებლად)

მართლაც, როგორც გრაფიკიდან ჩანს, პირველი ციკლის ბოლოს ინფლაცია ძალიან მაღალია და თუ არ იქნება მიღებული გადამწყვეტი ზომები მასთან ბრძოლისთვის, შესაძლებელია პოპულარობის დაცემა და მომავალ არჩევნებში დამარცხება. მაგრამ ინფლაციასთან ბრძოლის საზღაური იქნება უმუშევრობის ზრდა, რაც მემარცხენეთა ლოზუნგებს უფრო მიმზიდველს გახდის და შეამცირებს მემარჯვენე მთავრობის


მხარდამჭერთა რაოდენობას. ამ პირობებში, მთავრობის ცვლილება საკმაოდ მოსალოდნელია (მეორე ელექტორალური ციკლი). მაგრამ მემარცხენე მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლასთან ერთად, მესამე ელექტორალურ ციკლში ჩამოყალიბდება პირველი სიტუაციის ანალოგიური სიტუაცია და ციკლი თავიდან დაიწყება.

ცხადია, ეს იდეალური სურათია. რეალურ სინამდვილეში მსგავსი ციკლები შეიძლება უფრო დიდი ხნით გაიწელოს (ორი ან მეტი ელექტორალური პერიოდით). მაგრამ თვით ორპარტიული სისტემის ხანგრძლივი არსებობის ფაქტი, როდესაც სხვადასხვა იდეოლოგიური შეხედულებების მქონე პარტიები მეტ-ნაკლებად რეგულერულად ცვლიან ერთმანეთს, პოლიტიკური საქმიანი ციკლის არსებობის აშკარა დადასტურებაა.

უფრო რთულ ვარიანტს წარმოადგენს ალბერტო ალეზინას ორპარტიული ციკლი, რომელშიც გაითვალისწინება რაციონალური მოლოდინები. რაციონალური მოლოდინების გათვალისწინების იდეა წამოაყენეს ჯერ კიდევ 1982 წელს პატრიკ მინფორდმა და დევიდ პილმა (Minford, 1982, p. 253-270). მათი აზრით, როგორც ამომრჩევლები, ასევე ორივე პოლიტიკური პარტია ხელმძღვანელობს რაციონალური მოლოდინებით. ამასთან, ისინი უშვებენ, რომ მთავრობებს შეუძლიათ ან შემოსავლების, ან ინფლაციის სტაბილიზირება.

მოდელი გვიჩვენებს, რომ მემარჯვენეები ცდილობენ ინფლაციის, ხოლო მემარცხენეები - შემოსავლების სტაბილიზირებას. მინფორდის და პილის შემდეგ იყო მოდელის სრულყოფის რამდენიმე მცდელობა. მათ შორის ყველაზე წარმატებული ა. ალეზინას ეკუთვნის (Alesina, 1987, 1988, 1990). მისი მოდელი ემყარება იმ წინამძღვარს, რომ რეალურ სინამდვილეში პარტიები აწყდებიან განუსაზღვრელობის ელემენტს: მათ ელით ყველანაირი მოულოდნელობა (მოულოდნელობის იდეა ეკუთვნით ელისს და თომას. იხ.: Ellis C., Thoma M. Partisan Effects in Economies with Variable Electoral Terms // Journal of Money, Credit and Banking. 1991. Vol. 23. P. 728-741). მოულოდნელობის ელემენტის გათვალისწინებით, მოდელი გამოიყურება ისე, როგორც ნაჩვენებია ნახ.11.5.-ზე. გაითვალისწინება არა მარტო ინფლაციისა და უმუშევრობის მაღალი დონეების მონაცვლეობა, არამედ ისეთი გარემოებებიც, როგორცაა უმუშევრობის მკვეთრი ზრდა ან შემცირება (სქელი ხაზი).

ბუნებრივია, მაღალი მოულოდნელობის პირობებში ეს ნახტომები შეიძლება უფრო დიდი (პირველი და მეორე პერიოდი) ან უფრო მცირე (მესამე პერიოდი) იყოს. ამიტომ მთავრობების ცვლა არ ჯდება ჰიბსის მარტივ ციკლში. იგი შეიძლება რამდენიმე ციკლზე გაიჭიმოს. ნახ. 11.5 -ზე მემარჯვენე მთავრობა ცვლის მემარცხენეს, რომელიც ხელმეორედ აირჩევა ორი ვადით მანამდე, სანამ ინფლაციის დონე არ აღწევს სახიფათო ზომებს (მოცემულ შემთხვევაში, აჭარბებს 5%-ს). აღსანიშნავია, რომ ნახ.11.5-ზე ნაჩვენებია, რომ მემარცხენე მთავრობა (ცალკეული წარმატებების მიუხედავად) ვერ ახერხებს უმუშევრობის საშუალო დონის შემცირებას 3%-ზე ქვემოთ. თანაც, ამ დონის შენარჩუნება წლიდან წლამდე სულ უფრო ძნელი ხდება. შედეგად, ინფლაციის დონე იზრდება 1%-დან 5%-მდე იზრდება.



ნახ.11.5. ა. ალფინას ორპარტიული ციკლი რაციონალური მოლოდინების გათვალისწინებით

ცხრ. 11.1-ში ნაჩვენებია, თუ როგორ იცვლებოდა უმუშევრობის დონე სხვადასხვა პოლიტიკური საქმიანი ციკლების დროს. მათი არსი იმაში მდგომარეობს, რომ იდეოლოგიური განწყობების შესაბამისად, პოლიტიკური საქმიანი ციკლის ბოლოს, უმუშევრობის დონე შეიძლება მინიმალური, ნორმალური (ესე იგი, იმყოფებოდეს ბუნებრივ, გრძელვადიან დონეზე) ან მაქსიმალური იყოს.



ცხრილი 11.1.

უმუშევრობის დონის ცვლილება სხვადასხვა პოლიტიკურ-საქმიანი ციკლების და მთავრობების დროს

	პირველი წელი	მეორე წელი	მესამე წელი	მეოთხე წელი
ნორდჰაუს - მაკ-რეის არჩევნების ციკლი  ყველა მთავრობა	ზრდა	მაქსიმალური დონე	შემცირება	მინიმალური დონე
საარჩევნო დაპირებათა ციკლი  ყველა მთავრობა	შემცირება	მინიმალური დონე	ზრდა	?
ჰიბსის ორპარტიული ციკლი  მემარცხენე მთავრობა  მემარჯვენე მთავრობა	მაქსიმალური დონე  მინიმალური დონე	შემცირება  ზრდა	შემცირება  ზრდა	მინიმალური დონე  მაქსიმალური დონე
ალეზინას ორპარტიული ციკლი				

მემარცხენე მთავრობა	შემცირება	ზრდა	ბუნებრივი დონე	ბუნებრივი დონე
მემარჯვენე მთავრობა	ზრდა	შემცირება	ბუნებრივი დონე	ბუნებრივი დონე

წყარო: Paldam M. Political Business Cycles. P. 355.

ნორდჰაუს - მაკ-რეის მოდელის და ჰიბსის ორპარტიული ციკლის თანახმად, როდესაც ხელისუფლება ეკუთვნის მემარცხენე მთავრობას, უმუშევრობა იცვლება ამ ციკლის დასაწყისში და მცირდება მეოთხე წლისთვის, ესე იგი, მომდევნო არჩევნებისთვის ის იქნება მინიმალურ დონეზე. მემარჯვენე მთავრობების დროს, ჰიბსის ციკლში სიტუაცია საპირისპიროა. ხოლო ალუზინას ორპარტიულ ციკლში ორივე მთავრობა ცდილობს, რომ ხელისუფლებაში ყოფნის ბოლო ორ წელს უმუშევრობა არ აჭარბებდეს ბუნებრივ დონეს (იხ, ცხრ. 11.1).

მკვლევართა უმრავლესობა ემხრობა ორპარტიული ციკლის არსებობის იდეას. თითქმის ყველა მეცნიერმა (ალუზინა, ბეკი, ჰიბსი და სხვ.) დაამტკიცა ამ ჰიპოთეზის რაციონალურობა ფართო ეკონომეტრიკული მასალით, რომელიც მოიცავდა 1912-1990 წწ.

### 11.3. პოლიტიკური საქმიანი ციკლის მოდელი რენტორიენტირებული ქცევის გათვალისწინებით

#### 11.3.1. მოდელი „პოლიტიკოსი - ამომრჩეველი“ ტრანსაქციური ხარჯების გათვალისწინების გარეშე

პოლიტიკური საქმიანი ციკლის მოდელის უმრავლესობა არაცხადად ვარაუდობს მთავრობის უპირატესობათა სისტემას. მთავრობის მისწრაფება - ხელმეორედ აირჩიონ - ნიშნავს, რომ სიტუაცია, როდესაც იგი ხელისუფლებაში იმყოფება, მკაცრად უპირატესია იმ სიტუაციასთან შედარებით, როდესაც ხელისუფლებაში იმყოფება ვინმე სხვა. ამგვარად,

მმართველი მთავრობა თავის ალტერნატიულ დანახარჯებს (ე.ი. ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობებს რაიმე სხვა საქმიანობის შემთხვევაში) უფრო ნაკლებად აფასებს, ვიდრე ხელისუფლებაში ყოფნიდან მიღებულ სარგებლობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მმართველი მთავრობა იღებს რენტას.

განვიხილოთ, თუ როგორ იწვევს პოლიტიკური საქმიანი ციკლის წარმოშობას „პოლიტიკოსი - ამომრჩეველი“ სისტემის ფუნქციონირება იმ პირობებში, როდესაც პოლიტიკოსს რენტის ამოღება შეუძლია.

პოლიტიკოსის და ამომრჩევლის ურთიერთობის აღწერისთვის საჭიროა განისაზღვროს:

- 1) აგენტთა ურთიერთქმედების გარემო;
- 2) აგენტთა ურთიერთქმედების მოდელები მათი სარგებლიანობის ფუნქციების და გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმების მეშვეობით.

მოდელის განხილვა დავიწყოთ მაქსიმალურად მარტივი წანამდღვრებით. დავუშვათ დროის მომენტებია:  $t = 0, 1, 2 \dots n$ . დროის ყოველ  $t$  მომენტში ამომრჩეველი იღებს რაღაც შემოსავალს. პოლიტიკოსების საქმიანობა უშუალოდ ფინანსდება ამომრჩევლის შემოსავლებიდან და დროის ყოველ  $t$  მომენტში პოლიტიკოსი იღებს  $x(t)$  რენტას - ამომრჩევლის შემოსავლის წილს, რომელიც ერგება პოლიტიკოსს დროის  $t$  მომენტში.

პოლიტიკოსი თვითონ ირჩევს  $x$ -ის მნიშვნელობას - რენტას, რომელსაც ის მიიღებს ხელისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში, მაგრამ არსებობს  $x$ -ის რაღაც მაქსიმალური მნიშვნელობა:  $x_{max} < 1$ . იგი განისაზღვრება სახელმწიფო წყობილების არსებული სისტემით. შესაძლებელია მოცემული მტკიცების სხვადასხვა ინტერპრეტაცია: მაგალითად, პოლიტიკოსი, უბრალოდ, ჯიბეში იღებს ამომრჩეველთა შემოსავლის ნაწილს, ე.ი. ქურდობს; ან ხელისუფლებისთვის ბრძოლის შედეგად, „ფუჭად“ ხარჯავს ამომრჩევლის სახსრებს  $x(t)$  ოდენობით; ან  $x(t)$  შეიძლება განვიხილოთ როგორც დანაკარგები, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკოსის მიერ ეკონომიკაში შეტანილ დამახინჯებებთან.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ პოლიტიკოსის მიერ მიღებული რენტის სიდიდე ( $x$ ) პირდაპირაა დაკავშირებული ამომრჩევლის (პირდაპირ თუ

არაპირდაპირ) დანაკარგებთან. ჩვენს მოდელში ამომრჩევლის დანაკარგები უდრის პოლიტიკოსის მიერ მიღებულ რენტას.

ამომრჩეველი ფლობს შემწყნარებლობის დონეს  $x^*$ , რომელიც აღნიშნავს მისი შემოსავლის მაქსიმალურად დასაშვებ დანაკარგებს. ჩვენს შემთხვევაში, ეს იქნება პოლიტიკოსის მიერ მიღებული რენტის სიდიდე.  $x^*$ -ის გადაჭარბება გამოიწვევს იმას, რომ ამ პოლიტიკოსს ხელახლა აღარ აირჩევენ ( $x^* < x_{max}$ ).

პოლიტიკოსის სარგებლიანობის ფუნქცია მკაცრად ზრდადია რენტის დისკონტირებული ნაკადის მიხედვით (სადაც რენტის დროთაშორისი დისკონტირების კოეფიციენტი უდრის  $1 - \delta$ ). პოლიტიკოსი ირჩევს თავისი ქცევის სტრატეგიას, ე.ი.  $x(t)$  -ს, თავისი სარგებლიანობის ფუნქციის მაქსიმიზირებით, ან რაც იგივეა, პოლიტიკოსი ამაქსიმიზებს რენტის დისკონტირებულ ნაკადს.

დავუშვათ, რომ პოლიტიკოსი აირჩევა ყოველ  $t$  პერიოდში და მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა შეზღუდული არ არის (ეს წანამძღვრები ანალიზს ამარტივებს და გავლენას არ ახდენს შედეგებზე).

მაშინ  $t$  დროის ყოველ მომენტში პოლიტიკოსი იღებს  $x(t)$ -ს არჩევის გადაწყვეტილებას. მან უნდა შეადაროს ორი სტრატეგია:

- 1) მიითვისოს დროის მოცემულ პერიოდში  $x_{max}$  და ამის შემდეგ აღარ იყოს ხელახლა არჩეული, რადგან  $x^* < x_{max}$ ;
- 2) მიითვისოს დროის მოცემულ პერიოდში  $x^*$  და ხელახლა იქნეს არჩეული მომდევნო ვადით.

შემდგომ ვადაში საჭირო იქნება ზუსტად ასეთივე ამოცანის გადაწყვეტა და თუ პირველ პერიოდში ხელსაყრელია ხელახლა არჩევა, დროის მომდევნო მომენტებშიც ოპტიმალური იქნება ხელახლა არჩევის გადაწყვეტილება. ე.ი. ეს ალტერნატივა ნიშნავს  $x^*$ -ის მიღებას ყველა მომდევნო პერიოდის განმავლობაში ანუ არჩევას მთელი სიცოცხლის მანძილზე. მოცემულ შემთხვევაში პოლიტიკოსი იღებს დისკონტირებულ რენტას:

$$\sum_{t=0}^{\infty} (1-\delta)^t x^* = \frac{x^*}{\delta} \quad (11.1)$$

ქცევის სტრატეგიის არჩევისას პოლიტიკოსი აირჩევს მაქსიმალურს ორიდან: ან  $x_{max}$ -ს ან  $\frac{x^*}{\delta}$ -ს.

თუ სამართლიანია თანაფარდობა:

$$x_{max} > \frac{x^*}{\delta},$$

მაშინ ყოველი პოლიტიკოსი იყენებს (1) სტრატეგიას: იღებს  $x_{max}$ -ს პირველ პერიოდში და მიდის. ამასთან, ამომრჩეველს ყოველ  $t$  მომენტში ექნება მაქსიმალური დანაკარგები  $x_{max}$ . აშკარაა, რომ ეს არის მოცემულ მოდელში შესაძლებელი ყველაზე ცუდი მდგომარეობა ამომრჩევლებისთვის.

თუ სამართლიანია თანაფარდობა:

$$x_{max} < \frac{x^*}{\delta},$$

მაშინ პოლიტიკოსი ამჯობინებს დროის ყოველ მომენტში მიიღოს  $x^*$ , ესე იგი, გამოიყენებს (2) სტრატეგიას. ამომრჩევლისთვის ასეთი სიტუაცია უმჯობესია, ვიდრე მდგომარეობა  $x^* < x_{max}$ , რადგან  $x$  ამომრჩევლის დანაკარგებია. თუ ამომრჩეველს თვითონ შეუძლია შემწყნარებლობის დონის ( $x^*$ ) განსაზღვრა, მაშინ ცხადია, რომ მისთვის აუცილებელია  $x^*$ -ის ისეთი მინიმალური მნიშვნელობის არჩევა, რომლის დროსაც პოლიტიკოსისთვის ხელსაყრელი იქნება სტრატეგია (2). მას არ შეუძლია პოლიტიკოსებს წაუყენოს გადაჭარბებული მოთხოვნები (ანუ დაადგინოს  $x^*$ -ის ძალიან დაბალი მნიშვნელობა), ვინაიდან მაშინ პოლიტიკოსი უბრალოდ გამოიყენებს სტრატეგია (1)-ს და მიიღებს  $x_{max}$ -ს პირველ პერიოდში.

ამომრჩევლისთვის ოპტიმალური იქნება მდგომარეობა, რომლის დროსაც სრულდება ტოლობა:

$$x_{max} = \frac{x^*}{\delta}, \tag{11.2}$$

და საუკეთესო იქნება  $x^*$ -ის ისეთი სიდიდე, რომ

$$x^* = \delta x_{max}. \tag{11.3}$$

ტოლობა (11.3) გვიჩვენებს იმ ფაქტს, რომ ამომრჩეველი იძულებულია შეურიგდეს დანაკარგებს  $x^*$ -ის დონეზე, რაც დამოკიდებულია  $x_{max}$ -ის მაქსიმალურ სიდიდეზე და დროთაშორისი დისკონტირების განაკვეთზე  $\delta$ .

ამ მარტივი მოდელიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: რაც უფრო ნაკლებად აფასებენ ინდივიდები მომავალს (ე.ი. რაც უფრო დიდია  $\delta$ ),  $x^*$ -ის მით უფრო მაღალ მნიშვნელობას უნდა შეურიგდნენ ისინი. ამგვარად, მომავალი პერიოდების დაბალი პრეფერენციების დროს ამომრჩეველები პოლიტიკოსებისგან მეტ დანაკარგებს მოითმენენ მათი რენტაორიენტირებული საქმიანობისგან, ვიდრე საპირისპირო შემთხვევაში.

მეორე დასკვნა:  $x^*$ -ის და  $\delta$ -ს მოცემული მნიშვნელობებისას, თუ  $x_{max} > \frac{x^*}{\delta}$ , აღმოცენდება პოლიტიკოსების მუდმივი ცვლის სიტუაცია. რაც მეტისმეტად არაკეთილსასურველი სიტუაციაა ამომრჩეველისთვის.

ამგვარად, არსებობს  $x_{max}$  -ის გარკვეული ზღვრული მნიშვნელობა, რომლის გადამეტებაც ამომრჩეველთა მაქსიმალურ დანაკარგებს იწვევს.

მოცემული მოდელი (რომლის წანამძღვრებია დროის დისკრეტულობა და ყოველ  $t$  პერიოდში პოლიტიკოსთა ხელახლა არჩევა) არ იძლევა პოლიტიკური საქმიანი ციკლის ფორმირების მექანიზმის ილუსტრირების საშუალებას. მაგრამ მისი გამოყენება სასარგებლოა მესამე სამყაროს ქვეყნების პოლიტიკური პროცესების ანალიზში. მესამე სამყაროს მრავალი ქვეყანა კორუფციის ძალიან მაღალი დონით ხასიათდება. რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ მათი ამომრჩეველები „შეეჩვივნენ“ პოლიტიკოსთა არაკეთილსინდისიერებას?

მოცემული მოდელის ფარგლებში ეს შეიძლება აიხსნას ამ ქვეყნების ამომრჩეველთა შემწყნარებლობის მაღალი დონით ( $x^*$ ). ფორმულა (11.3) -ის მიხედვით, შემწყნარებლობის ოპტიმალური დონე განისაზღვრება როგორც  $x^* = \delta x_{max}$ . შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მესამე სამყაროს ქვეყნებში  $x_{max}$  -ის მნიშვნელობა უფრო მაღალია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. ამასთან, დიდი ალბათობით, განუვითარებელი ქვეყნებისთვის  $\delta$ -ც მაღალია (ანუ მომავალი ნაკლებად ფასობს). მაღალი შემწყნარებლობა „ბინძური პოლიტიკოსებისადმი“ განუვითარებელ ქვეყნებში „კიდევ უფრო ბინძურებთან“ ბრძოლის

საშუალებაა. ამ ქვეყნებს არ შეუძლიათ, დაიცვან საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ორგანიზაციის დასავლური სტანდარტები.

### 11.3.2. მოდელი „პოლიტიკოსი-ამომრჩეველი“ ტრანსაქციური ხარჯების გათვალისწინებით

მოდელის შემდგომი განვითარების იდეა მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოების მიერ პოლიტიკოსების „დაქიეავებაც“ და „განთავისუფლებაც“ დაკავშირებულია გარკვეულ დანახარჯებთან.

თუ არჩევნებს განვიხილავთ ვიწრო გაგებით, როგორც მოლაპარაკებათა წარმოების პროცესს, მაშინ რ. ქოუზის კლასიფიკაციის მიხედვით, არჩევნების ჩატარების ტრანსაქციური ხარჯები მოლაპარაკებათა წარმართვის ხარჯები იქნება. უფრო ფართო გაგებით, არჩევნების ჩატარების ხარჯები გულისხმობს გაცვლას ამომრჩეველებსა და პოლიტიკოსებს შორის, რომელშიც ხმები იცვლება დაპირებებზე, რეპუტაციაზე და ა.შ. როგორც აღნიშნავს ჯ. ბიუქენენი, „ბაზარზე ადამიანები ცვლიან ვაშლებს ფორთოხლებზე, ხოლო პოლიტიკაში თანხმდებიან გადასახადების გადახდას იმ დოვლათის სანაცვლოდ, რომელიც აუცილებელია ყველასთვის და თითოეულისთვის“ (Бьюкенен, 1997, с. 108).

ანალიზში ტრანსაქციური ხარჯების ჩართვით, უარს ვამბობთ დისკრეტული დროის წანამდღვარზე. განვიხილოთ მოდელი განუწყვეტელი დროით, რომელიც იცვლება 0-დან  $+\infty$ -მდე.

დავუშვათ, რომ  $t_e$  დროის მომენტებში:

$$t_e = t_0 + n \cdot \Delta,$$

სადაც  $n = 0, 1, 2, \dots$   $\Delta$  - პოლიტიკოსის ხელისუფლებაში ყოფნის ერთი ვადის ხანგრძლივობაა. ხელახლა არჩევის დანახარჯები უდრის EC-ს (election costs).  $t$  დროის სხვა მომენტებში:

$$t_e \neq t_0 + n \cdot \Delta.$$

ხელახლა არჩევის დანახარჯები უდრის IC-ს (impeachment costs). ამასთან,

$$EC < IC.$$

ეს ნიშნავს, რომ არსებობს დროის მომენტები (არჩევნები), რომლებშიც შესაძლებელია მოქმედი პოლიტიკოსების შეცვლა (იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ აკმაყოფილებენ ინდივიდთა ინტერესებს) საკმაოდ დაბალი დანახარჯებით, ხოლო დროის სხვა მომენტებში ეს დანახარჯები მეტია არჩევნების დანახარჯებზე. (არჩევნების ზემოთ განხილული მოდელი მოცემული სიტუაციის კერძო შემთხვევაა, როდესაც  $EC = 0$ ,  $IC \rightarrow \infty$  და  $\Delta \rightarrow 0$ ).

დროის ყოველ  $t$  მომენტში პოლიტიკოსს შეუძლია მიიღოს  $X_{max}$ . პოლიტიკოსის სარგებლიანობა არის რენტის დისკონტირებული ნაკადის მკაცრად ზრდადი ფუნქცია.

პოლიტიკოსი, როგორც ადრე, ახლაც ამაქსიმიზებს რენტულ გადასახდელთა დისკონტირებულ ნაკადს. დროის ყოველ მომენტში მას შესაძლებლობა აქვს, მიიღოს  $x_t \in [0, X_{max}]$ . ამასთან,  $x_t = 0$  ნიშნავს, რომ მას არავითარი რენტა არ ექნება, ე.ი. ეს არის შემოსავალი, რომელსაც მიიღებდა წონასწორობის შემთხვევაში იდეალურ პოლიტიკურ ბაზარზე.  $x_t = X_{max}$  შეესაბამება სიტუაციას, როდესაც პოლიტიკოსი იყენებს სახელისუფლო რენტის ამოღების ყველა შესაძლებლობას.

პოლიტიკოსი ხელახლა არჩეული იქნება იმ შემთხვევაში, თუ რენტის ჯამური ნაკადი უკანასკნელი არჩევის შემდეგ არ გადააჭარბებს  $x^*$ -ის რაღაც სიდიდეს. ეს პირობა სრულიად შეესაბამება ზემოთ აღწერილ სიტუაციას დროის ერთი პერიოდისათვის. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ  $x^*$  მოცემულ შემთხვევაში ასახავს **დაგროვილ რენტულ გადასახდელს**.

პოლიტიკოსი ვადამდე გადარჩეული იქნება იმ შემთხვევაში, თუ მისი დაგროვილი რენტა უკანასკნელი არჩევნების შემდეგ განვლილი პერიოდის განმავლობაში გადააჭარბებს  $x^{**}$ -ს, სადაც  $x^{**}$  **შემწყნარებლობის დამატებითი ზომაა**, რომელიც აღწერს მოქალაქეთა ქცევას დაგროვილი რენტის გადაჭარბების დროს. პოლიტიკოსი **ვადამდე** გადარჩეული იქნება, თუ  $x^{**} > x^*$ .

დავუშვათ, რომ  $x^*$ ,  $x^{**}$ ,  $X_{max}$ ,  $\delta$  და  $\Delta$  ერთხელ განსაზღვრულია და მუდმივი რჩება დროის მთელი პერიოდის მანძილზე.



### 11.3.3. ოპტიმალური პოლიტიკური საქმიანი ციკლის ფორმირების მექანიზმი

განვიხილოთ პოლიტიკოსთა შესაძლო ქცევა. სტრატეგიის არჩევისას პოლიტიკოსი გამოიყენებს რენტის დისკონტირებული ნაკადის მაქსიმიზაციის კრიტერიუმს. როგორც ვნახეთ, პოლიტიკოსისთვის ხელმისაწვდომია შემდეგი სტრატეგიები:

- 1) **სწრაფი მოგების სტრატეგია**, როდესაც ის იღებს მაქსიმალურად შესაძლო რენტას პირველ ვადაში;
- 2) **ხანგრძლივად ყოფნის სტრატეგია**, როდესაც ის ხელახლა აირჩევა ყოველ ვადაში, უსასრულო რიცხვჯერ.


(ოპტიმალური შუალედური სტრატეგია, როდესაც პოლიტიკოსი წყვეტს, არჩეულ იქნეს რამდენიმე ვადით და შემდეგ - წავიდეს, არ არსებობს). ქცევის სტრატეგიის არჩევანი დამოკიდებული იქნება  $x^*$ ,  $x^{**}$  და  $x_{\max} \Delta$  -ს შორის თანაფარდობაზე, სადაც  $x_{\max} \Delta$  არის ერთ ვადაში პოლიტიკური რენტის მაქსიმალურად შესაძლო ნაკადი.

განვიხილოთ შესაძლო შემთხვევები:

1.


$$\frac{x^*}{x_{\max}} < \frac{x^{**}}{x_{\max}} < \Delta$$

ა) ხანგრძლივად ყოფნის სტრატეგია: პოლიტიკოსი ყოველ ვადაში მიიღებს რენტის ნაკადს, რომელიც  $x^*$ -ის ტოლია. რენტული გადასახდელების დისკონტირებული ნაკადის მაქსიმიზირებით, ყოველი პერიოდის დასაწყისში ის ეცდება მაქსიმალურად სწრაფად მიიღოს  $x^*$  (რისთვისაც მას დასჭირდება  $\frac{x^*}{x_{\max}}$  დრო), ხოლო შემდეგ წარმართავს „კრისტალურად პატიოსან“ საქმიანობას ახალ არჩევნებამდე. ამგვარად, პოლიტიკოსი მიიღებს რენტას  $k\Delta$ -დან  $k\Delta + \frac{x^*}{x_{\max}}$  -მდე პერიოდებში, სადაც  $k = 0, 1, 2, \dots$  (ნახ. 11.6)



ნახ.11.6. რენტულ გადასახდელთა ნაკადის დროითი სტრუქტურა ხანგრძლივად ყოფნის სტრატეგიის რეალიზაციის დროს

ბ) სწრაფი მოგების სტრატეგია: პოლიტიკოსი იღებს მაქსიმალურად შესაძლო რენტას პირველ ვადაში. ის მიითვისებს რენტას იმპიჩმენტის მომენტამდე. ე.ი. 0-დან  $\frac{x^{**}}{x_{max}}$  - მდე პერიოდში (ნახ. 11.7)



ნახ. 11.7. რენტულ გადასახდელთა ნაკადის დროითი სტრუქტურა სწრაფი მოგების სტრატეგიის რეალიზაციის დროს

ამომრჩევლისთვის დანაკარგები რენტის ძიებიდან მეტი იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიტიკოსები უპირატესობას ანიჭებენ სწრაფი მოგების სტრატეგიას, ვინაიდან

ხანგრძლივად ყოფნის სიტუაციაში აღმოცენდება დროის მომენტები, როდესაც პოლიტიკოსი არანაირ პოლიტიკურ რენტას არ იღებს.

2.

$$\frac{x^*}{x_{\max}} < \Delta < \frac{x^{**}}{x_{\max}}$$

მოცემულ სიტუაციაში ხანგრძლივად ყოფნის სტრატეგია რენტის ისეთივე ნაკადს მოიტანს, როგორც (1) შემთხვევაში (ნახ.11.6 და 11.7). მაგრამ სწრაფი მოგების სტრატეგიის გამოყენებისას, ხელახლა არჩევის მომენტი უფრო ადრე დადგება, ვიდრე იმპიჩმენტი. დანაკარგები საზოგადოების წევრებისთვის პოლიტიკური რენტის ამოღების შედეგად, ასევე მეტი იქნება. (1) შემთხვევისგან განსხვავებით, ხელახლა არჩევა ხდება EC დანახარჯებით და არა IC.

3.

$$\Delta < \frac{x^*}{x_{\max}} < \frac{x^{**}}{x_{\max}}$$

ესაა სიტუაცია, როდესაც ხანგრძლივად ყოფნის და სწრაფი მოგების სტრატეგიები განურჩეველია, ვინაიდან ასეთი  $x^*$  პარამეტრის დროს პოლიტიკოსს შეუძლია, თავს უფლება მისცეს, მიიღოს  $x_{\max}$  მთელი ვადის განმავლობაში. ამასთან, ის ხელახლა იქნება არჩეული შემდეგი ვადით.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ (1) და (2) შემთხვევებისთვის, თუ პოლიტიკოსს აქვს ქცევის საკუთარი სტრატეგიის არჩევის შესაძლებლობა, სწორედ ხელისუფლებაში ხანგრძლივად ყოფნის სტრატეგიას მიჰყავს იგი ნორდჰაუსის ტრადიციული პოლიტიკური საქმიანი ციკლის ფორმირებამდე. ამასთან, პოლიტიკოსი არჩევნების შემდგომ უახლოეს პერიოდში ამოიღებს საკუთარ პოლიტიკურ რენტას, რის შემდეგაც დგება პერიოდი, როდესაც ის იძულებულია უზრუნველყოს ამომრჩეველთა მაქსიმალური კეთილდღეობა .

რენტის სტრუქტურა, რომელიც გამოსახულია 11.6. ნახაზზე, ყალიბდება პოლიტიკოსის მიერ დისკონტირებული ნაკადის მაქსიმიზაციის გამო იმ ვარაუდით, რომ ამომრჩევლისათვის ყველა პერიოდი ერთნაირად ფასეულია, ესე იგი,  $x^*$  ყველა დანაკარგის

ჯამია  $t$  დროის ყველა მომენტში. შემწყნარებლობის დონეში ( $x^*$ ) დისკონტირების ფაქტორის შემოტანის შემთხვევაში, ნახ. 11.6. და 11.7.-ზე მიღებული შედეგები უფრო მკაცრი იქნებოდა, ვინაიდან პოლიტიკოსს გაუჩნდებოდა დამატებითი არგუმენტი იმისათვის, რომ ყველა სარგებლობის მიღება საჭიროა ხელისუფლებაში ყოფნის ვადის დასაწყისში. ამომრჩევლებისთვის, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ხანგრძლივად ყოფნის სტრატეგიაა სასურველი.

პოლიტიკური საქმიანი ციკლის ფორმირების მსგავსი მექანიზმი არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ, კონკრეტულად, როგორ მოახდენს პოლიტიკოსი რენტის ამოღების პროცედურის რეალიზებას. ამ სქემაში ჯდება როგორც ნორდჰაუსის ციკლების ყველა სახესხვაობა, ასევე სხვა მექანიზმებიც.

არჩევნების შემდეგ, მაშინვე დგება მთავრობის მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გამკაცრების პერიოდი. მოდელის მიხედვით, ეს შეესაბამება ამომრჩეველთა დანაკარგებს. მორიგი არჩევნების წინ ტარდება „გაფართოების“ პოლიტიკა, რომლის დროსაც ამომრჩეველი შემოსავლის მაქსიმალურ დონეს იღებს.

არსებობს თუ არა ამომრჩევლის თვალსაზრისით ოპტიმალური ვადა, რომლითაც უნდა იქნენ არჩეული პოლიტიკოსები? მეცნიერთა ნაწილი ასაბუთებს, რომ ამომრჩევლებისთვის, უმეტეს შემთხვევაში, ოპტიმალურია სიტუაცია, როდესაც პოლიტიკოსები ხანგრძლივად ყოფნის სტრატეგიას იყენებენ და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში (არჩევნების ჩატარების უზარმაზარი ხარჯების დროს) ოპტიმალური ხდება სწრაფი მოგების სტრატეგია. ამავე დროს, არ უნდა წარმოიშვას იმპიჩმენტის სიტუაცია. ტრანსაქციური ზღურბლის არსებობის შემთხვევაში, არჩევნები უნდა ჩატარდეს უშუალოდ იმპიჩმენტის გამოტანის წინ.

**ლიტერატურა:**

**Alesina A.** Macroeconomic Policy in a Two-Part System as a Repeated Game // Quarterly Journal of Economics. 1987. Vol. 102. P. 641- 678;

**Alesina A.** Macroeconomics and Politics: NBER Annual Working Papers. Cambridge: MIT Press. 1988;

**Alesina A.** Roubini N. Political Cycles in OECD Economies: NBER Working Papers. 1990. №3478.

**Minford P., Peel D.** The Political Theory of the Business Cycle // European Economic Review. 1982. Vol. 17. P. 253-270.

**Mueller D.** Public choice III. New York: Cambridge University Press, 2008. Ch. 19, pp. 429-471 .

**Paldam, Martin,** “Political Business Cycles,” 1997, in D. C. Mueller, ed., 1997a, 342–370.

**Sutter D.** Can the Media Be So liberal? The Economics of Media Bias/ Cato Journal. Vol. 20, 2001.

**Анохина Н.В.** Влияние средств массовой информации на электоральное поведение: основные подходы. // Вестник СамГУ. 2000 № 1(15)

**Бьюкенен Дж.М.** Конституция экономической политики // (перевод с англ. под ред. Р.М. Нуреева). Бьюкенен Дж.М. Сочинения. М.: Таурис Альфа, 1997.

**Нуреев Р. М.** Теория общественного выбора. М.: Издательский дом ГУ- ВШЭ, 2005, гл. 11.

**Мюллер Д.** Общественный выбор III. М.: Институт Экономическая школа ГУ-ВШЭ, 2007, Гл. 19, С. 563-621.

**Олсон М.** Возвышение и упадок народов. Экономический рост, стагфляция и социальный склероз. – Новосибирск: ЭКОР, 1998. с. 273-352.

**Шульгин С. Г.** «Электоральный цикл: поиск политической ренты?» В кн.: «Экономические субъекты постсоветской России (институциональный анализ)». Под ред. Р. М. Нуреева. М.: МОНФ, 2003, гл. 18.

## თემა 12. კონსტიტუციური ეკონომიკა

თავდაპირველ არჩევანზე დამოკიდებულია როგორც ადამიანის, ისე სახელმწიფოს ბედი. როგორ მივიღოთ სწორი გადაწყვეტილებები? როგორ მოვახდინოთ გავლენა თანამოქალაქეებზე, რათა მათ არ ჩაიდინონ გამოუსწორებელი შეცდომა კონსტიტუციის - დემოკრატიული საზოგადოების განვითარების ძირითადი კანონის - მიღებისას? თუ საწყის სტადიაზე დადებული შეთანხმება არასრულყოფილია, ხდება დემოკრატიული იდეალის დამახინჯება, ხოლო კანონი გადაიქცევა თვითნებობად. რის გაკეთებაა აუცილებელი იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული დემოკრატიის გადაქცევა ავტორიტარულ რეჟიმად, ხოლო თავისუფალ ადამიანთა საზოგადოებისა - მონების საზოგადოებად? ყველა ეს პრობლემა კონსტიტუციური ეკონომიკის შესწავლის საგანია.

### 12.1. სახელმწიფოს „ჩავარდნები“

სახელმწიფოს (მთავრობის) „ჩავარდნები“ (ფიასკო) (government failure) - ეს არის შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოს (მთავრობას) არ შეუძლია უზრუნველყოს საზოგადოებრივი რესურსების ეფექტიანი განაწილება და გამოყენება.

სახელმწიფოს ჩავარდნებს, ჩვეულებრივ, მიაკუთვნებენ:

1) **გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელი ინფორმაციის შეზღუდულობა.** მსგავსად იმისა, როგორც ბაზარზე შეიძლება არსებობდეს ასიმეტრიული ინფორმაცია, ასევე სამთავრობო გადაწყვეტილებები შეიძლება მიიღებოდეს ხშირად საიმედო სტატისტიკის არარსებობის დროს, რომლის გათვალისწინება შესაძლებელს გახდიდა უფრო სწორი გადაწყვეტილების შემუშავებას. გარდა ამისა, განსაკუთრებულ ინტერესთა მძლავრი ჯგუფების არსებობა, აქტიური ლობი, ძლიერი ბიუროკრატიული აპარატი თვით არსებული ინფორმაციის მნიშვნელოვან დამახინჯებას იწვევს.

2) **პოლიტიკური პროცესის არასრულყოფილება.** მოცემული სიტუაციის დამახასიათებელი ძირითადი მომენტებია: რაციონალური იგნორირება, ლობიზმი, ხმებით მანიპულირება, ლოგროლინგი, პოლიტიკური რენტის ძიება, პოლიტიკურ-ეკონომიკური ციკლი და ა.შ.

3) ბიუროკრატიაზე კონტროლის შეზღუდულობა. სახელმწიფო აპარატის სწრაფი ზრდა სულ უფრო მეტ და ახალ პრობლემებს ქმნის ამ თვალსაზრისით.


4) სახელმწიფოს უუნარობა, სრულად გაითვალისწინოს და გააკონტროლოს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა უახლოესი და შორეული შედეგები. საქმე ეხება იმას, რომ ეკონომიკური აგენტები მთავრობის მოქმედებებს ხშირად აღიქვამენ არა ისე, როგორც ივარაუდებოდა. მათი რეაქცია ძლიერ ცვლის მთავრობის მიერ გატარებული აქციების (ან კანონმდებელთა მიერ მოწონებული კანონების) აზრს და მიმართულებას. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები ხშირად იწვევს თავდაპირველი ჩანაფიქრისგან განსხვავებულ შედეგებს. ამიტომ სახელმწიფოს მოქმედების საბოლოო შედეგი დამოკიდებულია არა მხოლოდ და არა იმდენად თვით მასზე.

ბაზრის ფიასკოს ემატება სახელმწიფოს ფიასკო. ამიტომ აუცილებელია მისი საქმიანობის შედეგების გაკონტროლება და კორექტირება სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კონიუნქტურის შესაბამისად. ამა თუ იმ რეგულატორების გამოყენებისას, მთავრობა მკაცრად უნდა ადევნებდეს თვალს ნეგატიურ შედეგებს და დროულად მიიღოს მათი ლიკვიდაციის ზომები. თუმცა მთავრობების რეალური საქმიანობა ხშირად არა ასუსტებს, არამედ უფრო აძლიერებს სახელმწიფოს ჩავარდნებს. მით უფრო, რომ ასეთ საფრთხეს შეიცავს თვით გადაწყვეტილებათა მიღების დემოკრატიული პროცედურა.

## 12.2. მთავრობის ოპტიმალური ზომების პრობლემა

სახელმწიფოები შეიძლება იყოს მეტ-ნაკლებად ცენტრალიზებული. ცენტრალიზებულ ქვეყნებში მთავრობა უნდა იყოს უფრო მსხვილი და იერარქიული. ნახ. 12.1-ზე ნაჩვენებია, რომ ორივე ღერძზე კოორდინატთა სათავიდან იზრდება არჩევნების რაოდენობა. ვერტიკალურად იზრდება მთავრობის იერარქიულობის ხარისხი, ჰორიზონტალურად - იცვლება მთავრობის ფუნქციონალურობა - წარმომადგენლობითიდან (რომელიც ასრულებს ყველა ფუნქციას) ვიწროფუნქციონალურამდე (რომელიც შედგება მრავალი სპეციალიზირებული სამთავრობო ორგანოსგან). ამ გრაფიკზე ყოველი სახელმწიფოსთვის არსებობს წერტილი, რომელიც ახასიათებს სამთავრობო მოწყობას. მისი მდებარეობა დამოკიდებულია როგორც ქვეყნის ისტორიულ-კულტურულ და გეოპოლიტიკურ თავისებურებებზე, ასევე მისი

მოქალაქეების ნება-სურვილის გამოვლინებაზე არჩევნების მეშვეობით. მაგრამ, თვით იმ იშვიათ შემთხვევაშიც, როდესაც რეალობა იდეალს უახლოვდება, გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიულ პროცედურას თავისი ნაკლოვანებები აქვს.



### ნახ 12.1. მთავრობის ოპტიმალური ზომა

წყარო: Cooter R. The Strategic Constitution. P.104.

### 12.3. დემოკრატიული იდეალის დამახინჯება

საზოგადოების განვითარებასთან ერთად, ჩნდება ისეთი მოვლენა, როგორცაა დემოკრატიული იდეალის დამახინჯება, როდესაც კანონი ჩანაცვლდება თვითნებობით. საზოგადოებისთვის ამ სენის თავიდან აცილებას სხვადასხვაგვარად ცდილობენ. ზოგიერთი თავისუფლების გარანტიას ხედავს ავტორიტარულ ლიბერალიზმში (ან ლიბერალურ ავტორიტარიზმში). ასეთი სისტემა ნიშნავს, რომ ძირითადი გადაწყვეტილებები დამოკიდებულია განათლებულ მონარქზე. კეთილი მეფის რწმენა ასწლეულობით კულტივირდებოდა მრავალი ქვეყნის ხალხებში. მაგრამ ასეთი რეჟიმები გარედან უფრო მიმზიდველი ჩანს, ვიდრე შიგნიდან, ვინაიდან არაცხადი რჩება, როგორ




უნდა ავირჩიოთ და, რაც მთავარია, როგორ უნდა გავაკონტროლოთ ეს განათლებული მონარქი. დროთა განმავლობაში, ასეთი რეჟიმების მქონე ქვეყნების მცხოვრებნი გამოსავლის ძებნას იწყებენ დემოკრატიულ გარდაქმნებში.

ავტორიტარული ლიბერალიზმის საპირისპიროა ანარქო-ლიბერალიზმი. ამ მიმართულების მიმდევრები გამოდიან კერძო სასამართლოების, კერძო პოლიციის, კერძო ჯარისკაცების, თავისუფალი ბანკების სისტემის მომხრეებად. ამ იდეების სრული რეალიზაცია, ფაქტობრივად, ნიშნავს სახელმწიფოს სრულ ლიკვიდაციას. ასეთი კონცეფციების სათავეს გარკვეულწილად, წარმოადგენს ჰაიეკის „დამღუპველი თვითდაჯერებულობის“ ზოგიერთი დებულება, მიყვანილი მათ სრულ და ლოგიკურ დასასრულამდე. საბედნიეროდ, ავტორი შორს იყო ასეთი უკიდურესობებისგან. მაგრამ ბუნებრივად იბადება კითხვა: რატომ არ ჩამოყალიბდა ასეთი ანარქო-ლიბერალური სისტემა არსად და არასდროს რამდენადმე დასრულებული ფორმით?

ზოგიერთი თეორეტიკოსი, დაწყებული ვ. ბუშიდან, ცდილობდა ეპასუხა კითხვაზე - როგორ ხდება გადასვლა ანარქიის მდგომარეობიდან კონსტიტუციურ წესრიგზე? (Bush, 1972. P. 5-18).

თეორიულად ეს შეიძლება წარმოვადგინოთ მარტივი მოდელის სახით (ნახ. 12.2). აბსცისათა ღერძზე აღვნიშნოთ A ინდივიდის სარგებლიანობა (ბუშის მოდელში ეს არის რობინზონ კრუზო), ხოლო ორდინატა ღერძზე - B ინდივიდის (პარასკევას) სარგებლიანობა. შეზღუდული თანასაზოგადოების პირობებში გადაწყვეტილების მიღება შეიძლება ერთსულოვნების წესის მიხედვით, როდესაც გარიგების არც ერთი მონაწილის ინტერესები არ ილახება. ამიტომ ჩვენ გადავალთ S მდგომარეობიდან (ანარქია) S', S" და ა.შ. მდგომარეობაში, E მდგომარეობამდე (წესრიგი). E წერტილი მდებარეობს სამომხმარებლო შესაძლებლობათა (შესაძლო სარგებლიანობათა) მრუდზე და შეესაბამება მოცემულ დროს მიღწეულ საზღვარს. მაგრამ ასეთი მოდელი ძალიან ამარტივებს სინამდვილეს იმიტომ, რომ საზოგადოებაში, რომელიც მოიცავს ათასობით და მილიონობით ინდივიდს, პარეტო-ოპტიმალური მდგომარეობის მიღწევა გადაწყვეტილებათა მიღების ხარჯების მკვეთრ ზრდას გამოიწვევს.



ნახ. 12.2. მოძრაობა ანარქიიდან კონსტიტუციური წესრიგისაკენ

წყარო: Mueller D. C. Constitutional Democracy. Oxford: Oxford University Press, 1996. P. 213.

ჯონ ლოკის და თომას ჯეფერსონის იდეალი იყო **შეზღუდული დემოკრატია**. ისინი გამოდიოდნენ კონსტიტუციური წესრიგის შეზღუდვის მომხრეებად, რომლის შემოტანამაც უნდა განსაზღვროს, თუ რა არ უნდა გააკეთოს საკანონმდებლო კრებამ თვით დეპუტატების უმრავლესობის მხარდაჭერის დროსაც. შეზღუდვები ეხება არა მარტო სახელმწიფოს საქმიანობას (მას არ შეუძლია და არ უნდა ხელყოს ინდივიდის საკუთრება, არა აქვს უფლება შექმნას მონოპოლიები და ა.შ.), არამედ ადამიანის ეკონომიკურ უფლებებსაც, რომ აღარაფერი ვთქვათ მორალურ თვისებებზე (ისეთებზე, როგორცაა პატიოსნება, პასუხისმგებლობა, საზოგადოებისადმი ლოიალურობა და სხვ.). ადამიანებს, ლიბერალების აზრით (დ. იუმიდან დაწყებული - ფ. ჰაიეკამდე), უნდა ჰქონდეთ საკუთრების უფლებების სიმტკიცის, მათი მემკვიდრეობით გადაცემის გარანტიის, კონტრაქტების შესრულების და ა.შ. რწმენა. ნისკანენმა ამას „რბილი ინფრასტრუქტურა“ უწოდა. მისი არარსებობა იწვევს მაღალ ტრანსაქციურ ხარჯებს. მაგრამ იბადება კითხვა: როგორ შევქმნათ ამ „რბილი ინფრასტრუქტურის“ შენარჩუნების და განვითარების გარანტიები? არსებობს ამ პრობლემის გადაწყვეტის რამდენიმე გზა. ერთ-ერთი მათგანი შემოგვთავაზა ფრიდრიხ ფონ ჰაიეკმა.

#### 12.4. ფ. ჰაიეკის კონსტიტუციური წესრიგის მოდელი


ფ. ჰაიეკი თავის კონსტიტუციის მოდელში ამოდის არსებული დემოკრატიული ინსტიტუტების კარდინალური გარდაქმნის აუცილებლობიდან. ისინი, მისი აზრით, შექმნილი იყო მართვის და არა კანონმდებლობის საჭიროებებისთვის. თავდაპირველად დემოკრატიაში გულისხმობდნენ თვით არა მართვის შინაარსს, არამედ მხოლოდ გადაწყვეტილებათა მიღების ფორმას (ანუ პროცედურას). ეს ფორმა არაფერს ამბობდა მართვის მიზნებზე და მათი მიღწევის საშუალებებზე. დროთა განმავლობაში (და ინგლისური ტრადიციის გავლენითაც), წარმომადგენლობითი კრება (პარლამენტი) იღებს არა მარტო უმაღლეს, არამედ შეუზღუდავ ძალაუფლებასაც საზოგადოებაში. როგორც ჰაიეკი ამბობს, თუ მათ, ვინც იღებს გადაწყვეტილებას ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, შეუძლიათ გამოსცენ ნებისმიერი კანონი, მაშინ ცხადია, რომ თვითონ ისინი არ ექვემდებარებიან კანონს (Хаїек, 1990, с. 52). ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებაში ბატონობს **საპარლამენტო სუვერენიტეტის პრინციპი**.

კანონების მიღება და მათი შესრულების კონტროლი - სხვადასხვა ფუნქციებია. თუ არჩევით ორგანოს უფლება ექნება შეცვალოს თვით კანონები, მაშინ ის, ადრე თუ გვიან, ყველაფერს გააკეთებს, რათა განამტკიცოს და გააფართოვოს თავისი ძალაუფლება. საზოგადოებრივი სახსრების უფასოდ გაცემა მოსახლეობის ცალკეული კატეგორიებისთვის, შეღავათები სპეციალურ ინტერესთა სხვადასხვა ჯგუფებისთვის ხელმეორედ არჩევის პირობა, უმრავლესობის მხარდაჭერის ყიდვის საშუალება, ე.ი. პოლიტიკური აუცილებლობა ხდება. ნებისმიერ ფასად ხელისუფლების შენარჩუნება გადაიქცევა მიზნად, ხოლო საზოგადოებრივი დოვლათის გაფლანგვა - ამ მიზნის მიღწევის საშუალებად. ასეთი ტენდენცია ობიექტურად შეიცავს დემოკრატიული იდეალის გადაგვარების საფრთხეს. ამიტომ ფ. ჰაიეკი თვლის, რომ ჭეშმარიტად დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელია სამი წარმომადგენლობითი ორგანო: „ერთი - მხოლოდ კონსტიტუციის საკითხებით დაკავებისთვის (ის შეიკრიბება დიდი ინტერვალებით, მხოლოდ მაშინ, როდესაც საჭირო გახდება ცვლილებები კონსტიტუციაში), მეორე - სამართლიანობის კოდექსის მუდმივი სრულყოფისათვის, მესამე - მიმდინარე მართვისთვის, ე.ი. საზოგადოებრივი რესურსების განკარგვისათვის“. პირველი წარმომადგენლობითი ორგანოს მიზანი იქნება თვითნებობის, ე.ი. „წესების

გარეშე მართვის“, შეკავება. კონსტიტუცია, რომელიც მოწონებული უნდა იქნეს უმაღლესი ორგანოს მიერ, შეძლებს, დაიცვას თითოეულის საქმიანობის კერძო სფერო სახელმწიფოს ჩარევისგან, ე.ი. მოახდინოს იძულებაზე სახელმწიფოს უფლების გამოყენების შესახებ ზუსტი საზღვრების ფორმულირება.

ფ. ჰაიეკი გვთავაზობს საკანონმდებლო კრების ფორმირების სრულიად ახალ პრინციპს. ამისათვის ყოველი თაობა, რომელიც მიაღწევს 45 წელს, თავისი გარემოცვიდან ირჩევს წარმომადგენლებს 15 წლის ვადით. ამგვარად, საკანონმდებლო კრებაში წარმოდგენილი იქნებიან ადამიანები 45-დან 60 წლამდე, და წარმომადგენლობა ყოველწლიურად განახლდება 1:15 თანაფარდობით. ხელისუფლების ზოგადი სტრუქტურა, ფ. ჰაიეკის მიხედვით, მაშინ შემდეგნაირი იქნება (ნახ. 12.3): უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენს კონსტიტუცია, რომელიც განსაზღვრავს ხელისუფლების ყველა ორგანოს ფუნქციებს. საკანონმდებლო კრება ახდენს სამთავრობო კრების ფორმირებას, რომელიც, თავის მხრივ, აყალიბებს მთავრობას, რომელიც ხელმძღვანელობს ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიულ აპარატს.

ასეთი სტრუქტურა, ჰაიეკის აზრით, საშუალებას იძლევა, თავიდან იქნეს აცილებული დემოკრატიული იდეალის დამახინჯება, დაიცავს კანონის გადაგვარებას თვითნებობად, შექმნის ადმინისტრაციული მანქანის ზრდის საზღვრებს.



## ნახ. 12. 3. ხელისუფლების ზოგადი სტრუქტურა ფ. ჰაიეკის მიხედვით

### 12. 5. მოთხოვნები ეფექტიანი კონსტიტუციისადმი

კონსტიტუცია განსაზღვრავს სახელმწიფოს ძირითადი პოლიტიკური ინსტიტუტების მნიშვნელობას: საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, პრეზიდენტის, მთავრობის, სასამართლოების ფუნქციებს და არეგულირებს ურთიერთობას ამ ინსტიტუტებსა და ხალხს შორის. კონსტიტუციის ფორმები შეიძლება იყოს სხვადასხვა. ზოგიერთ ქვეყნებში არსებობს მოკლე კონსტიტუციები (მაგალითად, ჰოლანდიის, აშშ-ის და იაპონიის). სხვა ქვეყნებში მიღებულია სრული კონსტიტუციები (ესპანეთი, პორტუგალია, ინდოეთი, ბრაზილია). არის ქვეყნებიც, რომლებშიც ფორმალური კონსტიტუცია, როგორც ცალკე დოკუმენტი, არ არსებობს (დიდი ბრიტანეთი, ისრაელი). ამ ქვეყნებში, ფაქტობრივად, კონსტიტუციის როლს საკანონმდებლო აქტები ასრულებს.

კონსტიტუცია დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკურ პროცესზე. საერთოეროვნული, რეგიონალური და ლოკალური ინტერესების შეხამების წარმატებული მაგალითია კონსტიტუციით განმტკიცებული საარჩევნო სისტემა აშშ-ში. საერთოეროვნულ ინტერესებს იცავს პრეზიდენტი, რომელიც აირჩევა 4 წელიწადში ერთხელ. რეგიონალური პრობლემები იმყოფება სენატის ყურადღების ცენტრში, რომლის წევრებიც აირჩევიან 6 წელიწადში ერთხელ. ლოკალურ ინტერესებს იცავენ დეპუტატები კონგრესში, რომლებიც აირჩევიან ორ წელიწადში ერთხელ. კანონები მიიღება თანმიმდევრობით, ამერიკის პარლამენტის ორივე პალატის მიერ და მტკიცდება პრეზიდენტის მიერ. ამიტომ ადგილი აქვს გარკვეულ წონასწორობას, თავისებურ ბალანსს ადგილობრივ, რეგიონალურ და ნაციონალურ ინტერესებს შორის.


კონსტიტუციის ძირითადი დანიშნულებაა კოორდინაციის რაციონალური ფორმების მოძებნა მოქალაქეებსა და ოფიციალურ პირებს შორის, აგრეთვე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შტოებს შორის. ეფექტიანი კონსტიტუცია უნდა იყოს მარტივი თავისი ფორმით და შეთანხმებული - თავისი შინაარსით. ის უნდა იყოს სამართლიანი, ე.ი. შექმნას პოლიტიკური ბრძოლისთვის ისეთი პირობები, რომლის დროსაც არ იქნებიან მუდმივი გამარჯვებულები და მუდმივი

წაგებულები. ზღუდავს რა სახელმწიფოს საქმიანობას, ის არ უნდა არეგლამენტირებდეს ქვეყნის ცხოვრების აბსოლუტურად ყველა ასპექტს. მთავარია, რომ ის ქმნიდეს წანამდგრებს გადაწყვეტილების პროცედურისთვის, რომ ეს პროცედურა არ იყოს დამოკიდებული დროის მოცემულ მომენტში ჩამოყალიბებულ კონკრეტულ პოლიტიკურ სიტუაციაზე.

სრული კონსტიტუცია უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად პრობლემებს:


- 1) ადამიანის უფლებები (მოქალაქის სუვერენიტეტის გამოხატულება);
- 2) კეთილდღეობის უზრუნველყოფა (კონსტიტუციაში დაფიქსირებული უნდა იყოს მხოლოდ ის, რის გაკეთებაც შეუძლია სახელმწიფოს);
- 3) საკანონმდებლო ორგანოების სტრუქტურა (პარლამენტი, რეგიონების უფლებები);
- 4) ხელისუფლების დაყოფა (ხელისუფლების დაყოფის და კოოპერაციის შინაარსი და ფორმები);
- 5) ფედერაციის სტრუქტურა (გამოსვლის შესაძლებლობა, ფედერაციის სუბიექტების მართვის სისტემა);
- 6) სასამართლოები (აქტების კონსტიტუციურობა, კონტრაქტების დაცვა, პრეზიდენტის გადაყენების პროცედურა, საკამათო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების საშუალებები);
- 7) განსაკუთრებული გარემოებები (საომარი ინტერვენციები, ბუნებრივი კატასტროფები, ეკონომიკური კრიზისები, მწვავე სოციალური პრობლემები).

კონსტიტუციის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მხრივ, ის განზოგადებული სახით ასახავს ეროვნულ მენტალიტეტს, მოცემული ხალხის ისტორიის, ფილოსოფიის, რელიგიის, ეკონომიკის, სოციოლოგიის და პოლიტიკის თავისებურებებს, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფო კანონმდებლობის საფუძველია (ნახ. 12.4).



**ნახ. 12.4. საკანონმდებლო პირამიდა და მისი ფუნდამენტი**

კონსტიტუციის შესაბამისად მიიღება კანონების, განკარგულებების, ბრძანებების და ინსტრუქციების მთელი სისტემა. ამიტომ, კანონის ზოგადობის ზრდასთან ერთად, ტრანსაქციური ხარჯები მკვეთრად იზრდება. კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას თან ახლავს გაცილებით მაღალი ტრანსაქციური ხარჯები, ვიდრე ახალი კანონის მიღებას. ხოლო ახალი კანონის მიღების ტრანსაქციური ხარჯები გაცილებით მაღალია, ვიდრე კონკრეტული ბრძანების ან განკარგულების მიღებისა (ნახ. 12.5).



**ნახ. 12.5. კანონების ცვლილების ტრანსაქციური ხარჯები**

წყარო: Cooter R. The Strategic Constitution. P.2.

მაგრამ იმისათვის, რომ კონსტიტუციამ შეასრულოს ძირითადი ეკონომიკური კანონის როლი, აუცილებელია, რომ კანონმა შეიძინოს საზოგადოებრივი კაპიტალის თვისება.

## 12.6. კანონი როგორც საზოგადოებრივი კაპიტალი

### დამცავი სახელმწიფო და მწარმოებელი სახელმწიფო


ფ. ჰაიეკისგან განსხვავებით, ჯ. ბიუქენენი და გ. ტალოკი პირველხარისხიდან მნიშვნელობას ანიჭებენ არა საკონსტიტუციო ორგანოების, არამედ კონსტიტუციური ნორმების და წესების ფორმირებას. ჯ. ბიუქენენი ნაშრომში „თავისუფლების საზღვრები“ ასაბუთებს სახელმწიფოს ორ ფუნქციას: დამცავ სახელმწიფოს და მწარმოებელ სახელმწიფოს. პირველი ფუნქცია წარმოადგენს ადამიანთა შეთანხმების შედეგს და კონსტიტუციური ხელშეკრულების დაცვის თავისებურ გარანტს. საზოგადოებაში უფლებების დაცვის უზრუნველყოფა ნიშნავს ნახტომს ანარქიიდან პოლიტიკური ორგანიზაციისკენ. მეორე ფუნქცია ახასიათებს სახელმწიფოს როგორც საზოგადოებრივი დოვლათის მწარმოებელს. ეს ფუნქცია აღმოცენდება კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების ბაზაზე, როგორც თავისებური შეთანხმება მოქალაქეებს შორის საქონელსა და მომსახურებაზე მათი ერთობლივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესახებ. სწორედ აქ იმალება „ლევიათანის საფრთხე“. ჯ. ბიუქენენი და გ. ტალოკი გვთავაზობენ წესების ნაკრებს, რომელიც ხელს შეუშლიდა სახელმწიფოს განვითარებას ავტოკრატიული რეჟიმის მიმართულებით. ამიტომ სახელმწიფო გადაწყვეტილებათა სამართლიანობის ერთადერთ კრიტერიუმს ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში წარმოადგენს მათი შესაბამისობა საზოგადოებრივ ხელშეკრულებასთან, ანუ სამოქალაქო თანხმობასთან.


ქვეყნის წესების სისტემა, ზოგადი სახით, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ვ. ვანბერგის ინტერპრეტაციის მიხედვით (ნახ. 12.6). ქვეყნის წესები იყოფა შემდეგნაირად: მემკვიდრეობით მიღებული, ბუნებით მოცემული და შექმნილი, კულტურის მეშვეობით გადაცემული. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იყოფა პირად და სოციალურ წესებად, ხოლო სოციალური წესები - არაფორმალურ (ტრადიციები, წეს-ჩვეულებები და ა.შ.) და



ფორმალურ (სამართლებრივი ნორმები) წესებად. ბოლოს, ფორმალური სოციალური წესები მოიცავს კერძო და საზოგადოებრივ (საჯარო) სამართალს. კერძო სამართალი არეგულირებს არა მარტო ცალკეულ ინდივიდთა ქცევას, არამედ არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციებისასაც. საზოგადოებრივ სამართალში გამოიყოფა წესები, რომლებიც ზღუდავენ მთავრობის და სახელმწიფოს საქმიანობას.

ამ კლასიფიკაციას, ისევე როგორც ყველა ფორმალურ-ლოგიკური (დიქტომიური) პრინციპით აგებულ სქემას, სუსტი ადგილები აქვს, ვინაიდან იგი ცდილობს ასახოს არსებული სტრუქტურა და არა - მისი ფორმირების და შემდგომი განვითარების პროცესი. ამ კლასიფიკაციის არსებითი ნაკლია ისიც, რომ ის არ გვიჩვენებს სხვადასხვა წესების ურთიერთკავშირს და ურთიერთგავლენას. რეალური ცხოვრება ვანბერგისეულ სქემაზე უფრო მდიდარია, რადგან ეს წესები მუდმივად გულისხმობენ ერთმანეთს, უარყოფენ ერთმანეთს, იმყოფებიან მოძრავ და არა უძრავ მდგომარეობაში. მაგალითად, არაფორმალური სოციალური ნორმები ფორმალიზდება და ა.შ.





**ნახ. 12. 6. წესების კლასიფიკაცია ვ. ვანბერგის მიხედვით**

წყარო: Vanberg V. Rules and Choice in Economics. L.; N.Y.: Routledge, 1994. P.110.

**კანონი როგორც საზოგადოებრივი კაპიტალი**

ნაშრომში „თავისუფლების საზღვრები“ ჯ. ბიუქენენი აანალიზებს კანონს არა უბრალოდ როგორც საზოგადოებრივ დოვლათს, არამედ როგორც საზოგადოებრივ კაპიტალს. ნებისმიერ კაპიტალურ დოვლათს შეუძლია შემოსავლის მოტანა. მაგრამ ინვესტიციების შემთხვევაში მათი ღირებულება დროთა განმავლობაში მცირდება. მაგალითად, თუ თქვენ მოახდინეთ გარკვეული თანხის ინვესტირება წარმოების იარაღების შესაძენად, მათი ღირებულება შემცირდება ამორტიზაციის ანარიცხების ზრდასთან ერთად. დროთა განმავლობაში ისინი ფიზიკურად და მორალურად ცვდება. „კანონთა სისტემა, ფორმალიზებულია ისინი პრაქტიკაში თუ არა, - წერს ჯ. ბიუქენენი, - წარმოადგენს საზოგადოებრივ კაპიტალს, რომლიდან უკუგებაც დროთა განმავლობაში იზრდება... თუ კაპიტალს შემოსავალი მოაქვს მაშინვე ინვესტირების შემდეგ... კანონის შემთხვევაში... სარგებლიანობა, რომელიც მდგომარეობს ინდივიდთაშორის ურთიერთქმედებათა სტაბილურობის ზრდაში, დროთა განმავლობაში სულ უფრო მზარდი პროპორციით მალდება“ (Бьюкенен Дж. М. Границы свободы. Между анархией и Левиафаном. С. 366, 369.).

კარგი კანონების მნიშვნელობის გადაფასება ძნელია და, მით უმეტეს, ისეთი ძირითადი კანონისა, როგორცაა კონსტიტუცია. თუმცა რეალურ ცხოვრებაში არ არის გამორიცხული უარყოფითი შედეგებიც. კარგი კანონების იგნორირებას (განსაკუთრებით, მისი შესრულების უზრუნველყოფი დადებითი და უარყოფითი სტიმულების ეფექტიანი

სისტემის არარსებობის დროს) შეიძლება ტრაგიკული შედეგები ჰქონდეს. „პრაქტიკაში, - წერს ჯ. ბიუქენენი, - საზოგადოებრივი კაპიტალი შეიძლება დაიკარგოს სამუდამოდ, თუ ის ერთხელ წარეცხილ იქნა“ (იქვე, გვ. 369). ამიტომ წარმოიშობა კანონის შესრულების იძულების ეფექტიანი ზომების მიღების პრობლემა.

## 12.7. დასჯის დილემა

კანონის დამრღვევთა მიმართ დასჯის სისტემის განხორციელებისას წარმოიშობა „დასჯის დილემა“. „...ისეთი საზოგადოებრივი დოვლათის უზრუნველყოფისთვის, როგორცაა კანონმორჩილება, წარმოებული უნდა იყოს ისეთი საზოგადოებრივი „ანტიდოვლათი“, როგორცაა სასჯელი“ (იქვე, გვ. 378). დასჯის ხარჯები მოიცავს ორ ელემენტს - დამრღვევთა გამოვლენის ხარჯებს და დამრღვევთა დასჯის ხარჯებს. სწორედ ამ უკანასკნელს განიხილავს ჯ. ბიუქენენი როგორც „ანტიდოვლათს“. სასჯელი აუცილებლად ეკისრება ex post (შემდეგ), თუმცა სასჯელის ზომა შერჩეული უნდა იყოს ex ante (-მდე). ბიუქენენის აზრით, ვერავითარი სასჯელი ვერ ანაზღაურებს სრულად ზიანს, ვერ აღადგენს status quo ante. მაგრამ სასჯელი მაინც უნდა გამოიყენებოდეს, რადგან იგი თავიდან გვაცილებს დარღვევებს, რომლებიც შეიძლება ჩადენილ იქნეს მომავალში, თუ არ იარსებებს სასჯელი. ამიტომ ეფექტიანი პოლიტიკური რეჟიმის შექმნა მოითხოვს ქმედით სამართალდამცავ სისტემას - ეფექტიანს არა იმდენად სასჯელის სიმძიმის, არამედ მისი გარდუვალობის გამო.

ამ თვალსაზრისით, ამერიკული კონსტიტუციური ეკონომიკა ძალიან ჰგავს გერმანულ ორდოლიბერალიზმს. ორივე თეორიის პარადოქსი იმაშია, რომ ისინი ცდილობენ, შეასუსტონ სახელმწიფოს ზეგავლენა საბაზრო ეკონომიკაზე სახელმწიფოზე დაყრდნობით, რომელიც საკმაოდ ძლიერია, რათა თავს მოახვიოს საზოგადოებას თამაშის წესები და გააკონტროლოს მათი დაცვა. თუმცა სახელმწიფოს როლი მნიშვნელოვნად იზრდება გარდამავალ პერიოდში, როდესაც აუცილებელია ტრადიციული ინსტიტუტების გარდაქმნა და პრინციპულად ახალი „თამაშის წესების“ შემუშავება. ამ წინააღმდეგობის გათვალისწინებით, ჯ. ბიუქენენი მოითხოვს „საბაზრო წესრიგის მინიმალურ პოლიტიზაციას“ გარდამავალ ეკონომიკაში, და რეფორმების წარმატების პირობად თვლის: პირველი, ეკონომიკურ ფასეულობათა წარმოების

შესაძლებლობების დეცენტრალიზებულ განაწილებას, ისევე როგორც ამგვარი განაწილების ზუსტ პოლიტიკურ-სამართლებრივ აღიარებას“, და, მეორე, კერძო მესაკუთრეთა შორის ნებაყოფლობითი გაცვლის სისტემის შექმნას, „ქონებაზე მათი კუთვნილი უფლებებით“, რომელიც განმტკიცებულია პოლიტიკური და სამართლებრივი წყობით. ცხადია, ეს პირობები არასაკმარისი, მაგრამ მინიმალურად აუცილებელია.

**სასჯელის ხარჯები.** კანონი, სამართლებრივი სისტემა წარმოადგენს საზოგადოებრივ დოვლათს. თითოეული ინდივიდისთვის არსებობს კანონთა რაღაც ეფექტიანი, ოპტიმალური „რაოდენობა“, რომელიც განისაზღვრება თავისუფლების შეზღუდვის ზღვრული ხარჯების და მეტი საზოგადოებრივი წესრიგის ზღვრული სარგებლიანობის ტოლობით, რაც იწვევს საზოგადოებრივი წყობილების მეტ სტაბილურობას. კანონთა ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა ეფუძნება იმ ვარაუდს, რომ რამდენადაც რაღაც შეთანხმება მიღწეულია და მისი საზღვრები აღიარებულია, თითოეული მხარე დაიცავს შეთანხმებას. მაგრამ ყოველი ინდივიდი ინარჩუნებს კერძო მოტივებს, რომლებიც უბიძგებენ მას შეთანხმების დარღვევისკენ მისი დაცვის უზრუნველყოფის ეფექტიანი მექანიზმის არარსებობისას. ნებისმიერი ასეთი მექანიზმის არსებობა დაკავშირებულია ხარჯებთან. „კანონმორჩილება“ საზოგადოებრივი დოვლათია, მაგრამ მისი მიღება შეუძლებელია ხარჯების გარეშე.

კანონის დაცვის უზრუნველყოფა ხდება ორ ეტაპად. ჯერ ერთი, დარღვევები გამოვლენილი უნდა იყოს, ხოლო დამრღვევები - განსაზღვრული. მეორე, დამრღვევები უნდა დაისაჯნენ. ხარჯები წარმოიშობა ორივე ეტაპზე. აუცილებელია რესურსების დახარჯვა როგორც დარღვევების აღმოჩენაზე, ასევე იმ ინდივიდთა განსაზღვრაზე, ვისაც ეკისრება პასუხისმგებლობა ამისთვის; ეს დანახარჯები იზრდება „კანონმორჩილების სასურველი რაოდენობის“ ზრდასთან ერთად, უცვლელი ინდივიდუალური უპირატესობების დროს. დარღვევის გამოვლენისა და ამოცნობის შემდეგ დამრღვევი უნდა დაისაჯოს ან დაჯარიმდეს. ხარჯებთანაა დაკავშირებული თვით დასჯაც (ციხეები, დაცვა, უსაფრთხოების სისტემა და ა.შ.). მაგრამ სასჯელის ძირითადი ხარჯები შეუძლებელია უშუალოდ გამოიხატოს რესურსების დანახარჯებით. ისინი სუბიექტურია და მათი ანალიზისათვის უკეთესია სარგებლიანობის ცნების გამოყენება. ადამიანების დასჯა, - როგორც აღნიშნავს ჯ. ბიუქენენი, - მიუხედავად იმისა, დაარღვიეს თუ არა მათ

კანონი, იწვევს ტანჯვას და სარგებლიანობის შემცირებას ნორმალური ადამიანისათვის, რომელმაც თვითონ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ეს სასჯელი უნდა აირჩიოს. „სხვების დასჯა“, ეკონომიკური ტერმინოლოგიით, „ანტიდოვლათია“. ესაა საქმიანობა, რომელიც თავისთავად არასასურველია და რომლის თავიდან აცილებასაც ცდილობს ნორმალური ადამიანი, ან, თუ ეს შეუძლებელია, ცდილობს, შეამციროს ამ საქმიანობაში თავისი მონაწილეობა.

სასჯელის ნეგატიური აღქმა ძლიერდება, როდესაც ინდივიდი აცნობიერებს, რომ ის, შეიძლება, თვითონაც გახდეს მის მიერ დადგენილი იურიდიული ნორმების მსხვერპლი. თვითონაც შეიძლება აღმოჩნდეს იმ „სხვებს“ შორის, ვისაც სჯიან. ინდივიდუალური ეგოისტური ინტერესი, განსაზღვრულ პირობებში, შეიძლება, ჭარბობდეს კანონმორჩილების გრძნობას. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა ამის კარგი მაგალითია. ადამიანი, რომელსაც ესმის, რომ, გარკვეულ შემთხვევაში, თვითონაც შეიძლება დაარღვიოს ეს წესები, უხალისოდ იღებს იმ ინსტიტუტებს, რომლებიც მკაცრად სჯიან მათი დარღვევისთვის. ინდივიდს სურს, რომ ყველა „სხვა“ ნებაყოფლობით იცავდეს კანონს, ხოლო თვითონ თავისუფალი იყოს მის დარღვევაში. იგი, აგრეთვე, ამჯობინებს, რომ კანონის დარღვევისთვის უფრო მკაცრი სასჯელი ეკისრებოდეთ სხვებს და არა - მას. ინდივიდის მიერ სასჯელთა სისტემის არჩევაზე მსგავს ზეგავლენას ახდენს იმის გაცნობიერება, რომ დამრღვევთა დასჯისას შეიძლება მოხდეს შეცდომები. თვით მაშინაც, როდესაც წინასწარ იცის, რომ საერთოდ არ დაარღვევს საზოგადოებაში არსებულ არანაირ კანონს თუ წესს, ინდივიდმა უნდა განიხილოს უდანაშაულო მსხვერპლად ქცევის შესაძლებლობა.

**„დასჯის დილემა“ წარმოიშობა იმის გამო, რომ კანონმორჩილების, როგორც საზოგადოებრივი დოვლათის, უზრუნველყოფისთვის უნდა იქნეს წარმოებული სასჯელი, როგორც საზოგადოებრივი „ანტიდოვლათი“ (Бьюкенен, 1997, с. 380 – 381). რომ შეგვეძლოს ისეთ სამყაროში ცხოვრება, სადაც ადამიანები იცავენ კანონს სასჯელის მუქარის გარეშე, კანონის, როგორც ასეთის, საჭიროება არ იქნებოდა. ჩვენ მის გარეშეც შევძლებდით მოწესრიგებული ანარქიის მდგომარეობის მიღწევას.**

**სასჯელის დროითი ასპექტი.** დანახარჯები-სარგებლიანობის გაანგარიშება, რომლის შედეგადაც განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის სიმკაცრის ხარისხი,

უფრო რთულია, ვიდრე უბრალოდ, არჩევანი საზოგადოებრივ დოვლათსა და საზოგადოებრივ „ანტიდოვლათს“ შორის. სასჯელი აუცილებლად ეკისრება ex post. ხოლო ინდივიდი, რომელმაც კანონი დაარღვია, ისჯება თვით დარღვევის ფაქტის შემდეგ. ამავე დროს, სასჯელის მიზანს წარმოადგენს ex ante: დასჯის ინსტიტუტები არჩეულია მხოლოდ და მხოლოდ დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

განვიხილოთ ინდივიდი, რომელიც მონაწილეობს კონკრეტული დანაშაულისათვის დასჯის წესების კოლექტიურ დადგენაში. სასჯელის სარგებლიანობა მდგომარეობს მოსალოდნელ დარღვევათა იმ რაოდენობაში, რომლისგანაც ინდივიდები თავს შეიკავებენ სასჯელის შესაბამისი ზომის დაწესების შემდეგ. სასჯელის დანახარჯები მორალურია. იგი წარმოიშობა იმის გაცნობიერებისგან, რომ ზიანი უნდა იქნეს მიყენებული მისთვის, ვინც ვერ შეაშინა დასჯის საფრთხემ. თუ დასჯის წესები დადგენილია, ხოლო შემდეგ მოხდა დარღვევა, ინდივიდმა რამდენადმე განსხვავებული „სასჯელის ხარჯები“ უნდა გაილოს, ვინაიდან იგი ხედავს არჩეული წესების მოქმედების რეალურ შედეგებს. მას ესმის, რომ ინდივიდებზე ხორციელდება ძალმომრეობა, ისინი იტანჯებიან უკვე მას შემდეგ, რაც დარღვეულ იქნა კანონი. ზიანი უკვე მიყენებულია, ვერანაირი სასჯელი ვერ აღადგენს status que ante. ამ სტადიაზე საზოგადოების ცალკეულ წევრებს - როგორც კანონის დამრღვევთ, ასევე მათ, ვინც დაზარალდა - წესების მოდიფიცირების ძლიერი ცდუნება უჩნდებათ. „ნორმალური ადამიანი შეიძლება განიცდიდეს სხვების დასჯას თუნდაც აშკარა დანაშაულისთვის. იგი უფრო მეტად შეწუხდება, თუკი გააცნობიერებს, რომ ზოგიერთი დაპატიმრებული არასწორადაა ბრალდებული“ (Бьюкенен, 1997, 380 – 381).

საბოლოოდ, ინდივიდები გადაწყვეტენ, შეადარონ დანაშავეთა ტანჯვის მიხედვით გაზომილი სასჯელის დანახარჯები შეადარონ სასჯელის გამოყენების მომავალ სარგებლიანობას. შესაძლებელია რაციონალურად მიღებული დასჯის ნორმების როგორც უარყოფა, ასევე შერბილება.

რამდენადაც აღიარებულია, რომ სასჯელის განხორციელების კონტროლი მოქმედებს სასჯელის სიმკაცრის დონის არჩევის გადაწყვეტილებაზე, მომავლის დისკონტის სუბიექტური ნორმა აწმყოში გავლენას მოახდენს შედეგზე. როდესაც ეს ნორმა იზრდება, სასჯელის სიმკაცრის უპირატესი დონე მცირდება. კანონის დარღვევა იწვევს საზოგადოებრივი კაპიტალის ნგრევას. დამრღვევები ეძებენ მყისიერ მოგებას: ისინი

ცდილობენ, შეადარონ მისი მოსალოდნელი ღირებულება იმ მოსალოდნელ მომავალ დანახარჯებს, რომელსაც სასჯელი იწვევს. კანონის დარღვევის გადაწყვეტილება სავარაუდო წაგებასა და მიმდინარე მოგებას შორის არჩევანის შედეგია. ამიტომ დისკონტის სუბიექტური ნორმის გაზრდა კანონდარღვევების რაოდენობას გაზრდის. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმათთვის, ვისზეც ოპტიმალურად მკაცრი სასჯელის არჩევას დასჯის პროცესის კონტროლი უშუალოდ მოქმედებს, დისკონტის სუბიექტური ნორმის გაზრდა, ფაქტობრივად, სასჯელის სიმკაცრის შერბილებას ნიშნავს.

ეგზოგენურმა ცვლილებებმა „გემოვნებაში“, აგრეთვე, შეიძლება არაპროგნოზირებადი რეაქციები გამოიწვიოს. რეალურ ცხოვრებაში ამის მაგალითად ჯ. ბიუქენენს მოჰყავს მარიხუანას მოხმარება აშშ-ში. კანონი იმ სახით, რა სახითაც არსებობდა 60-იან წლებამდე, მარიხუანას მოხმარებისა და გაყიდვისთვის ნომინალურად მკაცრ სასჯელს ითვალისწინებდა. როგორც ჩანს, 60-იან წლებში მოხდა გემოვნების ეგზოგენური ცვლილებები, მნიშვნელოვნად გაიზარდა მარიხუანას მოხმარებელთა რიცხვი და, შესაბამისად, მათი რიცხვიც, ვინც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა დასჯილიყო. საზოგადოების წევრები, ვინც ნარკოტიკებს არ მოიხმარდნენ, აკვირდებოდნენ ამ სასჯელს და, ჩათვალეს რა იგი მეტისმეტად მკაცრად, შესაბამისი კანონის გაუქმების ან მისი შერბილების მოთხოვნა დაიწყო. მოვლენათა განვითარების ასეთი სქემა შეიძლება შეწყდეს მხოლოდ მარიხუანას მოხმარების იურიდიულ შეზღუდვაზე უარის თქმით, რის შედეგადაც იგი ანარქიულად ორგანიზებულ სოციალურ ურთიერთქმედებათა ჭრილში გადავა. ეს მაგალითი იმ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა, რომ საზოგადოების პრინციპული გადაწყვეტილება ადამიანის ქცევის შეზღუდვის შესახებ უნდა მიიღებოდეს დაგეგმვის კონსტიტუციურ სტადიაზე *ex ante* და ამ გადაწყვეტილებაზე მეტისმეტად არ უნდა ზემოქმედებდეს იმათი გრძნობები, ვინც დასჯის მოწმე გახდა.

**სასჯელის სტრატეგიული ანუ კონსტიტუციური ასპექტი.** სასჯელის დილემის გადაწყვეტა შეუძლებელია მანამდე, სანამ კონსტიტუციურ სტადიაზე არ არის გაკეთებული სასჯელის ზომათა სისტემის სტრატეგიული და არა ტაქტიკური არჩევანი. ასეთი სტრატეგია მომგებიანად გამოიყენება კანონის დამრღვევთა მიერ. საზოგადოება იძულებულია, არასასურველ მდგომარეობაში დარჩეს, რადგან დამრღვევებს უფრო

რბილად სჯის, ვიდრე ამას ეფექტიანობის მოსაზრებები მოითხოვს და შედეგად კანონმორჩილების იმ დონეს იღებს, რომელიც ოპტიმალურზე დაბალია. ამავე დროს, იგი წუხს თავისი წევრების დასჯის ფაქტზე. სასჯელს, რომელიც ეკისრება *ex post*, არ შეუძლია თავიდან აგვაცილოს ეს დანაშაული *ex ante*. მაშასადამე, სასჯელი, თუ მას განვიხილავთ მხოლოდ როგორც საზოგადოების რეაქციას დანაშაულზე და მისი პროფილაქტიკური ასპექტის იგნორირებას მოვახდენთ, შეიძლება მოგვეჩვენოს ტკივილის თვითნებურ მიყენებად, იმ მოქმედებად, რომელიც დაკავშირებულია იმ ინდივიდის სარგებლიანობის დანაკარგებთან, ვინც იცის, თუ როგორ სჯიან სხვებს და, საბოლოო ანგარიშით, თვითონ ირჩევს სასჯელის ზომას. ამგვარად, კანონის დაცვის უზრუნველყოფი აგენტის რეაქცია, რომელიც ხელმძღვანელობს სარგებლიანობის მაქსიმიზაციის პრინციპით, შეიძლება იყოს გაუმართლებლად მსუბუქი სასჯელი იმასთან შედარებით, რაც იმავე საზოგადოების მიერ კონსტიტუციურ სტადიაზე იქნებოდა არჩეული. ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკის პრინციპები და კანონის დაცვის უზრუნველყოფის სისტემა დარღვევების წარმოშობამდე უნდა იყოს არჩეული.

ამ არგუმენტის დასაბუთება შესაძლებელი გამარტივებული ციფრობრივი მაგალითის დახმარებით. დავუშვათ, რომ B ინდივიდმა უკვე ჩაიდინა დანაშაული, მან დაარღვია კანონი. თუ სასჯელი მხოლოდ საზოგადოების საპასუხო რეაქციაა ინდივიდის მოქმედებაზე, მაშინ A ინდივიდმა (რომელიც მონაწილეობს საზოგადოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მაგრამ პირადად არ დაზარალებულა B-ს დანაშაულისგან) მხოლოდ უნდა აირჩიოს: დასაჯოს B თუ არა (იგულისხმება, რომ ხორციელდება „ან/ან“ ტიპის უბრალო არჩევანი ორი ალტერნატივიდან). ასეთ სიტუაციაში A-მ შეიძლება გადაწყვიტოს, არ გამოიყენოს სასჯელი. ის ასეც მოიქცევა, თუკი წუხს იმის გამო, რომ ტკივილს მიაყენებს მეორე ინდივიდს. ამასთან, სარგებლიანობის დანაკარგები იმდენად დიდია, რომ აჭარბებს დამნაშავის დასჯისგან მიღებულ მოგებას (ნახ. 4.1). როგორც ნახაზიდან ჩანს, თუ A იძულებულია, დასჯის გადაწყვეტილება მიიღოს *ex post*, იგი ამისგან თავს შეიკავებს. დასჯის განხორციელება და B-სთვის ტანჯვის მიყენება A-სთვის უფრო დიდ დანაკარგებს იწვევს, ვიდრე რეაგირებაზე უარის თქმა. მისმა უმოქმედობამ (როდესაც იცის, რომ A-ს ჰქონდა სასჯელის თავიდან აცილების შესაძლებლობა, თუმცა დაარღვია კანონი) ასევე, შეიძლება, გამოიწვიოს სარგებლიანობის



დანაკარგები, მაგრამ იგი, სრულიად შესაძლებელია, იმაზე მცირე იყოს, რაც სასჯელის გამოყენების შემთხვევაში იქნებოდა.

ნახ. 12.7.

		B
A	დასაჯოს	-2, -10
	არ დასაჯოს	-1, +4

თუ B-ს სჯიან, მისი დანაკარგები შეიძლება საკმაოდ დიდი აღმოჩნდეს. თუ არა, მაშინ მას შეუძლია, უზრუნველყოს თავისთვის ისეთი მოგება, რომელიც მეტი იქნება თვით კანონის დარღვევის აქტიდან მიღებულ შედეგზე: მას შეუძლია დატკბეს იმის ცოდნით, რომ მოახერხა, წარმატებით გამოეყენებინა A-ს უნიათობა.

ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ სასჯელი არ უნდა იყოს საზოგადოების უშუალო საპასუხო რეაქცია. A ინდივიდმა, როგორც დასჯის პოლიტიკის შემუშავების პროცესის მონაწილემ, არჩევანის ვარიანტები უნდა განიხილოს *ex ante*, ესე იგი კანონის დარღვევამდე. მისი გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს პროგნოზს იმის შესახებ, თუ რა გავლენას იქონიებს მის მიერ არჩეული სასჯელის ზომა ყველა იმ B-ს (მათ რიცხვში შედის მოცემულ მაგალითში A-ც) გადაწყვეტილებაზე (დაიცვან თუ დაარღვიონ კანონი), რომლებიც იცხოვრებენ არჩეული სამართლებრივი სისტემის პირობებში პოსტკონსტიტუციურ სტადიაზე (აქ მოყვანილი არგუმენტები ეხება სასჯელის შეთანხმებით თეორიას, რომელიც განსხვავდება უტილიტარული თეორიისგან. თუმცა, ნაწილობრივ ისინი ურთიერთდაკავშირებულია. შეთანხმებით თეორიაში ინდივიდთა ერთი ნაწილის მიერ „მეორეთა“ დასჯის „უფლების“ პრობლემა არ წარმოიშობა, რადგან ინდივიდები, რომლებიც ჩართულნი არიან არააშკარა საზოგადოებრივ შეთანხმებაში, წინასწარ ირჩევენ დასჯის ალბათობას კანონის დარღვევის შემთხვევაში. ჯ. ბიუქენენის

არგუმენტები ამ საკითხთან დაკავშირებით ახლოსაა კანტთან და, განსაკუთრებით, ჰეგელთან).

განვიხილოთ სიტუაცია, როდესაც B-ს ქცევის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია (ნახ. 4.2.). თუ A იღებს გადაწყვეტილებას, რომ კანონის დარღვევის შემთხვევაში დასჯის განხორციელება საზოგადოებრივ ორგანოს მიანდოს და მისი გადაწყვეტილება წინასწარაა ცნობილი, მათ შორის პოტენციური B-სთვისაც, მაშინ თავისთავად ამ ფაქტმა შეიძლება, გავლენა მოახდინოს B-ს ქცევაზე. იგი კანონის დარღვევისგან თავს შეიკავებს. მაშინ A-ს არ მოუწევს დარდი განხორციელებული სასჯელის შესახებ ცოდნის გამო.

**ნახ. 12.8**

		B		
		იცავს კანონს	არღვევს კანონს	
A	სჯის დარღვევისთვის	(0.67) +4, +2	(0.33) -2, -10	+2
	არ სჯის დარღვევისთვის	(0.0) +4, +2	(1.0) -1, +4	-1

შევნიშნავთ, რომ იმ პირობებში, როდესაც სასჯელი ინდივიდების მოქმედებაზე უშუალო საპასუხო რეაქციაა, A-სთვის უპირატესია მეორე სტრიქონი. B-ს მოქმედების მიუხედავად, A-ს რეაქცია იქნება სასჯელზე უარის თქმა. მაგრამ თუ A ვარაუდობს, რომ დასჯის წინასწარ არჩეული სტრატეგია გავლენას მოახდენს B-ს ქცევაზე, მაშინ მას შეუძლია თავისი სარგებლიანობის მაქსიმიზირება დასჯის არჩევანის გაკეთებით.

დავუშვათ, რომ სასჯელი (მაგალითად, ექვსთვიანი პატიმრობა) შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანონის ერთჯერადი დარღვევისთვის (წვრილმანი ქურდობა). A ინდივიდს, რომელიც მონაწილეობს პოლიტიკის შემუშავების პროცესში, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება: ან დაისაჯოს ქურდი ამ დარღვევისთვის, ან თავისუფალი დარჩეს.

ვთქვათ, A ვარაუდობს, რომ გადაწყვეტილება დასჯის შესახებ ორი მესამედით შეამცირებს იმის ალბათობას, რომ B წვრილმან ქურდობას ჩაიდენს. მაშასადამე, სამიდან ორ შემთხვევაში A-ს გადაწყვეტილება დასჯის შესახებ ex ante გამოიწვევს შედეგს, რომელიც ნაჩვენებია პირველ სვეტში. მაგრამ თუ A გადაწყვეტს, არ დასაჯოს, ის ვარაუდობს, რომ B დაარღვევს კანონს ყველა სამ შემთხვევაში. თუ ალბათობის ასეთი მნიშვნელობები (ნაჩვენები ფრჩხილებში) A-ს გადაწყვეტილებაზე იმოქმედებს, მაშინ ის უპირატესობას მიანიჭებს დასჯას. თითოეული ვარიანტის მოსალოდნელი სარგებლიანობა მატრიცაში მარჯვენა ციფრებითაა ნაჩვენები. A ინდივიდი შეიძლება იმედოვნებდეს სარგებლიანობის ორი ერთეულის მიღებას დასჯის სტრატეგიის არჩევით, მაშინაც კი, თუ იცის, რომ სამიდან ერთ შემთხვევაში ის დაზარალდება სარგებლიანობის ორი ერთეულის დაკარგვით.

უფრო ზოგადად, A-ს არჩევანი დამოკიდებული იქნება, ჯერ ერთი, კანონმორჩილი ქცევის მოსალოდნელ მოგებასა და დასჯის აუცილებლობასთან დაკავშირებული სარგებლიანობის დანაკარგებს შორის თანაფარდობაზე; მეორე, იმაზე, თუ რა მოსალოდნელ გავლენას მოახდენს A-ს გადაწყვეტილება ყველა B-ზე. იმის მიხედვით, თუ რამდენად ძლიერ აფასებს A წესრიგს და/ან რამდენად განურჩეველია იგი დასჯისადმი („მტკიცე ადამიანი“, რომელსაც სჯერა დამსჯელი ზომების ქმედუნარიანობის), ის (სხვა თანაბარ პირობებში), დიდი ალბათობით, საკონსტიტუციო სტადიაზე სასჯელის მკაცრ ზომებს აირჩევს. იმის მიხედვით, თუ რამდენად უმნიშვნელოა A-სთვის უწესრიგობის უარყოფითი შედეგები, რამდენად მგრძნობიარეა სხვათა ტანჯვისადმი („რბილი ადამიანი“, რომელიც ფიქრობს, რომ ყველა ადამიანი თავისი არსით კეთილშობილია), და რამდენად სერიოზულად იღებს მხედველობაში თავისი დასჯის შესაძლებლობას (კანონიერად თუ შეცდომით), იგი ეცდება სასჯელის შედარებით რბილი ფორმები აირჩიოს. თუმცა, თუ A მოელის, რომ B-ს ქცევა ძალიან მგრძნობიარეა სასჯელის სიმკაცრის ხარისხისადმი, მან, შეიძლება, კონსტიტუციურ სტადიაზე მკაცრად დასჯის სტრატეგია აირჩიოს მაშინაც კი, თუ თვითონ A „რბილი ადამიანია“. და, პირიქით, თუ მოსალოდნელია, რომ B შედარებით ნაკლებად მგრძნობიარეა სასჯელის სიმკაცრის ხარისხისადმი, თვით „მტკიცე ადამიანმაც“ შეიძლება თავი შეიკავოს მკაცრად დასჯის სტრატეგიისგან. თუ A ვარაუდობს B-ს ქცევის აბსოლუტურ ინვარიანტულობას, მისთვის მიზანშეუწონელია

რაიმე სტრატეგიის განხილვა. წესების დაცვის უზრუნველყოფა უბრალოდ შეუძლებელი იქნება, ხოლო ჯგუფი დარჩება ჰობსის ანარქიის მდგომარეობაში.

მაშასადამე, *ex ante* არჩეული სასჯელის სიმკაცრის გაძლიერება კანონის დარღვევის ალბათობას ამცირებს. ეს კონსტიტუციური არჩევანის დადებითი მხარეა. მაგრამ ეს გაძლიერება იწვევს სარგებლიანობის დიდ დანაკარგებს კანონდამრღვევთა მიმართ მკაცრი ზომების გამოყენების გამო. ეს მედალის მეორე მხარეა. ნებისმიერი A ინდივიდისთვის, რომელიც სამართლებრივი სტრუქტურის საზოგადოებრივ არჩევანში მონაწილეობს, სასჯელის სიმკაცრე ოპტიმალურია, როდესაც მისი ზრდის (ან შემცირების) ზღვრული მოგება (რომელიც მდგომარეობს მეტ საზოგადოებრივ წესრიგში) დამნაშავეებისადმი უფრო მკაცრი დამოკიდებულების ზღვრული დანაკარგების ტოლია. ორივე სიდიდე არჩევანის განმახორციელებელი ინდივიდის სუბიექტურ შეფასებას წარმოადგენს.

**დასჯის წესების საყოველთაობა.** ჩვენ განვიხილეთ A ინდივიდის მიერ სასჯელის არჩევის პრობლემა იმ ვარაუდით, რომ დამნაშავეები ერთნაირად რეაგირებენ დასჯის ალტერნატიულ სტრატეგიებზე. მაგრამ სირთულეები წარმოიშობა მაშინ, როდესაც პოტენციურ დამრღვევთა რიცხვი დიდია და/ან როდესაც მათი მოსალოდნელი ქცევითი რეაქციები ძლიერ განსხვავდება. ამ შემთხვევაში დასჯის სტრატეგიები უნდა განსხვავდებოდეს სხვადასხვა პოტენციური დამნაშავეებისთვის.

დავუშვათ, რომ პოტენციურ დამრღვევთა ჯგუფის მოსალოდნელი რეაქცია (B1) ისეთივეა, როგორც ნაჩვენები იყო ნახ. 4.2.-ზე. თუ წინასწარ დავადგენთ, რომ საჯელი წვრილმანი ქურდობისთვის არის თავისუფლების აღკვეთა ექვსი თვით, ეს შეამცირებს დამრღვევთა რიცხვს 2/3-ით. როგორც ვნახეთ, ასეთი ალბათობისას A-ს (ან კოლექტიური გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე A ინდივიდთა ჯგუფის) უპირატესი სტრატეგია მდგომარეობს დასჯაში. მაგრამ თუ საზოგადოებაში არსებობს პოტენციურ დამრღვევთა მეორე ჯგუფი (B2), რომელთა რეაგირების სქემა გამოსახულია ნახ. 4.3.-ზე, მაშინ უპირატესი სტრატეგია სხვა იქნება. სასჯელის ზომის ის ვარიანტი, რომელიც ამაქსიმიზირებდა სარგებლიანობას B1 ჯგუფის დამრღვევების მიმართ მისი გამოყენებისას, B2 ჯგუფისადმი მისი გამოყენების შემთხვევაში, კანონდარღვევათა რიცხვს ამ ჯგუფში მხოლოდ 1/10-ით შეამცირებდა. ვარიანტთა სიმრავლიდან ამორჩევისას A რაციონალურად თავს შეიკავებს დასჯის ამგვარი სტრატეგიისგან.

დავუშვათ, რომ არსებობს დასჯის არა ორი, არამედ სამი ვარიანტი. თუ A ინდივიდი, რომელიც მონაწილეობს სასჯელის ზომის არჩევის პროცესში, განიხილავს მხოლოდ პოტენციურ დამნაშავეებს B2 ჯგუფიდან და მისი პროგნოზი მათი რეაქციის შესახებ შეესაბამება ალბათობის კოეფიციენტებს ნახ. 4. 4 (II)-ზე, ის ამჯობინებს მკაცრი სასჯელის სტრატეგიას.

**ნახ. 12.9**

		B2		
		icavs kanons	arRvevs kanons	
A	sjis darRveisTvis	(0.1) 4, 2	(0.9) -2, -10	-1. 4
	ar sjis darRveisTvis	(0.0) 4, 2	(1.0) -1,4	-1

მაგრამ თუ A განიხილავს მხოლოდ პოტენციურ დამნაშავეებს B1 ჯგუფიდან, რომელთა რეაქციების ალბათობა შეჯამებულია ნახ. 4.4(I)-ზე, ის უპირატესობას მიანიჭებს რბილ სასჯელს. როგორც ნახაზიდან ჩანს, სასჯელის უპირატესი დონეები განსხვავდება რეაგირების სქემათა პროგნოზის მიხედვით. ამჯერად, ჩვენ არ გამოვყოფთ სხვა განსხვავებებს. სარგებლიანობის მაჩვენებლები მატრიცებში ერთნაირია ორივე შემთხვევაში.

**ნახ. 12.10**

**I**

		B1		
		icavs kanons	arRvevs kanons	
	<b>mkacrad sjis darRveisTvis</b>	(0.75) 4, 2	(0.25) -5, -20	1.75

A	rbilad sjis darRvevisTvis	(0.67) 4, 2	(0.33) -2, -10	2
	ar sjis darRvevisTvis	(0.0) 4, 2	(1.0) -1,4	-1

## II

		B2		
		icavs kanons	arRvevs kanons	
A	მაგრად sjis darRvevisTvis	(0.5) 4, 2	(0.5) -5, -20	-5
	rbilad sjis darRvevisTvis	(0.1) 4, 2	(0.9) -2, -10	-1.4
	ar sjis darRvevisTvis	(0.0) 4, 2	(1.0) -1,4	-1

წყარო: Buchanan J. M. The Limits of Liberty: Between Anarchy and Leviathan.

<https://web.archive.org/web/20060518093905/http://www.econlib.org/LIBRARY/Buchanan/buchCv7Contents.html>

დავუშვათ, რომ არსებობს ერთი პირობა, რომელიც უნდა დაიცვას A-მ: ყველა ინდივიდი, ვინც დაარღვია ერთი და იგივე კანონი, ერთნაირად უნდა დაისაჯოს. როგორ შეუძლია საზოგადოებას, მივიდეს კანონის დამცავი ეფექტიანი ინსტიტუტების სისტემის შესახებ შეთანხმებამდე, თუკი მოსალოდნელია, რომ ინდივიდთა ქცევითი რეაქციები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება?

წარმოუდგენელია, რომ შეთანხმებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს დისკრიმინაციული სასჯელი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ეფექტიანია. ჩვენს მაგალითში B1 და B2 არღვევენ ერთსა და იმავე კანონს, იდენენ ერთნაირ დანაშაულს. საზოგადოებას შეუძლია, დასაჯოს ან არ დასაჯოს ისინი, მაგრამ მას არა აქვს ერთი დამრღვევის მიმართ უფრო კეთილშობილი დამოკიდებულების საფუძველი, ვიდრე მეორისადმი. ეს კი ნიშნავს, რომ სასჯელის ნებისმიერი სისტემის დროს სანქციები გაუმართლებლად რეპრესიული

იქნება პოტენციურ დამრღვევთა ერთი ჯგუფისთვის და ზედმეტად შემწყნარებლური - მეორეთათვის.

**სასჯელის საზოგადოებრივი არჩევანი.** კონსტიტუციურ სტადიაზე, როდესაც განისაზღვრება სასჯელის ზომათა სისტემა, A ინდივიდს შეუძლია აირჩიოს მისთვის უპირატესი ვარიანტი და გაითვალისწინოს: საკუთარი სარგებლიანობის ფუნქცია, მის განკარგულებაში არსებული დოვლათის რაოდენობა, საკუთარი შესაძლებლობები, საკუთარი მოლოდინები არჩეულ ინსტიტუტთა ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და პოტენციურ დამნაშავეთა ქცევა დასჯის სხვადასხვა სტრატეგიის საპასუხოდ, აგრეთვე, იმ რესურსების დანახარჯები, რომელიც აუცილებელია ამ სტრატეგიათა რეალიზაციისათვის. ის თავის გადაწყვეტილებაში უპირატესობას მიანიჭებს სასჯელის სიმკაცრის და გარდუვალობის კომპონენტების გარკვეულ ნაზავს. მაგრამ საზოგადოებაში არსებობს უამრავი A ინდივიდი, ყველა პოტენციური B-ს ჩათვლით, და კანონის დამცავ ინსტიტუტთა სისტემის არჩევა უნდა განხორციელდეს კოლექტიურად და არა ინდივიდუალურად. სასჯელის ზომის მიმართ ჯგუფის თითოეულ წევრს შეიძლება საკუთარი შეხედულება ჰქონდეს, მაგრამ ინდივიდთა ცალკეული მოსაზრებები როგორმე უნდა გაერთიანდეს ერთადერთი კოლექტიური გადაწყვეტილების შემუშავებისთვის. ამ დროს წარმოიშობა შეხედულებათა შეთანხმებასთან დაკავშირებული პრობლემები.

დასჯის წესების შესახებ საყოველთაო შეთანხმების მიღება უფრო მეტ სირთულეებთანაა დაკავშირებული, ვიდრე ნებისმიერი სხვა კონსტიტუციური გადაწყვეტილება. სავარაუდოდ, ჯგუფის ყოველი წევრი დაინტერესებული იქნება დამრღვევთა დასჯის რაღაც წესების მიღებით. თუ ინსტრუმენტის სახით არჩეულია უმრავლესობის წესი, შეიძლება, წარმოიშვას კონდორსეს ცნობილი პარადოქსი. სრულიად შესაძლებელია, რომ ცალკეულ ინდივიდთა მოთხოვნების გათვალისწინება ვერ მოხერხდეს უმრავლესობის მიერ ნაპოვნ თანხმობის ფორმულაში. ამ შემთხვევაში წარმოიშობა ჩაკეტილი წრე. გადაწყვეტილების მიღება ხმების უმრავლესობით შეესაბამება მედიანური ინდივიდის უპირატესობებს. იძულება-დასჯის ინსტიტუტების ისეთი ნაკრების არჩევა, რომელიც აკმაყოფილებს მედიანური ინდივიდის უპირატესობებს, დაუკმაყოფილებელს ტოვებს სხვა ადამიანებს, რომლებიც არჩევანის სპექტრის ორივე

მხარეს იმყოფებიან. ზოგიერთები მედიანურ არჩევანს მეტისმეტად შემზღუდავად ჩათვლიან, ხოლო სხვები - გაუმართლებლად შემწყნარებლურად.

მათ, ვინც უპირატესობას ანიჭებს მკაცრ სასჯელს, შეიძლება, ზოგიერთ შემთხვევაში, იყიდონ იმათი თანხმობა, ვინც ისწრაფვის ნაკლებად მკაცრი სასჯელის არჩევისკენ, ან - პირიქით. თეორიულად, თანხმობის მიღწევა შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკაში დასჯის სისტემის არჩევა უფრო რთულია, სხვადასხვა უპირატესობების მქონე ინდივიდებს შორის კომპრომისის მიღწევის თვალსაზრისით.

დასჯის წესები არჩეული უნდა იყოს მანამდე, ვიდრე წარმოიშობა დასჯის აუცილებლობა. მაგრამ კონსტიტუციური პროცესის მონაწილისთვის ამ არჩევანის სტრატეგიული ხასიათი შეიძლება ცხადი არ იყოს. იგი არ გრძნობს პერსონალურ პასუხისმგებლობას მთელი ჯგუფის გადაწყვეტილების შედეგების გამო. ხარჯები და სარგებლიანობები გაბნეულია საზოგადოების ყველა წევრს შორის და გაწელილია დროში. იგი იქცევა ისე, თითქოს ყიდულობდეს ნამდვილად საზოგადოებრივ დოვლათს. მას არ ექნება მოტივი, ჩადოს სახსრები არჩევანის სხვადასხვა ალტერნატივების შესახებ ინფორმაციის მოძიებაში. ამრიგად, ძირითადი სირთულე კონსტიტუციურ დონეზე კოლექტიური გადაწყვეტილების შემუშავებაა. დასჯის წესები შეიძლება არჩეულ იქნეს გულმოდგინე აწონ-დაწონის გარეშე. შედეგი თვითნებურად შეიძლება მოგვეჩვენოს, რაც, თავის მხრივ, აჩენს ცდუნებას, შეიცვალოს ისინი უკვე პოსტკონსტიტუციურ სტადიაზე.

**ზოგადი წესების საზოგადოებრივი არჩევანი.** თუ გავითვალისწინებთ ზემოთ განხილულ სირთულეებს, გასაკვირი არაა ინდივიდთა მიერ დასჯის სტრატეგიაზე უარის თქმა. განვიხილოთ ინდივიდი, რომლის უპირატესობებს და ვარაუდებს იგი მიჰყავს სასჯელის უფრო მკაცრი სისტემის აუცილებლობის აზრამდე, ვიდრე მიღებულია საზოგადოებაში. ეს ინდივიდი უკმაყოფილო იქნება სასჯელით, რომელიც ვრცელდება კანონის ყველა პოტენციურ დამრღვევზე. მაგრამ იგი უფრო მეტად უკმაყოფილო იქნება საერთო წესების გამოყენებით იმ პოტენციური დამნაშავეებისადმი, ვინც ყველაზე მეტად მიდრეკილია დარღვევისაკენ.

ასეთი ადამიანი ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების გამო ორმაგ ზარალს განიცდის: მას არ აკმაყოფილებს თვით დასჯის სისტემა, ხოლო მათი მიღების საყოველთაო დაუკმაყოფილებლობას უფრო აძლიერებს. საწინააღმდეგო



უპირატესობებისა და მოლოდინების მქონე ინდივიდი ასევე აღმოჩნდება იმედგაცრუებული დასჯის სისტემით. ის არ შეესაბამებია მის უპირატესობებს, რადგან მეტისმეტად რეპრესიულია: მისი აზრით, თავისუფლება მსხვერპლად ეწირება წესრიგს. ამასთან, მოცემული ინდივიდისათვის მტკივნეულია იმის ცოდნაც, რომ ერთი და იგივე წესები გამოიყენება მათ მიმართაც, ვისი რეაქციებიც ძალიან მგრძობიარეა სასჯელის ზომის შეცვლისადმი.

იბადება გარკვეული „დასკვნა იმის შესახებ, რომ დასჯის დილემა დამახასიათებელია ნებისმიერი საზოგადოებისათვის, რომელიც ისწრაფვის, თავისი სამართლებრივი სტრუქტურა ინდივიდუალისტურ ფასეულობებზე ააშენოს“ (Бьюкенен, 1997, С. 394). შესაძლებელია, თუნდაც თეორიულად, წარმოვიდგინოთ ხელშეკრულება ვინმე გარე აგენტით, რომელსაც გადაეცემა საკონსტიტუციო ხელშეკრულების დაცვის კონტროლის ფუნქცია. მაგრამ ასეთ აგენტს უნდა ჰქონდეს დასჯის შეზღუდული უფლება და დასჯის სისტემა არჩეული უნდა იყოს საზოგადოების წევრების მიერ განსაზღვრულ კვაზი-კონსტიტუციურ პირობებში. სწორედ აქ ჩნდება დილემა ყველაზე მწვავე ფორმით. ნამდვილად დემოკრატიული რეჟიმი ეცდება რეაგირებას დარღვევებზე, გამომდინარე მიმდინარე სიტუაციიდან და არ გაჰყვება ადრე არჩეულ სტრატეგიას. ის შეეცდება შეცვალოს დასჯის სისტემა, რომელიც არჩეული იყო წინამორბედ სტადიაზე. ახალი სისტემა კი უკვე გამოხატავს ინდივიდთა დასჯის, სამართლის მიღწევის თუ შეზღუდვების მიმდინარე მოტივებს და არა - რაციონალურად არჩეულ გრძელვადიან ინტერესს. შედეგად, აღმოცენდება სამართლებრივი სტრუქტურა, რომელიც ბადებს საზოგადოების წევრთა დაუკმაყოფილებლობას. ეს, თავის მხრივ, არყვეს პატივისცემას სამართლისადმი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი საზოგადოებრივი კაპიტალის შენარჩუნებისათვის, როგორცაა კანონი.

აღნიშნულის ალტერნატივა შეიძლება იყოს კანონის დაცვის უზრუნველყოფისთვის უფლებამოსილებათა დელეგირება გარე აგენტზე მაშინაც კი, თუკი ეს აგენტი დაკომპლექტებულია მოცემული საზოგადოების წევრებისაგან. მაგრამ შეიძლება თუ არა ამ გარე-ხელისუფლებას მიეცეს უფლებამოსილება - დასჯის ალტერნატიულ სტრატეგიათა შორის აირჩიოს საკუთარი სტრატეგია, მოქალაქეთა უპირატესობებისგან დამოუკიდებლად? არსებობს ისტორიული მაგალითები, როდესაც შედარებით სრული

ძალაუფლება დასჯის სფეროში იურისტთა სპეციალიზებულ კლასს ჰქონდა მიცემული. მაგრამ ეს გზა, რომელიც დასჯის დილემის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა, დაუყოვნებლივ იწვევს ახალი დილემის აღმოცენებას - როგორ გაკონტროლდეს გარე-აგენტი.

**literatura:**

**ბალარჯიშვილი ი.** დანაშაულის და სასჯელის ეკონომიკა: თეორიული მემკვიდრეობა და თანამედროვე პრობლემები. თბ., „ინოვაცია“, 2010. თავი 3, გვ. 56-77.

**Бьюкенен Дж. М.** Границы свободы. Между анархией и Левиафаном // Бьюкенен Дж.М. Сочинения / Пер. с англ. под ред. Р.М. Нуреева. М.: Таурус Альфа, 1997. Гл. 4, 7, 8. с. 278-304, 346-355.

**Бьюкенен Дж.М.** Конституция экономической политики // Бьюкенен Дж.М. Сочинения / Пер. с англ. под ред. Р.М. Нуреева. М.: Таурус Альфа, 1997. с. 15-30.

**Бьюкенен Дж.** Конституциональная экономическая теория // Экономическая теория / Под ред. Дж. Итуэлла, М. Милгейта, П. Ньюмена. М., 2004. С. 167–178.

**Бьюкенен Дж.М., Таллок Г.** Расчет согласия. Логические основания конституционной демократии // Бьюкенен Дж.М. Сочинения / Пер. с англ. под ред. Р.М. Нуреева. М.: Таурус Альфа, 1997. Гл. 20. С. 197-206.

**Ванберг В.** Теория порядка и конституционная экономика // Вопросы экономики. 1995. № 12. С. 86 – 95.

**Заостровцев А.** Теория общественного выбора и конституционная политическая экономия. СПб, 2009. Гл. 3, С. 125-167.

**Нуреев Р. М.** Теория общественного выбора. М.: Издательский дом ГУ- ВШЭ, 2005, гл. 12.

**Хайек Ф. А.** Общество свободных /Под ред. Ю. Колкера. L.: Overseas Publications Interchange Ltd, 1990.

**Bush W.** Individual Welfare in Anarchy // Explorations in the Theory of Anarchy / Ed. By G. Tullock. Blacksburg: Center for Study of Public Choice, 1972. P. 5-18;

**Buchanan J. M.** The Limits of Liberty: Between Anarchy and Leviathan. <https://web.archive.org/web/20060518093905/http://www.econlib.org/LIBRARY/Buchanan/buchCv7Contents.html>

**Cooter R.D.** The Strategic Constitution. Princeton. Princeton University Press. 2000. Ch.10-15, pp. 243-379.

**Hayek F.** The Constitution of Liberty. Chicago: University of Chicago Press, 1978.

**Johnson D.** Public Choice. An Introduction to the New Political Economy. L.: Toronto: Bristlecone Books, 1991. Ch.13, pp. 341-353.

**McNutt P.A.** The Economics of Public Choice, 2nd ed. Cheltenham: Edward Elgar, 2002. Ch. 10, pp. 272-289.

**Mueller Dennis C.,** Constitutional Democracy, Oxford University Press, 1996. Ch. 3-5, pp. 43- 73.

**Mueller D.** Public choice III. New York: Cambridge University Press, 2008. Ch. 25, 26, pp. 597-642.

**Persson, T., Tabellini, G.** "The Economic Effects of Constitutions: : What Do the Data Say?" MIT Press, 2003.

Ch. 3-9.

**Vanberg V.** Rules and Choice in Economics. L.; N.Y.: Routledge, 1994.